



ისინჯი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№14

მეფის საფლავზე

ჩვიდმეტ მარტს თოვლი ენთო მთანმინდას
მეფის საფლავი კენტ ვარდს სტკიოდა
და თვითმკვლელობის ექო უღმერთო
მიგვაქანებდა გა ლ ა კ ტ ი ო ნ თ ა ნ...
ფიქრსავსე ნაძვებს ფიფქპირბადიანს
სიკვდილის შიში გადაეთოვლათ
პარნასის გზაზე ოდეს გადიან
სისხლს ერითმება გრიგალთან რბოლა !
ვის მოეყოლა ეფემერების
სწორუპოვარი აზვირთებები
უფალს ენუკვი, კაცს ებევრები
და მარტოობის რაინდად კვდები!
თოვლი იფარავს ატმის ნაზ რტოებს
უთვისტომოთა სულებს კვლავ აწვიმს
ოდეს სიკვდილი დაგვიახლოებს
ვერ დავთმობთ ლექსის ამეთვისტოებს
ჩვიდმეტ მარტს თოვლი ენთო მთანმინდას
მეფის საფლავი კენტ ვარდს სტკიოდა
და თვითმკვლელობის უღმერთო ექო
მიგვაქანებდა გა ლ ა კ ტ ი ო ნ თ ა ნ...

იკა ქადაგიძე
18.03. 2020



ისინდი

ლიტერატურული ჟურნალი

№14

2021

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)
რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)
ბონდო არველაძე (საპატიო წევრი)
ნომადი ბართაია (საპატიო წევრი)
ვახტანგ ბახტაძე
აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)
ვანო გელაშვილი (საპატიო წევრი)
მარინა თექთუმანიძე (საპატიო წევრი)
ჯემალ მეხრიშვილი
ერეკლე სალლიანი (საპატიო წევრი)
მარსიანი
თეიმურაზ ნადარეიშვილი
გიორგი შიშნიაშვილი

წინა ყდა: მარსიანი – გალაკტიონი გალაქტიკეზში
უკანა ყდა: ფოტოხელოვანი – გიორგი შიშნიაშვილი
მხატვარი – მარსიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ელენე დობორჯგინიძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა	5
პუბლიცისტიკა	
იკა ქადაგიძე – ანტიპრაიდული პარანოიის პერიპეტიები	7
ინტერნეტსპექტრი	
პოეტ პოეტიშვილი – (პაატა სურმანიძე).....	22
მოსაგონარი	
ვანო გელაშვილი – ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული (ომარ ჩიტაიას ხსოვნას)	24
ლიტერატურათმცოდნეობა	
მედგარ ქელიძე – შემოდგომის ფრაგმენტი	27
პროზა	
დიანა მეტონიძე – ამონარიდი ისტორიული რომანიდან „მესიის მახვილი“	38
მუსიკალური ვერნისაყი	
მარი თბილელი – ვენა, სამოთხე მუსიკის მოყვარულთათვის	39
პროზა	
ციცინო ბენიძე – ამონარიდი რომანიდან „შემოდგომის მზე“	42
პროზა	
ნანა შალამბერიძე – ბიმი.....	43
ისტორიული პორტრეტები	
როსტომ შამუგია – ჯანსუღ ჩარკვიანის მოლანდებანი	47
თარგმანი	
ვახტანგ ბახტაძე – პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს.....	50
ერთი ლექსის გაელვება	
მარსიანი – გალაკტიონ!	52

მითოლოგიური პოემა	
ერეკლე სალიანი – მედეა	54
ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა	
ჯემალ მესრიშვილი – მტკივნეულად თანამედროვე ოვიდიუსი	54
ესეისტიკა	
მარიამ ტოხიშვილი – უთქმელი სათქმელი	56
საბავშვო პროზა	
ლელა შურუპოვა – ბუნარი (ჩემი ბაბუკო)	58
წარსულის სპექტრი	
ნომადი ბართაია - ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან	59
თარგმანი	
ნინი ქუთელია - სენეკა ბედნიერი ცხოვრების შესახებ	61
პუბლისცისტიკა	
მარსიანი - საქართველო ნეოლიბერალიზმის პირისპირ	64
ესეისტიკა	
თეიმურაზ ნადარეიშვილი - ჰამლეტი (შექსპირული ჩანახატები)	69

რედაქტორის წინათქმა

მსოფლიო ქარტეხილების ფონზე ყველაზე მეტბოძოლი, ეროვნული ჟურნალი „ისინდი“ თავის დანიშნულებას უცვლელად აგრძელებს და ჯანსაღად მოაზროვნე წიგნიერ საზოგადოებას საჭირობოროტო მოვლენების ობიექტურ ანალიზს დროულად და მიუკერძოებლად სთავაზობს; ამის მაგალითია მოწინავე ახალი წერილები, რომლებიც უშუალოდ დინამიკური პროცესების შუაგულში წარმოიშვა; მხედველობაში მაქვს თქვენი მონა-მორჩილის სტატია: „ანტიპრაიდული პარანოიის პერიპეტიები“ და მარსიანის პუბლიკაცია: „საქართველო ლიბერალიზმის პირისპირ“, რაც მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ-სოციალურ და რელიგიურ საკითხებს მიუკერძოებლად და გაბედულად გაშუქების კვალდაკვალ ეროვნული კულტურის დაცვის საპირწონედ სახალხო პროტესტის არსს სიღრმისეულად აფასებს და ჯეროვნად განიხილავს.

აქვე აღსანიშნავია, ის გარემოება, როდესაც მწვავე საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობ, ყოველთვის არსებობს საფრთხე აქტიურმა პუბლიცისტურმა მიმართულებამ ლიტერატურული ჟურნალის ძირითადი მხატვრული ასპექტი დაჩრდილოს, გეზი უცვალოს და მისი მრავალფეროვნება გარკვეულწილად შეზღუდოს;

აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი ბალანსის დასაცავად გადავწყვიტე საშემოდგომო, ნოემბრის ნომერი პოეტების გენიალური მეფის, გალაკტიონისთვის მიგვეძღვნა; ამ მიზნით „ისინდის“ რიგით მეთოთხმეტე ნომერს ამშვენებს საგანგებო, საიუბილეო განწყობის შესაქმნელად დახატული ორიგინალური გარეკანი: „გალაკტიონი გალაქტიკებში“, რომლის ავტორი მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოებული შემოქმედი, „ისინდის“ ბირთვის შეუცვლელი და წამყვანი წევრი მარსიანია; მის კალამს ეკუთვნის ახალი, შესანიშნავი, ვრცელი ლექსი გალაკტიონზე, რომელსაც მარსიანის მიერვე შესრულებული საუცხოო გრაფიკული პორტრეტი აგვირგვინებს;

გალაკტიონის თემას ჰარმონიულად აგრძელებს თქვენი მონა-მორჩილის მიძღვნილი შინაარსის ლექსი, რომელიც 2020 წლის 17 მარტს, პოეტების მეფის თვითმკვლევლობის დრამატული თარიღის პოეტური გამოძახილია და დათოვლილი მთაწმინდის დაუვინყარი შთაბეჭდილებებითაა გაჯერებული, რასაც „ისინდის“ წევრისა და ვირტუალური გვერდის მმართველის, პოეტ გიორგი შიშნიაშვილის მიერ გადაღებული შესანიშნავი სურათების ციკლი ხატოვნად გადმოსცემს; ამ სერიის ერთ-ერთი სურათი ჟურნალის უკანა გარეკანზეა დატანილი, რაც ლექსთან ერთად კომპოზიციურ მთლიანობას ქმნის.

გალაკტიონის, როგორც კლასიკური შემოქმედების უდიდესი მეტრის ძვირფას ხსოვნას ეძღვნება პოეტ პოეტიშვილის (პაატა სურმანიძის) ლექსი „ეფემერიადი“, რომლის გამორჩეული მხატვრული დონე კონკურსების მესვეური პოპულარული მწერლებისთვის „რატომღაც შეუმჩნეველი“ აღმოჩნდა, რაც ჭეშმარიტი პოეზიისადმი ტრაფარეტული მიდგომის მაგალითია. მსგავსი კონკურსების გამართვის დახავსებული და კლანურად მიკერძოებული სახიფათო ტრადიცია ნიჭიერ შემოქმედთა იგ-

ნორირებასა და დამუხრუჭებას განაპირობებს და რადგან „ისინდი“ მუდამ დინების სანინალმდეგოდ მიცურავს, მისი დევიზი: წარმოაჩინოს, გაამხნევოს და სათანადოდ შეაფასოს უსამართლოდ დაჩაგრული ორიგინალური ხელწერის მქონე პოეტები, (ხელოვანები) ყოველთვის ძალაშია, რაც ქართული მწერლობის განვითარებისა და წინსვლის სანინდარია.

ჟურნალში წარმოდგენილია მედგარ ჭელიძის ფრიად საყურადღებო პუბლიკაცია, რომელიც გალაკტიონის შედეგის ძალზე საინტერესო ანალიზს ეფუძნება. ავტორის სიღრმისეული ცოდნა და დახვეწილი გემოვნება ჯეროვან დასკვნებს გზას რომ უხსნის, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეებს უდაოდ დააინტერესებთ; მით უფრო, რომ არც თუ დიდი ხნის წინ „ისინდმა“ თავის ფურცლებზე მედგარ ჭელიძის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული გალაკტიონის შედეგების შესანიშნავი თარგმანი გამოაქვეყნა, რაც ამსხვრევს მანკიერ მითს გალაკტიონის უცხო ენაზე თარგმნის შეუძლებლობაზე; სამწუხაროდ, ეს გაუმართლებელი ტენდენცია დიდი ხნის მანძილზე ბატონობდა და პოეტების მეფეს სიცოცხლეშივე სერიოზული დაბრკოლებების ფონზე ძლიერ იმედგაცრუებას ჰგვრიდა;

„ისინდის“ მეთოთხმეტე ნომრის ძირითადი თემატიკა სწორედ იმის დასტურია, რომ ჩვენ მყარ კლასიკურ ფესვზე ვდგავართ და შემოქმედებითი სიახლეების დაწერგვის პარალელურად წარსულის უნივერსალურ მემკვიდრეობას ჯეროვან პატივს მივაგებთ. გალაკტიონისადმი მიძღვნილი საგანგებო ნომერი ამის საუკეთესო მაგალითია; „ისინდმა“ მტკიცედ და ერთგულად გადაიბარა გალაკტიონის მარადიული, ყავლგაუსვლელი და უანგარო ესთეტიზმით აღსავსე ესტაფეტა: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოზი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს, ჩვენ, პოეტები საქართველოსი!“

ვიმედოვნებ, ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოება ჩვენი ჟურნალის მიერ წარმოებულ შეუპოვარ ბრძოლას თვითმყოფადი ეროვნული კულტურის გადასარჩენად კვლავ სათანადოდ აღიქვამს, ვინაიდან მარადიული იდეალების დაცვა კაცობრიობის უწინარესი მოვალეობაა, რომელიც გადასინჯვას არ ექვემდებარება. ეს კი ნიშნავს, რომ „ისინდის“ გაბედული, ცეცხლოვანი მარულა წინაღუდგომელია და მისი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკა უპირველესად ქვეყნისა და ეროვნული ცნობიერების გასაჯანსაღებლად მიმართული, რაც ნებისმიერ სფეროს გადაუდებლად ესაჭიროება.

10.10.2021.

იკა ქალაგიძე

ანტიპრაიდული პარანოიის პერიპეტიები

„მე, როგორც ქართველს, არ შემშინებია! მართალია ფარ-ხმალს ჩემ მამა-პაპასავით ვერ ვატრიალებ, მაგრამ გულს კი ისევ ქართულად ვხმარობ და სიმართლისათვის რომ კიდევ ამკუნონ, არ გავიქცევი!“

აკაკი

ცოდვა გამხელილი სჯობს, ბოლოდროინდელი გულისნადების წერილად ჩამოქნა შემთავიანდა, თუმცა როდესაც დინამიკური მოვლენების შუაგულში დაულაღვად ტრიალებ, მიმდინარე პროცესების აღწერას იქამდე გადადებ, სანამ ვნებათაღელვა არ დაცხრება და გამანძილების ფონზე ფაქტებთან შეჯერებულ, ემოციებით დანმენდილ შთაბეჭდილებებს მხოლოდ ამის შემდეგ მისცემ გასაქანს. აქედან გამომდინარე, მღელვარე ამბებით გადატვირთული ზაფხული (განსაკუთრებით ორი თვე) ისე სწრაფად მიიწურა, თვალისდახამხამება ვერ მოვასწარი. მრავალჭირგამოვლილი ქართველობა კოლხური ცურვის ხელოვნებას ოდითგანვე თანაზიარია, მაგრამ თვალუნვდენელ ოკეანეში გადაგდებულებსა და საგანგებოდ ხელ-ფეხშეკრულებს ერთდროულად იმდენი მტერ-მოყვარე მოგვესია ჩასაძირად, ამის აღწერა ნამდვილად ეგების. გაცუდებული კალმის რისხვა იქით იყოს, მსოფლიო ქართველების კვალდაკვალ ჩვენი თანმდევი ჭირ-ვარამის მრავალნახნაგოვნების ასახვა ერთმნიშვნელოვნად აუცილებელია, რათა ამ საყოველთაო აურზაურში სამერმისო გზა საბედისწერო შეცდომების გვერდის ავლით როგორმე სწორად გავჭრათ, სამშვიდობოს ნაკლები დანაკარგით რომ გავალნიოთ; და რადგან ყველაზე მეტძოლი ეროვნული ჟურნალი „ისინდი“ უახლესი ქართლის ჭირის მიუკერძოებელი მატანია, თქვენმა მონა-მორჩილმა მარსიანთან ერთად საჭირობოტო შინაარსის ამსახველი მძაფრი წერილების თემატიკა ჯეროვნად გადაინანილა, რაც ნიშნავს, რომ ახალ პუბლიკაციებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა შესაფერისადაა დაცული, ეროვნული კულტურის გულშემატიკივარ მკითხველს ობიექტური დასკვნის გამოტანისას საერთო სურათის გააზრება რომ გაუადვილდეს. ლიტერატურული ჟურნალის მიზანდასახულობა მასშტაბურ ხედვას თავისთავად მოიცავს, რაც მთლიანობაში ჩვენი



ყოფის პოლიტიკურ-სოციალურ-რელიგიურ ჭრილს მიმდინარე იდეოლოგიური ჭიდილის საპირწონედ რელიეფურად წარმოაჩენს; სიმართლის გარეშე ჯანსაღი საზოგადოების გამოფხიზლება რომ წარმოუდგენელია, ამაზე არავინ დაობს და ჩვენც, მჭრელი კალმისა და წინაღუდგომელი სიმართლის მოიმედენი ვწერთ იმას, რისი აღიარებაც სხვებს რატომღაც ვერ გაუბედავთ. სანამ საერთო ვითარების ანალიზს შევუდგებოდე, ორიოდე სიტყვით თანამედროვე ლიტერატურული ჟურნალების ხვედრს მოკლედ მიმოვიხილავ, ყურადსაღები ნახნაგი გვერდზე რომ არ დაგვრჩეს და მარტოოდენ პოლიტიკურ ლაბირინთში არ ჩავიკარგოთ. ახლახან კულტურის ახალი მინისტრის, თეა წულუკიანის გადანყვებილებით ლიბერალური შინაარსის შემცველ ჟურნალებს: „არილსა“ და „ახალ საუნჯეს“ ანტისამთავრობო ბოიკოტში მონაწილეობისთვის დაფინანსება შეუწყდათ; გასაკვირია და ამ ათასტყავამონაცვალ, იაფფასიან ინტრიგებსა და პარტიულ პროვოკაციებში გამოცდილი მედროვე ავანგარდებისთვის, კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილ მსუყე გასამრჯელოს პრივატულად რომ განკარგავდნენ, დავიჯერო, არავის უსწავლებია, რომ ვინც იმ ხელს კბენს, რომელიც კვებავს, მსგავსი მარცხისთვის უპირობოდაა განწირული; რაც ამ თავგასულმა ავციებმა უცხოური წიგნის ბაზრობებზე იგრიალეს და „ჩამორჩენილი“ სამშობლოს ლანძღვით პრივილეგიები ხვეტეს, ჟურნალისტური დესერტი აშკარად გულზე დაადგათ, რის გამოც „დაჩაგრული“ დივერსანტების მხარდა-

საჭერად ნაცბანდის მიერ აგორებული მჭახე სკანდალიდანაც ახალი ხეირის გამოდნობა სცადეს და პუტჩისტური ბიოგრაფიის მქონე(ჩვენში ქვეყნის სადავეებთან შესისხლხორცებული მაღალჩინოსნები პუტჩისტური პასპორტების გარეშე ვერასდროს დანიანურდებიან!) მევახშე ბანკირს ათასმეერთედ შეეკრნენ; გაპარლამენტარებული „ქველმოქმედი“ ხაზარაძე ხომ ათი წელია ლიბერასტული პრემიის „საბას“ მეშვეობით ამ უსამშობლო ქამელეონებს გვარიან თანხას ჩანყობილ ლატარასავით სისტემატურად უჯიბავს და აი, დადგა დრო ბომონდს მადლიერების დასამტკიცებლად ოცნების მიერ დანიშნული და ვარდოსნების კუდების მიერ ათვალწუნებული ახალი კულტურის მინისტრისთვის მწერლური დემარში გამოეხატა, რაც თავისი არსით ნამდვილი მწერლობის ინტერესს დიამეტრულად ეწინააღმდეგება, რის გამოც ამ კვაზიმეამბოხებმა ხალხის მხრიდან სამართლიანი დაცინვა და გულისწყრომა დაიმსახურეს. ასეა, როდესაც ტელეტერარუმის პარტიულად ანგაჟირებულ ვითომყურნალისტებს გამორჩენის მიზნით ყალბად ესარჩლები და ამ ფონზე ეროვნული სინმინდეების განქიქებითა და დედაეკლესიის წრეგადასული ლანძღვით ცდილობ პოპულარობის განახლებასა და დამატებითი დივიდენდების მოზიდვას; ამ გულისამრევ აურზაურში ხაზარაძის ტელეფავორიტმა, ავადსახსენებელმა ბულაძემ და მისმა დამქაშებმა ელიტურ ენჯეომნიკებთან ერთად უწყვეტი ღვარძლი ანთხიეს, ხალხი და უსამართლობასთან მებრძოლი ღირსეული სასულიერო პირები ბნელეთის მოციქულებად გაამწესეს, ტრადიციული ღირებულებების დამცველები ისე წრეგადასულად კიცხეს და განაქიქეს, ვგონებ ეშმაკსაც წაუხდა ნირი ამ ნერვებაშლილ ნეობოლშევიკებს ახდილად მიმხრობოდა! საერთო ორომტრიალში ნაცების ერთ-ერთმა თავგამოდებულმა ტურფა აქტივისტმა ელენე ხომტარიამ, მრწამსის გარდა გარეგნობითაც ავადსახსენებელ კლარა ცეტკინსა და როზა ლუქსემბურგს რომ ჩამოჰგავს, ბოლშევიკური ტრადიცია გააცოცხლა და საპატრიარქოს კედელი ნითელი საღებავით შეითხნა, რომელზეც უტიფრად ელვარებდა ამ წაწყმედილების მიერ დაჯღაბნილი ფრაზა: მკვლელები! ამასთანავე ამ არსებამ პარლამენტის წინ მდგარ პოლიციელს შეურაცხყოფა მიაყენა და ქუჩის ჯიბგირივით დაემუქრა, თავს გაგიტეხო, თუმცა ცხადია, თავდასული თანაპარტიელების მსგავსად არ დასჯილა,

რაც მოწმობს დასავლელი ზედამხედველებისგან გულმოცემული ნაცები ოცნების ხელისუფლებას ჩირადაც რომ არ აგდებენ და ნანატრი რევანშისთვის გამალებით ემზადებიან! წამით წარმოვიდგინოთ ხომტარია რომ თბილისის თავად გაგვიდედოფლდეს, ეგებ მისივე თანაგუნდელის, უგულავას მიერ მოპარული 48 მილიონიანი ზარალი სანატრელი გაუხდეს ათასგზის გაძარცულ-გალატაკებულ საქართველოს! ექსმერი ვახსენეთ და მისი ძვირადღირებული დიეტა იქით იყოს, ხაზინის ქურდად წოდებულმა ყოფილმა სტიქაროსანმა პრაიდული ისტერიის დროს სხვა სტაჟიან ფულიხვეჭია მანქურთებთან ერთად პატრიარქი ისე შეაჩვენა, შუასაუკუნეებისდროინდელ ესპანელ ინკვიზიტორებს შემურდებოდათ; დრომ გამოაჩინა, გეი-მემორანდუმზე ხელმომწერმა პარტიულმა შინაგამცემებმა ამერიკა-ევროპის საელჩოების ბრძანებისთანავე უნისონში როგორ აინყვიტეს, უგულავა ჯოჯოხეთის მუგუზლებს ისროდა, აი, რესპუბლიკელმა ძმებმა ბერძენიშვილებმა კი პატრიარქს საქართველოს სირცხვილი უწოდეს, ახალი დივიდენდების ფსონმა იმდენად აინია! მოკლედ, ეს პოლიტბროვა ტყვიამფრქვევივით ისე აკაკანდა, გამაყრუებელი ბრალდებების, შეჩვენებისა და ბინძური ცილისწამების გრუხუნში ამდენი მოლაღატისა და აყვია პროვოკატორის დახარისხება გვარიანად გაჭირდა; თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ მეტ სისაძაგლეს წამოროშავდა და დავალების შესრულებისას დამატებითი ბონუსის მოსაპოვებლად წრეგადასულ ლიბერასტულ ცოფს უკიდევანოდ გამოავლენდა. თუმცა ამ ყოვლისმკადრებელ პოლიტიკანებს თუ ბოლომდე მივდიეთ, მათი მხარდამჭერი მოსე-გადამწერები გვერდზე დაგვრჩება. არადა, ლიბერასტების მწერლური ფრთა ამ ახალი რევოლუციური აჯანყების უცვლელი ავანგარდია და მისი მიჩქმალვა ნაღდად არ ეგების. ამდენად, კულტურის სამინისტროს მხრიდან ნაცბანდის მხარდამჭერ ლიბერასტ მჯღაბნელებს, თავიანთი მცდარი, სახიფათო მრწამსითა და უნიჭობით წინამორბედ პროლეტმწერლებს რომ არაფრით ჩამოუვარდებიან, განკულაკება ხვდათ წილად; სარკაზმი იქით იყოს და ამ ორ ჟურნალში სულ სვეციკი მედროვეების „უჭურ-პუჭურა“ მაკულატურა ანაგვიანებდა ტრადიციული პუბლიკის თვალსაწიერს, რომელსაც ბარემ 30 წელია ეროვნული მწერლობის გინება ყელში ამოუვიდა, რაც ნიშნავს, რომ ამათი ალაგმვა სერიოზულ და-

ნაკარგად არ აღიქმება მათთვის, ვისთვისაც ნამდვილი ლიტერატურის დანიშნულება ცნობილია. შესაბამისად, „ამბოხებული სპარტაკების„ პრეტენზიულ განცხადებებს ხალხი ისე გამოეხმაურა, როგორც ამას ბინძურ ლიბერასტულ ბუდუარებსა და კულტურის სამინისტროს ჭრელ კაბინეტებში შესახლებული მედროვე ფიგაროები იმსახურებდნენ. ფაქტი კი ლაღადებს, რომ 2021წლის ზაფხულიდან ლიბერასტული მიმართულების ჟურნალებს სამთავრობო დაფინანსება შეუწყდათ. აქედან გამომდინარე, დედაქალაქში სამთავრობო დოტაციაზე გამომავალი ლიტერატურული ჟურნალი პრაქტიკულად აღარ გამოიცემა, გამონაკლისი მერიის მიერ ხანგამოშვებით დაფინანსებული „ცისკარია,“ რომლის კლანური პოლიტიკა ავანგარდების სტილს ტოლს არ უდებს და სანამ აქ სანაცნობო დასის ფავორიტები სიების თავში უცვლელად დომინირებენ და „კუთვნილ“ ჰონორარს დაუბრკოლებლად იჯიბავენ, უცნობი და მით უფრო, მებრძოლი მწერლების დაბეჭდვის ხვედრითი წონა იმდენად მცირეა, სალაპარაკოდაც არ ღირს. ჩვენი კლასიკოსები რომ „ცისკრის“ თანამედროვე სარედაქციო პოლიტიკას შესწრებოდნენ, ამ ტრადიციული ჟურნალის მიმართულებას ისეთ ბდღვირს აადენდნენ, ადრინდელი დამსახურება მონაგონი იქნებოდა. მავანი დასძენს, რომ „ცისკარს“ არც წარსულში დაკლებია კრიტიკა, სამაგიეროდ, საბჭოთა ხანაში ეროვნული სულისკვეთების გასაძლიერებლად მისეული მუხტი ცალკე აღსანიშნავია; ამჟამად კი ამ ჟურნალის კურსი ისევე მერყეობს, როგორც მრავალპარტიულ წინაღობებში გახიზული ჩვენი სვეუბედური ვალუტა. ცალკე საკითხია, ვარდოსნების პარტიაში განვევრიანებული გავლენიანი მწერლები კულტურის სამინისტროს ამ ნიადაგზე ახდილად რისთვის დაუპირისპირდნენ, აქაოდა ამ ჟურნალების დახურვით ქართული მწერლობის ძარღვი წყდებაო. ამ მიმართვის გამავრცელებელი ცნობილი და გავლენიანი მწერალი ბ-ნი როსტომ ჩხეიძე, პარლამენტში თავისივე ოჯახისა და ქონების დამარბეველი ნაციონალური მოძრაობის ოცდამეხუთე სახედ ჩანერა რომ არ ითაკილა, ცხადია, ზარს ენერგიულად არისხებს და აშკარად დავინყებია, რომ თვითონ მფარველებსა და კლანებს ისე იცვლის, როგორც ამას ოჯახურ-კლანური სარგებელი კარნახობს და ამიტომ მისი განგაში ისე ჟღერს, როგორც მაისის პარასკევის ილუზორული მეხი,

რომელიც რეალურად ძალადაკარგულია. თუ ასეა, დაგრჩათ ბურთი და მოედანი თვითდაფინანსებით გამოცემულ ჟურნალებსო, მავანი არც თუ უსაფუძვლოდ მოგვახარებს; სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, აქ საზეიმო არაფერია, რადგან მონოპოლიზმის თანმდევი შეზღუდულობა განვითარების დონეს აფერხებს და ამიტომ რაც მეტი ეროვნული შინაარსის ჟურნალი ასრულებს თავის მოვალეობას, მით უკეთესი; ეგაა, იმ რამდენიმე ჟურნალს (ადრე არაერთხელ მოვისხენიე და ამჯერად, ტავტოლოგიისა და ზედმეტი რეკლამის თავიდან არიდების მიზნით აღარ ვახსენებ) კრიტიკის განყოფილება არ გააჩნია, რაც ომში უიარალოდ გასვლას ეთანადება და ნიშნავს, რომ ნეიტრალურ მიმართულებას ამოფარებული კოჭლი ბეჭდვითი ორგანო ლიტერატურული ამინდის შექმნაში სერიოზულ წილს ვერ დაიდებს; მოკლედ, მოცემულობა ამგვარია: სამთავრობო ფულით დაფინანსებულ ჟურნალებს ცენზურის დამლა გვარიანად ზღუდავთ და ამ ფონზე, წესით დამოუკიდებლად გამოშვებული ჟურნალები უნდა ლიდერობდნენ და საპირისპირო სარედაქციო პოლიტიკას ქმნიდნენ, სინადვილეში კი ეს ვითომდათავისუფალი ჟურნალები საქვეყნო საჭირობოტო სატკივარს გვერდს კლანური თუ სხვადასხვა მიზეზთა გამოისობით „დიპლომატიურად„ უვლიან და ბედითი მონადირის მსგავსად მხოლოდ წვრილ ალაფს სჯერდებიან, ვინაიდან სხვაგვარი შნო არ შესწევთ. ეს ყბადაღებული ნეიტრალიტეტი გადაულახავი კაპიტულაციაა, ასე რომ გვასუსტებს და წელში გასწორების საშუალებას არ გვაძლევს; „მშვიდობის მტრედს მიმსგავსებული ნეიტრალეტი“ მხოლოდ თავიანთ ვიწრო დანიშნულებას ამართლებენ, გულის შინაურ ჭიას ახარებენ და ეროვნულ საქმეს დიდად ვერ რგებენ. შესაბამისად, ამ არც თუ სახარბიელო ფონზე რეგიონებში გამოცემული ჟურნალი რაგინდარა ხარისხს ავლენდეს, დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში გარდამტეხ ცვლილებას ვერ შეიტანს, რადგან ყველაფერს თავისი კანონზომიერება გააჩნია და სამწუხაროდ, თანამედროვე მწერლები ღირსეული წინაპრების უღელს სანახევროდაც ვერ სწვენ, რასაც სულ მცირე, 30 წელია ფუჭი იმედით აღსავსენი მოველით. ბრძოლა ქვეყნის შუაგულში თუ არ მიმდინარეობს და ძლიერდება, სეზონური პერიფერიული გატოკება სასურველ შედეგს უსასრულოდ გადაავადებს. ყველა დედაქალაქის ირგვლივ თუ არ დაირაზმა ერთსუ-

ლოვნად, არაფერი გამოვა და ეს მარტივი, ათასგზის შემონმებული ქემმარიტება ვისაც არ სიამოვნებს, გასაგებია, რომ ის უხილავი თუ ხილული „მოკეთე“, დაყავი და იბატონეს უძველესი ტაქტიკით მოქმედებს. არადა, კულტურის სამინისტროს მიერ უზუნველყოფილი ახალი ფავორიტი ჟურნალის, „აფინაჟის“ რედაქტორი, ლ. გორვანელი (ეს ჟურნალი 3 წელია ქუთაისში კულტურის სამინისტროს ძალისხმევით გამოიცემა,) ამაყად აცხადებს, რომ გასული საუკუნის დარად ლიტერატურის მექად კვლავ ქუთათურთა მშვენიერი ქალაქი იქცევა; ადგილობრივი პათოსი იქით იყოს, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ ძველი ქუთათურების გენიალურ ეფექტს განმეორება არ უნერია, რისი გააზრებაც თანამედროვე ქუთაისელებს არ ნებავთ, აქაოდა დაფინანსება მივიღეთ და ვისზე ნაკლებად ვიღვნითო; ჩვენში ხომ ოღონდ ფული ააშარიშურე და ყველას თავი ალექსანდრე მაკედონელზე სახელოვანი მხედართმთავარი ჰგონია; „აფინაჟელები“ რეალურ გამოწვევას ვერ აცნობიერებენ; წარსულის ეფექტი ისეთივე წარმავალია, როგორც წლების წინ ოდიოზური ექს-პრეზიდენტის, სააკაშვილის მიერ დედაქალაქიდან ქუთაისში ჯიბრით გადატანილი პარლამენტის ფასადური მნიშვნელობის ილუზია გამოდგა. ვარდოსნების ხსენებაზე ბარემ მათხრებელი გზირის როლში შეჭრილი სააკაშვილის დაუმთავრებელი მავნებლობა აღვნიშნოთ, რომელიც ჯერ იყო და სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე ნაცების ახალი ლიდერის, მელიას მემვეობით (ამ უკანასკნელს შინაურები ჩე გევარად ასალებდნენ საზოგადოებას) ახალ რევოლუციას გეგმავდა. მელიას ციხეში გამოკეტვამ ნაცებისთვის სასურველი მოცემულობა ვერ შექმნა, რადგან საკანონმდებლო ორგანოზე მტურმის განმახორციელებელი დამნაშავეისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მითვისება თვით ოცნებისთანა უგერგილო და მარიონეტულ სასამართლოშიც ვერ მოხერხდა! შემდგომი კოზირის გათამაშებამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, რომლის ძალითაც ცნობილი რეციდივისტი ჟორიკა რურუა საპატიმროდან ზარ-ზეიმით გამოაბრძანეს, რაც მოწინავე დასავლეთმა უდიდეს დემოკრატიულ მიღწევად გამოაცხადა, სულით ხორცამდე სამართლიანად აღშფოთებულმა ხალხმა კი უკიდურეს დაცინვად და სულში ჩაფურთხებად მიიღო. მაინც რა გულისამრევი იყო ის შეკვეთილი კლიპები, ნაცბანდისა და მათი მომხრე

ოპოზიციის ახალგაზრდა აქტივისტების ცინიკურ სიცრუეს უტიფრულ გამარჯვებად რომ აანონსებდა! ხელისუფლებას მოწყურებულმა ნაცებმა არც ეს იკმარეს და ევროკავშირში განევრინებული სახალხო პარტიის ლობისტების მემვეობით საქართველოს წინააღმდეგ უსაშველო საბოტაჟი გააჩაღეს, რომლის მასშტაბიც იმდენად ყოვლისმომცველია, ამის აღწერას ტომეულები დასჭირდება. დაუდგრომელმა სააკაშვილმა, უბედური რუსივით მუდამ გარეშე ძალის დახმარებით რომ ცდილობს ხელახლა შემოგვესიოს, თავის დამქაშებთან ერთად სტრასბურგში საქართველოს ოპერატიულად უჩივლა, პავკა მოროზოვის ბოლშევიკური მეთოდი გააცოცხლა; მეტიც, დასავლეთის მიერ რეინკარნირებულმა ნაცებმა, ოცნების კოჰაბიტაციური შემწყნარებლობა სათავისოდ რომ მოიგვს, იმდენი იხიმანკლეს, რომ ახალი სამარცხვინო სკანდალი ააგორეს. მხედველობაში მაქვს აი ისას მიერ პრეზერვატივების პროვოკაცია, სტრასბურგის სასამართლომ უპრეცედენტო განაჩენი რომ გამოიტანა და კონტრაცეპტივზე გამოსახული ჩვენი წმინდანი მეფის, თამარის სახეზე სამართლიანად ცნო, ჩვენ კი გაგვამტყუნა! ვაშა დასავლური დემოკრატიის მონაპოვარსა და სამართლიანობას, ჩვენს ეროვნულ სიმინდებს ასე გეგმაზომიერად რომ ფეხქვეშ თელავს და შეურაცხყოფს. მაშ როგორ! აქვე თვალშისაცემია „უმნიშვნელო დეტალი“, რომელიც ყურადღების მიღმა დარჩა: თამარ მეფის პირველი ხმაურიანი დისკრედიტაციის საავტორო უფლება ტელევიზიოლობილ ლაშა ბულაძეს ეკუთვნის, თანამედროვე მწერლობის პროლეტმაფიოზს, არანაკლებ სახეგატეხილი მამის შესაფერის პირმშოს, (კვიცი გვარზე ხტისო, სწორედ ამ ნომენკლატურულ მამა-შვილზეა ზედგამოჭრილი!) რომელმაც ჩვენი წმინდანის შეურაცხყოფისთვის თავის დროზე გვარიანი თანხა ჩაიჯობა. მახსოვს, ამ ფაქტს აღშფოთებული საზოგადოება სათანადოდ ვერ შეენინა აღმდეგა, რაც ნიშნავს, რომ ლიბერასტი მწერლები დიდი ხანია იმ სცენარის მიხედვით მოქმედებენ, რაც „მეორეხარისხოვანი, ჩამორჩენილი“ ქვეყნების იდეოლოგიური დამინებისთვისაა განკუთვნილი. „საბას“ ჰონორარი კი ისე მაცდურად ელავს, თვით ეროვნულ მწერლებსაც სოლიდარობის განცდას უჩენს ბულაძისა და მისი დამქაშების შავკაცობა მაღალი კლასის ლიტერატურად მიიჩნიონ და ჩანყობილი კონკურსი-ლატარია ოდნავაც არ გააპროტესტონ, თუმცა

სინამდვილეში მშვენივრად მოეხსენებათ, რომ მათი ნაცოდვილარი არანაირ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენს და მთლიანად სახიფათო იდეოლოგიური ქიმიური ნარჩენებისგანაა შეკონინებული. არც ის კადრები დაგვიწყებია, ბულაძე და ძმანი მისნი ვარდოსნების ბელადის მხარდასაჭერად კარდაკარ როგორ დასეირნობდნენ და მანკიერი ნაჯღაბნით ახალგაზრდების გარყვნას გეგმაზომიერად ცდილობდნენ. ლევან ბერძენიშვილის ფასიანი ლექციების ციკლი სწორედ ქართველ კლასიკოსთა დისკრედიტაციისკენაა მიმართული და რაც ყველაზე ცინიურია, გადაგვარებული კატეგორია ამ ცილისმწამებლურ „საგანმანათლებლო კურსზე“ დასწრებისას თანხას აქეთ იხდის! პაატა შამუგიას „სალექციო სემინარები“ ეთიკის ფარგლებს სცილდება და ცხადყოფს, ლიბერასტებს მიკედლებულ არაეროვნულ მწერლუკებს თაობათა გასარყვნელად რა განუზომელი უფლებები და პრივილეგიები მიაკუთვნეს! შესაბამისად, ვინც ხელოვნების აპოლიტიკურობაზე თვალთმაქცურად შეიცხადებს ხოლმე, გასაგებია ვისი საკენკით ბედნიერდება. სინამდვილეში ყველაფერს პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავს; 2021 წლის თებერვლიდან ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ გაყალბებული არჩევნებიდან მოყოლებული კიდევ იმდენი უსამართლო და ბინძური პროვოკაციების წყება დაგვატეხეს თავს, მოკლე ჩამოთვლაც კი თმას ყალყზე დაუყენებს ერს, რომელსაც დასავლეთის იდეალურობაზე შეთითხნილი ყალბი მითის მეშვეობით „სვეცკი“ ფულხივეჭია და უსამშობლო ხელოვანები ნომენკლატურული ვიდეოკლიპების დახმარებით დღემდე ყურს დაუცხრომლად უჭედენ! არადა, 6 იანვარს კაპიტოლიუმზე განხორციელებული შტურმის შემდეგ გლობალისტების მიერ ძალით გაპრეზიდენტებულმა „მძინარე ჯომ“ ტრამპის მომხრეები საკმაოდ მკაცრად დასაჯა და გაყალბებული დემოკრატიის კრახით გაოგნებულ მსოფლიოს უჩვენა, რომ ამერიკული იმპერიის უძლევლობის მზე ჩაესვენა და ის ხელოვნური კონვულსიები, ლიბერასტული დიქტატურის გახანგრძლივებას თან რომ ახლავს, უკიდურესად სახიფათოა და წამგებიანი. დღეს ჭურში მჯდარმა უმეცარმაც უწყის, ტრამპს არჩევნებში ხმები რომ მოპარეს, რათა დემოკრატების ხელისუფლებას გლობალისტური ძალების კონტროლის გახანგრძლივებაზე ეზრუნა. მოკლედ, ორად გახლენილი ამერიკა დესტრუქციულმა ქარიშხალმა მოიცვა,

აკი ლიბერასტების ერთ-ერთმა ელიტურმა ფილოსოფოსმა, იაპონური წარმოშობის ფუკუიამამ იმედაცრუებით აღიარა, რომ ლიბერალიზმის უძლევლობის მითი დაიმსხვრა და მსოფლიო ერთმანეთთან განუწყვეტლივ მებრძოლ, მრავალპოლარულ, მტრულ ბანაკებად დაიყო. ამ დრამატული პერიპეტეიების ფონზე კი ჩვენში ამერიკის საელჩო ევროპელებთან ერთად მრისხანე ბატონად მოგვევლინა, აქაოდა სანამ სერიოზული ცვლილებები საქართველომდე მოაღწევს და კავკასიიდან გუდა-ნაბადს აგვიკრავენ, მანამ ბოლომდე ამოვხაპოთ ის, რისი განკარგვაც ხელგეწიფებაო. ამდენად, გაზაფხულის ელქექმა შესაბამისად დაიქუხა. 19 აპრილს შემუშავებული შარლ მიშელის დოკუმენტი სწორედაც კოლონიური რეჟიმის განმტკიცების ნათელ გზავნილად იქცა, ჩიხში მოწყვედილი ოცნება რომ აიძულა გარედან მხარდაჭერილი ნაცბანდისა და მისი სატელიტი, ნვრილფეხა, ჩამონერილი „პარტნიორების“ დაკვეთილი ალიანსის ზენოლით ამ სამარცხვინო დოკუმენტზე ხელი მოეწერა; მთავარი შერკინება სასამართლო სისტემის ე.წ. რეფორმის ირგვლივ გაჩაღდა, რაც უცხოელი ზედამხედველების ერთპიროვნულ გაბატონებას და ჩვენს უფლებობას უყოყმანოდ აკანონებს. მოსამართლეს კი ამათი ნებართვის გარეშე ვერ აგვიჩვევია. როგორია, აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად უცხოეთიდან გადმოსროლილ კადრს ემონებოდეს და ეს კატასტროფული ძალმომრეობა პროგრესის სახელით ხორციელდებოდეს! ქვეყნისთვის ესოდენ დამამცირებელი მარიონეტობის ოფიციალური აღიარების კვალდაკვალ შემდგომი ამაზრზენი ფაქტი, 15 ოპოზიციურმა პარტიამ დასავლეთის რეკომენდაციით გეი-მემორანდუმზე ხელმოწერით რომ დააგვირგვინა, ცალსახად ააშკარავებს, საქართველოში ნამდვილი ოპოზიცია რომ დამინებულია და ნაცებისა და მათი ქამელეონი თანამგზავრების ანტიეროვნული პოლიტიკა მთლიანად გარე ძალის ანტიეროვნული დირექტივების ბრმა შემსრულებელია!

მოკლედ, ბაიდენის გაპრეზიდენტებისთანავე ჩვენში უკიდურესად ხისტი ლიბერალური პოლიტიკური მექანიზმი ამოქმედდა, რაც ჩვენი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გასამდიდრებლად (ცხადია, ეს გავლენიანი შინაგამცემები უსახსრობას არც მანამ უჩიოდნენ!) პირდაპირ სულზე მისწრება გამოდგა. ბოკერ-

ია-ჩერგოლეიშვილის, სახალხო დამცველის, სირცხვილიას ზნენამხდარი აქტივისტების, სუბელიან-მაქარაშვილების, გირჩისა და სხვა ჭირკოდილა მანქურთების გულის გასახარად აქ გლობალისტური დოლი გაჩაღდა, რომლის ტაქტიკას ნაცების პარტია და მისი განაყარი „არეგულირებს.“ ესეც უსისხლო რევოლუციის ახალი მოდელი, დაუსრულებელ საბოტაჟსა და აგრესიულ დესტრუქციას რომ ემყარება და ქვეყანას განვითარების საშუალებას არასდროს მისცემს, ვინაიდან ლიბერალისტების გეგმა საქართველოს დაშლა და სათავისო გავლენების პოლიგონებად დანაწილებაა; ნაცები და მათ ალიანსში შესული გეი-მემორანდუმზე ხელმომწერი პარტიები სწორედ ამ მიზნის მისაღწევად დაიქირავეს და ისინიც ფულისა და გამორჩენის აზარტით დაბრმავებულები დასახული ამოცანისკენ უკონტროლო მოუთმენლობით მიისწრაფიან; სწორედაც ამ აულაგმავი ნაცსექტის მომხრე ტელედივერსანტები, ტელემწერლეუკები და ვითომოპოზიციონერი ნაცპოლიტიკანები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ძალ-ღონეს არ ზოგავენ და ტროცკის სტილის პერმანენტული რევოლუციის პროპაგანდით განუწყვეტილ იმუქრებიან; დიდი ხანია ხალხის ნების გასატეხად ძვირადღირებული ტელეკანალიზაციებით რევანშის პოლიტიკას საგანგებოდ აწარმოებენ, სიცრუის ტირაჟირებით დაზაფრულ ხალხს ყოველდღიური ტერორით სიცოცხლეს უშხამავენ და ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაციებით სვეუბედურ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებენ. შარლ მიშელის დოკუმენტის მიღებისთანავე გულისამრევად ჭრელ და უნუგეშოდ არაეროვნულ პარლამენტში უცხოელების საამებლად სასწრაფოდ შარლმადიდებლების ფრაქცია ჩამოყალიბდა; ცალკე საკითხია, მოგვიანებით, როდესაც საარჩევნოდ შეღერებულმა ოცნებამ ქულების დასანერად და ხალხის გულის მოსანადირებლად ამ დოკუმენტზე პასუხისმგებლობა მოიხსნა, ახლა ნაცებმა გამოიღეს თავი და თავდაპირველად დაწუნებულ ხელშეკრულებაზე გონორით მოანერეს ხელი. ამაზეა ნათქვამი, აბა პარლამენტში რალას შერბოდნენ ან გამორბოდნენ სოფლის აფრაკებივით, რომელთაც ყურადღების მისაქცევად არაადეკვატური ფანდები არასდროს ელევათ. მოკლედ, ცვალებადი პოლიტიკური პინგ-პონგის რეჟიმის მექანიზმი დაუხანებლად ჩაირთო, რითაც მოწინააღმდეგეებმა სათავისო სარგებლის გამოდნობა მოინადინეს; ამდენი

წელია სავალალო კოჰაბიტაციური მოცემულობის ფონზე ეს ორი უვარგისი, მარიონეტური პარტია მოჩვენებითად ჭიდაობს და ქვეყანას კი საშველი არა და არ ადგას ამათი უთავბოლო, წვრილმანი პარტიული ანგარიშსწორებისა და უცხოური ფულის მიტაცება-გადანაწილების გადამკიდეს. საბოლოო ჯამში უზარმაზარ ვალს ვალი ემატება, რაც ისეც მრავალჭირგამოვლილი ქართველობის გადასახდელია თუკი მანამ გვაცოცხლეს და ამდენი შეჭირვებით სული არ ამოგვხადეს! ამ უთავბოლო ცოდვისტრიალში ნაც-ქოცობის უმსგავსი თამაშების შემსწრე საზოგადოების 60 პროცენტი, რომელიც მესამე ძალის ანუ გოდოს მოლოდინის ილუზიას მტკივნეულად გამოეთხოვა, პრაქტიკულად შეუფსებელი დარჩა; ეს ყველაზე ჯანსაღი კატეგორია, ქოცების უნიათობის ჯიბრზე სისხლისმსმელ ნაცებს ახლომხედველებივით რომ არ მიემხრო და არც სხვა ფსევდოეროვნულ პარტიებს მისცა ხმა, არ მოტყუვდა და არც გაიყიდა, საბოლოოდ არჩევანის გარეშე დარჩენილი ჰაერში გამოეკიდა; ამ გარემოებამ ცხადყო, რომ ქვეყანაში ეროვნული ძალის სერიოზული დეფიციტია, რაც დაუმთავრებელ კრიზისს აღრმავებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონსერვატორების დაქსაქსულობა და მოჩვენებითობა იმავე მახასიათებლებით გამოირჩევა, როგორც ჭრელა-ჭრულა სატელიტი პარტიების წვრილფეხობა. ჩვენში ხომ რეკორდულად ბევრი პარტიაა, თუ არ ვცდები, მათი რიცხვი 200 -ს აჭარბებს, თუმცა საქართველოს არც ერთი არაფერში არგია! ესეც ქართული, ტრადიციული ბედუკულმართობის უწყვეტი გამოძახილია, რომლის დასასრულს, ვეჭვობ, თუნდაც ჩვენი შთამომავლები მოესწრონ. ესოდენ მძიმე ფონზე 6 მაისს, ცნობილმა ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ საზოგადოებრივი მოძრაობა: „ერთობა, რაობა, იმედი“ დააფუძნა და პოლიტიკურ სარბიელზე ენერგიულად შემოვიდა; ამ ფაქტმა ნაც-ქოცებისა და მათი სატელიტების გარემოცვის გნისი გამოიწვია; უმალ იყნოსეს, რომ ვასაძე ამ უნიათობებს სწორედ იმ აუთვისებელ ელექტორატს აართმევდა, რომელიც იმედგაცრუების ნიშნად ხმას არავის აძლევდა. ახალი ეროვნული პარტიის გამოჩენა კი პოლიტიკურ თანაფარდობას მათ საზიანოდ ცვლიდა, რაც ცხადია, არც ერთ მხარეს ხელს არ აძლევდა. ჰოდა, იცოცხლე, ტელეკანალიზაციები ვასაძის გაშავების კამპანიას ბეჯითად შეუდგნენ! დაუძინებელი მტრები საერთო მეტოქის დასამარცხებლად

დროებით შეიკვრნენ, რითაც ჯუნგლების უხსოვარი, ნაცადი კანონი ამოქმედდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნოდარ მელაძემ ისახელა თავი, ვასაძეზე ე.წ. საგამოძიებო ფილმი რომ შეითიხნა და კიჟინით გააპიარა. პუტინისტობაში დადანაშაულებულმა ლევან ვასაძემ, რომელსაც გაკოტრებულმა პოლიტიკანებმა ერთხმად რუსეთის აგენტობა დასწამეს და ამის საბუთად ცნობილ რუს ფილოსოფოს დუგინთან მეგობრობა მოსდეს შარად, ცალსახად განაცადა, რომ ნაც-ქოცებმა თავიანთი მმართველობის პერიოდში ნდობის ლიმიტით ბოროტად ისარგებლეს და ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, რაც მწარე სიმართლეა. მხილებულმა ოპონენტებმა სასწრაფოდ არქივი გაჩხრიკეს და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დუგინის სკანდალური განცხადება შემოაგდეს, როდესაც ეს უკანასკნელი თავის ხელისუფლებას თბილისზე ტანკებით გამოლაშქრებისკენ მოუწოდებდა; იმის აღნიშვნა კი „რატომღაც დაავიწყდათ“, რომ მოგვიანებით, ვასაძესთან დაახლოებულმა დუგინმა საქართველოზე აზრი მკვეთრად შეიცვალა და უვადოდ გაყინული რუსულ-ქართული მოლაპარაკების განახლების საჭიროების თემის წინ ნამონევისას გულახდილად განაცხადა, რომ ვასაძე ბუნებით ნაციონალისტი, კონსერვატორი ქართველია და ამ ტიპის მმართველთან რუსეთს დიალოგი გაუძნელდება, ვინაიდან ის საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ინტერესს დაიცავს, თუმცა ცდა ღირს და დროა ნავსი გატყდესო; დუგინის უახლეს ინტერვიუს, რომელსაც დამოუკიდებელი, ეროვნული არხის, ალტ ინფოს ახალგაზრდა და ენერგიული მესვეური ზურაბ მახარაძე უძღვებოდა, გულდასმით მოვუსმინე; ნაადრევი დასკვნის გამოტანა ჯერჯერობით არ ღირს, ვინაიდან მოვლენების განვითარება გვიჩვენებს დუგინის კეთილგანწყობა რაოდენ მედეგია და სინამდვილეში რას ემყარება. რუსეთის უპირობა ხომ საერთაშორისო მასშტაბის მოვლენაა, რისი გამოცნობა და მითუმეტეს ალაგმვა, ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა, თუმცა ეს მასთან მოლაპარაკების შეუძლებლობას მაინც არ გამოორიცხავს; მთავარია უპარტიო ქართველებმა, ვისაც სამშობლოზე გული შეგვტკივა, როგორმე ნაცების ტაქტიკა დავარღვიოთ და ცრუ ილუზიებს არ გამოვედევნოთ; ცხადია, „რუსეთი ოკუპანტიას“ იარლიყი ნაცების შემოგდებული სატყუარაა და მიკვირს, როგორ შეიძლება ამ გაცვეთილ ფანდს სალად მოაზროვნე ადამიანი სერიოზულად

წამოეკიდოს?! ნაცებმა რომ რუსეთს 2008 წელს ახალი ქართული ტერიტორიები ლანგრით მიართვეს, ამას ბრმაც შეამჩნევდა; საინტერესოა ვარდოსანმა მაღალჩინოსნებმა რატომ მაშინ არ დაუჯერეს ყოვლისშემძლე დასავლელ პატრონთა დასს, საეჭვოდ ატროვებულ სააკაშვილს რუსეთის პროვოკაციაზე წამოგებას რომ უკრძალავდა და ურჩევდა ამ ომში არ ჩაბმულიყო! მათი „დეგმირი“, პრეზიდენტი მოსალოდნელი ბრძოლის ქარცეცხლმა ისე გათანგა, რაც მოიმოქმედა, საყოველთაოდაა ცნობილი. და ამ სამარცხვინო კაპიტულაციის შემდეგ, ვარდოსნები გამარჯვებად რომ ასაღებდნენ და ურცხვი როკით „ძღვეთი საკვირველს“ თამაშობდნენ, ნაცებს ენა როგორ უბრუნდებათ და პუტინიზმში სხვებს ადანაშაულებენ მაშინ, როდესაც რუსეთთან ვითომ დაპირისპირებით მათ ნისქვილზე დაასხეს წყალი და ლალატის სანაცვლოდ დასავლეთისგან უხვად დაფინანსებულები ოცნების გასაკონტროლებლად ამ ნაცად კოზირს კვლავ უტიფრად ჩამოდიან! ის ფაქტი, რომ რუსეთთან არშემდგარი დიალოგი ცალსახად საქართველოს აზარალებს, ნაც-ქოცების ისტებლიშმენტს ოდნავაც არ ანალვლებს, ვინაიდან ორივე ძალა დასავლეთის გომიასა და მისი ჯიბიდან სამადლოდ გაღებული სუბსიდიებით იკვებება, რაც მძიმე ტვირთად ჩვენ გვანვება. ასე რომ „რუსეთი ოკუპანტია!“ -ს ყალბი ლოზუნგით ჯოჯოხეთისკენ გზა ჰქონიათ ამ სტაჟიან ყალთაბანდებს! ეს რომ ნაცების მიერ ძალით შემოღებული დემაგოგიური დამლაა, დღეს ჩვილიც მშვენივრად ხვდება. სუვერენულ სახელმწიფოში უცხო ქვეყნის ელჩებს არავინ ეკითხებათ ვინ ვის სად მოელაპარაკოს, ხოლო ჩვენში ეს ელემენტარული დიპლომატიური ბალანსი რომ უხეშადაა დარღვეული, ეს ოცნების უნიათო ხელისუფლების ბრალია, რომელიც ქანქარასავით ირყევა და აღარ იცის ხელისუფლების გასახანგრძლივებლად ვის მხარეს გადაქანდეს! თავად განსაჯეთ, ყბადაღებული რუსეთი იქნება, თურქეთი ან სხვა ნებისმიერი ქვეყანა, ვინც ჩვენ ტერიტორიებს გვედავება, ოკუპანტის სტატუსს რატომ არ იმსახურებს?! აზერბაიჯანთან დავით გარეჯის მონასტრის საზღვრის საკითხი ნაცების არაადეკვატური ბელადის, სააკაშვილის მმართველობის დროს რომ წარმოიქმნა, ეს ვისთვისაა საიდუმლო?! ექსპრეზიდენტმა აკი ჩვეული უდარდლობით აღიარა, რომ თურმე მეზობელ პარტნიორს სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექ-

ტად ჩვენი უძველესი კულტურული კერა და მისი შემოგარენი უყოყმანოდ უფეშქაშა და ეს წარმოუდგენელი ფაქტი ოკუპანტის წისქვილზე წყლის დასხმად არ განიხილება?! ქართული მიწა-წყლის ნებაყოფლობით გასხვისება ამათი ჭკუით გმირობაა და დანაშაულად აღარ მიიჩნევა?! ეს სადაური სამართალია?! გასაგებია, რომ სააკაშვილის მხარდამჭერი ტელეკანალიზაციები მოლაღატე კარტოგრაფების, ილიჩოვასა და მელაშვილის გასამართლებლად ბოლოს ყალბ დოკუმენტურ ფილმებს იღებდნენ და მოსახლეობას ცხვირ-პირში სწრიდნენ სიცრუის გასაქარწყლებლად, მაგრამ სიმართლე სანინალმდეგოზე მეტყველებს, რაც ხალხის რეაქციამ განამტკიცა და დაადასტურა. პრემიერმა ღარიბაშვილმა რომ ბრძანა, გარეჯის პრობლემას მოვაგვარებო, აზერბაიჯანიდან დაბრუნების შემდეგ წარუმატებელი ვიზიტი ისე შეფუთა, ეშმაკიც ვერ დაადგენდა, ალიევს რაზე შეუთანხმდა და რა სახის გარიგება გააფორმა საკუთარ ქვეყანაზე მზრუნველ პრეზიდენტთან, რომელიც კავკასიაში ლიდერობას იჩემებს, რაც ჩვენთვის ცალსახად ნამგებია. იმის ნაცვლად, მთავრობამ ახალი გეოპოლიტიკური ძვრები საქართველოს სასარგებლოდ განსაზღვროს, წვრილმან კინკლაობაში გართულს კარდინალური საკითხების გადაჭრა ზედაპირული თემების აფიშირებით ჩაუნაცვლებია, რაც მოჩვენებითი თამაშია და მთავარი პრობლემიდან არაარსებით წვრილმანზე ყურადღების გადატანას ემსახურება. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს; ასე რომ მონოპოლიის უფლება მხოლოდ რუსეთს არ ეკუთვნის, უახლესი მოვლენებს ობიექტურად თუ გავაანალიზებთ. სამწუხაროდ, დაბალ ლობედ მიჩნეულ საქართველოს ყველა დამპყრობლად ევლინება, ვისაც არ ეზარება, ვინაიდან უნიათო მთავრობის ხელში ყველა სათავისო ინტერესის განაღდება ჩვენი დაქცევის ხარჯზე ლამობს. მოკლედ, სხვებისგან განსხვავებით რუსეთის ჯაშუშად შერაცხულმა ლევან ვასაძემ სერიოზული სამოქმედო პროგრამა გაასაჯაროვა, სადაც საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის ფონზე იმ გადაუჭრელი პრობლემების აღმოფხვრის გზა წარმოადგინა, 30 წელია უკან რომ გვხვეს და დაუსრულებლად გვაუძღურებს. 9აპრილის ბაღში მარსიანთან ერთად ამ ახალდაარსებული ეროვნული საზოგადოების წარდგენას დავესწარი; მხარდამჭერების წინ სიტყვით გამოსულმა ლევან

ვასაძემ საკუთარი პოზიცია საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა. იქ გამეფებული საქმიანი და მშვიდობიანი ატმოსფერო მონობდა, რომ როგორც იქნა, ქამელეონისებურ ქართულ პოლიტიკურ სივრცეს სოლიდური კონსერვატიული ძალა შემოემატა, რომელიც გარდამტეხი ცვლილებებისთვის მზადყოფნას აცხადებდა. ამის უმთავრეს გზავნილად 5 ივლისს დაანონსებული პრაიდის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის გამართვა დაანონსდა. ვასაძემ ალტ ინფოს ჯგუფთან ერთად კატეგორიულად განაცხადა, რომ ქართული ტრადიციული საზოგადოება ლგბტ სექტის სამარცხვინო მსვლელობას დედაქალაქის მთავარ გამზირზე არ დაუშვებდა. ვასაძე ამავდროულად აქტიურად დაუპირისპირდა სახალხო დამცველს-ნინო ლომჯარიას, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ერთ-ერთ უდრეკ ავანგარდად მოგვევლინა; 7 ივნისს, ალტ ინფოს მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე, რომელიც სახალხო დამცველის ოფისის წინ, აღმაშენებელზე გაიმართა და საპატრიარქოს მიერ დაარსებული ნინოწმინდის პანსიონის ძალადობრივი დახურვა დაიგმო, მიტინგის ლიდერებთან ერთად ვასაძე ამ ბარბაროსულ ფაქტს სათანადოდ გამოეხმაურა; ამ მღელვარე აქციაზე განუყრელი მეგობრისა და თანამოაზრის, მარსიანის თანხლებით ვიმყოფებოდი და თავად შევესწარი ტელედივერსანტების დაპირისპირებას ხალხთან, რასაც უკვე ყოველ ფეხისნაბიჯზე ვანყდებით. ერთი ახალგაზრდა ვითომჟურნალისტი გოგოშკა, ნითელ კოსტუმში გამოკვალთული დაცინვით რომ ამბობდა, ხალხს რა მოეუხერხო, ხომ არ გავყრიო, შემდეგნაირად დავაშოშმინე: - აქ თქვენი გასარეკი არავინაა; მშვიდად მოიქეცით, როგორც ნამდვილ ჟურნალისტს შეეფერება, რადგან დაუსრულებელი პროვოკაციების წყალობით საყოველთაო უნდობლობა სახეზეა-მეთქი, დაუზუსტე. ამ ახალბედა ყალთაბანდს სხვებმაც მიმართეს და ურჩიეს, ამპარტავნებისა და ცინიზმის ნაცვლად მიუკერძოებლობა გამოევლინა, რაც საგანგებოდ დამუშავებული ლაქებისთვის ჩინური ანბანის ტოლფასია. უმალ თვალში მომხვდა მისი რეაქცია; მსგავს დახვედრას არ ელოდა, რაც მონობდა, რომ რიგით მიკროფონიან არსებას ამ კასტის ხელმეუხებლობის პრივილეგია ძვალ-რბილში ღრმად აქვს გამჯდარი. ლიბერალური ტენდენციის თანახმად ჩვენი მედიატერარაიუმები სწრაფ კარიერას დახარბებული თავხედი და ცინიკოსი

გოგოშკებითა და ბიჭუკელებითაა გადაჭედილი, რითაც ანტიეროვნული ორგანიზაციები უხვად სარგებლობენ; ეს მოდერნიზებული ნაც-იუგენდი ჯერ კიდევ სააკაშვილმა გამოზარდა და გამონვრთნა ნაცების ბუჩქებსა და ოფისებში, რომელთა მიმბაძველები მავნებლობას წარმატებით; ნინონმინდის დრამატული მოვლენების დინამიკის ფონზე ყურნალისტების დანაშაულებრივმა ქმედებებმა ცხადყო, თუ რაოდენ საბედისწერო როლს ასრულებს დაქირავებული, გარე ძალის მიერ მალაღანაზღაურებადი ტელეკანალიზაციის მეხუთე კოლონა, საკუთარ ქვეყანას ახდილად რომ ებრძვის და საბოტაჟს პროფესიულ მოვალეობად ასაღებს. ამ წრეგადასული პარპაშის საპირწონედ განათლებულმა მხარემ სახელოვანი გერმანელი მწერლის, ჰაინრიხ ბიოლის გახმაურებული რომანი: „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“ გაიხსენა; ეს ნაწარმოები 1969 წლითაა დათარიღებული; დიდი შემოქმედი ზუსტად წინასწარმეტყველებს დაუბალანსებელი მედიის კონტროლს რა დამლუპველი შედეგი ახლავს თან; რომანის მთავარ გმირს სენსაციებს გამოდევენებული ყურნალისტის გამოისობით ცხოვრება ენგრევა, რის გამოც გამწარებული დაზარალებული ყველაფრისმკადრებელ პაპარაცის სიცოცხლეს მოუსწრაფებს. ეს გაფრთხილება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მედიის პროპაგანდის არაჯანსაღი ზრდის კვალდაკვალ გაისმა, ჩვენს დროში ციფრული ეპოქის განვითარებისას ყოვლისმომცველი ხასიათი რომ შეიძინა და ადამიანებს უმძლავრეს ფსიქოლოგიურ იარაღად მოველინა. მედიატერორისტების თემა იმდენად აქტუალურია, ამას არაერთხელ მივუბრუნდებით; ამ ეპიზოდმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ის ამოუვსები უფესკრული, ტელედივერსანტებსა და ხალხს შორის რომ არსებობს, რაც სამწუხაროდ თანდათან საბედისწეროდ ღრმავდება, ვინაიდან პრივილეგიებული კასტა მასისგან უპირობო ხელშეუხებლობასა და მორჩილებას კატეგორიულად მოითხოვს. ამ ამბიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ ყოვლისმცოდნე ყურნალისტებმა ზარი დაარისხეს: ლევან ვასაძე მონამღესო. ცალკე საკითხია, ამ არამკითხველ პროვოკატორებს ასე ოპერატიულად ინფორმაცია ვინ მიანოდა. სამწუხარო ცნობა კი დადასტურდა: მრავალმხრივი გამოკვლევების კვალდაკვალ პოლიტიკაში შემოსულ ვასაძეს რადიაციული მონამღელის შედეგად უმძიმესი და

უიშვიათესი დაავადება დაუდგინდა, რომელსაც ამჟამადაც ქიმიოთერაპიის მეშვეობით ებრძვის. ეს იმდენად სახიფათო და საიდუმლოებით მოცული თემაა, მრავალგვარი ვარიანტების შეჯერების ფონზე სწორი დასკვნის გამოტანა მკითხველისთვის მიმინდია. ერთი რამ უდაოდ ცხადია, რომ აქტიურ პოლიტიკაში ფეხშემოდგმული ლევან ვასაძე, რომელსაც ეროვნული მსოფლხედვის გამო მთელი პოლიტიკური სპექტრი ერთმნიშვნელოვნად დაუპირისპირდა, ჯანსაღი ცხოვრების წესისა (ძველი მორაგბე) და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად (პოლიტიკოსისთვის 50 წელი ასეა მიჩნეული იმ ნაინანატრ დასავლეთში, რომლის ცრუდემოკრატისაც წამდაუნუმ ცხვირ-პირში დაუკითხავად გვჩრინა!) სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მამინ, როდესაც მისი კონკურენტების ჯანმრთელობას რატომღაც არასდროს არაფერი დამუქრებია თვით ყბადაღებული კორონავირუსის ჩათვლით. მოკლედ, ვასაძეს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობა არ დასცალდა; მართლაც დაუსრულებელი პარადოქსების „თაიგულია“ ცხოვრება...

საყოველთაო კრიზისი მაისის ბოლოს ნამოხვანის კაბალური ხელშეკრულებით გამოწვეულმა საპროტესტო აქციამ გაამწვავა; წელან თურქეთის ოკუპანტობა შემთხვევით არ მისხსენებია, რაც ნამოხვანთან მიმართებისას დაუფარავად გამოვლინდა, როდესაც დასავლეთ საქართველოს ტორი დაადეს და ასწლიანი ხელშეკრულების საბაბით დაისაკუთრეს, აჭარის პარალელურად იმერეთისკენ გადმოინაცვლეს, მადა ისე გაეხსნათ. თურქეთს, ნაც-ქოცები საპატიო პარტნიორად რომ მიიჩნევენ, რამეთუ ჩვენი ისტორიული მტერი ამჟამად ევროკავშირის არც თუ უხიფათო წევრია, დასავლეთს თანდათან მეტ თავსატეხს რომ უჩენს, ვინაიდან ერდოლანის თურანული კურსი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ემყარება, რაც ოსმალური იმპერიის აღდგენის ნოსტალგიითაა გაჯერებული, ანტიოკუპანტობის რა ემჩევა?! ჯერ მარტო ის „დეტალი“, რად ღირს, ახლახან თურქეთმა სტამბოლის კონვენცია რომ დაარღვია, რითაც დასავლეთის მიერ შემუშავებული ქალთა უფლებების დამცავი კანონი გააუქმა, თუმცა ევროპელებმა უბატონოდ ხმაც ვერ გასცეს, დაუმორჩილებლობის ეს აქტი ისე უსიტყვოდ გადაყლაპეს. ჩვენს მთავრობასავით ვერ დაიბრიყვებდნენ მუსლიმანური სამყაროს მიერ ზურგგამაგრებულ ერდოლანს, ამას ნყალი არ

გაუვა! ნამოხვანის თემას ციკლი მივუძღვენი და ამიტომ აქ ამ საკითხს მოკლედ განვიხილავ; აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 5 ივლისამდე სანამ თბილისში ანტიპრაიდული მიტინგი გაიმართებოდა და საპატრიარქო მართლმორწმუნე მრევლის მხარდასაჭერად ქაშვეთის ტაძარში იმავე დღეს პარაკლისის გადახდას დააანონსებდა, რიონის ხეობის მცველებს ლიბერასტული ტელეკანალიზაციების მხრიდან ფართო რეკლამა არ მოჰკლებიათ; გამონათობილი პროვოკატორები ამ გულწრფელ პროტესტს სათავისო ქულების დასაწერად და მთავრობის დასაშინებლად სისტემატურად აშუქებდნენ, მაგრამ როგორც კი მოძრაობის ახალგაზრდა ლიდერი ვ. გოლეთიანი და მისი გუნდი 5 ივლისს ლგბტ სექტას გაემიჯნა და დედაქალაქში პარაკლისს დაესწრო, რიონის ხეობის მცველთა მრავალთვიანი, დაულალავი პროტესტი იზოლაციაში მოაქციეს და საინფორმაციო ვაკუუმში დაუნესეს. ეს ვითომ ეკოლოგიური ენთუზიზმით აღტკინებული ფულიხვეჭია მანქურთები ვარლამ გოლეთიანს ყოველმხრივ რომ აქებდნენ, სატყუარად რომ ველარ გამოიყენეს, გავემებით ეძგერნენ და ბინძური ბრალდებების სეტყვა დააყარეს! მოკლედ, ვენეციური ნილაბი ჩამოიგლიჯეს და მახინჯი სახით კიდე ათასმეერთედ დაზაფრეს ამდენი სიცრუითა და მზაკვრული თამაშებით გადაღლილი საზოგადოება, რომელიც ერთდროულად აუნონავ პრობლემებს ებრძვის და რადგან მას ყოველი მხრიდან შეუსვენებელი უტყვენ, უკვე აღარ იცის რა გზას დაადგეს. წინ წყალი, უკან შეწყვირო, სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი! ამჟამად პრემიერმა ნამოხვანის საკითხის გადასაჭრელად პროტესტანტებთან შეუთანხმებლად უცხოური კომპანია თვითნებურად მიიწვია და კაცმა არ იცის, „ხელშეკრულების შემსწავლელი კომისიის,“ ჩართულობით საქმე საბოლოოდ რით დასრულდება, თუ ხალხმა უდრეკ მცველებთან ერთად არ იყოჩაღა და ეს კაბალური, ქართული მიწის გამსხვისებელი ხელშეკრულება ცალსახად არ გააუქმებინა!

მოკლედ, ჩვენში ისეთი ცოდვისტრიალია, დედა შვილს არ აიყვანს. ამდენი დაუსრულებელი წინააღობის ფონზე ეგებ რომელიმე დემაგოგმა როცა დაგვჭყვივლოს, ამ განუკითხაობის პირობებში რა დროს სამწერლო ლაბირინთში მიმდინარე იატაკქვეშა დინებების გაშიფრვის დროა, მსოფლიო კოვიდფაშიზმის სახით ახალი, ბიოლოგიუ-

რი ომის სამიზნეა და მსხვილმან საკითხებზე გადმოერთეთო. (კოვიდფაშიზმის არსის ამსახველი ჩემი სტატია „ისინდში,“ მალე გამოქვეყნდება) არადა, სინამდვილეში ყველაფერი ერთი ჯაჭვითაა გადაბმული და საკმარისია თუნდაც თითო, შეუმჩნეველი რგოლი განყდეს, სრული სურათი დამახინჯდება, რაც ხელს არ გვაძლევს; მოკლედ, ტრაბანში ნამდვილად ვერავინ ჩამომართმევს, თუ დავძენ, რომ „ისინდის,“ მსგავსად უწყვეტ დამოუკიდებელ, ეროვნულ სარედაქციო პოლიტიკას სადღეისოდ სხვა ვერავინ მისდევს და თუ გაბედული ჟურნალები აღმოცენდნენ და მოგვბაძეს, ამას რა ჯობია, რისი კვალიც სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს და ამიტომ ფაქტებზე დაყრდნობით ვაცხადებ, სისტემატურად და რაც მთავარია, მიუკერძოებლად, ცენზურის წნეხის მიუხედავად მხოლოდ ჩვენ ვაანალიზებთ და სამსჯავროზე დაუფარავად გამოგვაქვს ქვეყნის ყველა საჭირბოროტო სატყვივარი, რაც საგანგებოდაა მიჩქმალული, როგორმე განსაცდელში ჩავარდნილ ერს მოდუნების საშუალება რომ არ მივცეთ, რაც ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის გადარჩენის უტყუარი წინაპირობაა. დიახ, გასული საუკუნეების სამოქმედო პრინციპი უცვლელია: ქვეყნის გულშემატკივრად მხოლოდ საკუთარი ხარჯით გამოცემული ეროვნული მრწამსის ჟურნალი გვევლინება, რომლის წევრები ჰონორარის მოლოდინით კი არ ხლართავენ ინტრიგებს და გაქსუებულები ჩემობანა-ფულობანას კი არ თამაშობენ, არამედ საკუთარ სახსარს იკლებენ რათა ქვეყანას თუნდაც ერთი გაუზზარავი აგური შეაშველონ და ჩამოქცევისგან შეძლებისდაგვარად იხსნან და დაიცვან! ამასობაში უცხოეთიდან უხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები (მათი რიცხვი მგონი 2000 აღემატება!) და მათი პროტეჟეები ქვეყნის დასაზარალებლად კოლოსალურ თანხას არ იშურებენ; ამ „უძლეველი არმადის,“ შემადგენლობაში ვინცაა, უკვე ჩამოვთვალე ამიტომ თხრობას თანმიმდევრულად გავაგრძობ.

ბოლოდროინდელი ვითარების შესაფასებლად უპრიანია დრამატული მოვლენების მთავარი კატალიზატორის, სახალხო დამცვეის, უკაცრავად დამცველის „დამსახურებას,“ კვლავ მივუბრუნდებით, რომლის ლიბერასტული სტახანოველ-მონინავეობა იმდენად თვალმისაცემია, თვით თავისივე ვილაგისანიც ველარ ეწევიან. ნ.ლომჯარიამ შარ-

შან ჯერ „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ გაილაშქრა, რასაც ჩემი მწვავე წერილით „ისინდის„ მემვიდე ნომერში სათანადოდ გამოვეხმაურე, თუმცა ეს პრელუდია გამოდგა; წელს, ჯერ იყო და სახალხო დამცველი, რომელიც ჩვენი ბიუჯეტიდან 10 მილიონით ფინანსდება და ამ უზარმაზარ გასამრჯელოს ბედის ირონიითა და უცხოელი ზედამხედველების ბრძანებით ჩვენივე საწინააღმდეგო პროპაგანდაში ხარჯავს, საპატრიარქოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა; უცხოელ ზედამხედველთა ბრძანებით მზაკვრული მიზნის მისაღწევად ეკლესიას, როგორც ქრისტიანობის დამცველ აულებელ ციტადელს, გააფთრებით შეუტია; ღირსეული სასულიერო პირების უწყვეტი ტელედისკრედიტაციის კვალდაკვალ მთავარ სამიზნედ მსცოვანი პატრიარქი იქცა, რომლის ნება ვერაფრისდიდებით გატეხეს, რაც ყველაზე მკაფიოდ პანდემიის დასაწყისში გამოვლინდა, როდესაც ილია მეორემ უპრეცედენტო გადაწყვეტილების გამოისობით ტაძრები არ დახურა და ღვთისმსახურება შეუფერხებლად განაგრძო, რაც მსოფლიო ბატონობის შემოდების მოსურნე გლობალისტურმა ელიტამ ჩვენი ეკლესიის საქეთმპყრობელს არ აპატია. ის, რომ პატარა საქართველომ გაბედა და უღმერთოებს ქედი არ მოუხარა, ლიბერალისტებისთვის სერიოზულ დარტყმას ნიშნავდა და ამიტომ ქართველობის დასამორჩილებლად მის ყველზე ავტორიტეტულ ძალას – ეკლესიას ყოველი მხრიდან გავეშებით დაუპირისპირნენ, რაც საბოლოოდ წრეგადასულ აკვიატებაში გადაიზარდა. პატრიარქის წინააღმდეგ აგორებულ უხამს კამპანიაში ნაცების მომხრე ზონდერი ყოფილი მეუფე პეტრე ცაავა გააქეზეს და ჩააბეს, რომელმაც ღირსეულ სასულიერო პირებს თავისი აქტივისტები ბასკერვილების ძალღვივით მიუსია; ამ მკრეხელ არსებას მავნებლური პარტიული გამოხდომების გამო ჩემი წერილების ციკლში ცაავა-ცქირი ვუნოდე და ამიტომ აქ მის „საგმირო ეპოპეაზე„ აღარ ვისაუბრებ, ვინაიდან წერილის თემატიკა ამის საშუალებას არ იძლევა; ერთს დავძენ: ცაავა და მისი ამფსონები - ეკლესიის განდგომილი სექტა სინამდვილეში ნაცების აქტივისტებად მოგვევლინნენ, რაც მოწმობს, რომ საქართველოში გამოსალაშქრებლად მომზადებულმა სააკაშვილმა რევანშის ასაღებად მთელი რესურსი აამუშავა, რაც ყველა სფეროში ჩანერგილი ნაცების დესტრუქციული პროვოკაციების სახით გამოვლინდა. შესა-

ბამისად, ეკლესიის დისკრედიტაცია ლიბერალისტების უმთავრესი ამოცანაა და რადგან მადლობა ღმერთს, ქართველი ერი ეკლესიის წინააღმდეგ ამდენი წელია ვერა დ ვერ აამხედრეს, გადანყვიტეს ლგბტ სექტის უფლებების გაძლიერებით, რაც ალღუმის დემონსტრირებით უნდა გამოკვეთილიყო, ჩვენს ბასტიონზე საგანგებო დარტყმა მიეტანათ; ქრისტიანობა, ისევე, როგორც ზოგადად ყველა დიდი და სერიოზული რელიგია, სოდომისტურ ცოდვას კატეგორიულად კრძალავს; სწორედ ამიტომ 5 ივლისის აქციის წინ, პრაიდული ალღუმი ადგილობრივმა მუსლიმურმა და იუდაურმა რელიგიის მესვეურებმა ერთხმად დაგმეს; ცხადია, სარწმუნოებრივმა სოლიდარობამ ცხადყო, რომ საქართველოში სოდომისტების თარეში გამოირიცხა. ამერიკა-ევროპა კი დიდი ხანია ამ ცოდვას პროგრესად ასაღებს და დანარჩენ მსოფლიოს აიძულებს გარყვნილების პროპაგანდა სახელმწიფოებრივ დონეზე აღნიშნოს; ესეც დასავლური დემოკრატიის „უმნიშვნელოვანესი მიღწევა“, „ბნელმა და უმეცარმა“ ქართველებმა რომ ვერა და ვერ შევიგნეთ! 2014 წლის 17 მაისს ლგბტ პრაიდის ალღუმის მცდელობას ერი და ბერი წინ რომ აღუდგა, ეს ამ უზნეობის პროპაგანდისტებს გველის ნაკბენივით ახსოვდათ და წელს თავიანთ უმსგავს სარეკლამო რგოლებში გოროზად გაჰკიოდნენ, რომ მსგავ პრეცედენტს აღარ მოითმენდნენ და სახელმწიფო ვალდებული იყო პრაიდის მონაწილე უსქესოთა უსაფრთხოება საიმედოდ დაეცვა. საამისოდ კი ამერიკის ელჩი კელი დეგნანი და ევროკავშირის მესვეური კარლ ჰარცელი ოფიციალურად დაფაცურდნენ და 15 ოპოზიციურ პარტიას გეი-მემორანდუმზე ხელი მოაწერინეს, რითაც ეს გაკოტრებული მედროვეები ლგბტ სექტის უფლებების დასაცავად სრულ პასუხისმგებლობას იღებდნენ! მოკლედ, ნაცები, ევროპული საქართველო, ლელო, თაკო ჩარკვიანის პარტია, გირჩი ჯაფარიძე, (სინამდვილეში გვარგადაკეთებული გასოიანი,) რესპუბლიკელები, სტრატეგია აღმაშენებელი და დანარჩენი ჭიაცელები ამ სამარცხვინო დოკუმენტის მიხედვით დასავლეთის ყურმოჭრილ ყმებად საქვეყნოდ გაფორმდნენ! აქედან გამომდინარე, გეი-მემორანდუმი წყალგამყოფი გამოდგა ხალხსა და ანტიეროვნულ ვითომ ოპოზიციას შორის, რომელიც უფსკერო ჯიბის გასასქელებლად საკუთარ მოსახლეობასა და ეკლესიას ღიად დაუპირისპირდა. სხვათა შორის, ეს ფსევდოოპოზიცია, არც კოვიდფაშიზმს

აპროტესტებს, რაც მათ ანტიეროვნულ ინტერესს ცალსახად გამოკვეთს. 5 ივლისს ორივე მტრული ბანაკი გააფთრებით ემზადებოდა. ელჩების უწყვეტი აქტიურობა დაუსრულებელი მითითებების ფონზე მოწმობდა, გორგასლის დაარსებული ქალაქის დამორჩილებას რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიაში თავიანთი დღის წესრიგის გასამყარებლად; 2012 წლიდან ამერიკამ ლგბტ სექტის უფლებების დაცვა უმთავრეს პრიორიტეტად გამოაცხადა და ვინც ამ წესს უარყოფდა, იმ ქვეყნებს ფინანსურ სანქციებსა და სადამსჯელო ოპერაციებს არ დაამადლიდნენ. ამასობაში უცხოელ ზედამხედველთა ზენოლის გასაძლიერებლად ამსტერდამის მერმა თბილისში პრაიდის ჩატარება მოითხოვა და აპლომბით გვამცნო, თავის წარმომადგენელს აუცილებლად დაგვისართავდა, ავსტრიელი პედერასტები აქაურ ალღუმზე დასასწრებად ბილეთებს იძენდნენ; ჩვენებური ლგბტ სექტა საზეიმო, ცისარტყელას ფერებში კლიპებს იღებდა, აქტივისტები ისე გათავხედდნენ, თავიანთ სიმბოლოდ ქცეული კინტოები საპატრიარქოს კედელზე მიაჯღაბნეს და გეი-მემორანდუმზე ხელისმომწერ პარტიის წარმომადგენლებთან ერთად პატრიარქის უშვერი ლანძღვა გაახშირეს. ამ აღვირახსნილ კამპანიაში სექტანტები აქტიურად მონაწილეობდნენ. მათ შორის ბაპტისტთა ლიდერმა, მალხაზ სონლულაშვილმა თავი იმით „გამოიჩინა“, რომ ლგბტ უსქესოებს ქრისტეს მიერ მოწაფეების ფეხის განბანვის მისტერია ლიბერასტულად გაათამაშა; ამ მკრებელობის ფონზე ეკლესიისგან განკვეთილმა ბასილ კობახიძემ პატრიარქს მკვლელი უწოდა და მისი სამაგალითო დასჯა მოითხოვა. ამ საშინელი ფსიქოლოგიური ტერორის ფონზე სული ლამის ყელში გვებჯინებოდა; და აი, 5 ივლისს, აქციაზე წასავლელად რომ გავემზადე, ჩემმა 20 წლის სპორტსმენმა ვაჟმა გადაჭრით მითხრა: უეჭველი მოვდივარ, რადგან ამ დროს მამაკაცის შინ დარჩენა სირცხვილიაო. თავისუფლების მოედანზე მარსიანი შემოგვიერთდა. პარლამენტის წინ 1-ის ნახევარზე მივედით. როგორც გაირკვა, დინამიკური მოვლენები დილის 10 საათიდან განვითარდა. პრაიდის საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ალტ ინფოს ტელევიზიის დამფუძნებელი კონსტანტინე მორგოშია შეკრებულ საზოგადოებასთან ერთად პრაიდის შენობისკენ გაემართა; რამდენიმე ახალგაზრდამ შენობის აივნიდან ლგბტ დროშა ჩამოაგდო, ტელედივერ-

სანტებმა დრო იხელეთეს და განგაშის ზარი შემოჰკრეს, არიქა, მოძალადეები დაგვერივნენო. მოგვიანებით ჟურნალისტების პროვოკაციულ კადრებში გამოჩნდა, შეკრებილებს სპეციალურად როგორ ინვედნენ და შეურაცხყოფდნენ, ბნელებს, პუტინის აგენტებსა და მოძალადეებს მოურიდებლად უწოდებდნენ, რასაც შეხლა-შემოხლის გარეშე არ ჩაუვლია. ჟურნალისტების წრეგადასული თავხედობით მოთმინებადაკარგულმა ადამიანებმა სტაჟიან დივერსანტებს საკადრისად უთაქეს, ერთ-ერთი მათგანი, პერანგშემოხეული რატი წვერავა კი სასულიერო პირებმა გადაარჩინეს, თუმცა ამ უკანასკნელმა მოგვიანებით მადლიერების ნაცვლად ტელეეთერიდან ურცხვად „დაამონმა“, რომ თურმე მათზე სასულიერო პირები ძალადობდნენ იმის მიუხედავად, რომ კადრები საპირისპიროზე მეტყველებდნენ. ამ განვე-გამონევაში ტვ პირველის ოპერატორი ლექსო ლაშქარავა დაშავდა, რომლის საეჭვო გარდაცვალების ფაქტი რამდენიმე დღის შემდეგ ნაცტელევიზიების დამრტყმელმა დივერსანტებმა: გრიგოლიამ, გვარამიამ, სანაიამ და მათმა დამქაშებმა ხელზე დაიხვიეს და მიცვალებულის თემის სპეკულირების საბაბით ქუჩაში პროტესტის ნიშნად გაცვენილებმა ხალხს ოცნების ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდეს. ამ ნაცადმა პროვოკაციამ სასურველი შედეგი რომ ვერ გამოიღო, ტროცკისეული პერმანენტული რევოლუციის ბაცილით დაავადებული ცნობადი დივერსანტები კვლავ თავიანთ შხამიან სტუდიებში შეილაღნენ და საბოტაჟის მცდელობა გაასკეცებული აგრესიით გააძლიერეს. 5 ივლისის პრაიდის ჩაშლით გააფთრებული ჟურნალისტების დაუსრულებელი გამოხდომები მოწმობდა, რომ ისინი საგანგებო დავალებას ასრულებდნენ: აურზაურის მეშვეობით ვითარება ხელოვნურად უნდა დაეძაბათ, რითაც აქციის დისკრედიტაციას ცდილობდნენ. ხელისუფლების რევოლუციის გზით შეცვლის ყბადაღებული სცენარი ხომ ნაცების სამეფო კოზირია, რომელსაც წყლის ასამღვრევად უცვლელად მიმართავენ! მოკლედ, ექსცესები წინასწარ განერილი სცენარის მიხედვით გაათამაშდა; არადა, წინა დღით პრემიერ-მინისტრმა საგანგებოდ განაცხადა, რომ ხალხის ნებას ვერ გადავიდოდა და ლგბტ სექტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას თავად ამ სამარცხვინო გეი-ალღუმის მესვეურთ აკისრებდა; შსს -მ იგივე გაიმეორა. მეტიც, ი. ლარიბაშვილმა პრაიდის გაჯიბრებულ ორგანიზატორებს „ღირსების მარშის“

ჩასატარებლად სხვაგან ალტერნატიული ადგილი შესთავაზა, მაგრამ ჰომოსექსუალებმა და მათმა ნაირსახეობამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, გინდა თუ არა, რუსთაველის გამზირზე ტრიუმფალურად უნდა გავისეირნოთო; ფაქტია, დიდ-ძალ ფულს ამ სანახაობაში უხდიდნენ და საგანგებოდ მომზადებულ სცენარს როგორ ჩაშლიდნენ აქციის ორგანიზატორები, ერისა და ბერის ერთსულოვანი პროტესტი რომ არა, რომელთა ერთობლივმა ძალისხმევამ სამარცხვინო მსვლელობა აღკვეთა. აქვე აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციაზე პოლიციელები თვალში არავის ეჩხირებოდნენ, თავისთვის იდგნენ და ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ. 1-ის ნახევრიდან 8 საათამდე, მიტინგის დასასრულამდე იქ ვიმყოფებოდი, რის საფუძველზეც დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ ამ ხნის განმავლობაში მცირე სახის ექსცესსაც არ ჰქონია ადგილი, აქცია მშვიდობიანად მიმდინარეობდა და უსაფრთხოების საშიშროება არავის შექმნია. დეკანოზ სპირიდონ ცქიფურიშვილისა და აქციის ორგანიზატორის, ზურა მახარაძის გამოსვლისას ძალადობრივი შინაარსის შემცველი ტექსტები არ გაჟღერებულა, მოგვიანებით მედიაში ხელზე რომ დაიხვია და კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზების დემონსტრირებით სახალხო დამცველის დახმარებით ამ საბაბით დეკანოზისა და ალტ ინფოს ყურნალისტის დაკავება ძალადობრივი მიმართვის ბრალდებით კატეგორიულად მოითხოვა. მართლაც სადამდე აღწევს სიყალბის ტირაჟირება, როდესაც ნამდვილი მოძალადე მოწინააღმდეგეს მიანერს იმას, რასაც თავად შეუზღუდავად ახორციელებს! 30 წელია მნიშვნელოვან მიტინგებს არ გამოვწყვეტივარ და ამ მხრივ, არც 5 ივლისი გამოდგა გამონაკლისი. ყველაზე საგანგაშო ის მოცემულობაა, როდესაც იმ მოვლენას შენ თვალწინ წარბეჭდებოდა აყალბებენ, რაშიც მონაწილეობ და სიცრუის პროპაგანდისტური მანქანის დახმარებით ყველაფერს სპეციალურად ამახინჯებენ ისე, რომ ზრდილობისთვისაც არ გეკითხებიან, მსგავს უკანონობას რომ სჩადიან! 5 ივლისს პრაიდის ჩაშლამ მსოფლიოს ნათლად უჩვენა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანა გამოდგა, სადაც ეს სამარცხვინო ალღუმი უზარმაზარი ძალისხმევის მიუხედავად ვერ გამართეს! ეს ქართველების პასუხია მრავალწლიან ლიბერალურ ჩაგვრაზე, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად დაასუსტა, მაგრამ შინაგანად მაინც ვერ

გატეხა და მთავარ ღირებულებებზე უარი ვერ ათქმევინა! სწორედ ამიტომ 5 ივლისის ანტიპრაიდულმა აქციამ უზარმაზარი მნიშვნელობა შეიძინა, ვინაიდან მან ერი და ბერი, ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოება გააერთიანა და მტერ-მოყვარეს ცალსახად უჩვენა, რომ საქართველო კვლავ ცოცხალია და ტრადიციების დასაცავად შეუპოვრად იბრძვის! ამ გარდამტეხ აქტს მსოფლიოს პროგრესული ნაწილი აღტაცებით გამოეხმაურა. როდესაც სოციალურ ქსელში განთავსებულ დადებით გამოხმაურებებს გავეცანი, სიამაყით აღვივსე, ქართველობის იმგვარ დახასიათებას ნაფანყდი, რასაც ჩვენი გაუკულმართებული მედიატერარიუმები და მისი მესვეურები დიდი ხანია ჩქმაღავენ და აიგნორებენ, რათა წელში არ გავსწორდეთ და ახალი ენერგიით გამხსნეველებმა უშეღავათო ბრძოლა ჩვენს სასიკეთოდ არ დავაგვირგვინოთ! ამ ელვარე გამარჯვების ფონზე ტელედივერსანტები ავბედიტად აყაშყაშდნენ; ნაცების რუპორმა ეკა კვესიტაძემ დაუფარავად განაცხადა, რომ ალტ ინფო ფაშისტური ორგანიზაციაა და მისი მესვეურების დაკავება და არხის აკრძალვა აუცილებელია. ამას „დემოკრატიით“ შთაგონებული ლიბერალტები აცხადებდნენ, ვითომდა განსხვავებულ აზრს ანგარიშს რომ უწევენ, სინამდვილეში კი საპირისპიროდ მოქმედებენ და მოწინააღმდეგეებს ყველა მეთოდის გამოყენებით გააფრთხილებენ, რაც ორმაგი სტანდარტის კლასიკური გამოხატულებაა. 5 ივლისის აქციის გამბედავი მონაწილეები, ვინც ლგბტ ალაში ჩამოაგდო და ევროკავშირის დროშა საჯაროდ დანვა, დააპატიმრეს; არადა, ევროკავშირის დროშა ამავდროულად საფრანგეთში, იტალიასა და პოლონეთშიც ცეცხლს მისცეს, თუმცა ამის გამო იქ პასუხისგებაში არავინ მიუციათ. მეტიც, სტამბოლში გამართული ლგბტ პრაიდი მთავრობამ დაარბია და უსქესობებს ფიზიკურადაც გაუსწორდა, თუმცა დასავლეთს ამაზე კრინტი არ დაუძრავს და მხოლოდ ჩვენ შემოგვიტია; ამასობაში უნგრეთის პრემიერმა ორბანმა ლგბტ პროპაგანდა მოზარდთა შორის აკრძალა და ახლა ამ თემაზე ავიშვიშდნენ: უნგრეთს ევროკავშირიდან გაგდებით დაემუქნენ, რასაც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები შეეწინააღმდეგნენ. არაერთგვაროვანმა რეაქციამ ცხადყო, რომ დასავლეთისგან განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპა ლგბტ სექტის გაფეტიშებას არ ემხრობა: ცოდვა გამხელილი სჯობს, ამ თემის

ირგვლივ ევროპაშიც აზრთა სხვადასხვაობაა; საფრანგეთი და იტალია გლობალისტური დიქტატურის შესაკავებლად საპროტესტო დემონსტრაციებს მართავს, აგერ თურქეთში პრაიდი დაარბიეს, პოლონეთი 5 ივლისის შემდეგ პრაიდის წინააღმდეგ საპროტესტოდ ირაზმება და ა. შ. ამ ვნებათაღელვის შუაგულში თბილისში მყოფმა კანადელმა სასულიერო პირმა, ჯოზაია თრენჰემმა საპატრიარქოში შეხვედრისას დანვრილებით ისაუბრა ჰომოსექსუალიზმის წარმოშობის შესახებ და იმ დამაგრეველ ზნეობრივ ზეგავლენაზე, რასაც ის ოლიგარქების ხელშეწყობით დაქვემდებარებულ ქვეყნებსა და დამონებულ ადამიანებზე ახდენს; სამწუხარო გამოცდილებით დამძიმებულმა მამა თრენჰემმა ქართველებს მოგვინოდა, ლგბტ ჭირს, რომელიც უსქესოთა ხატმებრძოლობად დაასახელა, ბოლომდე მედგრად ვებრძოლოთ; მან სინანულით აღნიშნა, რომ სოდომისტების დიქტატურა მის სამშობლოში იმდენად ფესვგადგმულია, რომ ჯანსაღად მოაზროვნე ინტელიგენცია იძულებულია სამშობლოდან გადაიხვეწოს. რომ საქართველო ამ თვალსაზრისით მისაბაძი ქვეყანაა, რადგან დასავლური ზენოლის მიუხედავად პრაიდს წინ აღუდგა, რაც ცალსახად მისასალმებელი ფაქტია; ესეც მოწინავე კანადა, რომლის ხსენებაზე იქიდან დაბრუნებული ბლოგერი ნათია ქოლუსის დავიწყებაც არ ეგების, რომელიც ანტიპრაიდულ მოძრაობაში გაბედულად ჩაება. ქოლუსი, როგორც უცხოეთში მცხოვრები წარმატებული ბლოგერი, წლების მანძილზე პრაიდის მხარდამჭერად მოიაზრებოდა, თუმცა კანადაში დამყარებულმა ლგბტ დიქტატურამ აიძულა თავისი შეხედულება რადიკალურად გადაეხინჯა და საპირისპირო გზას დადგომოდა. საქართველოში დაბრუნებული ქოლუსის მამხილებელი ინფორმაციული პოსტები (ის უცხოურ პოსტებს სისტემატურად თარგმნის და ასაჯაროებს) კიდევ ერთ მძლავრ ჭურვად იქცა, რომელმაც ლიბერასტების სატანურ გეგმას ფარდა ახადა და მსოფლიოს თავზე დაკიდული დამოკლეს მახვილის ორლესულობა ხაზგასმით, მანამდე უცნობი ფაქტებით დაადასტურა. მოკლედ, თბილისში გამართულმა ანტიპრაიდულმა საპროტესტო აქციამ იმაზე დიდი რეზონანსი გამოიწვია, ვიდრე ამას ფსევდოდემოკრატი დასავლეთი ვარაუდობდა, რასაც ცხადია, სადამსჯელო განცხადებები მოჰყვა, რომ გრანტებს აღარ გვალირსებდნენ და ა. შ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ვინაიდან ამ

სამონყალო სესხით მუდამ მაღალჩინოსნები სარგელობენ და ჩვენთვის უკეთესიცაა, თუკი ვალს შეგვიწყვეტენ, მომავალ თაობებს მძიმე ტვირთად რომ აწვება; აბა მარშალის გეგმას ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად რომ არ ამოქმედებენ (არადა, 2009 წელს ბაიდენმა საქართველოში მარშალის გეგმის ამუშავება ოფიციალურად დააანონსა!), ამას ბრიყვიც კი იაზრებს, ჩვენი სიმყიფე და სისუსტე დემოკრატიის მესვეურებისთვის იმდენად მომგებიანია; ამდენად, სადამსჯელო სანქციების მექანიზმი უმალ ამუშავდა: 5 ივლისის ანტიპრაიდული მიტინგით უკიდურესად გაღიზიანებულმა დასავლელებმა სასწრაფოდ ახალი, სათავისო კანონი შემოგვაჩეჩეს, რომლის მიხედვითაც ამერიიდან ვინც ევროკავშირის დროშას ხელყოფს, 1000 ლარიანი ჯარიმით გაუმასპინძლდებიან; სამაგიეროდ ჩვენი სინმინდეების შერყვნისთვის დასჯის ნაცვლად მანქურთებს აჯილდოებენ და სტრასბურგში გამამართლებელ განაჩენით ახალისებენ, ხოლო ევროპული ღირებულების შეურაცხყოფისთვის ფულს აქეთ გვძალავენ; ვაშა შეუდარებელ დასავლურ დემოკრატია! დემოკრატიის მამამთავარი პერიკლე რომ საფლავიდან წამოაყენა, ამათ დემოკრატიულ მეხს უყოყმანოდ დაანევადა, უკვე ისე წრეგადასულად სცოდავენ! კახეთში მუქარის საპასუხოდ ევროპის სიმბოლო-დროშა საპირფარეშოს კარზე გამოკიდეს; ამ ფაქტმა ცხადყო, ამერიკა-ევროპის მავნებლურმა პოლიტიკამ და ჩვენი სინმინდეების გეზმომართულმა დამდაბლებამ და უგულვებლყოფამ დასავლეთი ხალხს როგორ შეაძულა, რაც სავსებით ბუნებრივია, როდესაც „თანასწორ პარტნიორ„ ქვეყნას მონასავით ეპყრობი და მის ღირებულებებს ფეხქვეშ ცინიკურად თელავ! ამ დროს სხვაგვარ რეაქციას ვინც ელის, ის ჭკუასთან აფრაკადაა, ან საკუთარი ძალმოსილების იმაზე მეტად სჯერა, ვიდრე სინამდვილეშია. 5 ივლისი წყალგამყოფი გამოდგა, ლიბერასტების შესმენით საპროტესტო აქციის ორგანიზატორები პროკურატურამ ორჯერ დააკავა და დაკითხა, თუმცა სამხილის უკმარი-სობის გამო ლიდერები გაათავისუფლა, დანარჩენებს კი ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდა, რომლის ღირებულება 200 ლარიდან 2000 ლარამდე გაიზარდა; ცხადია, ევროპული სანქციები უმალ ამუშავდა; ალტ ინფოს მესვეურთა ძალისხმევით დაპატიმრებულების გასათავისუფლებად სახალხო-ოდ თანხა აგროვდა, გარდა ამისა, ხუთმა ადვოკატმა უკანონოდ დაჭერილების უფასო დაცვა თავს

იღო, რაც მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და მისაბაძი პატრიოტიზმის გამოხატულებაა; ამავედროულად სოფელ ხაშმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ლგბტ პირებმა გაძარცვეს და დაარბიეს, მოპარული სინმინდეები ერთ-ერთ დამნაშავეს შინ აღმოაჩნდა; ეს რევანშისტული ფაქტი რატომღაც არ გახმაურდა, რაც შერჩევითი სამართლის კლასიკური მოცემულობაა ისევე, როგორც მარნეულში რამდენჯერმე საგანგებოდ ჩამოგდებული და დაზიანებული უზარმაზარი რკინის ჯვარი, რაც სახალხო დამცველს გაკვრივთაც არ გაუპროტესტებია; აბა როგორ, ის მხოლოდ ლგბტ უფლებების დასაცავად საკუთარ ხალხს ებრძვის, სოდომისტების მიერ ჩადენილ უკანონობაზე კი საეჭვოდ დუმს! 6 ივლისს, გირჩის ლიდერმა ზურა ჯაფარიძემ ქართველი ხალხი და ეკლესია საქვეყნოდ აგინა და ღამით პრაიდის მონაწილეებთან ერთად პარლამენტის წინ მიქანდა, სადაც უსქესოებმა თავიანთი ცისარტყელა დროშა პოლიციის ძლიერი კორდონის დაცვის ქვეშ საზეიმოდ ააფრიალეს და წინა დღით აღმართულ რკინის ჯვარს ცინიკურად გადააფარეს. ამ წმინდა წყლის პროვოკაციით შეურაცხყოფილი ქართველობა სასწრაფოდ შეიკრიბა და პარლამენტის წინ გირჩის უზნეო ლიდერისა და მისი დამქაშების მიერ მოწყობილი სკანდალის დაუყოვნებლივ აღკვეთა მოითხოვა; მეტიც, შეურაცხყოფით გამწარებულმა მოქალაქეებმა პოლიციის კორდონი გაარღვიეს და „აკრძალულ ზონაში“ შეიჭრნენ. ექცესისთვის მომზადებულმა სამართალდამცავებმა ვითარების დაძაბვით შემინებული უსქესოები სპეციალური ავტობუსებით „ბრძოლის ველიდან“ ეგრევე გააანიალეს; პოლიციის უფროსის, სირაძის თავგამოდება რომ არა (მან ალტ ინფოს ლიდერის, ზურა მახარაძისთვის მიცემული პირობა დაარღვია და უსქესოების დროულად არ შეაკავა), რომელმაც კურდღლებივით დაფრთხალი ნაძირალა მანქურთები სამართლიანად აღშფოთებული ხალხის რისხვას ძლივს გაარიდა, ფიზიკური ანგარიშსწორება გარდუვალი იყო, რისი პასუხისმგებელიც გირჩის სამარცხვინო ბელადია, ანტიეკლესიურ შტურმის ავანგარდად რომ მოგვევლინა. პარლამენტის წინ განვითარებულ დინამიკურ მოვლენებს გაბედული და მეზობლი ბლოგერი ბექა ვარდოსანიძე ბოლომდე იღებდა, (ვარდოსანიძე კოვიდფაშიზმის წინააღმდეგაც შეუპოვრად იბრძვის, რაც ორმაგად მისასალმებელი ფაქტია!) რომელიც ამ შეხლა-შემოხ-

ლის დროს სოდომისტების მხარდასაჭერად მიქანებულ უურნალისტებს, ვაიბიზნენსმენ ჭყონიასა და ნაცბანდის მსახიობები, ტელემწერლუკების ჭრელ სექტასა და უნიათო მთავრობას უშიშრად აკრიტიკებდა; საკმაოდ მძიმე კადრების ხილვისას მერამდენედ დავრწმუნდი, ლიბერალტული ჭილ-ყვავი თუ არ მოვიშორეთ, ამ ჭირისგან მოსვენება არასდროს გვინერია! ყველაზე სახიფათო ის გარემოებაა, რომ გირჩის ზნედაცემული გურუს მიერ აგორებული პროვოკაციის გამოისობით 100-ზე მეტი გულადი ქართველი დააკავეს, ხოლო თავად ამ სკანდალის მომწყობი პლანაქემა პარლამენტარი პასუხისმგებში დღემდე არაა მიცემული იმის მიუხედავად, რომ მის წინააღმდეგ ცნობილმა უფლებადამცველმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ სასამართლოში სარჩელი აღძრა; როცა მოუწყობელ ქვეყანაში ორმაგი სტანდარტი მოურჩენლად მძვინვარებს, ელემენტარულ წინსვლაზე ოცნებაც ზედმეტია. 9 ივლისს, მარცხით გამძვინვარებულმა ლიბერალტებმა სიტყვიერი იერიში პარლამენტის წინ აღმართულ ჯვარზე მიიტანეს; ლგბტ სექტის ერთ-ერთი ქაჯის, ნატა ფერაძის მონოდებაზე, თავის ლეგიონს ჯვრის ჩამოსახსნელად რომ უხმო, 9 ივლისს პარლამენტის წინ ნამდვილი ქართველობა შეიკრიბა; საბედნიეროდ, ხალხის რეაქციის გამოისობით სოდომისტებმა იქ მოსვლა ვერ გაბედეს; - ჯვრის ძალა წინაღუდგომელია!- მარსიანს მშვიდად გადავულაპარაკე, რომელიც კვლავ თან მახლდა და ჩემი არ იყოს, მიმდინარე მოვლენებს თვალყურს მღელვარედ ადევნებდა; საოცარი დამთხვევის ისტორიაც უნდა გაიამბოთ: 5 ივლისის ორგანიზატორებმა არც კი იცოდნენ, რომ ამ ჯვრის დადგამამდე, აქ 30 წლის წინ, მონამე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 9 აპრილს დაღუპულ ქართველთა სულის საოხად სწორედ წმინდა ნინოს სახელობის ქართული ჯვარი აღმართა, როგორც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავგანწირულ მამულიშვილთა ყავლგაუსვლელი სიმბოლო, პუტჩის დროს ამბოხებულმა სამხედრო დამნაშავეებმა რომ ჩამოხსნეს და გადაკარგეს; აღდგენილი ჯვრის ისტორია ქართული ცნობიერების მოურეველობის ნიშანია, რაც მაიმედებს, რომ მსოფლიო ქარტეხილებს კვლავ მედგრად გავუძლებთ და ღვთის განჩინებით ჩვენს ეროვნულ ვინაობას ბრძოლით შევინარჩუნებთ! ანტიპრაიდულმა საპროტესტო აქციამ ცხადყო, საქართველოში ფსევდოდემოკრატიის გამავრცელებელი

დასავლეთი საბოლოოდ დამარცხდა; ამიტომ ნიშანდობლივია, ამერიკის საელჩომ დასჯის სანაცვლოდ კრიმინალ რურუას ორი ძვირადღირებული მანქანა რომ უფუქსა. ესეც ზედემოკრატული აზროვნების საარაკო მაგალითი!

ამერიიდან ჩვენი გადასწყვეტია შენიღბული მტრის მიერ გამოგზავნილ ფეშენებელურ მანქანაში ეშმაკს დაფუძობილდებით თუ თავდადებულ ნინაპართა სისხლით მორწყულ მრავალბრძოლაგამოვლილ მოედანზე აღმართულ ჯვარს უშიშრად დავიცავთ, ბარაბას გზას განვუდგებით და ქრისტეს ავირჩევთ, რომელიც სწორი არჩევანის შემთხვევაში აუცილებლად შეგვეწევა და სამშვიდობოს დაუყვედრებლად გაგვიყვანს!

7.09.2021.

ჰოეტ ჰოეტიჰვილი (ჰაატა სურმანიქ)

უჯამერიდინი

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ს

ყვავილივით ჭკნებიან არტისტული ქალები, შავი მთვარე გალილეს, ლილითივით შეშლილი. თმებს სიგჷით იშლიან, მარტისტურით ქალები, წმინდა სამარხ საფარებს, თოვლს დაიებს მთებშლილი. უსასრულო სიმბოლოს გაჭრით არვინ ანულებს, ანარნარებს ქარები ქნარებს და ჭიანურებს. მზის და მთვარის ფიალებს ზეცა არვიანულებს, თეთრი გედი შავი ხმით გლოვას აჭიანურებს. როცა მარტო მოცარტი ორ ცას ამარტიანებს, უკვდავ პოეტს გაცილებს, ეფემერიდინებით მირტებსა და ამარტებს უძღვნი, ამარტ-იანებს... სიცოცხლეს გიხანგძლივებს, ეფემერიდინებით. ჩასვა ელვის ჩარჩოში მატრიცა მორიელდა, ჰორის თვალი ჰორიზონტს წითლად ადაფიონებს. თვითმკვლელობის ინსტინქტით მარტიც ამორიელდა, ქარის ღმერთი შევეულად, შენს სულს ცად აფიონებს. უცხო მოყმე შენს სახელს ვეფხვთან ატარიელებს, ცის კაპიტნად დაგნიშნა, მთვარის კანონმბერი, ქვიშის საათს, რადგანაც დრო ვერ აცარეილებს, დღეს მეორედშენს მოსვლას, გარისკავს ნოემბერი. აგებ ვანის გალავანს, გიცავს აგრაალებით... პარნასის პატარძლებმა გიმადრიგალონდებით, ქრისტეს სისხლის ვენებშისიგყვად აგრაალებით, ასომთავრულ ყანნიდან ღვინოდ გიგალონდებით. ქალის ქალას გვირგვინად ელვის გველი ებურა,



ჩვენი თავი გადაჰყავს ქარონს დასადაფ-ნავით, სტიქიურად ვეშვებით, სტიქსში ელვისებურად, რომ ქაოსის პოეტივნახოთ დასადაფნავით. ჯვრით მიგვიძღვის მეგზური ქვევით ბრილიანტურით, რომ ძვლების საფუძვლები უფრო არიონდებით. შავ ხვრელს თვალი ჩაუსვი, ზევით ბრილიანტური, ლურჯ ცხენისწყალს აგელვებ, როცა არიონდები. გარანტიას იძლევი გალანტური ტალანტი, მთებზე ხელით ეყრდნობი, რომ ასწიო ტატნობი, ტიტანს ტანით გიჭირავს, ატლანტური ტალანტიც, ეუფლება მთანმინდას, ვილაც დღეს შარლატნობით. მთვრალ ფანტელებს გადმოჰფენს, თოვლის სურათოვნებით, არკის რკალებს გიკრავენ, წინ დაუკან კალები. ანგელოზებს ვამჟღავნებთ, თრთოლვით, სურათოვნებით, რომ დემონებს ვეჩვენოთ, მინდა უკანკალები. გადაგხდი პოეტი ალაჰს ჰანგელოზურნით. დიადემას დაგადგამს, მეფე, არყ, დიადად, შვიდფერიად იკვრება გამა ანგელოზურნი, აფეთქდება ფერებიეფემერიდიადად. დანყვევლილი ვენერა ობოლ გაცისკრულია, ქაფში იშვა პარიზში, რომი მერიდიანად, სიყვარული პირველი, ბოლოს გაცისკრულია. როცა გალაკტიონი ავლებ მერიდიანად. ყველა პოეტს ეხსნებასიგყვის მეთამადები, სიტყვის ღმერთსაც არ ინდობს, გამოვლენა გვერდული. მთვარის ყანნით მაღლიდან ვანში მეთამადები, ალავერდით გადმოდის ლოცვა ალავერდული. ლექსს შენ ინყებ, ვამთავრებ, როგორც ანი-ჰაერომ, ნუსხურ ანბანს შენით ვხსნით, ღმერთი, მაღონა, ქნარი. მარადიულ ქალაქში ქალით რომ იჰაერო, სასწაულებს სჩადიხარ, ერთი ჯადონაქნარი.

ანგელოსის ფრთები სურთ, ერთის, აჰ, ასფერიას...
 ლირიკული ოდეები როდის მოდის ზევსურად?!
 შვიდფეროვან ცის გზაზე ღმერთი საჰასფერია,
 ცის ზღვა განვლუ მთვარნავით, ტანჯვით ოდისევე-
 სურად.
 ორ სფეროში ორფევესის სასიმღერო სულია,
 რომ არ ლოცავ, ანტიკურ გრძნობას რომანტიკულ-
 ლით,
 მთვრალი სული უღვინოდ, მარად ეროსულია,
 რომ ოცნებებს განიცდის გული რომანტიკული.
 კომპარული ამინდი გაიფანტა ზმანებით,
 სულის ცხენის მფლობელი თოვლში გაქანდაკებით.
 მეჩვენება აჩრდილად, ღამის ფანტაზმანებით,
 მკვდრეთით დგები საფლავეზე ძეგლად
 აქანდაკებით.

პოპოღვაპო (ოთხსახიანუსი)

სიკვდილის შავ კლდეს პოეტიკები,
 ცალთვალა იშვა ყვავეი ჰორორით,
 შავ კატას თვალს თხრი პოეტი ნებით,
 ამიტომ არ აქვს თვალის ჰორორი.
 ყვავე-ყორნებს უხმობ აგუგუნებით,
 თოვლის ტაძარში შავი ზარებით.
 შავად წერ თეთრ ლექსს მაგურ გუნებით,
 შავ ღვინოს როცა ეზიარები.
 დღეს ჯოჯოხეთის მსაჯად ოქროა,
 შთანთქა წყვდიადი, აღმაცერბერით,
 ღამის სამოთხე საჯადოქროა,
 შავ ხვრელს გიჩვენებს აღმა ცერბერი.
 ვერ გაცლის სულს და სიქას ქაოსი,
 ქარონის ნავიც დაქანაობდა,
 გინვეს დემონი საიქაოსი,
 რომ გაგაქანონ სააქაოდან.
 აქ მარტოდ მარტოდ პოსეულია,
 ყვავეს ბუნებაც ჰყვავეს ორნებით.
 მარტის ამინდიც პოსეულია,
 ცას რომ აშავებს ავი ყორნებით.
 ცხოვრობდი არაამქვეყნიურად,
 ორღანს გტაცებდა შვავეი ყორღანის.
 და პირჯვარს გწერდა დემონიურად,
 თეთრ ჯვარზე მჯდარი შავი ყორანი.

II

ქრის, მოშაირე შავი ქარია,
 მასწავლის მთვარის ობოლლოდს ბერი.
 ყვავემა არია, კვლავ, იქარია,
 საფლავეს ქვაზე ბოლოს ბოდღერის.
 დღეს გარეთ გასვლა სახიფათოა,
 შავად თოვლს, ვატყობ ცაში შარია.
 შავი სასახლე სახით ფართოა
 და მოჩვენებით საშიშარია.

შავი ვენერა იხრწნება ლეშად,
 ბარში ფერფლიდან ადგა კაბარე
 იქნება შავი ლხინება LE SHA,
 რომ თამადობა გადამაბარეს.
 ვშლი შავ მასკარადს ბალ-დალხინებით,
 ერესის ცეცხლზე კატა აფაკლდა.
 შავი ღრუბლების ბალდახინებით,
 ჩამოხვალ მთვარის კატაფალკადან.
 ოთხი ფიცარი დარჩა ხმიანი,
 აგიგეს წესი, როგორც წესია,
 ეტლი გაცილებს ჩარდახიანი,
 წინ უსწრებს, მაინც, დრო პროცესიას.
 ტალახის კაცი ფიქრობს სალაფზე,
 გაცილებს გლოვა უცერემონი,
 ანგელოზურ სულს გიქრობს საფლავეზე,
 ძეგლად დამდგარი უცებ დემონი.

III

გიყვარს და ღამით მზედ აგედება,
 რითმის ჯვარცმაზე თრთოლვით ვერხვდები.
 შავ გედის ფრთები ზედ აგედება,
 სიკვდილს, სიკვდილის ლტოლვით ვერ ხვდები.
 სიტყვის მწყემს გრიყავს არ ვებრალებით,
 გადაულოცეს თმაგიშერი სხვას!
 არც ამალთეას არ ვებრალებით,
 გპირდება შავი მაგი შერისხვას.
 მოწოლილ ძრწოლვით, თრთოლვით, კანკალით
 რამის თქმა ბნელში ძალზე ძნელია.
 თავსიკლავს მარტში რომ ღრიანკალი,
 სიკვდილის პოვნაც საძებნელია.
 იუპიტერმა შვა იო ცნებით,
 ბოღმის ფიალა ჩანდა ბალღამით!
 მთვრალ თოვლზე ფიქრობ შავი ოცნებით,
 გრძელი დღის შემდეგ ტანდაბალღამით!
 მთვარის ნიღაბი არტისტულია,
 თავისქალაში მწყველ ყვაველებით,
 რადგან სხეულში მარტის სულია,
 სარკმელს გააღებ ხელდანვილებით!
 ოთხად გახლიჩა ერთიკედარი,
 ლურჯ მეხმა ხელის ახლოს აღებით,
 რომ შავ სასახლის თეთრი ცხედარი,
 ბნელეთში აღდგეს ახორთლალებით.

IV

წყვილ-წყვილად თავებს ავიტკენტ ორი,
 ხანდახან ვიღებთ ანტიკურ იერს,
 როცა სიკვდილის შავი ტენორი,
 ღამით გვიგზავნის ანტიკურიერს.
 უთავოს თავი ვუკარნახევით...
 აპოკალიფსი მოვა მხედრებით,
 როცა ოთხ მხარეს ვუკარნახევით,
 რომ აღარ მოხდეს მოსახვედრები!
 შავი თოლია უტყვი არია,

ჯოჯობეთის ცამ მოახედე მზე!
 პანდორას ყუთის უტყვი არია,
 სტოვებს ცოცხალ-მკვდარ იმედს ედემზე!
 ერთი მხარე ვარ, ამ ოთხეულის...
 გვირგვინს არ მაკლებს ჯოჯო, ხე -თურქვას.
 უცხო ხილი ვარ სამოთხეული,
 ნახშირად მესვრით ჯოჯობეთურ ქვას.
 მინის აკვანი დღეს დამირნივს,
 რომ დაემსგავსა ქალმა ცერერას,
 ცა დამტიროდა დედამინიერს,
 ნვიმის ეპოქით - ალმა ცერერას!
 ჩემს ბედს დაეცა შავი დორანი,
 სიკვდილის ფრინველს ბეჭზე შემისვამთ,
 როს ცოცხალ თვალებს დამთხრის ყორანი,
 შავ ღვინით სალამგრძელს შემისვამთ!
 სულში ვგრძნობ ღელვას აი,ქაოტურს,
 გული ნულამდე გაყინულია.
 ვინყებთ პოეტურ საიქაოტურს,
 რაც ოთხი სახით აღნიშნულია!

ჰანო გელაშვილი

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული

/ომარ ჩიტაიას ხსოვნას/

მართლაც ძნელია წერო იმ ადამიანზე, რომელთანაც ათეული წლები გაგიტარებია და ზედმინევენით იცი მისი ავ-კარგი, როგორც ყოფილი ცხოვრების, ისე შემოქმედებითი მხარეც. ეს არის ყველასათვის ცნობილი ომარ ჩიტაია: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ამერიკისა და ქალაქ საქსერეს საპატიო მოქალაქე, ტელეჟურნალისტი, საქართველოს სხვადასხვა ანსამბლების მომღერალი და რაც მთავარია ფილმ „აკაკის აკვანის“ პატარა აკაკის როლის შემსრულებელი. როგორც თვითონ აქვს ნათქვამი „ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი“ — „ზოგჯერ ხუმრობით, ზოგჯერ სერიოზულადაც მეუბნებიან: ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ გაჩენილი“, მეც თანახმა ვარ, აბა, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნა ის, „იღბალი“, რომ ერთ-ერთ მხატვრულ კინოფილმში ვარ ნათამაშები და ისიც ქართველი ხალხის უსაყვარლესი მგოსნის უკვდავი აკაკის როლში, სამას პრეტენდენტ ბავშვს შორის გამორჩეული. მაგრამ, რაც მთავარია, თავად აკაკია ნამდვილად „ბედნიერ ვარსკვლავზე“ - დაბადებული ადამიანი, რაც გამოიხატა მისი შემოქმედებისა და პიროვნებისადმი იმ უზომო სიყვარულსა და საყოველთაო აღიარებაში, რამაც პოეტს სიცოცხლეშივე მოუპოვა „საქართველოს ბულბულის“, სახელი.

ამ აღიარების ანარეკლია რეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილის მიერ მწერალ ლევან ასათიანის სცენარით შექმნილი მხატვრული ფილმი „აკაკის აკვანი“, რაშიც ბედმა შვიდი წლის აკაკის როლის შესრულება წილად მარგუნა. ... „ვიდრე ომარ ჩიტაიას ბიოგრაფიას მოგახსენებდეთ, უპრიანია შეგახსენოთ აკაკი წერეთლის რამდენიმე ლექსის მოკლე კოლაჟი, რომელიც დღევანდელ დღეს ასერიგად ესადაგება, სადაც გამოხატულია პოეტის გულისტკივილი, რაც პატრიოტ მგოსანს მთელი ცხოვრება არ ასვენებდა.

--- . ---

**„რა ხარ ქართველო, შენ დღევანდელი,
 რომ ძლივს დალოდავ, ვით ცოცხალ-მკვდარი,
 სამონყალოზე გაგიშვერია
 ხელი და დახვალ სხვის მათხოვარი**

ის მინა-წყალი და ის სიმდიდრე
 რომ გიანდერძეს შენ წინაპრებმა
 და ის, რომელიც ძალმომრეობით
 ვერ ჩამოგართვეს გარეშე მტრებმა.
 დღეს სადღა არის? ასე ადვილად
 რისთვის ჩავუგდეთ უცხოელს ხელში,
 უბოდიშოთ და შეუბრალებლად
 რომ ხელს გიჭერენ უშიშრად ყელში!
 იქ, სადაც ძველად ქართველი ქართველს
 ხელს მიანვდიდა ძმურად საშველად,
 დღეს ის ქართველი ყელში უჭერს ხელს
 თვით მოძმეს - სულის ამოსახდელად.

--- . ---

როგორ ფიქრობთ, არ არის აკაკი მართალი? - განა რით განსხვავდება დღევანდელი დღე აკაკის დროისაგან, როდესაც გასულია ას წელზე მეტი. ქართველ კაცს უფრო კეთილი და სამართლიანი ცხოვრება სურს. რამეთუ საქართველო „ღვთისმშობლის წილხვედრი“ ქვეყანაა და ამისათვის ჩვენ თვითონ უნდა ვუფროთხილდებოდეთ როგორც სამშობლოს, ისე ერს და ერთმანეთს. ეს აზრი განუწყვეტლივ აწუხებდა პატრიოტ ქართველს-ომარ ჩიტაიას, რომელიც 83 წლის ასაკში გარდაიცვალა და სამუდამოდ დაემკვიდრა სასუფეველში.

„ადამიანები ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ - გვარ-წმუნებს სენტ ეგზიუპერი.

თუმცა, ასე მარტივად არ უნდა იყოს საქმე. ადამიანი, ალბათ, უფრო გენეტიკიდან მოდის, ხოლო ეს გენეტიკა საიდან მოდის, - ისეთივე თავსატეხია, როგორც ქათმისა და კვერცხების ამბავი. მეც, გენეტიკით ქართველი ვარ, ისეთივე, როგორც მილიონობით სუფთა სისხლის ჩემი თანამემამულე. სისხლი კი ისეთი ოხერია, რომ სხვა სისხლს იშვიათად „გუობს„. ადამიანების ბიოგრაფიაც უმეტე-


სად ამ გენეტიკის „ანარეკლია“, - ამბობს ომარ ჩიტაია თავის ბიოგრაფიაში და ყვება:

დავიბადე დაბა ხობში 1939 წლის 3 სექტემბერს, დავამთავრე 55 -ე საშუალო სკოლა და ჩავირიცხე სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, პარალელურად კონსერვატორიაში ვსწავლობდი, ვიყავი ანსამბლ „ფიროსმანის“ წევრი, რომელმაც 1974 წელს აღიარება მოიპოვა. გასტროლებზე ვიმყოფებოდით ევროპასა და ამერიკაში და ამავე დროს რამდენიმე სხვა ქვეყანაში. ვმუშაობდი საქართველოს ტელევიზიაში მუსიკალური პროგრამებიც რედაქტორად, ხოლო პროგრამა „მოამბეში“, ვიმუშავე 10 წელი, მიმყავდა იმ დროს საკმაოდ პოპულარული ციკლი: „მამულო ჩემო“, ვიმუშავე რკინიგზის დეპარტამენტში და ერთგვარად ისტორიას ვქმნიდი საქართველოს რკინიგზისა. ხშირად არა, მაგრამ ახლაც მაქვს ურთიერთობა ჩხორონწყუსთან, მშობლიურ ახუთთან, სადაც ჩემი ნათესავები ცხოვრობდნენ, მყავს მეუღლე ნუნუ სანაია, ქალიშვილი მაია ჩიტაია, აგრეთვე და ნატო, რომელიც მუშაობდა თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგად - (როგორც ახლა გახდა ცნობილი, ომარის და ნატო გარდაცვლილა), ხოლო უფროსი ძმა ლუარსაბ ჩიტაია 27 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. მშობლები: ოლია დგებუაძე მედიცინის მუშაკი ყოფილა, ხოლო მამას- ტროფიმე ჩიტაიას 1951 საქართველოს ბარიტის საბადოების შესწავლისათვის სტალინური პრემია მიანიჭეს, როგორც სამთო გეოლოგსა და საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს.

თავის ბიოგრაფიაში ომარ ჩიტაია ერთ მეტად საინტერესო ისტორიას იხსენებს ქალაქ ჩხორონწყუსთან დაკავშირებით. „ - ადრე დაახლოებით 30-40 წლის უკან ჩხორონწყუსა და თბილისში თანაბრად პოპულარული იყო ერთსტროფიანი მთარული ლექსი: „შენ სოფელი აღარა ხარ, არა - არა ნწუ! შენ ლამაზი ქალაქი ხარ, ჩემო ჩხორონწყუ“. იმ პერიოდში, 1956 წელს, ჰესი შენდებოდა, მაშინ დაახლოებით ასეთი მხიარული სიმღერა შექმნეს ჩხორონწყუელებმა: „მალე ჰესი აშენდება და ქალაქიც დამშვენდებაო“ - ბევრი ვიხუმრეთ, ვიშაირეთ და ბოლოს აი, ასეთი ფრაზა გამომივიდაო: - „შენ სოფელი აღარა ხარ, არა, არა ნწუ, შენ პატარა პარიზი ხარ, ჩემო ჩხორონწყუ.“

--- . ---

1946 წელს საქართველოს მთავრობის წინადადებით ქართულმა კინოსტუდია დაიწყო მზადება აკაკი წერეთელზე მხატვრული ფილმის გადასაღებად: მონონებულ იქნა მწერალ-კრიტიკოს ლევან ასათიანისა და რეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილის მიერ წარმოდგენილი სცენ-



არი სახელწოდებით „აკაკის აკვანი“. დაიწეს მსახიობების სხვადასხვა როლებზე აყვანა და მალე მსახიობების ბირთვი დაკომპლექტდა, მხოლოდ პატარა აკაკის როლის შემსრულებელი ბავშვის შერჩევა გაინელა. ერთ დღეს მამას მივყავდი მუშტიადის ბაღში, კინოსტუდიასთან შეგვაჩერა მამაკაცმა, შეგვიყვანა ეზოში და თანამშრომლებს სიხარულით წარუდგინა ჩემი თავი: „პატარა აკაკი თავისი ფეხით მოვიდაო... შემომეხვია ხალხი, ყველა აღტაცებით პატარა აკაკის მეძახდა, მე „გავაპროტესტე“ — „აკაკი კი არა - ომარი მქვია მეტქი.“ ბევრი იცინეს: „ანი შენი სახელი კარგა ხანს უნდა დაივინყო“, მოვიდა რეჟისორი ბატონი კონსტანტინე პიპინაშვილი, ამხედ-დამხედა, ბევრი სურათი გადამიღეს, ბოლოს თქვა: „ძალიან კარგია, მაგრამ მორცხვი ჩანს და უნდა გავათამამოთო... ასე გადაწყდა ჩემი აყვანა აკაკის როლზე.

სულ 300-მდე ბავშვი იყო ჩემამდე გასინჯული, მოსკოვმაც (კინოხელოვნების სამინისტრომ) დამამტკიცა და დაიწყო ჩემი გათამამება. პირველ ყოვლისა მიმბარეს ნატო ვაჩნაძეს, რომელთანაც თითქმის წელიწადი ვცხოვრობდი, გიორგი და ელდარ შენგელაიებთან ერთად. მალე დაიწყო გადაღებები სოფელ სხვიტორსა და სავანეში, სადაც აკაკი იზრდებოდა გლეხის ოჯახში გაძიხავებული. ფილმში თამაშობდა მთელი იმდროინდელი კინოელიტა: ნატო ვაჩნაძე - ძიძა, თამარ ციციშვილი - დედა, ალიოშა აფხაიძე - მამა, ალექსანდრე ჟორჟოლიანი - გიმნაზიის მასწავლებელი, მედეა ჯაფარიძე - აკაკის და, შოთა ქოჩორაძე - გიმნაზიელი აკაკი, პერესტიანი - გიმნაზიის დირექტორის როლში, კოტე დაუშვილი - სასახლის მოურავი, კობა ლებანიძე - პატარა ამბაკო, ამირანაშვილი - დიდი ამბაკო, ნოდარ კანდელაკი - მენსქვილე ესტატეს გაზრდილი, ბაგრატი - ედიშერ მალალაშვილი. და რაც ყველაზე მთავარია, მოხუცი აკაკი, რომელიც ბრწყინვალედ განასახიერა თბილისის ოპერის თეატრის

მსახიობმა, მომღერალმა მიხეილ ყვარელაშვილმა, ნაზი-ბროლა - ლეილა აბაშიძემ. ფილმის გადაღებისას ჯერ კიდევ იყვნენ შემორჩენილნი აკაკის თანამედროვენი ბუნებრივია, ისინი მცირე სიყალბესაც არ გვაპატიებდნენ, როცა რეჟისორმა მოხუცი აკაკის როლის შემსრულებლად ოპერის მომღერალი მიხეილ ყვარელაშვილი აირჩია, გადაწყვიტა იგი აკაკის მოურავის მეუღლეს, აბდუშელიშვილის ქალისათვის ეჩვენებინა, რომ საბოლოოდ დარწმუნებულიყო არჩევანის სისწორეში, 90-წელს მიღწეულ ქალს დიდხანს ვერ დააჯერეს, რომ ეს გაცოცხლებული აკაკი კი არა, მხოლოდ როლის შემსრულებელი მსახიობი იყო... ეს ეპიზოდი მართლაც ფილმის რეჟისორის გამარჯვება იყო.

--- . ---

2015 წლის 15 ნოემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა პოეტ აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან ასი წლისა და მისი დაბადებიდან 170-წლისთავის იუბილე, აქვე მოწვეული იყო ფილმ „აკაკის აკვანის“ პატარა აკაკის შემსრულებელი ომარ ჩიტაია, რომელსაც ამ დროს 76 წელი შესრულებოდა. საღამოს უძღვებოდა პოეტი და კრიტიკოსი იკა ქადაგიძე, ხოლო რეჟისორი ამ საღამოსი მე, ვანო გელაშვილი გახლდით, - ამ სასახლის თანამშრომლის თეატრმცოდნის, გრიგოლ ჩიგოგიძის უშუალო დახმარებით. საიუბილეო საღამოს ესწრებოდა ქართველი საზოგადოება, პოეტები, მწერლები, მომღერლები, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი. - სასახლის მოსწავლეებმა წაიკითხეს აკაკი წერეთლის შედეგები, შემდეგ გაიმართა კონცერტი. ომარ ჩიტაიამ, პატარა აკაკის როლის შემსრულებელმა, გაიხსენა კინოგადაღების ზოგიერთი ეპიზოდი, - იყო ზეიმი. ამ მსახიობთა თამაში, გადამწყვეტი წარმატება იყო ამ ფილმისა, რომელიც დიდი ხმაურით გამოვიდა ეკრანზე 1948 წლის შემოდგომაზე.

--- . ---

1949 წელს ფილმის გადამღები კოლექტივი მიწვეულ იქნა საქართველოს რაიონებში, მოვიარეთ თითქმის მთელი საქართველო. ხალხი აღტაცებით ხვდებოდა საყვარელ მსახიობებს, კინოფილმი ნახა მაშინდელმა საბჭოთა კავშირის პოლიტიბიურომაც, ძალიან მოიწონეს. სხვა ფილმებში არ მითამაშია, ბავშვობიდანვე სიმღერით ვიყავი გატაცებული. „მქონდა ძლიერი დისკანტი“, შემდეგ კონსერვატორია. ფილმის შემდეგ ძალიან პოპულარული გავხდი, ზოგჯერ ვინმე ქუჩაში მომიტაცებდა, ვაი ჩემი ბრალი - მომიტაცებდნენ, ზოგჯერ მოტაცება „კეთილად“ მთავრდებოდა - მშობლები ლამის გადაჰყვნენ ჩემი გატაცება-დაბრუნებას. აილეს უზარმაზარი ჩემოდანი, ჩამილაგეს თაყვანისმცემლების მიერ ნაყიდი კონსტრუქტორები, უამრავი სათამაშო და... ხობში წამიყ-

ვანეს, ერთი წელი ბებიასთან და ბაბუასთან ვცხოვრობდი და იქაურ სკოლაში ვსწავლობდი.

სხვა ფილმებშიც კი მქონდა მოწვევები, მაგრამ მამაჩემმა გამიწვია წინააღმდეგობა, თან 1952 წელს მამია ხატელიშვილის კვარტეტი შეიქმნა, რომლის წევრიც გავხდი და სიმღერა ვარჩიე... ამას ისიც დაერთო, რომ იმ პერიოდში ჩვენი კვარტეტი საზღვარგარეთ მოგზაურობდა და მეც მეტი რა მინდოდა. მოგზაურობაც მიყვარდა და სიმღერაც - ლამის მთელი მსოფლიო შემოვიარეთ. პატარა აკაკის შემსრულებლის ომარ ჩიტაიას მთელი ავლადიდება მისი მეტად საინტერესო ცხოვრების ამსახველი დიპლომები, კასეტები, აფიშები და ფოტოსურათებია - ისინი იმდენ ამბავს იტყვენ, იმდენ არაჩვეულებრივ მოგონებას ინახავენ, რომ ამ დიდებულ ადამიანზე მართლაც მშვენიერი წიგნი დაიწერებოდა. მე, როგორც მისი საუკეთესო მეგობარი, ახლო ვიცნობდი მას, თანაც ჩემი ნათლული იყო - ნათელმირონობა გვქონდა.

რამდენიმე ათეული წელი გავატარეთ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე, როგორც მუსიკალურ ისე ხალხურ შემოქმედების მთავარ რედაქციაში, - გვქონდა ზოგჯერ მართლაც კარგი გადაცემები და ალბათ ჩავარდნებიც, - მე გამოვყოფდი ისეთ გადაცემებს, რომლებმაც ომარის ავტორობითა და ჩემი რეჟისორობით, მადლობა და პრემიების სახით ჯილდო დაამთავრეს. ეს გადაცემებია: „შენ ხარ ვენახი“ — „თორობდეს თორი თორელთა“, — „ჰიმი სიცოცხლეს“, და „საახალწლო გადაცხილებები“ - საკავშირო ტელევიზიაზე გასვლა, როგორც თბილისიდან მოსკოვზე ტრანსლაციით, რითაც ჩვენ ათი მადლობა გვაქვს მიღებული მოსკოვის საკავშირო ტელევიზიიდან.

--- . ---

ამავე დროს როდესაც ომარი „მომამბეში“ გადავიდა და შექმნა გადაცემათა ციკლი „მამულო ჩემო“ - მე, როგორც რეჟისორს გვერდიდან არ მიცილებდა, - ხოლო როდესაც ბოლო წლებში საქართველოში მოხდა მთელი რიგი ცვლილებები, ჩვენ, მე და ომარ ჩიტაიამ, ამირან ჯიმშელიშვილსა და ბაჩუკი ოზგაიძესთან ერთად, ტელევიზიის ხელმძღვანელებისა და რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან ერთად შეთანხმებით დავინწყეთ მუშაობა და შევქმენით რკინიგზის დეპარტამენტში პრესსამსახური, - ჩვენ რეგულარულად ვაძლევდით ტელევიზიას ვიდეო სიუჟეტებს, რკინიგზის მუშაობას, რომელიც იმხანად რესპუბლიკაში ერთ-ერთი მთავარი დაწესებულება იყო, რომელიც წარმატებით მუშაობდა და სახელმწიფო ბიუჯეტს 60%-ს აძლევდა. მისი ხელმძღვანელი იყო მართლაც საქმის მცოდნე და ნიჭიერი ადამიანი აკაკი ჩხაიძე, რომელმაც ააღორძინა იმხანად და აამოძრავა, „სიკვდილის პირად“ მიყვანილი რკინიგზა, მან მართლაც სული ჩაბერა, რომ იტყვიან ამ საქმეს, ჩვენ ჯგუფს მთელი რვა წლის განმავლობაში თავი არ

დაგვიზოგავს, აქ მიმდინარე მოვლენებს ვიღებდით და მოსახლეობას ვაცნობდით. ომარ ჩიტაია, როგორც პროფესიონალი „რკინიგზიელი“ - ისე აშუქებდა ყოველ ჩვენ მიერ გადაღებულ სიუჟეტების სერიას. მართლაც დასანანია და გულდასაწყვეტია, რომ ამ ნიჭიერ ადამიანს, როგორც ჟურნალისტს, დიდი აკაკი წერეთლის შემოქმედების მცოდნესა და ფილმ „აკაკის აკვანი“-ს პატარა აკაკის როლის შემსრულებელს, სიცოცხლეში ჯეროვანი დაფასება არ ეღირსა - თვითონ ომარი იძახდა, „მე ვარსკვლავის გახსნის ღირსი არ ვიყავიო“?! - მართლაც და!

P.S - ომარი ხშირად ჩამიღერებდა ხოლმე:

**„ცა ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო -
შენი ვარ შენთვის მოვკვდები
შენზედ ვარ მგლოვიარეო“...**

ის მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული და ჩემს გულში სამუდამო კვალი დატოვა.

21.06.2021

მედგარ ჭალიკა შემოდგომის ფრაგმენტი

კარგი დეტექტივი ის არის, დაფარული საიდუმლოს გახსნის პროცესში ისე რომ ჩაგითრევს, თითქოს შენც სიუჟეტის პერსონაჟი ხარ, გამოძიების პროცესის თანამონაწილე, მთავარი დეტექტივის (თუ ავტორის) უხილავი პარტნიორი. პოსტმოდერნისტული თვალსაზრისით, საუკეთესო დეტექტივი, ალბათ, დაუსრულებელი ნოველაა, რომლის დასრულებაც მკითხველს მიანდეს და მადლიერი მკითხველიც ხან ერთ მხარეს შემოატრიალებს ჭადრაკის დაფას, ხან — მეორე მხარეს, ავტორის მიგნებებს და შეცდომებს საკუთარ მიგნებებზე და შეცდომებზე აღიქვამს, აგრძელებს ავტორის მიერ ინიცირებულ აზროვნების პროცესს და ფაქტიურად, მონაწილეობს რაღაც ზეპიროვნული ჰიპერტექსტის შექმნაში. ყოველივე ეს „ლიტერატურულ დეტექტივებსაც“ ეხება — ლიტერატურული კრიტიკის ჟანრს, რომელსაც საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 17 წლის წინ თემურ დოიაშვილის „ნოველით“ — „**არტისტული ყვავილების პროლოგი**“ (დოიაშვილი, 2003: 41). ეს ნარკვევი ალბათ ბევრი მკვლევარისათვის გახდა იმპულსის მიმცემი და ცალკე, უფრო ვრცელ წერილს (ან — „დეტექტივის



გაგრძელებას“) იმსახურებს. მკითხველისათვის ამჟამად წარმოდგენილი ჩემი წერილი, ლიტერატურული კრიტიკის ამ ჟანრში შესრულებულ, სხვა ნარკვევს შეეხება, კერძოდ, „გალაკტიონოლოგიის“ ბოლო, მე-8 გამოშვებაში მოთავსებულ ლევან ბებურიშვილის წერილს „გრეი და ზეინაბი“ (ბებურიშვილი 2019: 294), რომელიც გალაკტიონის ერთ-ერთი შედეგის - „შემოდგომის ფრაგმენტის“ (ტაბიძე 2016ა: 74) განხილვას მიეძღვნა.

ზემოთ მოყვანილ კრიტიკულებთან სრულ შესაბამისობაში, ლევან ბებურიშვილის „ნოველაც“ — კარგი დეტექტივია და საფუძვლიანადაც „ჩამითრია“. თავდაპირველად, პირველი ნაკითხვისას მიღებული, ჯერ გაუნელებელი სიამოვნების ფონზე, სურვილი გამიჩნდა ავტორისათვის გამეზიარებინა ორიოდ მოსაზრება, რაც, ჩემი აზრით, დამატებითი დეტალებით გაამდიდრებდა ნარკვევს. მაგრამ თანდათან, ნარკვევთან და გალაკტიონის ტექსტთან მრავალჯერ დაბრუნების შედეგად (რაც განპირობებული იყო განსახილველი ლექსის თარგმანზე მუშაობით და, შესაბამისად, ბევრი დეტალის დაზუსტების სურვილით), ცალკეული მოსაზრებები მწყობრ ვერსიად, ლევან ბებურიშვილის „დეტექტივის“ გაგრძელებად ჩამოყალიბდა. დღეს სწორედ ამ „გაგრძელებას“ შემოგთავაზებთ, მაგრამ მანამდე, ალბათ აზრი აქვს გავიხსენოთ გალაკტიონის განსახილველი ლექსის სრული ტექსტი:

შემოდგომის ფრაგმენტი

**ოჰ! ეს ფოთლები, ცვენილი ქართ,
ეს მწუხარე და ნაზი ზმანება,
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?**

**ჰაერი ოხრავს ფოთლების ცვენით
ლონემილელ მზის დაღალვაში
და ბილიკებზე წყნარი მონყენით
დაბინდულ წყვილად მიდის ქალ-ვაჟი.
ცხოვრობდა ვინმე... გულში ფარული**

**უთრთოდა ციურ შუქთა კამარა:
ამ ქვეყნად სურდა მას სიყვარული,
მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა!**

**იყო მეორე: დასწევს, დადაგეს
ვნებებმა მისი მხურვალე გული,
როდესაც ვარდთა სისხლიან ბაგეს
ენაფებოდა თვალდახუჭული.**

**ამ დღეებს მისდევს ჩუმი განდობა,
ფერფლდება თვალთა ბანჯვანება
და ასე მჭკნარი ახალგაზრდობა
ნუთუ არავის არ ენანება?**

**ჰაერში ოხრავს ფოთოლთა ჩრდილი:
სწუხს ლაყვარდების მსუბუქი ქაფი:
და შემოდგომის გზებზე დაღლილი
მიდიან გრეი და ზეინაბი.**

ლ. ბებურიშვილის წერილის ძირითადი ნაწილი ეხება იმას, თუ როგორ აისახა პოეტურ ტექსტში გალაკტიონის პირადი დრამა (პოეტის ურთიერთობა მის მეუღლე - ოლია ოკუჯავასთან). ამ წერილში ბევრი საინტერესო რამ არის ნათქვამი გალაკტიონის „ცხოვრების ტექსტის“ — „ხელოვნების ტექსტად“ გარდაქმნის იდუმალ პროცესზე. ლ. ბებურიშვილი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ „შემოდგომის ფრაგმენტის“ ის პერსონაჟი, რომელსაც გულში ფარული ციურ შუქთა კამარა უთრთის - არის გალაკტიონის Alter Ego (აქ - აშკარაა რელაციები „მე და ღამესა“ და „ლურჯა ცხენებთან“). გალაკტიონის ბიოგრაფიული ფაქტები, რაზეც ძირითადი აქცენტი აქვს გაკეთებული ლ. ბებურიშვილს, როგორც ლექსის დაწერისათვის შემოქმედებითი იმპულსის მომცემი სტიმულიც და როგორც შემოქმედებითი პროცესის ფსიქოლოგიაზე შუქის მომფენი დეტალიც, უაღრესად მნიშვნელოვანია და ლ. ბებურიშვილის სტატია ამ მხრივ ძალიან საინტერესოც არის. ამავე დროს, როგორც თვითონ ლ. ბებურიშვილი აღნიშნავს, „უხეში სინამდვილის მხატვრული გარდასახვის გზით პოეტი ქმნის საკუთარი ცხოვრების მითს“. მთარგმნელისათვის, სასიცოცხლო ინტერესს სწორედ ეს - პოეტის საკუთარი „ცხოვრების მითი“, წარმოადგენს და არა იმდენად, - „იმპულსის მომცემ“ პირად დრამასთან ლექსის შესაძლო კავშირი. განვავრცობთ ამ აზრს და ვიტყვით, რომ, თუ ლექსი მართლაც ასახავს პოეტის პირად დრამას, ეს დრამა საფუძვლიანად დამალული და დაფარულია, მოქცეულია ზოგადი მითის კონტექსტში, ტრანსფორმირებულია ზოგადი მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური მოდელის შესაბამისად. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა ზოგადი ნარატივის ნაწილს

წარმოადგენს განსახილველი ლექსი, როგორ იკითხება ამ ნარატივის კონტექსტში ის პერსონაჟები, სახეები, სიმბოლოები, რაც მოცემულ ლექსშია წარმოდგენილი, რომელ ქართულ და უცხოურ ტექსტებთან ინტერტექსტუალური კავშირის კვალი შეინიშნება და რა კულტურული არქეტიპებია აქტუალიზებული?

„არტისტული ყვავილები“, როგორც არაერთხელ აღნიშნა თ. დოიაშვილმა ადრეც და - „გალაკტიონოლოგიის“ ამავე VIII ტომის წინასიტყვაობაში - „არტისტული ყვავილები - 100“ (დოიაშვილი 2019ა: 4), ერთიანი წიგნია და არა ცალკეული, ერთმანეთთან კავშირში არმყოფი ლექსების კრებული. ამაზე არსებობს არაერთი შეფარული მინიშნება თავად „არტისტული ყვავილების“ და „არტისტული ყვავილების წრის“ ტექსტებში. წიგნში შესული ყველა ლექსის ერთ მთლიან ტექსტად შემკერული ნარატივი არის ლირიკული სუბიექტის, პოეტის მიერ განვლილი სულიერი განვითარების გზა - „გზის მითი“. ცალკეულ ლექსებში წარმოდგენილი არის ამ ნარატივის ფრაგმენტები. შესაბამისად, თავად სიტყვა „ფრაგმენტი“ განსახილველი ლექსის სათაურში არ უნდა იყოს შემთხვევითი: ეს სიტყვა, ერთის მხრივ, გვამზადებს იმის გაცნობიერებისათვის, რომ ლექსში წარმოდგენილი შემოდგომის ჩანახატი - მხოლოდ ფრაგმენტია „შემოდგომის“ უფრო დიდი სურათის და ამავე დროს, - კიდევ ერთ მინიშნებას იძლევა იმაზე, რომ „არტისტული ყვავილების“ მთლიანი ნარატივი სწორედ ამდაგვარი, ცალკეულ ლექსებად მიმოხვეული ფრაგმენტებისაგან იკრებიება.

გზის მითის შინაარსი - „არტისტული ყვავილების წრის“ ტექსტების კორპუსის ნარატივი, რომელიც ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი ცალკეულ ლექსებში - შეკუმშული სახით, მაგრამ ფაქტიურად სრულად - მოცემული არის „შემოდგომის ტექსტების“ ცენტრალურ ტექსტში - „შემოდგომა განდევნილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეში“ (ტაბიძე 2016ა: 53). თ. დოიაშვილის ადრეულ ნარკვევში (დოიაშვილი, 2003: 41) დასაბუთებულია, რომ ეს ტექსტი წარმოადგენს „არტისტული ყვავილების“ პროლოგს და, როგორც პროლოგს შეეფერება, მასში კონცენტრირებული სახით არის მოცემული წიგნის კონცეფტუალური გასაღებიც და მისი შინაარსიც. „შემოდგომა განდევნილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეში“ უაღრესად კონცენტრირებული ტექსტია, რომელშიც ფაქტიურად რეპრეზენტირებული არის „არტისტული ყვავილების“ წრის ტექსტების ერთიანი ჩარჩო ნარატივიც, მსოფლმხედველობრივი ბირთვიც და ძირითადი მოტივები, თემები და თითქმის ყველა მდგენელი ნარატივი. „სავანის“ ძირითადი ტექსტი წარმოადგენს პოეტის (სასახლის მგოსნის) მიერ განვლილი ცხოვრების და სულიერ-ძიებათა გზის რეტროსპექციულ მოხილვას: მოწი-

ფული პოეტი, ახლად დასრულებული წიგნის პროლოგის წერისას, შეაჯამებს ამ წიგნში ასახულ „განვლილ გზას“, იხსენებს ვნებებით და აფექტებით აღბეჭდილ ახალგაზრდობას, ასევე - უფრო გვიანდელი დროის დრამებს. ახალგაზრდობის გახსენების სცენაში მთავარი აფექტი - ახალგაზრდობის, ვნებების - გარდაუვალი გავლის გაცნობიერება, ჭკნობის, შემოდგომის თემაა. „შემოდგომის ფრაგმენტის“ კომპოზიციური სტრუქტურა გამარტივებული სახით, მაგრამ დიდწილად იმეორებს „შემოდგომა განდევნილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეში“-ს ძირითად, ჩარჩო სტრუქტურას. „შემოდგომის ფრაგმენტშიც“ ვხედავთ მონიფულ სუბიექტს (ავტორს ან მის ლირიკულ გმირს), რომლის თვალწინაც ცოცხლდება წარსული ახალგაზრდობის სურათები: - „ეს მწუხარე და ნაზი ზმანება“, „ასე მჭკნარი ახალგაზრდობა“ და, შესაბამისად, „ამ დღეებს მისდევს ჩუმი განდობა“ - მკითხველისათვის „ამ დღეების“ მოგონებების და მათთან დაკავშირებული ემოციების და ფიქრის განდობა და სხვა არაფერი. თემატიკის გარდა, სტრუქტურულ მსგავსებას ავლენს ამ ორ ციტირებულ „შემოდგომის ტექსტში“ გახსენება/სინანულის აღმწერი ფრაგმენტები: „ეს ყვავილები, ეს ცა, ეს მწუხარე და ნაზი ზმანება“ „შემოდგომის ფრაგმენტში“ და „ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს გადირეკს ნოემბრის ბაღები“ „სავანის“ ტექსტში. აქვე აღვნიშნავთ, რომ „განვლილი, გიჟური (ვნებებით აღსავსე) ახალგაზრდობის სინანულით მოგონების“ ეს ჩარჩო სტრუქტურა ინვარიანტულია „არტიტული ყვავილების“ წრის ტექსტებში [გავისხენოთ თუნდაც: „ეჰ, ძვირფასო, ჯვარზე მაგეს, გაქრა გიჟი ოცნება“ (ტაბიძე 2016ბ: 53), ან - „აღტაცებავ სიყმანვილის დროისა, სამუდამოდ, სამუდამოდ მშვიდობით! ის ირღვევა, ის ოცნება ბერდება,“ (ტაბიძე 2016ბ: 17) და მრავალი სხვა...].

„შემოდგომის ფრაგმენტში“ მოგონებათა პირველი სურათი (პირველი ორი სტროფი) შემოდგომის ხეივანში მიმავალ ქალ-ვაჟს წარმოაჩენს, რაც ბადებს იმის ლოგიკურ მოლოდინს, რომ შემდეგ ორ სტროფში წარმოჩენილი პერსონაჟები („ერთი“ და „მეორე“) სწორედ ეს ქალ-ვაჟია. კერძოდ, ასე ხედავს ამ პერსონაჟებს ლ.ბებურიშვილიც: ასეთი ხედვის შესაბამისად, „ერთი“ - ეს რომანტიკული, „ზეციური“ მისწრაფების პოეტია, ხოლო „მეორე“ - მინიერი ვნებებით ატანილი ქალის პორტრეტს გვიხატავს. ჩვენ გვეჩვენება, რომ ეს მთლად ასე არ უნდა იყოს, რომ ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეეფერება სიმართლეს. ვეთანხმებით რა ლ.ბებურიშვილის მოსაზრებას, რომ „შემოდგომის ფრაგმენტის“ ის პერსონაჟი, რომელსაც „გულში ფარული ციურ შუქთა კამარა უკრთის,“ - პოეტია, ჩვენ ასევე სრულად ვიზიარებთ ლ. ბებურიშვილისეულ ხედვას პოეტის ამ სახის ტიპოლოგიურ ხასიათზე.

სტროფი მთლიანად (ლექსის მე-3 სტროფი) - იდილიური ცნობიერების რომანტიკოსი/სიმბოლისტი პოეტის განზოგადებულ ხატს წარმოგვიჩენს. ამ სტროფში გამხელილი პოეტის თვისება, - „სულში უკრთოდა ფარული ციურ შუქთა კამარა“ და „ამ ქვეყნად სურდა მას სიყვარული, მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა“ - კონცეფტუალური ხასიათისაა: რომანტიკულ/სიმბოლისტური მოდელის თანახმად, იდილიური ცნობიერების პოეტს არ უნერია ამ ქვეყნად სიყვარულის რეალიზაცია. მისი სასიყვარულო შეხვედრები ხორციელდება - არა აქ, მიღმა, ოცნების ან ტრანსცედენტულ სამყაროში. სატროფო კი - იდეალი, სამყაროს მარადქალური მშვენიერი არსი, „სოფიური“ სანყისია. მარადქალურის მინიერი ანარეკლი - მშვენიერი ქალწულია, რომელიც მუდამ მიუწვდომელია პოეტისათვის, შორეულია. ამ ქვეყნად პოზიტიური კონტაქტის დამყარება სატროფოსთან შეუძლებელია - ის ან ილუპება, ან სხვას მიყვება ცოლად, მონასტერში მიდის ან ამ მახინჯი რეალობის გავლენით სახეს იცვლის, უცხოვდება, უკიდურეს შემთხვევაში მეძავად ან Fatal Fame-ს ტიპის დემონურ პერსონაჟად გარდაიხსება.

ლ.ბებურიშვილისგან განსხვავებულად გვესახება ჩვენ მეორე ფიგურა. ჩვენ არ გვრჩება შთაბეჭდილება რომ ეს პერსონაჟი შეიძლება იყოს ქალი, რომელიც გრეის მიჰყვება, ან რომ ეს სულაც ქალური სახეა. ის პერსონაჟი, ვინც ენაფება ვარდის სისხლიან ბაგეს - კლასიკურ პერცეფციაში არის - მამაკაცი, ხოლო ქალი - სწორედ ამ სისხლიანი ბაგის მქონე ვარდია. „ვარდები სისხლიანი ბაგით“ მოცემულ ტექსტში წარმოდგენილი არიან მრავლობითი ფორმით (სწორედ ეს ვარდებია ის ქალები, ვიზეც გალაკტიონი, ლ.ბებურიშვილის მიერ ციტირებულ თავის წერილში ამბობს - „მათი ბაგეები გასისხლიანებულ ჭრილობას ჰგავდაო“). დიახ, ქალი სისხლიანი ბაგით - ეს არის მინიერი, მახინჯ რეალობაში - Fatal Fame--ს დემონური, ვნებით აღსავსე სახე. ხოლო ის, ვინც ამ ბაგეს ენაფება, ანუ მე-4 სტროფში წარმოდგენილი პერსონაჟი - „მეორე“ - მამაკაცია, ვნებებით დამწვარი და დიონისურ ორგაში თავდავინყებით გადაშვებული პერსონაჟი. აქ უპრიანია გავიხსენოთ, რომ „სავანის“ ტექსტშიც და „ახალგაზრდობის მოგონების“ ინვარიანტის ხორცშემსხმელ გალაკტიონის სხვა ლექსებშიც, გვევლინება რომანტიკოსი/სიმბოლისტი პოეტის დუალური არქეტიპული სახე: იდილიური ცნობიერების (ზეციურისკენ, არაამქვეყნიურისკენ მიმართული) მისტიკოსი ან მეოცნებე და დემონური, მეამბოხე ფიგურა, „ბაირონული ტიპის“ პერსონაჟი. ეს ორი სახე ერთი და იგივე რომანტიკული სუბიექტის სულიერი განვითარების ორ განსხვავებულ ეტაპს შეესაბამება - ადრეულ, იდილიურ-უტოპისტურ (ბავშვურ და ყმანვილურ) ცნობიერებას

(„თეზისი“) და შემდგომ, იდილიური ილუზიის რღვევის და აფექტური ამბოხის ან დეპრესიული პესიმიზმის ეტაპს („ანტითეზისი“). ევროპულ-რუსული რომანტიზმის და სიმბოლიზმის ეს ინვარიანტული სახეები ცენტრალურია გალაკტიონის გზის მითისათვის და მთლიანობაში ასახავს ახალგაზრდა პოეტის ნარატივს, იდილიური ცნობიერებიდან - მემამბოხე რომანტიკოსის ცნობიერებამდე მისი სულიერი ტრანსფორმაციის ისტორიას. გალაკტიონთან, არც თუ იშვიათად, ახალგაზრდული ნარატივის შესაბამისი ეს ორივე სახე (იდილიური და დემონური) ერთი ლექსის ფარგლებში არის მოცემული და ლირიკული სუბიექტის სულიერი განვითარების დინამიკას ასახავს. სხვა ტექსტებში ამ მთლიანი სურათის ან მხოლოდ იდილიური ან მხოლოდ დემონური ფრაგმენტი შეიძლება იყოს მოცემული. ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით მთლიანი მოზაიკური სურათის რეკონსტრუირებისას, ნათლად და უფრო მრავალმხრივად წარმოჩნდება ლირიკული სუბიექტის სულიერი ტრანსფორმაციის ნარატივი. „არტიტული ყვავილების“ პროლოგში ახალგაზრდა პოეტის სულიერი ტრანსფორმაციის სურათი მოცემულია „შეშლილი სკვითელის“ ნარატივის სახით, „შემოდგომის ფრაგმენტში“ - დორიან გრეის ნარატივის სახით. ამ ორ პერსონაჟს ბევრი რამ აკავშირებთ, კერძოდ კი - გარდაუვალი ჭკნობის, სიბერის, წარმავლობის აფექტური განცდის მოტივი. „შეშლილი სკვითელის“, ისევე როგორც ოსკარ უაილდის დორიან გრეის მხატვრული სახე მოიცავს ორი განსხვავებული ცნობიერების სუბიექტს - იდეალისტი ყმანვილის და დემონური სუბიექტის ინტეგრირებულ სახეს. ამიტომ „ერთიც“ და „მეორეც“ „შემოდგომის ფრაგმენტის ტექსტში - ეს დორიან გრეია: „ერთი“ - არის დორიან გრეის „ცდუნებამდე“, „დაცემამდე“, ხოლო „მეორე“ - უკვე გარდასახული, „დემონური“ სულისკვეთებით შეპყრობილი გრეი. ან, თუ განვაზოგადებთ: არსებითად „ერთი“ და „მეორე“ ეს ერთი და იგივე ლირიკული სუბიექტის, პოეტის ალტერ ეგო-ს ახალგაზრდობის ორი სხვადასხვა ეტაპის („თეზისი“ და „ანტითეზისი“), ორი განსხვავებული ცნობიერების ამსახველი პორტრეტია.

რა შეიძლება ითქვას „შემოდგომის ფრაგმენტის“ ქალურ პერსონაჟზე? როგორ შეესაბამება ეს სახე „სავანის“ ან მთლიანად „არტიტული ყვავილების წრის“ მითოლოგიას? რატომ ჰქვია ზეინაბი? გავიხსენოთ, თუ რა სახე შეიძლება შეესაბამებოდეს პოეტის მიწიერ სატრფოს რომანტიკულ/სიმბოლისტური პარადიგმის შესაბამისად: ერთი სახე ეს არის - „ქალწულის არქეტეპი“ - სინმინდით, თითქმის არამიწიერი სილამაზით, სათნოებით შემკული არსება. მეორე სახე ეს არის - გაუცხოებული, მახინჯი რეალობის მიერ გარდაქმნილი სახე ქალის, რომელიც სულიერად უცხოა და მტანჯველია პოეტისათვის

(მეძავი ან პოეტის დამლუპველი Fatal Fame-ს არქეტეპი). „არტიტული ყვავილების“ წრის ტექსტებში ორივე ეს ქალური სახე წარმოდგენილი არის, მრავალჯერ. ინვარიანტული ნარატივის შესაბამისად, იდილიური ცნობიერების სუბიექტი ვერ ამყარებს კონტაქტს „ქალწულის“ ტიპის სატრფოსთან (სატრფო ილუპება, სხვას მიჰყვება ან მონასტერში მიდის), ხოლო ქალის დემონური იპოსტასი, Fatal Fame-ს მას ლუპავს, არღვევს მის ჰარმონიას, შემოქმედებას, კონტაქტს ზეციურთან, ქაოსი შემოაქვს მის სულში [გავიხსენოთ ფრაგმენტი „ისევ ეფემერიდან“ (ტაბიძე 2016 ბ: 32): „მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი. დემონური არეგ-დარეგით ყოველი მხრიდან ავარდა ალი. სულში დაჰქროდა ქალი ქარივით და შეშლილივით კივოდა ქალი“]. პოეტის დემონური იპოსტასი, პირიქით, „მიეცემა დიონისურ თრობას“ ქალურ დემონურ პერსონაჟებთან ერთად და ლუპავს თავისი სიყვარულით - წმინდა სულის ქალურ პერსონაჟებს. ორივე ეს ქალური სახე, ორი „ოპოზიციური“, კულტურული არქეტეპი, მკვიდრად ჩანს არტიტული ყვავილების ტექსტებში. ამ ორი სახიდან რომელს შეესაბამება „ზეინაბი“ „შემოდგომის ფრაგმენტიდან“?

პირველი შეხედვით, მხოლოდ „შემოდგომის ფრაგმენტის“ ტექსტზე დაყრდნობით, სუგესტურად, გვიჩნდება განცდა, რომ უპირატესობა პირველ ვარიანტს უნდა მივანიჭოთ: განშორების, კონტაქტის შეუძლებლობის ამსახველი, სევდიანი სინაზით შეფერილი სურათი ემოციურად ნაკლებად ტოვებს იმის განცდას, რომ ეს ძლიერ გაუცხოებული ან სულაც ერთმანეთს დაპირისპირებული წყვილია, უფრო მეტად აქ გარდაუვალი განშორების სინანული იგრძნობა. თუმცა მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობილი ხედვა მეტად სუბიექტურია, თუ არ იქნა გამაგრებული სხვა, უფრო რაციონალური მოსაზრებებით. ჩვენის აზრით, ასეთი რაციონალური საფუძველი თავად ლევან ბებურიშვილის ნერილში არის მოცემული. აქ მოყვანილი არის ორი ლექსი „არტიტული ყვავილების“ წრის ტექსტების კორპუსიდან, სადაც ნახსენები არის სახელი „ზეინაბი“. კერძოდ, 20-იანი წლების ლექსში „მშვიდობიანი სიმღერა დების“ (ტაბიძე 2016: 140) არის ასეთი ფრაგმენტი:

**იფინებოდა ზღვების საბური
ტალღათა შორის ნავთა მმოსავეთ,
გამოქროლება ზეინაბური
და სილაჟვარდე უდაბნოსავით.**

ხსენებული ფრაგმენტის ინტერპრეტაციისას ნათქვამია, რომ „ზეინაბი პოეტისათვის ასოცირდება აქტიურ, ბობოქარ, მიწიერ სტიქიასთან“ და რომ „ლექსში მოცემულია ოპოზიცია ორი სანყისისა - ზეინაბური ქროლვის და ზეციური მყუდროების - უდაბნოსებური სილაჟვარდე-

ისა“. ჩვენის აზრით აქ ორი საწყისის ოპოზიციასთან არა გვაქვს საქმე და პირიქით, როგორც მოყვანილი ფრაგმენტი, ისევე მთლიანად ლექსი ცხადყოფს, რომ - „ზეინაბური“ დაკავშირებული არის მსუბუქი ქროლვასა და ნისლისებრი შემოსვის, დაბურვის თვისებასთან. ასოციაციურად გვახსენდება გალაკტიონის ტექსტებში წარმოჩენილი მთელი მწკრივი მშვენიერი ქალური სახეების და მათი სახის შემოსველი მანდილების, ვუალების, პირბადეების, მათი ქროლვის [თუნდაც ასეთი ფრაგმენტები - „...მინდვრის ბალახი შენს დაშლილ თმაში და თმების ქარით გამოქროლება“... „იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს შენი მანდილი ამ უდაბნოში“ -“არტისტული ყვავილების“ კიდევ ერთი შედეგრიდან „თოვლი“ (ტაბიძე 2016ა: 61)]. გალაკტიონის „თოვლი“, ნახსენები — „უდაბნო ლურჯად ნახვერდევია, იგივეა, რაც - „სილაჟვარდე უდაბნოსავით,“ და „ზეინაბური ქროლვაც,“ — „თოვლის,“ მთავარი ქალური პერსონაჟის ჰაეროვან და მსუბუქ, იდუმალ, მიუწვდომელ, მოუხელთებელ ბუნებას ასახავს. ნიავეთ შერხეული (მქროლავი) ვუალები მალავენ „შორეული ქალის“ უმშვენიერეს, სიზმარულ სახეს, რომელიც ხან ქრება, ხან გამოჩნდება რეალურის და არაქაურის საზღვარზე. ნახევრად გამჭვირვალე პირბადით ან სულაც მსუბუქი ჩადრით შემოსილი ქალის სახე სავსებით ეწერება ამ ასოციაციურ რიგში და ავსებს ამ რიგს სპეციფიკური აღმოსავლური ელფერით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზეინაბი“ გალაკტიონის ლექსში „მშვიდობიანი სიმღერა დების“ წარმოჩნდება უფრო - „მერის“ ტიპის ქალწულის აღმოსავლურ ვერსიად, ზეციური სილამაზის მიწიერ ხორცშესხმად, ვიდრე - მოღალატე ქალის სახედ ან დემონურ არქეტიპად. ამ ინტერპრეტაციას კიდევ უფრო ამყარებს ლ. ბებურიშვილის მიერ მოყვანილი გალაკტიონის სხვა ლექსის - „მე მოვალ“ (ტაბიძე 2016ა: 141) ტექსტის ანალიზი, რომლის ავტოგრაფულ ვარიანტშიც ასევე ნახსენები არის სახელი „ზეინაბი“. ამ ლექსში საუბარი არის ოცნების, სიზმარული ზმანების ქაღებზე („დედოფალთა გროვა“), რომელთა იდუმალ ხმობას („ძახილი უცნობი, მსუბუქი, ცისმარი“) და დაპირებას ისმენს პოეტი. ეს იდეალის, სოფიური სატრფოს სახეებია. შესაბამისად, სწორედ იდეალის, სოფიური სატრფოს სახე და მისი მიწიერი ხორცშესხმა - სულიერად და გარეგნულად მშვენიერი ქალწული („მერი/ბეატრიჩეს არქეტიპი) მოიზარება „ზეინაბის“ სახელით.

რაში დასჭირდა გალაკტიონს მერის აღმოსავლური სახე და რამდენად შეთავსებადია აღმოსავლური სახე დორიან გრეისთან? რა დამატებით ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს ეს „აღმოსავლური ფიგურა“? გავიხსენოთ, რომ მთლიანად „არტისტული ყვავილების“ ტექსტები-

სათვის და განსაკუთრებით გალაკტიონის კანონის ცენტრალური ტექსტისათვის - „შემოდგომა უმანკო ჩასახვის მამათა სავანეში“ - დამახასიათებელი არის ერთი ზოგადი ტენდენცია: ხშირად, ზოგადი, ინვარიანტული სახის, ობიექტის, ან მოვლენის ჩვენება ხდება მისი რამდენიმე, პარალელური კონკრეტული ვარიანტის მეშვეობით, რაც ერთის მხრივ, წარმოაჩენს აღწერილ ობიექტს, როგორც უნივერსალურ მოდელს, მეორეს მხრივ, ავსებს ამ ზოგად მოდელს ცალკეული კონკრეტული ვარიანტებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებებით და გარდა ამისა, სახეთა ინტეგრირებას შემოაქვს კიდევ რალაც დამატებითი კონცეფტუალური დატვირთვა: კერძოდ, „სავანის“ ტექსტში „პოეტის“, მისი „სულიერი განვითარების გზის“ (გზის მითი), „ნიგნის“ და „ნიგნის პროლოგის“ კონცეფციების გახსნა ხდება ამ ინვარიანტების სხვადასხვა კონკრეტული ხორცშესხმის პრეზენტაციით - დასავლური (გოეთე; გოტიე) რუსული (ა.ბლოკი; მთლიანად რუსული სიმბოლიზმი; დოსტოევსკი), აღმოსავლური (ჰაფეზი) და ქართული ნარატივის (რუსთაველი, ბარათაშვილი და ილია) გამლით. ასეთ პრეზენტაციას, გარდა „პოეტის“, „ნიგნის“, „პროლოგის“ განზოგადებული მოდელის წარმოჩენისა, შემოაქვს ახალი პარადიგმა - დასავლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზის იდეა. გოეთეს „აღმოსავლურ ჰიჯრაზე“ და „დასავლურ-აღმოსავლური დივანზე“ ალუზიები (დოიაშვილი, 2003: 41) სწორედ ამგვარი სინთეზის ზოგადი მოდელის და მისივე კერძო წარმატებული მაგალითის ჩვენებას ემსახურება. დასავლური და აღმოსავლური კულტურების და ქართული ტრადიციების სინთეზის შესახებ რამდენიმე საგულისხმო მოსაზრება არის გამოთქმული გალაკტიონის მეტალიტერატურულ ტექსტებში, სადაც სინთეზის ძირითადი პრინციპიც ღია ტექსტით არის ჩამოყალიბებული და გოეთეც და ჰაფეზიც ნახსენებია [წერილი „გაზელა“ (ტაბიძე 2008: 163). სინთეზის ეს იდეა შემდგომ განვითარებას პოულობს არტისტული ყვავილების სხვა ტექსტებშიც: „ობელისკი“ (ტაბიძე 2016ბ: 185), „ჭიანურები“ (ტაბიძე 2016ა: 84), „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს (ტაბიძე 2016ბ: 188) და „უცნაური სასახლე“ (ტაბიძე 2016ა: 135). ამ უკანასკნელ ლექსის გარჩევას ნინო დარბაისელმა საინტერესო წერილი მიუძღვნა, რომლიდანაც ერთ, ჩვენი მსჯელობისათვის მნიშვნელოვან, პასაჟს მოვიყვანთ: „არტისტულ ყვავილებში“ შესული ლექსი „უცნაური სასახლე“ შედეგია გალაკტიონის სწრაფვისა, ქართულ პოეზიაში დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა შენივთების, „ტრიანონი — შირაზის“ შერწყმისაკენ. როგორც ეს „არტისტული ყვავილების“ გამოცემამდე ზუსტად საუკუნით ადრე გოეთემ „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“ განახორციელა“ (დარბაისელი 2010:

72). ნ. დარბაისელი აქვე განმარტავს, რომ გალაკტიონის პერცეფციაში, დასავლურ-აღმოსავლური კულტურების დიალოგში, ქართული კულტურა აღმოსავლურის ნაწილია და თანამედროვე დროში ის განიხილება ახალი ევროპული ტენდენციების რეციპიენტად. „არტიტული ყვავილების“ წრის ტექსტებში (ზოგჯერ ერთი ტექსტის ფარგლებშიც კი) არც თუ იშვიათია ინვარიანტული ფიგურების დასავლურ და აღმოსავლურ ვარიანტებად წარმოჩენა: პოეტი (ვერლენი, გოტიე, გოეთე, ბოდლერი/ჰაფეზი, რუსთაველი); სატრფო/დედოფალი (მარია ანტუანეტა/თამარი); წიგნი (რომანი/გაზელები), სასახლე (ტრიანონი/შირაზის); მონუმენტი (ობელისკები პარიზის და ლუქსორის). „შემოდგომის ფრაგმენტი“ აგრძელებს ამ ხაზს და განხილული ინვარიანტების (პოეტის და მისი სატრფოს) გამხსნელი კონკრეტული ვარიანტების წრეში შემოყავს ახალი „დასავლური“ ფიგურები - ოსკარ უაილდი/გრეი და ახალი „აღმოსავლური“ პერსონაჟი - ზეინაბი. მეტალიტერატურული ტექსტებიც და „არტიტული ყვავილების“ პროლოგში სინთეზის ამ თემის აქცენტირება, მეტყველებს იმაზე, რომ გალაკტიონი დასავლურ-აღმოსავლურ დიალოგში მნიშვნელოვან და უნივერსალურ ტენდენციას (და პერსპექტივას) ხედავს. მართლაც, მე-18 საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული და გალაკტიონის თანამედროვე პოეტების ჩათვლით, დიდი ევროპელი პოეტების უმრავლესობის შემოქმედება, ასე თუ ისე ჩართული არის დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა დიალოგში და ეს ზოგადი ტენდენციაა, კულტურული დიალოგის ზოგად მოდელს ასახავს. ევროპელი პოეტების აღმოსავლური აზროვნებით და ესთეტიკით დაინტერესება - დაკარგული სამოთხის ძიების ნარატივის ნაწილი ხდება. ბევრი კვლევა არსებობს დიდი ევროპელი პოეტების და მათ შორის, ოსკარ უაილდის აღმოსავლურ და კერძოდ, სუფიურ პარალელებზე (ლავროვა 2012: 360-365; გერასიმოვა 1997). ვერ ვიტყვით, რომ ოსკარ უაილდისათვის აღმოსავლური თემატიკა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გოეთესათვის, ან რომ დასავლურ — აღმოსავლური კულტურული დიალოგის კონტექსტში, ოსკარ უაილდის შემოქმედებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანს“. მაგრამ ოსკარ უაილდიც, უთუოდ, მოიაზრება ამ ზოგადი დასავლურ — აღმოსავლური დიალოგის მონაწილედ. ამიტომ დორიან გრეის წმინდა აღმოსავლურ სახესთან - „ზეინაბთან“ - შეწყვილება არ ჩანს არაორგანული (რამდენადაც განსხვავებული მოსაზრება არ უნდა ჰქონდეს, ვთქვათ, კოლაუ ნადირაძეს).. ოსკარ უაილდის გმირის აღმოსავლურ ფიგურასთან დაწყვილება ხაზს უსვამს, რომ გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური“ დივანი გამონაკლისი კი არა, ზოგადი მოდელის განსახიერებაა.

დასავლურ-აღმოსავლური კულტურული დიალოგის კონტექსტში, ის მოსაზრება, რომ გალაკტიონის შეიძლება ჰქონოდა სურვილი „მერის“ აღმოსავლური ტყუპისცალი წარმოეჩინა სავსებით ლოგიკურია. სილამაზის და ღვთაებრივის „სუფიური“ გაგება ახლოს არის თავისი არსით „სოფიურ“ მსოფლმეგრძნებასთან. მართალია სუფიზმში არ არის მკვეთრი აქცენტი გაკეთებული ღვთაებრივი სილამაზის ქალურ ან მარადქალურობის ასპექტზე, მაგრამ ქალის სილამაზე უთუოდ ღვთაებრივის მინიერ გამოვლენად აღიქმება. აღმოსავლური სამოთხე - ქალის სილამაზე და თრობა და „სამოთხის ძიება“ ერთგვარი „სულიერი ეროტიზმის“ ელფერს იძენს. სულიერი ძიების ამ უნივერსალური (აღმოსავლურ/დასავლური) ნარატივის ფრაგმენტების სხვადასხვა ლექსებში გაშლისას, მოსალოდნელი იყო, რომ დასავლურ ქალურ არქეტიპებთან ერთად (ოფელია; ლენორა; მერი; ბეატრიჩე და ა.შ.) უნდა გამოჩენილიყო მათი აღმოსავლური ვარიანტიც. არსებითად, დების სიმღერა, რაც ასევე ინვარიანტული ხატია „არტიტული ყვავილების“ სივრცეში [„ი.ა.“ (ტაბიძე 2016ა: 116); „მშვიდობიანი სიმღერა დების“ (ტაბიძე 2016ბ: 140)], შინაარსობრივად არა იმდენად დები იშხნელების გახსენება (მიუხედავად ამ - შემოქმედებითი იმპულსის მომცემი მოგონების რეალურობისა), არამედ სწორედ ამ ქალური სახეების, ტყუპისცალების „სერიის“ წარმოდგენას ემსახურება, წარმოაჩენს მათ, როგორც - „დებს“, - ერთი არსებითი მოდელის განსხვავებულ, მაგრამ მონათესავე სახეებად ხორცშესხმას. შორეული ქალწულის იგივე სახეების წარმოჩენას ემსახურება ტროპი - „დედოფალთა გროვა“. „ზეინაბი“ - სატრფოს ერთ-ერთი სახეა „დების სიმრავლიდან“ ან ერთ-ერთი „დედოფალი გროვიდან“. ამრიგად, გასაგები ჩანს ისიც, თუ რისთვის დასჭირდა გალაკტიონს სატრფოს „აღმოსავლური“ ფიგურის შემოტანა და არც ის არის გასაკვირი, რომ ამ აღმოსავლური ფიგურის ოსკარ უაილდთან დაკავშირება მას სავსებით გამართლებულად მიაჩნია.

იბადება კითხვა, რატომ გახდა სწორედ „ზეინაბი“ ამ მარადქალური სახის აღმოსავლური სიმბოლო? რატომ მიგვაჩნია, რომ „ზეინაბი“ გამოდგება მეტონიმად ამ ზოგადი ქალური სახის რეპრეზენტაციისათვის? რა ასოციაციური კავშირები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სწორედ „ზეინაბი“ (და არა, ვთქვათ, გულნარა ან ზულფია) ეფექტურად ასრულებს ამ სიმბოლოს ფუნქციას? შეიძლება, რა თქმა უნდა, მოვიყვანოთ მეტად ზოგადი არგუმენტები:

ზეინაბი არის მუსლიმურ სამყაროში ქალის ერთ-ერთი-ყველაზე გავრცელებული სახელი, რომელიც საქართველოშიც საკმაოდ ხშირად გვხვდება (სხვა მუსლიმურ სახელებთან შედარებით) და რომელიც ფაქტიურად იქცა

მუსლიმი ქალის, ან გამაჰმადიანებული ქართველი ქალის არქეტიპად ქართული კულტურის სივრცეში (სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატის“ შემდეგ იგივე სახელი მეორდება, მაგალითად, პ.კაკაბაძის „კახაბერის ხმალში“ და უიარაღოს „მამელუკის“ ეკრანიზაციაში).

ქალის სახელის ზეინაბის წარმომავლობა - ერთი ვერსიით, უკავშირდება არაბულ სიტყვას „ზეინა“ (زینة), რაც ნიშნავს ორნამენტს, სამკაულს, მშვევლებას, მამის განძს, ანუ სილამაზესთან და „პლატონურ სიყვარულთან“ არის დაკავშირებული (მეთინ იურთბაში 2016). მეორე ვერსიით - სიტყვას ზეინაბ (زیناب), რაც მშვენიერი შესახედაობის და კეთილსურნელოვან ხეს ნიშნავს. ამ უკანასკნელ ვერსიას იზიარებს, კერძოდ, უდიდესი არაბი მოაზროვნე და მისტიკოსი პოეტი — იბნა ალ არაბი (1165 — 1245).

„ზეინაბი“ არის წინასწარმეტყველ მუჰამედის საყვარელი სახელი: ამ სახელს ატარებდა მუჰამედის ორი მეუღლე, ქალიშვილი, გერი (რომელსაც სახელი თავად მუჰამედმა გადაარქვა) და შვილიშვილი და ეს იძლევა კიდევ ერთი პარალელის გავლების საშუალებას „ჰიჯრასთან“ და, შესაბამისად, გალაკტიონისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინტერტექსტთან - გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანთან“.

რუსული ვერცხლის საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ი.ბუნინის აღმოსავლური ტექსტების კორპუსში წარმოდგენილია 1903-1906 წლებში დაწერილი, თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული ლექსი - „ზეინაბი“ (ბუნინი: 1965), სადაც ეს სახე აღმოსავლური სულიერი სილამაზის სიმბოლოდ წარმოჩნდება.

თ. გოტიესა და შ. ბოდლერის თანამედროვე დიდი პოეტის ჟერარ დე ნერვალის „მოგზაურობა აღმოსავლეთში“, - ასევე დაკავშირებული არის ქალურ პერსონაჟთან სახელად ზეინაბი (ჟერარ დე ნერვალი: 1986).

და მაინც, მე ვფიქრობ სწორი არიან ლევან ბებურიშვილი და სხვანი, ვინც მიუთითებენ სუმბათაშვილი-იუჟინის პიესის „ღალატის“ პერსონაჟ ზეინაბზე, როგორც გალაკტიონის ამ ქალური სახის მთავარ რეფერენტზე. განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ ჩვენი აზრით გადამწყვეტი აქ არის არა „ღალატის“ თემის აქტუალიზაცია და ზეინაბის სახით „ვამქ ქალის“ ან Fatal Fame-ს ინვარიანტის წარმოჩენა, არამედ პერსონაჟის სახელის დუალურობა - (ზეინაბ/თამარის იგივეობა). ლ.ბებურიშვილი თავის მშვენიერ ნარკვევში იმასაც აღნიშნავს, რომ სუმბათაშვილი-იუჟინის პერსონაჟს გამაჰმადიანებამდე თამარი ერქვა და მხოლოდ მერე გახდა ზეინაბი, და გარდა ამისა, მოყავს გალაკტიონის მინაწერი „არტისტული ყვავილების“ ერთ-ერთი ლექსის - „მე მოვალ“ (ტაბიძე 2016ა: 141) ავტოგრაფულ ვარიანტზე - „ზეინაბ, თამ-

არი“. ანუ გალაკტიონისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სახელი „ზეინაბი“ მყარად უკავშირდებოდა სახელს „თამარი“ (ამ კავშირს სწორედ სუმბათაშვილი-იუჟინის პიესის პერსონაჟი ანხორციელებს). იგივე პერიოდში, რაც „შემოდგომის ფრაგმენტი“ და „მე მოვალ“ არის დაწერილი გალაკტიონის ლექსი „დრო“ (ტაბიძე 2016ა: 144) - ამ ლექსის ერთ-ერთ ავტოგრაფულ ვარიანტში წარმოდგენილი „თამარი“ ჩანაცვლებული არის საბოლოო ვარიანტში სიტყვით - „აზია“. „თამარი“ არის აზია და არის ზეინაბი, რაც ნიშნავს, რომ გალაკტიონისათვის ზეინაბიც - არის აზია, „ზეინაბი“ და „თამარი“ აზიის, აღმოსავლეთის მეტონიმია გალაკტიონისათვის. „თამარის“ ან „თამარი/ზეინაბის“ დუალური ფიგურა ქართულ/აღმოსავლური ნარატივის მდგენელია და სიმბოლისტური სატრფოს არქეტიპის ქართულ/აღმოსავლურ ვარიანტს გვთავაზობს.

ზეინაბ/თამარის დუალური სახის პირველი მდგენელი - „ზეინაბი“ არტისტული ყვავილების სხვა ტექსტებში (გარდა ციტირებულისა) აღარ გვხვდება, მაგრამ მეორე მდგენელი - „თამარი“ (დასახელებული, თუ დაუსახელებლად) ფიგურირებს არაერთხელ. გავიხსენოთ, რომ „სავანის“ ტექსტშიც (სადაც ძირითადი ნარატივის ფრაგმენტები დასავლური, რუსული, აღმოსავლური და ქართული ვერსიების სახით არის რეპრეზენტირებული) და მასთან ინტერტექსტუალურად დაკავშირებულ სხვა ტექსტებშიც - გზის მითის ქართული ვარიანტი წარმოდგენილი არის რუსთველური ალუზიებით. პოეტის და მისთვის მიუწვდომელი სატრფო/სუვერენის (დედოფლის/მარადი ქალწულის) ზოგადი ნარატივი, მის ქართულ ვერსიაში წარმოჩნდება რუსთველოლოგიური მითოლოგიის სახით, რუსთაველის და თამარის ტრფობის მეორადი მითოლოგიის მეშვეობით. „სავანეში“ მონიშნული ეს თემა ხორციმეხულია „არტისტული ყვავილების“ წრის რამდენიმე ლექსში [„დრო“(ტაბიძე 2016ა: 144); „აუზისაგან““(ტაბიძე 2016ა: 133); „უნაზესი ხელნაწერი““(ტაბიძე 2016ა: 63); „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის““(ტაბიძე 2016დ: 130)]. ამ თემაზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ზაზა შათირიშვილს (შათირიშვილი 2004: 48 — 55). რუსთველური ვერსია წარმოადგენს, ერთის მხრივ წმინდა ქართულ ნარატივს და მეორეს მხრივ ის წარმოჩნდება როგორც ზოგადი აღმოსავლური მოდელის მდგენელი. ამ ნარატივში „თამარი“ — პოეტი/რანდი-სათვის მარად მიუწვდომელი სატრფო-დედოფალი-იდელის როლს ასრულებს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანი არის შემდეგიც: „თამარი“, როგორც დემონურ პერსონაჟთან შეწყვილებული ქალწულის სახე - დამკვიდრებული კულტურული არქეტიპია მ.ლერმონტოვის და ა.ბლოკის ტექსტების და

მ.ერუბელის ფერწერული ტილოების მეშვეობით. „თამარი“ მ.ლერმონტოვის და ა.ბლოკის ტექსტებში წარმოჩნდება, როგორც „აღმოსავლური“ ფიგურა, დემონის სიყვარულით დაღუპული სპეციაკი სული.

და მაინც, რატომ არის ასე აქტუალური გალაკტიონისათვის „თამარის“ და „ზეინაბის“ სიმბოლოების ერთ დუალურ სიმბოლოდ - „თამარი/ზეინაბად“ ინტეგრირება და რატომ მაინც და მაინც „ზეინაბი“ აირჩია პოეტმა ამ დუალური სიმბოლოს აქტუალიზაციისათვის და არა „თამარი“? აქ ორი მნიშვნელოვანი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება.

პირველი: როგორც ვნახეთ, „ზეინაბ/თამარის“ დუალური სიმბოლო ერთ კვანძში სამი პარალელური ნარატივის შეკვრას ხდის შესაძლებლად - აღმოსავლური ნარატივის, რუსთველური და რუსული რომანტიზმის ნარატივების. ცალკე აღებული „თამარი“, როგორც სიმბოლო ვერ შეძლებდა სამივე ნარატივის ინტეგრირებას. „თამარი“ ძალიან ძლიერი და კონკრეტული არქეტიპია ქართულ კულტურულ სივრცეში და „თამარის“ ხსენება სულ სხვა ასოციაციებს იწვევს - ნაკლებად გვახსენებს სუმბათაშვილი-იუჟინის პერსონაჟს და დუალურ სიმბოლოს (ზეინაბი/თამარი) და ძალიან შორია დორიან გრეისგანაც. „თამარის“ კულტურული (ისტორიული და მითოლოგიური) კონტექსტიდან მოწყვეტა და დორიან გრეის პერსონაჟთან დაკავშირება ძალიან ხელოვნური და არაეფექტური იქნებოდა. ამრიგად, სიმბოლო „თამარი“ ვერც დამოუკიდებელ კავშირს ამყარებს „გრეისთან“ და ვერც დუალური სიმბოლოს აქტუალიზაციას ახერხებს, რომ „ზეინაბის“ მეშვეობით უზრუნველყოს ეს კავშირი. „ზეინაბი“ შესაძლოა არ არის ისევე სპეციფიური სახელი ოსკარ უაილდისათვის, როგორც ეს იქნებოდა ჟერარ დე ნერვალის ან ივან ბუნინის შემთხვევაში, მაგრამ, ადრე ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, „ზეინაბი“ - კარგად ასრულებს ზოგადად „აღმოსავლეთის“ და კერძოდ - აღმოსავლური მისტიური ეროტიზმის მეტონიმის ფუნქციას და თავსებადია ოსკარ უაილდის აღმოსავლურ ნარატივთან. ამავე დროს, „ზეინაბი“, სწორედ თავისი იშვიათობის გამო ქართულ კულტურულ ლექსიკონში, სპეციფიკურად გვახსენებს სუმბათაშვილი-იუჟინის პერსონაჟს და შესაბამისად, მყარად უკავშირდება „თამარს“. ანუ „ზეინაბი“ ქართულ კულტურულ სივრცეში (ისევე როგორც - რუსულში) ეფექტურად ანხორციელებს დუალური სიმბოლოს - „ზეინაბ/თამარის“ აქტუალიზაციას და ასოციაციურ წრეში შემოყავს „თამართან“ დაკავშირებული ნარატივები.

მეორე: ზეინაბი/თამარი - ხაზგასმულად თეატრალური პერსონაჟია, თანაც პერსონაჟი, რომლის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ისტორიას, ისევე როგორც მთლიანად პიესის შინაარსს არავითარი კავშირი არა აქვს „შემოდგომის ფრაგმენტის“ შინაარსთან. რასაც აქვს მნიშვნელობა (და დიდი მნიშვნელობა) - არის ის, რომ მომხიბლავი

არსება, რომელიც დორიან გრეის მიჰყვება გალაკტიონის ტექსტში, არის არა იმდენად რეალური ქალი, რამდენადაც - თეატრალური სახე, ხელოვნების სივრცეში ხორცშესხმული მშვენიერება. ეს მოტივი ახლოს არის როგორც „დორიან გრეის“ შინაარსთან, ასევე იმ ესთეტიკურ/ფილოსოფიურ კონცეფციასთან, რომელიც არის ჩამოყალიბებული ოსკარ უაილდის ამ რომანში. გავიხსენოთ, რომ რომანში დორიან გრეის უყვარს არა რეალური ქალი - სიბილა უეი, არამედ მის მიერ განსახიერებული მშვენიერი თეატრალური ქალური სახეები, შემოქმედებითი წარმოსახვის შედეგი. ამ თვალსაზრისით - „ზეინაბ/თამარი“, როგორც სუმბათაშვილი-იუჟინის პიესის პერსონაჟი და არა რეალური პიროვნება - სრულად შეესაბამება ამ კრიტერიუმს, მაშინ როცა ტრადიციული „თამარი“ ამ ასოციაციურ კავშირს ვერ უზრუნველყოფს.

დასასრულს, მიზანშეწონილად მივიჩნით დამატებით რამდენიმე სიტყვის თქმა „შემოდგომის ფრაგმენტის“ ტექსტში ა.ბლოკზე არსებული არაერთი მინიშნების შესახებ. აქ მე ვგულისხმობ არა იმდენად ბლოკის და გალაკტიონის საკუთარ მეუღლეებთან ურთიერთობის ცხოვრებისეული ისტორიების მსგავსებას (რაზეც, თ.დოიშვილმაც მიანიშნა თავის წერილში „დრამა ბინაში ანუ ფსევდოლეგენდის წინააღმდეგ“), არამედ პოეტურ ტექსტებში რეალიზებული რომანტიკულ/სიმბოლისტური კონცეფციების ნათესაობას და გალაკტიონის ტექსტში არსებულ ალუზიებს, რომლებიც ა.ბლოკის „კონცეფტუალურ მოდელთან“ გვაბრუნებენ. როგორც ცნობილია, „გზის მითიც“ და სატრფოსთან პოეტის ურთიერთობის რომანტიკულ/სიმბოლისტური კონცეფცია - რუსული სიმბოლიზმის ნიაღში ყველაზე უფრო თანმიმდევრულად სწორედ ა.ბლოკსა აქვს დამუშავებული. ეს კონცეფტუალური მოდელი მოცემულია უკვე «Прекрасная Дама»-ს ციკლში და შემდგომ განვითარებას ჰპოვებს გვიანდელ ტექსტებში, სადაც „მარადი ქალწული“ მახინჯ მინიერ რეალობაში დემონიური ქალური პერსონაჟების ან სულაც მეძავის სახით წარმოჩნდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანი აქ უნდა იყოს ის, რომ «Прекрасная Дама»-ს პირდაპირი თარგმანი (მიუხედავად იმისა, რომ ქართულ თარგმანებში უფრო ხშირად „მშვენიერი ქალი“ გვხვდება) არის - „მშვენიერი ბანოვანი“. „ბანოვანი“, სიტყვა, რომელიც, ლ.ბებურიშვილის შენიშვნის არ იყოს, მართლაც იშვიათად გვხვდება გალაკტიონის ლექსიკონში, სწორედ გამორჩეულად «Дама»-ს შესატყვისია და არა ქალწულის ან ქალის აღმნიშვნელი სხვა რომელიმე სიტყვის. შესაბამისად, „ფერფლდება თვალთა ბანოვანება“ - შემოდგომის ფრაგმენტის“ ტექსტში - არა მხოლოდ ბარათაშვილზე და სიყვარულის მის კონცეფციაზე მინიშნება უნდა იყოს (რასაც სამართლიანად შენიშნავს ლ.ბებურიშვილი), არამედ ასევე მინიშნება - ა.ბლოკზე და მშვენიერი ბანოვანის, მარადქალურობის („ბანოვანების“) მითის რღვევაზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მარადი ქალურობის მინიერი

სახეების ბლოკისეულ სერიაშიც გხვდება აღმოსავლური ფიგურები და კერძოდ, ეს - „დემონის“ მოტივებზე შექმნილ ცნობილ ტექსტებში წარმოჩენილი - „თამარის“ სახეა. „თამარი/დემონის“ წყვილი განასახიერებს ამ ტექსტებში ქალური, ამაღლებული მშვენიერების და დემონური რომანტიკული გმირის ურთიერთმიმართების ინვარიანტულ მოდელს, რომლის ანალოგიური ვარიანტი არის ზეინაბისა და გრეის წყვილი. ა.ბლოკის (და გარკვეულწილად - ლერმონტოვის) ფიგურის აქტუალიზაცია ხორციელდება, როგორც იმ ზოგადი „გზის მითის“ ფრაგმენტის პრეზენტაციით, რომელიც სწორედ ა.ბლოკს აქვს დეტალურად აღწერილი თავის მეტალიტერატურულ ტექსტებში და ტრილოგიად შეკრულ ლექსების ციკლებში, ასევე ბლოკისათვის სპეციფიური რეფერენტების (ბანოვანი, ბანოვანება) და მისი აღმოსავლური ციკლის პერსონაჟის (თამარის) წარმოჩენით. გალაკტიონს, როგორც მოგეხსენებათ, უყვარს უნივერსალური კონცეფტუალური მოდელების ჩვენებისას, მისი ერთდროულად რამდენიმე ცნობილი კონკრეტული ვარიანტის სახით წარმოჩენა და ხშირად ამ სხვადასხვა ვარიანტების აქტუალიზაციას ერთი და იგივე, „კვანძური“ სიტყვა-მედიატორით ახერხებს...

P.S. გალაკტიონს, როგორც მოგეხსენებათ, უყვარს... ერთი სიმბოლოს გამოყენებით სხვადასხვა აზრობრივი შრეების დაკავშირება და ერთ კვანძად შეკვრა, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ინტეგრირება ... ვაცნობიერებდით რა გალაკტიონის ტროპების ამ თავისებურებას, „შემოდგომის ფრაგმენტის“ ტექსტში მთელი ამ მოგზაურობის დროს არ გვასვენებდა ქვეცნობიერი განწყობა, რომ ლევან ბებურიშვილის მიერ წარმოდგენილ სქემას (და მთლიანად მის ნარკვევს, რომელიც ძალიან მოგვეწონა) არ დაუკარგავს აქტუალურობა. მიუხედავად მთელი ჩვენი წინარე მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნისა, რომ „ზეინაბი/თამარი“ სატრფოს მერი/ბეატრიჩეს ტიპია, - ქალწულის წმინდა სახეს წარმოაჩენს, ინტეგრალური ტროპის სირთულე (და მთლიანი ნარატივის კონტექსტი) ტოვებს საწინააღმდეგო სცენარის აქტუალურობის შესაძლებლობასაც: იმის შესაძლებლობას, რომ ზეინაბი/თამარი გარდაისახოს „ავლაბრის უნამუსო - თამროდ“ ი.ჭავჭავაძის გლახის ნაამბობიდან („... ის თამრო აღარა ვარ“)... გავიხსენოთ, რომ „თამარის“ სახე ამბივალენტურია ლერმონტოვთანაც: თუ პოემაში „დემონი“ ეს ქალწულის, ანგელოზური სახეა, ლექსში „Тамара“ ის დემონურ პერსონაჟად, „სისხლიანი ბაგეების მქონე ვარდად“ წარმოგვიდგება:

**В той башне высокой и тесной
Царица Тамара жила:
Прекрасна, как ангел небесный,
Как демон, коварна и зла.
.....
Сплетались горячие руки,**

**Уста прилипали к устам,
И странные, дикие звуки
Всю ночь раздавались там.**

ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ „ზეინაბი/თამარის“ ერთ სიმბოლოში - ზოგადი რომანტიკულ/სიმბოლისტური მოდელის ორივე ეს სახე იყოს ინტეგრირებული, ისევე როგორც დორიან გრეის პერსონაჟი მოიცავს ორივეს - „ზეციურ“ და „დემონურ“ არქეტიპებს. აქვე გავიხსენოთ, რომ სწორედ ასეთი დუალურობა ახასიათებს ა. ბლოკის „მშვენიერი უცნობი ქალის“ (Прекрасная незнакомка) სახეს - „მშვენიერი უცნობი ქალიც“ ხომ ჩვეულებრივი მეძავია, რომელიც მხოლოდ პოეტის „ღამენათევ და ნამთვრალე“ ხილვებში წარმოჩნდება არამინიერ, ამაღლებულ არსებად და პირბადის მიღმა მალავს „მოხიბლულ, თუ მოჯადოებულ ნაპირებს“... (И Vინო Vერიტას!... როგორც გვასხოვს...). ამ გაორებული ხედვის გათვალისწინებით, იდუმალი ხმობა, რომელიც „დედოფალთა გროვიდან“ მოისმის, იდილიურ დისკურსში (თეზისი) თუ - სოფიური სატრფოს ხმის ანარეკლებია, მსუბუქი, ზეციური ხმები, - რომანტიკული ამბოხის (ანტითეზისის) შესაბამის ირონიულ დისკურსში — ეს ხმები აღიქმება, როგორც დემონურ ქალთა მაცდური, მომავადობეული ძახილი, ილუზიების და გალუციანაციების ტყვეობაში მომქცევი მუსიკის ხმოვანება.

ზემოთ მოყვანილი, ეს ჯერ ნახევრად ინტუიტიური, არგუმენტებით გაუმყარებელი ჰიპოთეზა გვაბრუნებს ისევ „შემოდგომის ფრაგმენტის“ ტექსტთან და ოსკარ უაილდის რომანთან და მის ესთეტიკურ/მსოფლმხედველობრივ სისტემასთან. „შემოდგომის ფრაგმენტის“ ქალური პერსონაჟი, რომელიც მიჰყვება დორიან გრეის - ეს ერთდროულად რეალური, მინიერი ქალიც უნდა იყოს და ის თეატრალური სახეც, ის იდეალური სახე, რომლის სიმალლესაც მინიერი ქალი მხოლოდ შემოქმედებითი „რეალიზაციისას“ აღწევს. ხსენებული პერსონაჟი ამ ქვეყნად - მსახიობი ქალიც არის (ვინმე...სიბილა უეის მსგავსიც... ფაქტიურად უსახელო) და მის მიერ შესრულებული მშვენიერი როლებიც. როგორც თეატრალური სახე, ეს ქალი - ამაღლებული ნარატივის ნაწილია, - „მერი/ბეატრიჩეა“, ხელოვნებაში ხორცშესხმული (მისტიკური სივრციდან - ხელოვნების სივრცეში გადანაცვლებული) არსება. ამ სახით იგი მიმზიდველია დორიანის ტიპის ლირიკული გმირისთვის. ამავე დროს, როგორც რეალური (მინიერი) ქალი, ის - იმედგაცრუების საგანია, „მოღალატეა“, რადგან არ ან ვერ შესაბამება მის მიერ შესრულებულ როლებს, მაღალ იდეალებს, - მინიერ, ჩვეულებრივი ქალის სურვილებამდე „ხურდავდება“. „ზეინაბი/თამარი“ მეტონიმურად წარმოგვიჩენს თეატრალურ სახეს, ხელოვნებაში, მხატვრული წარმოსახვით შექმნილ სახეს, ხოლო იგივე ტროპით აქტუალიზებული „ღალატის“ თემა მინაზე გვაბრუნებს, გვასხენებს, რომ პოეტის ალტერ ეგო-ს რეალური თანამგზავრი სხვაა, რომ ის ამ

მაღალ იდეალებს არ შეესაბამება, რომ ქალი ლალატობს მისთვის პოეტის მიერ დაკისრებულ „ამაღლებულ მისას“, როდესაც ის პოეტისაგან ჩვეულებრივ, მინიერ სიყვარულს ითხოვს. ასე დანახული ნარატივი ზედმიწევნით ზუსტად ასახავს „დორიან გრეის“ შინაარსსაც, ა.ბლოკის პირად დრამასაც და შერბილებულად, თუმცა არსებითად სწორად, გალაკტიონის პირად დრამასაც. როგორც ვხედავთ, ამ ნარკვევის ბოლოს ჩვენ დავბრუნდით საწყის ნერტილში, ლევან ბებურიშვილის ნარკვევთან და ვალიარეთ, რომ მის ნარკვევში წარმოჩენილი - გალაკტიონის პირადი დრამაც, „ლალატის“ თემაც და „ზეინაბის“ მხატვრული სახის ხედვაც, თუმცა ოდნავ შეცვლილი სახით, მაგრამ მაინც ჩართულია ტექსტის ნარატივში და ასახული არის ინტეგრალურ ტროპში.

პირადი დრამების რეფლექსირებაზე უფრო მნიშვნელოვანი, ცხადია ის ზოგადი კონცეფციებია, რითაც მდიდრდება „არტისტული ყვავილების“ პროლოგში წარმოდგენილი უნივერსალური რომანტიკულ/სიმბოლისტური მოდელი - ამ მოდელის ფარგლებში ევროპული კულტურის კიდევ ერთი თვალსაჩინო ფიგურის - ოსკარ უაილდის ნარატივების ჩართვით. ოსკარ უაილდთან ერთად მოდელში შემოდის: დეკადენტური ესთეტიზმის, ხელოვნების რეალობაზე პრიორიტეტულობის, ზნეობრივი რელატივიზმის, დენდიზმის, ცხოვრების ხელოვნებად გადაქცევის და ა.შ. მოდერნისტული კონცეფციები და პარადოქსალურობის, მოულოდნელობის მხატვრული პრინციპი. ეს კონცეფციები - პოეტის მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური შეხედულებების განუყოფელი ნაწილი ხდება. „არტისტული ყვავილების“ სივრცეში - გოეთეს, ბოდლერის, გოტიეს, ოსკარ უაილდის, რუსი სიმბოლისტების, დოსტოევსკის, რომანტიკოსების, ვერლენის, ედგარ პოს, რუსთაველის, ბარათაშვილის - ტექსტების, კონცეფციების, ესთეტიკური პრინციპების და პოეტის თავისებურებათა ასახვა, გვაიძულებს დავასკვნათ, რომ გალაკტიონისათვის ახლოა თანამედროვე ლიტერატურული პროცესის ხედვა, როგორც „მსოფლიო კულტურის მონატრების“ (Тоска по мировой культуре). აკმეიზმის შესახებ ო. მანდელშტამის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები (ო. მანდელშტამი 1990: 438) მთლიანად გვიანდელ სიმბოლიზმსაც მიესადაგება. სხვადასხვა კულტურულ შრეებთან, სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობების ტექსტებთან და საკუთარი სისტემის ადრეულ ტექსტებთან ინტენსიური დიალოგის გამო, სიმბოლიზმის ის მიმართულება, რომელთანაც, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო ახლოა გალაკტიონი, ზოგიერთი ავტორის მიერ მოიხსენიება, როგორც - „მეტასიმბოლიზმი“. სხვა მკვლევარები ამჯობინებენ სიმბოლიზმის ეს რთული, არაერთგვაროვანი სისტემა უბრალოდ გვიანდელი სიმბოლიზმის სახელით მოიხსენიონ (ზ.მინცი 2004: 175—189; ა.ჰანზენ-ლოვე 1999: 6-37). გალაკტიონ-

ისათვის, ისევე როგორც გვიანდელი სიმბოლიზმის ბევრი მნიშვნელოვანი ფიგურისათვის (პოეტებისა და ფილოსოფოსებისათვის), „მახინჯი რეალობის“ პირობებში ადაპტაციის სტრატეგიაში - პანესთეტიზმი, შემოქმედება და ხელოვნება ხდება პრიორიტეტული წმინდა მისტიურ რეალიზაციასთან შედარებით. უხეში, მახინჯი სინამდვილის ნიაღში ნაპოვნი რეალობის ის იზოლირებული არე ან ასპექტი, სადაც სულმა შეიძლება დაიმკვიდროს თავი, გაიდგას ფესვები, გაემიჯნოს რეალობის არაესთეტიკურ მხარეს - არის ხელოვნების, კულტურის სივრცე და არა მისტიური ტრანსცენდენციის „სხვა მხარე“ ან „სხვა სივრცე“. „ზეინაბ/თამარის“ თეატრალური სახე სახეებით შესაბამება გვიანდელი სიმბოლიზმის ამ სტრატეგიას: „თეზისის“ შესაბამისი სოფიური სატრფო, იდეალი - „სინთეზის“ ფაზაში მისტიური ტრანსცენდენციის სივრციდან გადაინაცვლებს ხელოვნების, კულტურის სივრცეში.

P.P.S. აქ ვაპირებდი წერტილი დამესვა ამ წერილისთვის: დასავლურ-აღმოსავლური კულტურული დიალოგი, სულიერების ეს უწყვეტი და თავბრუდამხვევი მრავალხმოვანება, და ამ მრავალხმოვანებაში - გამორჩეული მუსიკალური ფრაზები, გალაკტიონის განუმეორებელი ხმა... ლოგიკურ დასასრულად მეჩვენებოდა, მაგრამ არაცნობიერს თავისი კაპრიზები აქვს... არ მასვენებდა რალაციის უთქმელობა, მზერა პირბადის მიღმა, ის მშვენიერი ლანდი - რაც დიდი ხნის წინ უნდა შემემჩნია, სიჩუმეში და მარტოობაში აღმომჩინა და მხოლოდ ეხლა, ამ მრავალხმოვანებასა და სიჭრელეში მოვკარი თვალი მის ანარეკლს...

ამ წერილში, ადრე უკვე გავიხსენე, რომ თ.დოიაშვილის საყოველთაოდ აღიარებული (იმედია) ხედვის შესაბამისად, ლექსი „შემოდგომა განდევნილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეში“ „არტისტული ყვავილების“ პროლოგია. ეს უაღრესად კონცენტრირებული ტექსტია, რომელშიც გალაკტიონმა მოახერხა „ჩაეცა“ სიმბოლისტური წიგნის და წიგნის პროლოგის კონცეფცია, „არტისტული ყვავილების“ ძირითადი შინაარსი მთლიანად და თითქმის ყველა მდგენელი ნარატივი, მათ შორის - კულტურათა დიალოგის თეორიაც და მთელი ევროპული ფაუსტური კულტურაც... ის ერთადერთი, რასაც ვერ ვხედავდი ამ ტექსტში - ეს „სატრფოს“ სახეა, სახე, რომელიც ცენტრალურია „გზის მითისათვის“... ცხადი იყო, რომ პროლოგში წარმოდგენილი „გზის მითის“ სხვადასხვა ასპექტები უფრო დეტალურად გაშლილია წიგნის სხვა „ფრაგმენტებში“, „არტისტული ყვავილების“ ცალკეულ ლექსებში და „სატრფოს ნარატივი“, მისი სოფიური სახეც და მინიერი ანარეკლებიც გამოკრთის მრავალი შედევიდან. მაგრამ თავად „პროლოგის“ ამ უაღრესად კონცენტრირებულ ტექსტულურ სივრცეში - სატრფოს სახეს ვერ ვამჩნევდი... პერიფერიაზე, რუსთველური ნარატივის სივრცეში, გაივლებოდა, რა თქმა უნდა, თამარის ნათე-

ლი სახე... მაგრამ მალევე იკარგებოდა, იჩრდილებოდა პირველი პლანის მრავალრიცხოვანი, „მეტი სიმკვრივის“ მქონე ფიგურებით... და აი, ამ წერილის დასრულებისას, სულ ერთმა მცირე დეტალმა ითამაშა მაგიური „სეზამის“ როლი და გახსნილი თვალთახედვის წინ ნათლად წარმოჩნდა ის, რაც დიდი ხნის წინ უნდა „დამენახა“, ის რასაც, დარწმუნებული ვარ, ბევრი სხვა უკვე ხედავდა კიდეც: ზემოთ ვახსენე, რომ ერთ-ერთი ვერსიით სახელი ზეინაბის წარმომავლობა დაკავშირებულია არაბულ სიტყვასთან ზეინაბ (زيناب) - რაც არომატულ ყვავილებს და მშვენიერი შესახედაობის, მოყვავილე, კეთილსურნელოვან ხეს ნიშნავს - ანუ, ეს სახე გალაკტიონისათვის მნიშვნელოვან ისეთ აღმოსავლურ სიმბოლოს უახლოვდება, როგორცაა - „სანდალი“ „არტისტული ყვავილების“ „პროლოგის“ ტექსტში. აქ, ცნობიერებაში ამოტივტივდა: „ატმის ხე იდგა, ვით ნაზი ქალი, ვით დედოფალი უცხო მხარეში...“, „ატმის რტოო, დაღაღულო რტოო..“, „და დედოფალი ალვა - ელვამ დაღუნა ცივმა“... და, რაც მთავარია, ეს - ღვთისმშობლის ხატის სადარი - სულის წამლები იკონიკური ჩვენება - „ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი, რომელსაც აზიის ცით გადაუარეთ.“ „სანდალი“ — „სავანის“ ტექსტში გოტიე/გოეთეს ფიგურების და „პროლოგის“ გოტიესეული მოდელის აქტუალიზაციასაც ემსახურება (თ. დოიაშვილი, 2003: 41). ამავ დროს, ეს სიმბოლო უხვად არის დატვირთული სხვა კულტურულ/მითოლოგიური ასოციაციებით. „სანდალი“ - (სიმბოლური „ტევადობით“ „ალვა ტანადის“ ადექვატური აღმოსავლური ფიგურა) - ყოვლისმომცველი, ღვთაებრივი სიმბოლოა: ეს სამყაროს მითოპოეტური მოდელია („სამყარო-ხე“), სამყარო/კულტურის მოდელი („სამყარო -ხე/ სამყარო-ნიგნი“), სულიერება და შემოქმედება (საკმეველი/ნიგნი), აღმოსავლური მისტიკური პოეზია (განსაკუთრებით გაზელებთან შეწყვილებით) და აღმოსავლური, სუფიური სამოთხის ანარეკლი - მშვენიერი ქალწულის პირბადით დაფარული სახე... ზეინაბი, ამ ქალწულის ერთ-ერთი ღვთაებრივი სახელია

დამონშებანი

1. ბებურიშვილი 2019: ბებურიშვილი ლ. „გრეი და ზეინაბი“. გალაკტიონოლოგია, VIII. თბილისი: 2019.
2. ბუნინი 1965: И. А. Бунин. 1965; Собрание сочинений в 9 т. Том 1. М.: Художественная литература, 1965.
3. გელასიმოვა 1997: А.В. Геласимова, «Оскар Уайльд и Восток: Ориентальные реминисценции в его эстетике и поэтике». Кандидатская диссертация (1997)
4. დარბაისელი 2010: დარბაისელი ნ. „სამი ლექსი არტისტული ყვავილებიდან“. გალაკტიონოლოგია, V. თბილისი: 2010.
5. დოიაშვილი 2003: დოიაშვილი თ. „არტისტული ყვავილების პროლოგი“. გალაკტიონოლოგია, II.

- თბილისი: 2003.
6. დოიაშვილი 2019ა: დოიაშვილი თ. „არტისტული ყვავილები - 100“. გალაკტიონოლოგია, VIII. თბილისი: 2019.
7. დოიაშვილი 2019ბ: დოიაშვილი თ. „ვარდი ნანვიმარ სილაში“. გალაკტიონოლოგია, VIII. თბილისი: 2019.
8. ლავროვა 2012: Лаврова А.А., `Эстетические воззрения Оскара Уайльда и суфизм~. Ученые записки Таврического национального университета им. В. И. Вернадского Серия «Филология. Социальные коммуникации». Том 25 (64). No 3, ч. 1. 2012 г. С. 360-365. Литература народов мира ж УДК 821.111-2.09
9. მანდელშტამი 1990: О.Мандельштам, Собрание сочинений в 2-х томах, Т.2, 1990
10. მეთინ იურთბაში 2016: Prof. Dr. Metin Yurtbaşı, `What is in a name `Zeynep~, `Zeynab~ - The origin, the meaning and the variations of a common female forename used in Turkey and elsewhere~. International Journal of Arts Humanities and Social Sciences (IJAHSS), Volume 1 Issue 41 November 2016.
11. მიწცი 2004: Минц З. Г. `Поэтика русского символизма~. Блок и русский символизм: Избранные труды: В 3 кн. СПб.: Искусство – СПб, 2004. Кн. 3: С. 175–189.
12. ჟერარ დე ნერვალი 1986: Жерар де Нерваль. «Путешествие на Восток», Издательство «Наука», Москва 1986.
13. ტაბიძე 2016ა: ტაბიძე გ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. II. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016
14. ტაბიძე 2016ბ: ტაბიძე გ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. III. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2016
15. ტაბიძე 2008: ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად. ნ. XXIII. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატეიანე“, 2008
16. ტოლმაჩოვი 2004: Толмачев В.М. О границах символизма // Вестник Православного Свято-Тихоновского гуманитарного университета: Филология. Философия. История. — М., 2004. — № 3. — С. 247-267
17. ხანზენ ლოვე 1999: А.Ханзен-Лёве «Русский символизм», Санкт-Петербург 1999;
18. შათირიშვილი 2004: შათირიშვილი ზ. „პოეტიკა და რიტორიკა“, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2004

ლიანა მეტონიკა

ამონარიდი ისტორიული რომანიდან „მესიის მახვილი“

ლაშამ უგუნებობა ღვინოში ჩაახრჩო თუ არა, თითქოს ამ ქვეყნიერებას დაუბრუნდა.

ბარბარეს გარაცვალების შემდეგ აღარც კი ეგონა, რომ გამოფხიზლებას შეძლებდა.

ასეთი ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანიც კი სიყვარულს მთლიანად დაემორჩილებინა და გამოეფიტა.

ასე ითქმოდა მანამ, ერთი საათის წინათ, მაგრამ ახლა მეფე თითქოს თავიდან დაიბადა.

ადამიანები უმეტესად ეწინააღმდეგებიან და გაურბიან მოზღვავებულ ტკივილს და იმედგაცრუებას, მაგრამ ლაშამ მასთან პირისპირ შებმა განიზრახა და გაიმარჯვა კიდევც.

ამ საბედისწერო ერთი საათში ყველაფერი ერთიანად განიცადა: უსაზღვრო იმედგაცრუება, გაბრაზება, წუხილი, ზიზღი, ყველა ის უხამსი, სულისშემხუთველი რამ, რაც ადამიანს გონებას უხშობს, ანადგურებს და უეცრად სასწაული მოხდა!

ყველაფრისაგან განიწმინდა!

თითქოს ახლიდან დაიბადა და ცხოვრებასაც სხვა თვალთ, გამოცდილი მეფის მზერით შეხედა.

ლაშა ხომ მუდამ „მესიის მახვილი“ იყო და სწორედაც რომ ამ მესიის მახვილით განგმირა ის მწარე სინამდვილე, რაც მას ბედმა არგუნა.

მომდევნო დღეს უნაპირო ნაღველისგან გამოფხიზლებულმა მეფემ კრება მოიწვია.

დიდებულები მაშინვე შეგროვდნენ და ლაშას მყისვე ეახლნენ.

ამ თავშეყრაზე საეკლესიო პირებიც გამოცხადდნენ.

- მოგეხსენებათ, ქრისტიანობას მძიმე დრო დაუდგა, - მიმართა მეფემ დამსწრეებს-ახ-



ლა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ჭეშმარიტი მრწამსის დაცვა და განმტკიცება. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, თავად რომის პაპ-მა ინოკენტი III-მ ეპისტოლეთი საღვთო ომში ჩართვისაკენ მომინოდა. მე ეს შემოთავაზება თავიდანვე დიდი მოწონებით მივიღე და საქართველოს სახელით მხარდაჭერაც განუცხადე. ამის დარად, ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ პაპის ელჩი, ბერი იაკობ დე რუსანო ჩვენთან ჩამობრძანდა და კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ ამ წმინდა ვალდებულებაზე, რომელიც იერუსალიმის ბარბაროსებისაგან გამოხსნას ნიშნავდა.

- ამრიგად, მე ვაპირებ ლაშქარი მოვამზადო ურწმუნოთა განსაღვენად და ქრისტიანობის დასაცავად, -

მეფემ წინადადება დაასრულა თუ არა, კრებაზე ჩურჩული ატყდა.

დიდებულებს ეამათ ახალგაზრდა ლაშას სიმამაცე და შემართება.

ეკლესიის მსახურთა სიხარულს ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა!

თითქოს ყველა უსიამოვნება გადაავიწყდათ, რაც კი გვირგვინოსანთან შემთხვეოდათ და ახლა დიდი მოწინებით უმზერდნენ.

-მხოლოდ ამის სათქმელად არ შემოიკრებიხართ,-კვლავ განაგრძო მეფემ და ყველა უმაღლესი გაიყურა-ბევრნი საუბრობენ ჩემს ურჩობაზე და სხვადასხვა ცრუ ჭორს ავრცელებენ. ვიცი, ეკლესიაც დიდად გავანანყენე ველისციხელი ქალის ცოლად შერთვით და დედოფლად დასმით, მაგრამ ერთი რამ მინდა განვაცხადო, რის შემდეგაც ამავ საკითხზე აღარ მსურს საუბარი.

ჩემი ღრმა რწმენითა და დათმობით, ბარბარე გვერდიდან ჩამოვიცილე და ფშავში გადავხვენი. როგორც მოგეხსენებათ ის მალევე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ გამუდმებით ახალი ცოლის შერთვას მთავაზობთ, რაც არასდროს გამოვა. მე პატივს ვცემ ჩემს ეკლესიას, დიდებულებს, მაგრამ უმორჩილესად მოვითხოვ, რომ შეწყვიტოთ შესაფერისი საცოლის ძიება.

მე თქვენი სურვილები საკმარისად გავითვალისწინე და თქვენგანაც ველი მხარდაჭერას.

ახლა მთელი ყურადღება მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაზე უნდა გავამახვილოთ.

ეკლესიის მთავრებმა ერთმანეთს გადახედეს. მეფის ბრძანება ბრძნულად ეჩვენათ, თანაც მათთვის იერუსალიმის გამოხსნა უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა და ნამდვილად არ სურდათ ლაშას ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა.

ივანე ათაბაგს ეს ამბავი არ ეამა. იგი უკვე გეგმავდა თამთას მეუღლისაგან „გამოხსნას“ და სამეფო კარზე თავისი გავლენის გასაფართოებლად თვალწარმტაცი ასულის ლაშაზე მითხოვებას, მაგრამ მისი სანადელი ყოველთვის როდი სრულდებოდა?

ახალგაზრდა გვირგვინოსანი შეუდგა დიად სამზადისს და ხალისიც დაუბრუნდა.

მაშინ რა იცოდა მეფემ რას უმზადებდა დაუნდობელი მომავალი...

მარი თბილელი

ვენა, სამოთხე მუსიკის მოყვარულთათვის¹

მუსიკვერანი (ger.Musikverein) - ვენის ფილარმონია არის ვენის კლასიკური მუსიკის ყველაზე ცნობილი ცენტრი და ავსტრიის მუსიკალური ასოციაციის სასახლე. მუსიკვერანიში კონცერტზე დასწრება ნიშნავს, რომ უმაღლესი ხარისხის მუსიკას ეზიარეთ და ეს მუსიკის ყველა მოყვარულისა და პროფესონალის ოცნებაა. აქ ატარებს კონცერტებს მუსიკის ისეთი გიგანტი, როგორცაა ვენის ფილარმონიული ორკესტრი. მსოფლიოს პირველი დარბაზი, ასე უწოდებენ ხშირად ვენის, ავსტრიის და მსოფლიოს მუსიკალური ცხოვრების ცენტრს მუსიკვერანი. მუსიკის მილიონობით მოყვარულთათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მუსიკვერანი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და მდიდარი საკონცერტო დარბაზი, რომელიც მასპინძლობს უმაღლესი რანგის მუსიკოსებს. რინგსტრასის ძვირადღირებულ ბულვართან ახლოს მდებარე ეს შენობა, რომელიც 1870 წელს თეოფილ ჰანსენმა ააშენა ისტორიულ სტილში, სვეტებით, საკინძებით და ბარელიეფებით, ტაძარს წაგავს.

მუსიკვერანიში ოთხი დიდი დარბაზია. ერთ-ერთს ოქროს დარბაზს უწოდებენ და ცნობილია თავისი მდიდრული დეკორაციით. აპოლონი და ცხრა მუზა ყურადღებას ამახვილებს ჭერზე, სვეტები მორთულია ანტიკური ქალის ფიგურებით. ოთახის აკუსტიკა ისეთივე შეუდარებელია, როგორც ექსტერიერი - ოქროს დარბაზში მუსიკის ჟღერადობა მთელ მსოფლიოში უნიკალურია. ვენის ფილარმონიული ორკესტრის საახალწლო კონცერტი ოქროს დარბაზიდან ყოველწლიურად გადის სატელევიზიო ეთერში მთელი მსოფლიოს მრავალმილიონიანი აუდიტორიისთვის. (კონცერტები ინტერნეტშია <https://www.wienerphilharmoniker.at/en/newyearsconcert>). წლის დარჩენილი 364 დღის განმავლობაში, მუსიკვერანი გათავაზობს მხოლოდ საკუთარი სამხატვრო საბჭოს მიერ შერჩეული მუსიკოსების უმაღლესი კლასის კონცერტებს. ცნობილია, რომ ამ დარბაზებში შემსრულებელთა ჩანერა აკრძალულია. მუსიკოსისთვის მუსიკვერანის სცენაზე გამოსვლა უდიდესი პატივია. აღსანიშნავია, რომ ამ დარბაზების აკუსტიკა დღემდე მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება. ამ შენობის დარბაზებში ყოველთვის გამოდიოდნენ მხოლოდ აღიარებული და ცნობილი მუსიკოსები.

2020 წელს შესრულდა 150 წელი მუსიკვერანის დარბაზში ჩატერებული პირველი კონცერტიდან, რომელიც 1870 წლის 6 იანვარს გაიმართა. ვენის მუსიკალური საზოგადოება და საიუბილეო საბჭო სპეციალურად არჩევდა საიუბილეო კონცერტებზე გამოსვლის მსურველ მუსიკოსებს, რომელთათვის ამ კონცერტებზე გამოსვ-

¹ დასასრული. დასაწყისი იხ. "ისინდი" № 13

ლა დიდი პატივი და შესაბამისად მუსიკალური მკაცრი ექსპერტების აღიარება იყო.

2020 წლის 17 სექტემბერს ვენაში მუზიკფერაინის ბრამსის დარბაზში ორი ქართველი მუსიკოსის პიანისტ ქეთევან სეფაშვილის და ფლეიტისტ თემო ხარშილაძის სოლო კონცერტი გაიმართა. ეს კონცერტი დარბაზისთვის საიუბილეო და ამით მუსიკოსებისთვის მეტად საპასუხისმგებლო იყო. კონცერტი პანდემიის პერიოდში ჩატარდა და დარბაზში მსმენელები ნიღბებით ერთის გამოტოვებით ისხდნენ. მიუხედავად ავსტრიაში გამკაცრებული რეჟიმისა მუსიკის მოყვარულებმა არ გამოტოვეს კონცერტი, შემსრულებლებისთვის აპლოდისმენტები და სიტობო არ დაიშურეს, ხოლო დასასრულს ბისზე შესრულდა დიდი მაცსტრო გია ყანჩელის მინიატურა. თემოს ერთ-ერთმა პროფესორმა ფაგოტისტმა-ტიტულოვანმა მუსიკოსმა აღნიშნა, რომ „მუსიკოსისთვის ამ წმინდა ტაძარში, როგორც მუზიკფერაინია, სოლო კონცერტით გამოსვლა უაღრესად საპატიოა და საპასუხისმგებლოა. მე არ მქონია ასეთი პატივი. შენ მხოლოდ მარტო შენი სახელი არ გაგაქვს ბრამსის სცენაზე, არამედ შენ ჩასაბერი ინსტრუმენტების ვენის სკოლის და მთელი ჩვენი უნივერსიტეტის სახელით გამოდიხარ..“

სკოლის პერიოდში თემო ხარშილაძე ხალხური სიმღერებით დაინტერესდა და დადიოდა მოსწავლეთა ანსაბლ გეორგიკაში. სიმღერის გარდა ასწავლიდნენ ინსტრუმენტებს სალამურსა და ფანდურს. მას მოეწონა დაკვრა სალამურზე და მიხვდა, რომ უფრო მეტის გაკეთება შეიძლება ფლეიტით, რომელიც იმპროვიზაციის მეტ საშუალებას აძლევდა. ამის შემდეგ მან მამის კაბინეტში აღმოაჩინა კლასიკური მუსიკის ძველი ჩანაწერები დისკებით, ბახის პორტრეტი კედელზე და ბევრი წიგნი მუსიკის თეორიის და ისტორიის შესახებ. აქედან დაიწყო მისი სიყვარული კლასიკური მუსიკისადმი. შემდეგ აღმოაჩინა, რომ დამოუკიდებლად მუსიკალური ნაწარმოების გასარჩევად ნოტების ცოდნა საჭირო. თემოსთვის მუსიკალური განათლება აღმოჩნდა აუცილებელი. მისი სკოლის გვერდით მუსიკალური სკოლა იყო. მას შეეძლო საათობით მდგარიყო, რათა გაკვეთილების ხმებში ფლეიტისთვის მოესმინა. ჯერ დედას გაუმხილა, რომ კლასიკური მუსიკის სწავლა სურდა. თემოს დაინტერესება მუსიკით დედას არ გაუკვირდა, რადგან თემოს ბაბუა იყო მუსიკოსი, იყო პროფესორ დავით ანდელუაძის მოსწავლე, ხოლო დიდი ბაბუა სახელმწიფო კაპელაში ლოტბარი გახლდათ, პიანისტი ლექსო თორაძე დედის ნათესაურ შტოს ეკუთვნის. ეს სფერო ოჯახისთვის არ იყო უცხო, მაგრამ არ იყო სასურველი. მშობლებისთვის თემოს იდეა იმდენად მიუწვდომელი იყო სკოლის ბოლო კლასში სწავლის პერიოდისთვის, რომ მშობლებმა შესთავაზეს მომზადებულიყო უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ზუსტი მეცნიერებების მიმართულებით. თემოს სკოლაში კარგი შედეგები ჰქონდა ფიზიკასა და მათემატიკაში, სკოლაც წარმატებით დაამთავრა. მისი ოცნება



თემურ ხარშილაძე

კი ფლეიტა და კონსერვატორია იყო. მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო მუსიკალური სკოლის ატესტატი. მან სკოლაში სწავლის ბოლო წელს ექსტერნად დაამთავრა მუსიკალური სკოლა და კერძო პედაგოგთან შეისწავლა მუსიკის თეორია. კონსერვატორიაში გამოცდების ჩაბარება პედაგოგმა არ ურჩია, ჯერ ადრეა, კონკურსია, ბავშვები მუსიკალურ ათწლედებს გადიან და შენ ერთწლიანი სწავლით ვერც თეორიას ჩააბარებ და ვერც ფლეიტაზე დაუკრავ ისე, რომ კონსერვატორიაში მიგიღონ. კონსერვატორიის მისაღები გამოცდები უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე ცოტა ადრე ტარდებოდა. ამიტომ მშობლები დაეთანხმნენ და ნაიყვანეს კონსერვატორიის გამოცდაზე, ვერ ჩააბარებს, მაგრამ გამოცდილებას მაინც შეიძენსო. 10 ქულიან გამოცდაზე სპეციალობაში 8,8 ქულა მიიღო, ხოლო მუსიკის თეორიაში 10 ქულა და გამოცდიდან რომ გამოდიოდა და ნიშანი გამოაცხადა ყველას გაუკვირდა, რომ უცნობი დაინახეს. კონსერვატორიაში შემსვლელები და მათი მშობლები ხომ წლების განმავლობაში ერთმანეთს ხვდებოდნენ და იცნობდნენ მუსიკალური სკოლებიდან. იქვე მყოფი მისი პედაგოგი გულშემატკივრობდა თემოს და აინტერესებდა რა მოხდებოდა. ნიშანი რომ გაიგო, თქვა, რომ ეს ბავშვი შარშან ნოემბერში ვიოლინოს და ბანის გასაღებს

ვერ არჩევდა ერთმანეთისგანო, რამაც იქვე მყოფი სხვა მშობლების დიდი გაკვირვება და გულისწყრომა გამოიწვია. თემო კონკურსანტების სიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა და ჩაირიცხა კონსერვატორიაში. მას დაჭირდა გაორმაგებული მუშაობა ინსტრუმენტთან, რომ ტექნიკა განევიტარებინა და დასწეოდა თავის გამოცდილ თანაკურსელებს.

კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში ბევრი რამ ისწავლა მუსიკაში, ძალიან მადლობელია თავისი პედაგოგების. თბილისში ჩამოსული გერმანელი პროფესორის რჩევით გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა გერმანიის ან ავსტრიის მუსიკალურ ცენტრების მაგისტრატურაში. ამისთვის საჭირო იყო გერმანული ენის სერთიფიკატი, რომელიც მან გოეთეს ინსტიტუტში მიიღო. გოეთეს ინსტიტუტის კონკურსში გამარჯვებით მოიპოვა ინსტიტუტის სტიპენდია და ერთი თვით ჩავიდა გერმანიაში. იქ შეხვდა მუსიკოსებს, რომელებმაც ურჩიეს ავსტრიელი ფლეიტისტების მასტერკლასზე დასწრება. თემოს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა ევროპული სკოლა გაეგლო, უკვირდა, ევროპელი შემსრულებლები ასე საოცრად, ლამაზად რომ უკრავდნენ. მან გერმანიაში მონაწილეობა მიიღო ფლეიტის მასტერკლასში. ფინანსური პრობლემების მოგვარება შეძლო DAAD -ის ფონდის დახმარებით. გერმანიაში მასტერკლასზე ურჩიეს ავსტრიაში, ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში გაეგზავნა თავისი ჩანაწერების დისკები და საბუთები სწავლის გასაგრძელებლად. ვენაში უნივერსიტეტის პროფესორმა ბარბარა გისლერ-ჰააზემ თემო მიიწვია თავის მასტერკლასზე. ცხადია ძნელი იყო გასამგზავრებელი ხარჯების და ვიზის მოპოვება (ავსტრიის ვიზას იძლეოდა ბაქოს საკონსულო და იქ ჩასვლაც გახდა საჭირო). ამ პრობლემების დაძლევის შემდეგ თემო ვენის კონსერვატორიაში, ქალბატონი ბარბარას წინ იდგა და ფლეიტაზე ნაწარმოებს ასრულებდა. ბარბარამ მოისმინა და ურჩია, რომ რალაცეების შეცვლა და თავიდან სწავლა მოუწევდა. ამისთვის მან შესთავაზა თემოს, მაგისტრატურა გაეგლო თავის კლასში. საზღვარგარეთ სწავლის და ვიზისათვის საჭირო იყო სტუდენტს ანგარიშზე სოლიდური თანხა ჰქონოდა. ამ პრობლემას ოჯახი ვერ მოაგვარებდა და თემო ამ მიზეზით გამოემშვიდობა თავის ოცნებას და ქალბატონ ბარბარას. თბილისში დაბრუნების შემდეგ მას დაუკავშირდა პროფესორი ბარბარა გისლერ-ჰააზე. საგულისხმოა, რომ ათი დღის გაცნობილ ქართველ სტუდენტს პროფესორმა საკუთარი ანგარიშიდან ჩაურიცხა ხუთი ათასი ევრო. პროფესორმა შეამჩნია ნიჭიერი სტუდენტის მონდომება და გვერდში დაუდგა მას. ბარბარამ თემო უგამოცდოდ მიიღო თავის კლასში და ამისთვის ამ ქალბატონის ინიციატივით ვენიდან თბილისის კონსერვატორიას გაუფორმდა ხელშეკრულება სტუდენტის გაცვლის თაობაზე. თემო იყო პირველი სტუდენტი თბილისის კონსერვატორიიდან, რომელსაც ამ ხელშეკრულების საფუძველზე 2012 წელს მიეცა საშუალება, რათა ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნებათა უნივერსიტეტში მაგისტრატურაში გაეგრ-

ძელებინა სწავლა.

პირველ ეტაპზე ახლად ჩასულ სტუდენტს პროფესორმა საკუთარი ბინა დაუთმო. თემო სწავლის პარალელურად რესტორანში მიმტანად, მზარეულის დამხმარედ და მენეჯერადაც მუშაობდა. რამდენიმე წლის ინტენსიური სწავლის შედეგად მან ვენის მუსიკალურ წრეებში პოპულარობა მოიპოვა. ფლეიტის შესწავლა მხოლოდ ინსტრუმენტს არ გულისხმობდა, იყო თეორიაც, კულტურის ისტორიაც, საჭირო იყო ადამიანის ანატომიის შესწავლაც. მან იქ აღმოაჩინა, რომ ცოდნა, თუ სხეულის რომელი კუნთი იყო ჩართული, თუ რა, რატომ და როგორ მოძრაობას აკეთებს კუნთი, მუსიკოსისთვის მეტად საინტერესო და საჭირო ყოფილა. თემო მრავალ მუსიკალურ კონკურსში იღებდა მონაწილეობას, მიიღო პრიზებიც. მათ შორის აღსანიშნავია 2014 ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსის პროფესორ დიპლერ ვეტბევერების სახელობის პირველი პრიზი. 2017 წელს, როგორც სოლისტი ფლეიტისტი მონაწილეობდა ბალტიის ზღვის ფილარმონიის ორკესტრის ტურნეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ამერიკელი დირიჟორი კრისტიან ჯერვი. 2018 წელს თემო ხარშოლაძე გამოვიდა ბერლინის კონცერტჰაუსში, ჰამბურგის ფილარმონიის დარბაზში, მიუნხენის ჰერკულესის დარბაზში, დუბაის ოპერის სცენაზე და სხვა. ის არის „ვენის ანსამბლის„ წევრი.

ცნობილი მაესტროს გია ყანჩელის მუსიკის პოპულარობა დიდია ევროპაში. ავსტრიულმა ხმის ჩამწერმა კომპანია გრამოლამ ჩაწერა სამი დისკი ვენაში მოღვაწე ალიარებული ქართველი მუსიკოსების შესრულებით. ესენი არიან პიანისტი ქეთევან სეფაშვილი, სოპრანო მადინა კარბელი და ფლეიტისტი თემო ხარშოლაძე. აღსანიშნავია გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილი დისკი „სიჩუმის პოეზია“, რომელმაც კიდევ ერთხელ აზიარა ევროპა დიდი მაესტროს ხელოვნებას. ამ იდეის სულის ჩამდგმელი იყო საქართველოს მაშინდელი ელჩი ავსტრიაში დავით დონდუა, ხოლო შემსრულებელი ხმის ჩამწერი ცნობილი სტუდიის გრამოლას დირექტორი, რომელმაც გამოთქვა სურვილი გამოეცა გია ყანჩელის ალბომი. ახალგაზრდა ქართველმა მუსიკოსებმა გია ყანჩელის ცნობილი ნაწარმოებების ახლებური არანჟირება შექმნეს. ამ ალბომში შედის კინოფილმებისა და თეატრალური სპექტაკლებისთვის დაწერილი საფორტეპიანო მინიატურები, ასევე მინიატურები ფორტეპიანოს და ვოკალისთვის. ეს ნაწარმოებები ახალგაზრდა ქართველმა შემსრულებლებმა ახლებური ინტერპრეტაციით შემოგვთავაზეს. ამ ალბომის პრეზენტაცია პანდემიის გამო საკონცერტო დარბაზში ვერ გაიმართა. საკონცერტო დარბაზის მაგივრად პრეზენტაცია გაიმართა ვენის საკონცერტო როიალების გალერეაში. ვენის მსმენელი კვლავ მოზიარე გახდა დიდი მაესტროს „სიჩუმის პოეზიის„ ვენის პროფესიული და მკაცრი მსმენელები, მუსიკალური ბიზნესის მენეჯერები ტაშით შეხვდნენ ქართველი მუსიკოსების შესრულებას და მათი ჩანაწერებიანი დისკებიც იქვე შეისყიდეს.

ციცინო ბენიკა²

შაომღომის მზა

ერთი წამით შევჩერდი სულის მოსათქმელად და უცებ იქით, სადაც ხეებქვეშ დაჩი აყენებდა მანქანას, ბილიკზე გოგონას მოვკარი თვალი, უცებ გაქრა ბუჩქებს მიღმა. წამიერად მივუხედე ზღვას და თავზარდაცემულმა შევკვივლე. დავინახე, როგორ აიტაცა ტალღამ მეორე ბავშვი, მალლა შეტყორცნა და გააქანა! ტანსაცმელი გზადაგზა დავეყარე და ფეხდაფეხ მივყევი უკან დახეულ ტალღას, წყალში გადავეშვი და გიჟივით ვეკვეთე გაავებულ ურჩხულს. რამდენიმეჯერ შემაბურთავა და მეც გამიტაცა. უცებ ისევ მოვკარი ბავშვს თვალი. გააფთრებული ვებრძოდი ტალღებს, ცოტაც და მივწვდებოდი და ისევ დამეკარგა, რამდენიმე წამში ისევ ამოაგდო. არ ვიცი, რა ძალა მომეცა, მივწვდი და ხელში მოვიგდე. ბავშვი ინსტინქტურად შემომეხვია ყელზე. ხელები ისე მაგრად მომიჭირა, სუნთქვა შემეკრა. მახსოვს მისი შიშით გაფართოებული თვალები... თავგანწირვით ვიბრძოდი, ნაპირი ახლოს იყო, მაგრამ უკვე ძალა მეცლებოდა, სუნთქვა მიჭირდა, თითქმის ნაპირთან მოსული ისევ დამითრია ტალღამ და მერე აღარაფერი მახსოვს.

გონს რომ მოვედი, მე და ბავშვი გვერდიგვერდ ვინექით ტახტზე. მეორე გოგონა იქვე იყო იატაკზე ჩაცუცქული და თავი ჩვენს სანოლზე ედო. წამოვიჩიე და ჩემ გვერდით მწოლიარე სველთმიან გოგონას დავაკვირდი, ანი ყოფილა. მარი საბრალო თვალებით მიყურებდა. საბანი ავნიე და ისიც შემოვიწვინე. პატარა ხელები ორივეს გაგვიწვინდა და ბედნიერმა მილულა თვალები. ცოტა ხანს ასე ვინექი. ბავშვებს ეძინათ. ფრთხილად გამოვძვერი სანოლიდან.

ფეხზე ძლივს დავდექი, ისე სუსტად ვგრძნობდი თავს. გრძელი თეთრი მაისური მეცვა, მუხლებამდე მწვდებოდა. გაეცნობიერე, რომ დაჩის სახლში ვიყავით მე და ბავშვები, სამივე ცოცხლები, მეცვა დაჩის მაისური, შიგნით კი სველი ბიკინი. სრულიად არაფერი მახსოვდა ბოლო წამის მერე, ლამის მთელი ზღვა რომ გადავყლაპე და ჩავიძირე. როგორც ჩანს, დაჩიმ მოგვისწრო და გადაგვარჩინა. ბარბაცით მივედი კართან, გამოვალე და დერეფანში გავიჭვრიტე. არაფერ ჩანდა. დერეფნის ბოლოს კარი ღია იყო. იქით წავედი. აივანზე დაჩი იდგა და სიგარეტს ეწეოდა.

– დაჩი...

შემობრუნდა.

– არ გამოხვიდე, ელე, სველი ხარ. – შემომეგება და აივნის კარი მიხურა.

– სახლში უნდა წავიდე, ჩემი მასპინძელი ინერვიულდება.

– ასე სად წახვალ... ჯერ მოწესრიგდი, გაშრი... ხვალ დილით ტანსაცმელს მოგიტან და სახლში წაგიყვან.

– რამე მომეცი, თუნდაც შენი ხალათი.

დაჩიმ მხრებზე მომხვია ხელი და ოთახში შემიყვანა. ზოლიანი ხალათი მომასხურა. ხელები გაეყუყარე. მძიმე მომეჩვენა, ისეთი დაღლილი და ძალაგამოცლილი ვიყავი.



დაჩიმ თავისი ხელით შემიკრა ქამარი.

– უკაცრავად, სველი ბიკინი გაცვია... სახლში ქალის საცვლები წამდვილად არ მაქვს.

– მართლა? კარგია.

– რა არის კარგი? შეიძლება, გაცივდე.

დაჩიმ ელექტროსაშრობი გამოიღო კარადიდან და სადენში შეაერთა.

– დაჯექი, დაგეხმარები.

– არა, მე თვითონ... საშრობი გამოვართვი და ჩავრთე. მესიამოვნა ცხელი ჰაერი, თმა საგულდაგულოდ გავიშრე, თავიც გამითბა და სხეულსაც მოედო სასიამოვნო სითბო.

– დაჩი, არაფერი მახსოვს, შენ გადაგვარჩინე?

– როცა მოვედი, ჯერ კიდევ ებრძოდი წყალს, ამიტომ ადვილად მოვახერხე გამოყვანა, თუმცა კაი ძალი წყალი გქონდა ნაყლაპი.

– მახსოვს ბოლო წამი, ქვასავით რომ დავეშვი ფსკერისკენ...

– სწორედ მაშინ მოგისწარი, ძებნა არ დამჭირვებია. შენგან განსხვავებით, ანის არც ბევრი წყალი ქონდა ნაყლაპი და არც გონება დაუკარგავს. უნდა იცოდე, რომ ასეთ დროს ადამიანს არ უნდა დაანებო, კისერზე შემოგეხვიოს, თმაში უნდა წაავლო ხელი. ეს რომ გაგეკეთებინა, ადვილად დააღწევდი თავს ზღვას.

– გვიანაა ამის სწავლა. ალბათ არც მე და არც ბავშვები ამის მერე ზღვას ახლოს არ გავეკარებო.

– მადლობა ღმერთს და მადლობა შენ, ახლოს რომ იყავი და არ დაიბენი. ის რამდენიმე წუთი, რაც მე დამაგვიანდა, საკმარისი იქნებოდა ბავშვის დასახრჩობად.

– შენ რომ არ მოგესწრო, ახლა ფსკერზე ვიქნებოდით მე და ანი, ერთმანეთს ჩახუტებულნი.

– აღარ გაიმეორო, წარმოდგენაც კი მზარავს...

– ნაპირზე რომ გამოგვიყვანე, მერე რა ქენი...

– სასწრაფოში დავრეკე. მე საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი ვთქვი, სახლში წამოვიყვანე ექიმი და ექთანნი. დამამშვიდებლები გაგიკეთეს ორივეს და დაძინებული დავტოვეს. ახლა როგორ ხარ, თუ თავს შეუძლოდ გრძნობ, ისევ გამოვიძახებ ექიმს.

² დასაწყისი იხ. ისინდი "12

– არა, კარგად ვარ. მხოლოდ ცხვირ-ხახა მენვის და ცოტათი გულისრევის შეგრძნება მაქვს.

– ექიმმა თქვა, სოდიანი წყლით უნდა გამოირეცხოს ცხვირ-ხახაო. ცხელი აბაზანა მოუხდება და გრიბის ჩაი, ან აბები დალიოს, რომ არ გაცივდესო. ყველაფერს გაგიკეთებ, დაგეხმარები... და ხვალ დილით შენს მასპინძელთან წაგიყვან.

– არა, დაჩი, ახლავე უნდა წავიდე, ნინუცა ინერვიულებს.

– დაფურეკოთ და ავუხსნათ. ნინუცა შენი მასპინძელია?

– ჰო, ჩემი მასპინძელია. ამაღამ ვერ დავრჩები, ვიცი, ცუდად გამიგებს.

– მოხუცია?

– ჩემი ხნისაა.

– მერე, რატომ გაგიგებს ცუდად? თუ შენ გეუხერხებულეა ჩემს სახლში ღამის გათევა.

– სწორი შენიშვნაა.

– კარგი, წავიდეთ ნინუცასთან. დამპირდი, რომ ექიმის რჩევას შეასრულებ.

– აუცილებლად. დაჩი, შენც დამპირდი, რომ ბავშვებს კარგ ძიძას უპოვი, ხვალვე, დაუყოვნებლივ.

– კარგი... ხვალ ვილაპარაკოთ მაგაზე...

– ხვალ დილას მივდივარ.

– ისე წახვალ, რომ არ დაგვემშვიდობები?

– ახლავე დაგვემშვიდობებით. – ბავშვების ოთახში შევედი, მძინარე გოგონებს ვაკოცე და დერეფანში გამოვედი.

პირველ სართულზე რომ ჩავედი, დაჩიმ მეზობელს მიუკაკუნა. ხნიერმა ქალმა გამოიხედა და ჩემ დანახვაზე თვალეხი ინტერესით და ეჭვით აუციმციმდა.

– სად მიდის, დედა, ეს გასახარებელი... მოესვენებია ამაღამ...

– ეჩქარება, თამარა დედა. ცოტა ხანს ბავშვებთან შედი, მე ახლავე დავბრუნდები.

– გაგახარა, ღმერთმა, დედა, ამ ბალანას გადარჩინი-ზა! – მითხრა ქალმა და თავით ფეხამდე ჩამათვალა.

დაჩიმ მანქანა გამოიყვანა, გვერდით რომ მივუჯექი, კეფაზე მომდო თავისი დიდი და ძლიერი ხელი:

– იცი, რა კარგი გოგო ხარ? – მითხრა და თავისკენ მიმიზიდა. მხარზე მიიყრდნო ჩემი თავი – შენ ვინც განყენინებს, გაჩენის დღეს ვანყევლინებ! იცოდე ეს... სადაც უნდა წახვიდე, ქუთაისში კი არა, მარსზე რომ გაფრინდე, აქედან ვერსად წახვალ. და მკერდზე დაიდო ხელი.

თვალეხში შევხედე და ვერაფერი ვუთხარი.

– მიკვირს, როგორ გაბედე ზღვაში შესვლა, შენ ხომ ისე გეშინოდა მისი.

– იმ წუთას არაფრის მეშინოდა, მაგრამ ვერ მოვერიე ზღვას...

– დაილაღე, მაგრამ არ დამარცხდი.

გაგრძელება იქნება...

ნანა შალამბერიძე

ბიმი

გარინდული დამხვდა სექტემბრის ზღვა. არ თვლემდა, უბრალოდ – ფიქრებში იყო ჩაძირული. საფიქრალს ან კი რა გამოუღლევდა ამ მზისა და ცის ქვეშ.

სარკესავით ირეკლებოდა მის ზედაპირზე რომელიღაც მდინარის კლაკნილი შენაკადი, რომელიც სადაცაა ჰორიზონტს გადაკვეთდა და სავარაუდოდ, ალბათ, ისევ წინ ივლიდა მანამ, სანამ ძალას გამოაცლიდა ზღვის მშფოთვარე ტალღები და ნაწილებად დაშლილს გადაწყაპავდა...

გვერდზე მიმახედა წყალში პატარა ფეხების ტყაპუნმა. ხელში შემრჩა მოკლედ კუნძაჭრილი შავ-თეთრი, უფრო სწორად – თეთრ-შავი ძაღლი. მის სხეულზე თეთრი ფერი ქარბობდა და სიშავე მხოლოდ ზოგიერთ მონაკვეთზე, აქა-იქ, ემჩნეოდა მკვეთრად. ძაღლი შედგა და ჰორიზონტს მიაჩერდა. შემდეგ თავი შეაბრუნა ნაპირისკენ და თვალებით და თავის მოძრაობით წყლისკენ მიიპატიჟა ნაპირზე მდგარი და მის ნიშანს მიყურადებულ მდედრი, რომელიც თეთრად ქათქათებდა, მხოლოდ მარჯვენა ყური ჰქონდა შავი რგოლებით დაფარული. ასეთივე რგოლები ოდნავ შესამჩნევად მოხვეოდა მთელ სხეულზე.

„ან ძალიან ჯენტლმენია ეს ოთხფეხა, ან, სავარაუდოდ, ფეხმძიმე მენწყვილეს ღირსეულად უფროთხილდება“, — აიშალნენ ფიქრები უნებურად.

ინება მდედრმა რწევა-რწევით ზღვაში შესვლა, თან თვალს არ აცილებდა მამრს... ინებიერეს წყალში და ნაპირისკენ ერთად დაადგნენ გზას. შემდეგ ჩამოიფერთხეს წყალი, მაგნიტურ ქვიშაზე განვნენ და მიეფიცხნენ დილის მზეს.

ზღვისპირა დასასვენებელი სახლის ფიჭვნარში გამოსულს, პირველივე დღეს ფეხებთან შინაურულად რომ მომიტყუქდნენ, ინტერესის დასაკმაყოფილებლად მენეჯერს, ანუელას, გამოველაპარაკე ამ საინტერესო ოთხფეხების შესახებ. ინტერესს აძლიერებდა კიდევ ერთი დაუფერებელი მომენტი, რომ ისინი ჩვენი სახლის ყველა დამსვენებელს, ბავშვების ჩათვლით, ეზოს კარიბჭემდე ან სულაც სანაპირომდე აცილებდნენ და საიმედოდ რომ დაიგულეზდნენ, ისევ ეზოს უბრუნდებოდნენ. „სხვისიანებს“ არ ეკარებოდნენ და არც სიმშვიდეს უფროთხობდნენ, თუ, რა თქმა უნდა, ისინი „მათიანებს“ უდიერად არ მოექცეოდნენ.

სიტყვაუხვი აღმოჩნდა ანუელა... მამრს წუნკა ერქვა, მდედრს – მელისა. წუნკას, გასაგებია, რატომაც შეერქმეოდა ეს სახელი, მისი მოკლედ ნაჭრილი კუდიც ამას მონიშნავდა, მაგრამ მთავარი ისაა, შემდეგ ასეთ ღირსეულ მამრად რომ ჩამოყალიბდა. მელისა სულ რაღაც ერთი წლის წინ გამოჩნდა თურმე ამ ტერიტორიაზე. ახალმოსულს, არავისიანს, ყველა ჩაგრადა. ახლოს არ იკარებდ-

ნენ და ცდილობდნენ გაეგდოთ ტერიტორიიდან. წუნკამ დაიცვა თურმე სამართლიანად, მერე შეუყვარდა ეს უმნო და ნაზი არსება და მას მერე ყველა ანგარიშს უწევს ამ სამაგალითო წყვილს.

პირველ ჯერზე ათი ლეკვი გააგორა თურმე მელისამ. შვიდი, გოგონები, დედის, ხოლო სამი, ბიჭუნები, მამის ალი-კვალი ყოფილან. გაშვილების დრო რომ მოახლოვდა, ანჟელას სულ კანფეტებივით ჩამოურიგებია ისინი დადარაჯებულ მიმღებ ოჯახებში...

ასე ბედნიერად ცხოვრობს ეს წყვილი ზაფხულობით დასასვენებელი სახლის ეზოში პატრონისადმი თავიანთი ერთგულების ფასად. ჰო, მხოლოდ ზაფხული. ვერ მოვიკვლიე, უფრო სწორად, არავინ იცის, სხვა დროს ისევე ძალღურად თუ ადამიანურ ცხოვრებას ასე მიახლოებულნი ცხოვრობენ სადმე შორიახლო...

ამას წინათ დედაქალაქის ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე გასასვლელად, გზის შესამოკლებლად ამ ქუჩებს შორის არსებულ სკვერზე ნელი ნაბიჯებით მიფუყებოდა ქვაფენილს. ჩემი ყურადღება მიიქცია განვართულმა, ბაცი შოკოლადისფერი შეფერილობის (რძიან ყავისფერს რომ ვეძახით ხოლმე) მონადირის ძაღლმა (ქუჩაში მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა სახეობის ძაღლი ცხოვრობს), რომელიც ჩემგან მოშორებით, თითქოს დანა-ჩანგალი უჭირავს ხელში, ცდილობდა დახვეწილად მიეგნო საკბილოსთვის ბანანის ქერქში. მოულოდნელად ჩემ ზურგს უკან შხუილი გაისმა, და ასევე შხუილით ჩამიქროლა რალაცამი. მონადირის პენიანმა ძაღლმა დრო არ დაკარგა, გაერკვია რისგან მოდიოდა ეს ხმაური, თავის საშველად ინსტინქტურად მოსწყდა ადგილს და წინ გაიჭრა. მის ნასუფრალს კი სულმოუთქმელად ეცა ქუჩის ძუნძგლიანი, გაურკვეველი სახეობის შავი ფერის ძაღლი. ჩამოვარდა სიჩუმე. წინ გაჭრილი მონადირის ძაღლი შედგა და შემობრუნდა. ცოტა ხანს უყურა, თვალბში სინათლედაკარგული ძუნძგლა როგორ ნთქავდა ბანანს ქერქიანად და მისკენ წამოვიდა. რომ მიუახლოვდა, ძუნძგლას თავი არც აუწევია, მხოლოდ წამიერად ამოხედა წვართს და კვლავ ხარბად გააგრძელა თავისი საქმიანობა. წვართმა აცალა ჭამის დამთავრება და, როცა ძუნძგლამ ქვაფენილიც გალოკა და თავი ასწია, მხოლოდ მაშინ უსაყვედურა, რა ქარბორბალა დაატრიალე, მოსულიყავი ჩვეულებრივ და ისედაც გაგინაწილებდი ლუკმას ასე დამმეულსო.

ძუნძგლას არანაირი უხერხულობა არ უგრძენია, კვლავ აქეთ-იქით ატრიალებდა თავსა და თვალებს, იქნებ კიდევ ვინმეს ავაცალო ლუკმასო...

უყურა წვართმა, უყურა... მერე ასწია მარჯვენა თათი, თავში ნაუტყაპუნა, რამ გაგასწორა, ბიჭო, ასე მინასთანო, ჩაულაპარაკა და ღირსეულად გააგრძელა თავისი გზა...

ქუჩის ძაღლების საყვარელი ადგილი ქუჩა და თავისუფლებაა. ქუჩის ცხოვრებამ სხვაგვარი წესები დაუნწესა მათ, ნებიერა ძაღლებისგან მკვეთრად განსხვავებული. სულ ზედმინეწით იციან, სად ინებივრონ, სად დაის-



ვენონ, სად დაიდონ ბინა, როგორ დაზარდონ შვილები, როგორ მოიპოვონ და დაიკმაყოფილონ წყურვილი თუ შიმშილი. თუ ქუჩურმა ცხოვრებამ მოითხოვა, უნდა შეელონ კიდევაც ღირსებას, გახდნენ თავხედები, უტიფრები, მოძალადეები. ისევე ჭრელია ცხოვრება ქუჩაში, როგორც ჩვეულებრივ ადამიანურ ჭერქვეშ...

ერთ-ერთი უმთავრესი ორივეგან ისაა, ადამიანების მსგავსად, მეტ-ნაკლებად შეუნარჩუნდეთ ღირსებისა და მადლიერების გრძნობა. ცხოვრება ყველა სულდგმულს, თითქოს კანონზომიერია, უმადურობას წინ ცუდად ახვედრებს ხოლმე...

ჩვენს სახლთან, უბანში, საკმაოდ დიდი, კარგად გამწვანებული სათამაშო მოედანი გაკეთდა ბავშვებისთვის. მახსოვს, უბნის ბავშვები ზედმეტად გამგონენი გახდნენ, რომ მშობლებისთვის გამოეტყუათ დამსახურებულად ცოტა ადრე, უფრო დიდი ხნით ნაყვანა მოედანზე გასართობად.

ბუნებრივია, ასეთი ადგილებისადმი არც ადამიანების ერთგული ოთხფეხები არიან მწყრალად. როგორ მახსოვს, მიქაელს, ჩემს შვილიშვილს, იქ წლების წინ ერთი ქუჩის ძაღლი მიეკვდლა, წინ დაუსკუპდებოდა და თვალბში მიაჩერდებოდა ხოლმე. ასეთ შემთხვევებში მიქო გულუხვია. ერთს თვითონ ჩაკებდა ფუნთუშას, მეორე ლუკმას ხელით მოტეხდა და გადაუგდებდა ძაღლს. ასე გემრიელად ილუკმებოდა ორივე. ეტყობა მიქო დანაყრდა ან თამაში მოუნდა და მეოთხედი ფუნთუშა მთლიანად გადაუგდო ძაღლს. მან დაავლო პირი მოზრდილ ლუკმას, მიქოს ბედნიერი თვალბებით შეხედა და კუდის ქიცინით ბაღის ბოლოსკენ გაიქცა.

- რატომ არ შეჭამა? — გაუკვირდა მიქოს.
- ვილაცას ნაუცუნცულა, ჩემი აზრით.
- ვის? — ვერ ისვენებდა მიქო.

— არ ვიცი. იქნებ ავადმყოფ მეგობარს ან შვილებს.
 — ნამო, ვნახოთ! — ამიხირდა მიქო.

ამასობაში ძალღი ისევ მოგვადგა, წინ დაუსკუპდა მიქაელს და თვალი თვალში გაუყარა.

— რაო, მიქო, რა მინდაო? — ღიმილით მივაჩერდი მე მიქოს.

— არ ეყოთო.

— ვის?

— ლეკვებსო.

— რა იცი?

— თვალებით მელაპარაკება. ნამო, გავიქცეთ და ვუყიდოთ. ფული გექნება, ვითომ მე ვყიდულობ! — მუდარად იქცა ბავშვი.

ნამოვდექი.

— დამელოდე, ახლავე მოვალ! — გადაულაპარაკა მიქომ ძალღს, ხელი ჩამკიდა და მართლა გავიქცით.

რომ დავბრუნდით, ძალღი ისევ იმავე მდგომარეობაში გველოდებოდა. მიქაელმა მთელი ფუნთუშა მიაჩერა ძალღს. წაიღე, ერთად შეჭამეთო, გადაულაპარაკა თან და კმაყოფილი და ბედნიერი დაეშვა ბაღის მერხზე.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, ყოველ საღამოს...

ერთხელაც ჩვენი მეგობარი ძალღი, როგორც კი ჩვენ ბაღში შესულები შეგვნიშნა, ნაცვლად იმისა, რომ ჩვეულებრივ შეგვგებებოდა, შებრუნდა და შურდულივით გავარდა ბაღის მეორე ბოლოსკენ.

სულ ცოტა ხანში კი ის უკვე თავმომწონედ მოუძღვებოდა ჩვენკენ ოთხ ცელქ, ბუთქუნა ლეკვს. ამ შთამბეჭდავმა, ღირსებით სავსე დემონსტრაციულმა სვლამ ყველას ყურადღება მიიქცია და ბავშვები ჟივილ-ხივილით შემოეხვივნენ. ვილაცამ ლეკვის ხელში აყვანა სცადა, ვილაცამ ფეხი მოუქნია...

— ხელი არ ახლოთ! არც ფეხი! — გაისმა ამ დროს მიქაელის გამკაცრებული ხმა.

— სულ შენ გკითხავ! — შეეპასუხა მას თავხედური ხმა.

— ჩემი შვილებია! ჩემი ლეკვებია! — შეასწორა ნამიერად და წინ აექორჩა მიქაელი თავხედ და უგულლო ბიჭს, — მე ვზრდიდი ამდენი ხანი!

ვერავენ ვერაფერი გაიგო ამ ფრაზის. არ მიცდია ბურუსის გაფანტვა. არც ამაყი დედა ჩარეულა ამ საქმეში. მან თავისი ლეკვები ბაღიდან სამშვიდობოს ფრთხილად გაიყვანა...

ჩვენც გვყავდა სოფელში ძალღი, რომელსაც ტარზანი ერქვა. ტარზანი პანანინა, თვალახილული, ავჩარკის ლეკვი იყო, როცა სოხუმიდან ჩამოგვიყვანა ბიძაჩემმა საჩუქრად. მთელ სოფელში ავჩარკა მხოლოდ ჩვენ გვყავდა. ტარზანი მთელი დღე დაბმული იყო. სოფელში თუ ძალღი დაბმული არაა, ძალღის პატრონზე ასე იტყვიან, მეზობლის შესვლა არ სიამოვნებს და იმიტომ არ აბამსო. დედა მხოლოდ ღამე აუშვებდა ხოლმე ტარზანს. უნდა გენახათ, როგორ ზეიმობდა ტარზანი თავისუფლების მისთვის კუთვნილი დროის დადგომას. გაიჭრებოდა და

სირბილით ეხეტქებოდა ლობე-ყორეს. დაშლივინებდა მთელ ეზოში. გულს რომ იჯერებდა, მხოლოდ მერე მივარდებოდა დედასთან, მიესიყვარულებოდა და შეუდგებოდა დანაყრებას. სხვადასხვა დროს გვყავდა ტარზანი ერთი, ტარზანი ორი და ტარზანი სამი. მესამე რომ გარდაიცვალა, უკვე აფხაზეთი ოკუპირებული იყო და ასე დამთავრდა ჩვენი ტარზანომანია. შემდეგ, ერთი პერიოდი, ბულდოგი გვყავდა. რატომღაც სოფელში ძალღის ეს სახეობა უფრო მეტ შიშის ზარს სცემდა ყველას, ვიდრე თვითონ ძალღი.

ყველაზე ბოლო იყო ბიმი, რომელიც ასევე ლეკვი მოგვიყვანეს, ლაბრადორის ლეკვი. მახსოვს, მან რვა წელი იცხოვრა ჩვენთან და როგორ დაგვწყვიტა გული, ბოლოს დარდს რომ გადაჰყვა.

ერთხელ, ჩვეულებრივ ზაფხულში, ჩავიყვანეთ ბავშვები სოფელში. დღისით ბავშვები, გიო და ნინი, დღეში რამდენჯერმე მიუცუნცულებდნენ ბიმის სასუსნავეებს და შორიდან სიყვარულით გადაუგებდნენ. ბიმიც მისკენ დაძრულ ბავშვებს რომ დაინახავდა, სულ კუდის ქიცინით ხვდებოდა ხოლმე...

და აი, ერთხელაც, უკვე მალე სოფლიდან უნდა წამოვიდეთ და ერთ საღამოს, დედამ გვიან ჩვეულებრივ აუშვა ბიმი. ბავშვები ამ დროს მეორე სართულზე, აივანზე, იყვნენ დამწკრივებულები. დედაჩემმა წესად უქცია ბავშვებს, სანამ ბიმის აუშვებდა, ასულიყვანენ მეორე სართულზე და იქიდან ედევნებინათ თვალი ბიმის ორგინისთვის. მორჩა თუ არა ბიმი ნავარდს, მივარდა კიბის ბოლოში დადგმულ საჭმელთან და ხარბად დაუნყო ქამა. არავის შეგვიმჩნევია, როდის გამოალო ნინიმ აივნის კარი კიბის თავზე და როდის ჩაირბინა კიბეები. მარტო ის ვნახეთ, ფეხი ფრთხილად რომ გაუცაცუნა ბიმის ფერდში. ამ მოულოდნელობას ბიმის უსწრაფესი რეაქცია მოჰყვა და ძალღმა ნინის ფეხზე უნებურად ორგან დაასო კბილები. ნინის განწირულმა კვილიმა ზევით აახედა ბიმი და ერთბაშად ნახდა. რას იზამდა, შეცდომა ყველას მოსდის ცხოვრებაში...

იმ ღამეს არავის ცხელოდა ბიმისთვის. ისე გაქრა, თვალღი არ მოგვიკრავს. დილას კიბესთან დადგმული მისი თევში ხელუხლებელი რომ ვნახეთ, მოვიკითხეთ. ვეძახეთ, მაგრამ ბიმი არსად ჩანდა. იქნებ თავის სახლში იმალებო, ვარაუდი გამოთქვა დედამ, მიუახლოვდა მის სახლს და ბიმი, მართლაც, კუთხეში მიკუნჭული იპოვა. თვალღებიდან ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები ბიმის. ისეთ ხასიათზე იყო, საჭმელი კი არა, სიცოცხლე არ უნდოდა ამქვეყნად.

მიეფერა დედა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბიმი არ გამოდიოდა თავისი პატარა სახლიდან, არ ქამდა. ნყალსაც კი არ სვამდა... ხელში გვადნებოდა...

მთელმა სოფელმა შეიტყო ჩვენი გასაჭირი. მახსოვს, ერთი მეზობელი მოვიდა და დედას რჩევა მისცა, გამოაგდე თავისი სახლიდან, მაგრად მიბეგვე და თან საყ-

ვედურებით აავსეო. იგრძნობს, რომ თავისი შეცდომისთვის უკვე დაისაჯა და ამ ქვეყნისკენ გულს მოიბრუნებსო.

ვერ გააკეთა დედამ ეს. მივიდა ბიმის სახლთან, მიუტანა თბილი საჭმელი და მოფერებით გაუბა საუბარი. შენ კი არა, ნინია დამნაშავე, რას ჩამოირბინა და შეგიშალა ხელი ჭამაში?! შენ არც კი იცოდი, ვის გაკარი კბილი. განა არ ვიცით, შენ როგორ გიყვარს ჩვენი ბავშვები? თანაც უკვე მოურჩა ნაკბენი, მალე უნდა წავიდეს, აპატიე და შეურიგდით.

ბიმიმ ვერ აიტანა ასეთი კეთილშობილება და, თვითონაც კეთილშობილმა, რამდენიმე დღეში დალია სული ვერმორეული დარდისგან...

კარგა ხანს ვიმტვრევედი თავს, ჩავწვდომოდი მეციხოვნე ძაღლების ფენომენს (გაუნვრთნელ მეციხოვნე ძაღლებს ვგულისხმობ), მათს ფიქრებს და სევდას. ერთ მათგანზე გაამბობთ, რომელსაც მე პირობითად „ანის (ჩემი დის) სამეფოს მეციხოვნე“ შევარქვი უბრალოდ.

თითქმის ორი ათეული წელი მაშორებს მასთან პირველ შეხვედრას. ზაფხული იყო, აგვისტოს თვე ბოლო დღეებს მარცვლავდა. ქვეყნიდან წასვლის თადარიგს შევუდექი. არ იყო ათეული წლების წინ ეს ისე ადვილი, როგორც დღეს ხდება. კიდევ უფრო რთული უკან დაბრუნების დროის განსაზღვრა იყო... ჩავიფიქრე, წასვლის წინა დღეს სასაფლაოზე ყველაზე ბოლოს გავსულიყავი და დავმშვიდობებოდი ანიკოს, რომ მასთან ბოლო საუბარი და დარიგება დიდი ხნით საგზლად გამყოლოდა უცხო მიწაზე. საღამოს შვიდის მერე, როცა თბილისური თავარა მზე სუნთქვის საშუალებას იძლევა, საკუთარი სურვილით მარტო წავედი სასაფლაოზე. აღმართის ბოლოში, ხის ქვეშ, ქუჩის ძაღლებს შეეფარებინათ თავი, ჩრდილში ნებიერად განოლილებს. აღმართის შუანელს რომ მივალწიე, ვხედავ, წამოიმართა ერთი მათგანი, ლაბრადორი და გამისწორა თვალი. ჩვენ შორის მანძილი უფრო რომ შემცირდა, ჩემკენ წამოვიდა თვალმოუშორებლად. შევეკოვნი. ისიც შეჩერდა თავანუელი. დავაპირე გზის გაგრძელება და გადავდგი თუ არა ნაბიჯი, ისევ თავანუელი დაიძრა ჩემკენ.

შევჩერდი... შეჩერდა...

დავიძარი...დაიძრა...

ისევ შევჩერდი... ისიც შეჩერდა...

ასე მცირდებოდა მანძილი ჩვენ შორის. ბრაზიანი ღრენა აშკარად სწვდებოდა უკვე ჩემს სმენას.

„არა, არაფერი გამოვა. უნდა დავთმო პოზიცია. როგორი დასათმობია, ხვალ დილის შვიდზე მივფრინავ! ვინ იცის, როდის ჩამოვალ... ან ჩამოვალ?!“ — ერთმანეთს ეცილებოდნენ ურთიერთსანინაღმდეგო ფიქრები აგუგუნებულ თავში.

„იქნებ ადამიანური დალაპარაკებით მივალწიო სურვილს. მანამ ცოტას დავიხვე უკან და გავზრდი მანძილს ჩვენ შორის...“

ასეც მოვიქეცი. ზურგი ვაქციე და წელი ნაბიჯებით ჩამოვუყევი დაღმართს. „ნეტავ რა ქნა იმან?“ — ისევ

ამეკვიატა უტიფარი ფიქრი და მკვეთრად შემომაბრუნა მისკენ: ის ამაყად, მძიმე და გამარჯვებული ნაბიჯებით მიუყვებოდა აღმართს.

„ანუ შემეშვა!“, — ჩამეცინა კმაყოფილს და ფრთხილად და გაუბედავად, ჩუმად მეც აუყევი აღმართს.

ნურას უკაცრავად. თითქოს თვალები კეფაზე გამოებაო, გაგულისებული შემობრუნდა და კბილები ბრაზით დააღრჭიალა. თან შემომღრინა, რა გინდა, რას ითხოვ ჩემგან, რატომ არ მეშვებიო.

— არაფერს ვითხოვ, გარდა იმისა, რომ გამატარო. შენგან მარჯვნივ, სულ რაღაც ოც ნაბიჯზე, უნდა ველაპარაკო და დავემშვიდობო ჩემს უფროს დას. ხვალ გავდივარ დიდი ხნით დედაქალაქიდან! — ვცადე ნამუსზე შემეგდო ვაჟბატონი.

— არა, მე ვპატრონობ ამ სამეფოს საღამოს ექვსი საათის შემდეგ და არავის არ ვაჭაჭანებ ამ ტერიტორიაზე.

— ექვს საათს საღამოს ეძახი. რას ამბობ, ამ დროს მზე ოდნავადაც არაა გადახრილი! — მოვებლაუჭე ხავსს მე.

— დღის ექვს საათს უკვე საღამოს ექვსი ჰქვია წლის ნებისმიერ დროს! მერე რა, რომ ზაფხულში ლამის ათ საათამდე არ ბნელდება. წადი, დროს ნუ კარგავ! წესრიგს ვერ დავარღვევ, — შეუვალი იყო მეციხოვნე.

— როგორ მინდოდა დავლაპარაკებოდი! — გულდაწყეტილმა ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— ნებისმიერ დროსა და მდგომარეობაში შეგიძლიათ ელაპარაკოთ და გული გადაუშალოთ ამ სამეფოს ბინადრებს! ამისათვის არ არის აუცილებელი აქ მოსვლა. ეს არ იცოდით? — ისე გადმომხედა, თითქოს ნიშნი მომიგო. თან თითქოს მასაც სწყდებოდა გული, რომ ვერ მიწევდა ანგარიშს. თუმცა მე მესმოდა მისი, მას სამეფოს შინაგანი წესების დარღვევა არ უყვარდა და პატიოსნად იცავდა მათ. მაგრამ მაინც ვერ შევუნდე და გაგულისებულმა შევღრინე: — მეციხოვნე, ასე საგულდაგულად და პატიოსნად რომ დაგეცვა წინა ცხოვრებაში ჩვენი სამეფო, ახლა ამ მდგომარეობაში არც შენ იქნებოდი და არც ჩვენი ქვეყანა.

თავდახრილმა დამნაშავედ შემომყეფა.

წავედი. შიგადაშიგ შემობრუნებულს ქვეშ-ქვეშ თუ ამომხედავდა მალულად...

ძაღლების ადამიანური სამყარო დღემდე ისევე ამოუცნობია ჩემთვის, როგორც ადამიანების ძაღლური სამყარო...

2020 წლის სექტემბერი

როსტომ შამუგია³

ჯანსუღ ჩარკვიანის მოლანდებანი

ბოლობოლო, ჩემო „ძვირფასო“ ჯორ-სულ, ამდენს რომ იფურთხები პურჭყებით, მართლა მაინტერესებს, თქვენ კაცი ხართ, თუ აქლემი?...თუმცაღა, ჯერ სადა ვართ?... მე კვლავ ვფურცლავ და ვკითხულობ ჯორ-სულ ჩარკვიანის ზემოაღნიშნულ ნიგნს /„მე და მე“, „მერანი“, 1984წ./... როგორც ჩანს, აზარტში შესულა, „პოეტი“ ჯორ-სული და ფურთხის „მსუბუქი ჟანრიდან“ გადასულა უფრო „მძიმე“ და „პრესტიჟულ“ ლომის შარდსა და ჩონჩორიკზე, თუმცაღა, სჯობს „დავტკბეთ“ უშუალოდ ლექსის შემდგომი სტროფით: - „გუმბათიდან ლომის შარდი თავზე გადმოგვასხა რა, კვლავაც ჩვენსკენ მოიჩქარის ყვავილებით მასხარა“.../გვ.155/ როგორც ბოროტი ენები გვაუწყებენ, თურმე, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რაიკომთა მდივნების ნასუფრალეებზე დაუფლებია ჯორ-სულ ჩარკვიანი ლაქისა და თამადის ხელობას... ამიტომაც, ნიშანდობლივია, რომ გამოჯეკილი ჯორ-სულ თამადა ყელგამონევიტ ეხვეწება და ალავერდს მოითხოვს ცირკის მასხარისაგან:- „ამქვეყნიურ მიწის მადლი ყელზე მადგას სამსალად, გადმოგვასხი ლომის შარდი, საყვარელო მასხარა...“/გვ. 156; დასახელებული ნიგნი/ ანაზღად მომაგონდა ბუმბერაზი ფშაველი მგოსანი, გულამოსკენით რომ ევედრებოდა არსთა გამრიგეს: - „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარიც ამას ვდუდუნებ...“ ცხადია, მაღალზნობრივი იდეალებით და მთის იშვიათი ჰაეროვნებით იყო ვაჟას პოეზია გაჯერებული. ბუნებრივია, გენიოსი ვაჟა გულატირებული იყო მამულის მძიმე ხვედრით და ამადაც იყო იგი მიყურადებული მის ყოველწამიერ გულისცემას და ალბათ, ამიტომაც არის ვაჟას მოხმობილი სტრიქონები ზემთაგონებით გასხივანარებული... თქვენ კი, ჩემო ჯორ-სულ, ცირკის მასხარას ემუდარებით-ლომის შარდი გადმომასხიო...აფსუს, მაინც რა, „პანანია“ განსხვავებაა თქვენსა და მართლაც გენიოს ვაჟას შორის... მეგონა, რომ ლომის შარდით ფრიად ნასიამოვნები ჯორ-სულ ჩარკვიანი შეცვლიდა თავის ე.წ. პოეტურ ლექსიკას და შეგვიქმნიდა ეფემისტურ განწყობას...პირიქით, ჟინიანმა ჯორ-სულმა მეტისმეტი, თავხედური თხოვნით:-გადმომასხი შარდი, გადმომასხი შარდიო, -უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ლომი... იტყობა, პოეტის დაჟინებული თხოვნის გამო, „მორიდებულმა“ ლომმაც ხათრი ვერ გაუტეხა და შარდთან ერთად განავალიც უთავაზა პოეტს, რასაც, მართლაც „შთამბეჭდავად“ აღწერს ჯორ-სულ ჩარკვიანი: - „ჩემს სიხარულს ვინ გაიგებს, ახ, რომელი პერსონა დაუარა წინა რიგებს, ჩონჩორიკი ესროლა“... /დასახელებული ნიგნი, 156 გვ./

3 დასაწყისი იხ. ისინდი №13

მკითხველი უეჭველად შენიშნავს, რომ პოეტი ზედმეტად არის გახარებული. ცოტა საქმე ხომ არ არის, ჩარკვიანი ლომს თხოვდა მხოლოდ შარდს, ხოლო „აღლოიანმა“ ლომმა, არამხოლოდ შარდი, თვით ჩონჩორიკიც არ დაიშურა ჯორ-სულ ჩარკვიანის პატივსაცემად.... ვფიქრობ, ლომმა ამ შემთხვევაში იმოქმედა პრინციპით: - მადლი ჰქენი და მარილიც მოაყარეო...როგორც იტყვიან, ღმერთმა შეარგოს ჯორსულ ჩარკვიანს ლომის შარდი და განავალიცა... მე კი, ჩემდათავად, ამდენი ფურთხიან-შარდიან-ჩონჩორიკიანი ლექსების ნაკითხვის შედეგად ასეთ დასკვნამდე მივდი: მიუხედავად ბ-ნი ზვიადისადმი ჩემი სიმპათიისა და ამ უკანასკნელის მიერ ჩარკვიანის „პოეზიის“ იწილო-ბინილოდ მოხსენიებისა, მე მაინც „ჭკვიან“ კაცად მესახება ჯანსუღი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გავეშვებული, ზაფრამაღილი, ლომის შარდსა და განავალში განბანილი „შენ ხარ ჩემი ბატონი“ (ეს ჯანსუღის აკვიატებული ფრაზაა, მსგავსად „ბუნკერისა“, „ფიურერისა“ და ა.შ.), მთელი ძალისხმევით მოუწოდებს თვითმარქვია პარლამენტს „ურჩი“ სამეგრელოს „გონზე მოსაყვანად“... ეჰ, ჯორ-სულ, ჯორ-სულ! მეტისმეტი ცუნდრუკი და ტუტრუცანა ყოფილხართ. აბა, რას მივანეროთ თქვენი ატროკებ-აცუნდრუკება ჩემი მინანერის გამო: „თქვენი მონა-მორჩილი?“ ვინც ოდნავ მაინც განათლებულია და ვინც ასე თუ ისე იცნობს გამოჩენილ ადამიანთა ეპისტოლურ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას, დამეთანხმება, რომ მსგავსი მიმართვები ბუნებრივსა და ჩვეულებრივს წარმოადგენდა ადამიანთა ურთიერთობების პროცესში. მრავალ ნიმუშთაგან მოვუხმობ რამდენიმეს: ცნობილი პოეტი, იმერეთის მეფის ელჩი, თავადი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) მეგობრისადმი მიწერილ ბარათს ამთავრებს ასეთი ფრაზით: „მე ბესიკი – შენი მონა“. (იხ. ბესიკი, თხზულებანი; 1962 წელი, 189 გვ.). ხოლო 1789 წლის 14 ოქტომბერს გაგზავნილ ბარათს ასე ამთავრებს: „უმდაბლესი მონა, იმერეთის მეფის ელჩი, კნიაზი ბესარიონ გაბაშვილი“ (იგივე გვ.). გენიალური პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს წერდა: „თქვენი უმორჩილესი... ნ.ბარათაშვილი“.) ვასილ ბარნოვი საზოგადო მოღვაწის, მოსე ჯანაშვილისადმი 1885 წლის 21 აპრილს გაგზავნილ წერილში წერს: „ძმაო მოსე! მივიღე შენი ძმური წერილი“... ხოლო „ძმას“ და გულითად მეგობარს, აი როგორ ემშვიდობება დიდი მწერალი: „თქვენი მონა-მორჩილი ვასილ ბარნოვი“ (ვ. ბარნოვი, თხზ; ტ. 10, გვ. 408). ბოლო ნიმუშიც: 1892 წელს ჟურნალისტ არტემ ახნაზაროვისადმი გაგზავნილი ბარათის ბოლოში ვკითხულობთ: „თქვენი მონა-მორჩილი ვ.ბარნოვი“ (ვ. ბარნოვი, თხზ; ტომი იგივე, გვ. 409). ანალოგიური მაგალითები უსასრულოდ შემიძლია დავიმონწო კლასიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, მაგრამ ლიტერატურული საგანძურებიდან მოკრძალებით მოხმობილი ნიმუშები

საკმარისად მიმჩნია ურწმუნო თომათა (ჯორსულისმაგვართა) დასარწმუნებლად იმაში, რომ ჩემ მიერ ნახმარი უცოდველ-უწყინარი ფრაზა („თქვენი მონა-მორჩილი“) ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში ჩვეულებრივად იყო აღქმულ-გაცნობიერებული ცნობილ ადამიანთა მიერ... ეჰ, ჯორ-სულ, ჯორ-სულ! ეს ყველაფერი მგონი თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ყვიტყვიტობთ და კრუშკრუშობთ მხოლოდ იმიტომ, იქნებ, ვინმე მიაშიტი მკითხველი მართლა დააჯეროთ იმაში, თითქოს მე ბ-ნი პრეზიდენტის ყურმოჭრილი ყმა ვარ, თითქოს ეროვნული გაზეთები „იბერია-სპექტრი“ და „საქართველოს სამრეკლო“ წარმოადგენენ „იმპერია-სპექტრის სამრეკლოს“ და ა.შ... და თუ მართლაც ისე გეგმით, როგორც წერო, მაშინ ჰეგელის თქმისა არ იყოს, მით უარესი თქვენთვის და ღმერთმა ნამდვილად შეგარგოთ თქვენი მოწონებული ლომის შარდი თავის ჩონჩორიკიანად... პრეზიდენტის ყურმოჭრილი მონა მაშინ ვიქნებოდი, ბ-ნი ზვიადის პრეზიდენტობის ჟამს რომ დამეწყო მასზე დითირამების თხზვა, რაც თავად თქვენთვისაა დამახასიათებელი. სხვათა შორის, ოცდაათი წელიწადი ვიცხოვრე თბილისში (1990 წლამდე) და საკმაოდ ახლოს ვიცნობდი ბატონი ზვიადის და სულმნათი მერაბ კოსტავას გარემომცველ წრეს, მაგრამ არასოდეს მიცდია მათი გამოყენება პირადი კეთილდღეობისთვის და ჩემი სიჩუმე ბ-ნი ზვიადის განდევნამდე სათანადო ტაქტით იყო განპირობებული. ხოლო თუ დღეს ვექომაგები პრეზიდენტს, მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლე მის მხარეზეა და თუ მე ვარ მართლის, დევნილი კაცის მხარეს და არა დანაშაულებრივი პუტჩის შედეგად მოსული შევარდნაძის ვითომ მთავრობის მხარეს, რომელსაც ტერორიზებული ჰყავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, მაშინ საღად მოაზროვნემ თვითონ გააკეთოს ელემენტარული დასკვნა, თუ ვინაა ჩვენ შორის მონა, ხოლო ვინ – ჭეშმარიტების მსახური. სიმართლე თუ გსურთ, თქვენ ხართ, ჩარკვიანი, მონა, ვინაიდან ემსახურებით შევარდნაძის პუტჩისტურ „მთავრობას“, სავარძლის დაკარგვის შიშით ლალატობთ ჭეშმარიტებას და ინონებთ კიდევ საქართველოში გამეფებულ „არაკჩევის რეჟიმს“, საყოველთაო ანარქიასა და აბსოლუტურ განუკითხაობას... თუმცაღა, თქვენთვის ამგვარი რამის ახსნა, უდავოდ, მგლის თავზე სახარების კითხვას წარმოადგენს... დი-ი-დო პოეტო ჯორ-სულ! მაინც რას ნიშნავს თქვენი ნაქილიკარი? - „აბა ჩემო საყვარელო მონიკო, რატომ გგონია, რომ გამსახურდიამ გადააყენა ბუში და კიბოს ნამალი გამოიგონა?“ ჩემო „სულზე უტკბესო“, „უსაყვარლესო“ ჯორ-სულ! ჩემს სტატიაში ამგვარი ბრიყვული აზრი არ არის დაფიქსირებული. სამწუხაროა, რომ ბოლო ხანებში მეტისმეტად მოგძალებით ჰალუცინაცია... როგორც გენიოსი გალაკტიონი ბრძანებდა: „ისეთ სისულელეს ამბობ, რომ მოხარშულ დედალსაც გაეცინება“ (გ. ტაბიძე, თხზ. ტ. 12; გვ. 477). ცხადია, „მოხარშული დედლის სიცილი“ კი, თავის მხრივ, იმ დროსაც მოგაგონებთ, როცა, როგორც ერთმა პოეტმა



ამასწინანდელ „საქართველოს სამრეკლოს“ ფურცლებზე დააქუხა: „ნასუფრალეზე ვით ცლიდი ყანებს“... უბადრუკო ჯორ-სულ! ნუთუ თქვენი ფართო შუბლი კამეჩის ტყავით არის გადაკრული? თქვენ წერთ, თითქოს ბ-ნი ზვიადს ეთქვას 9 აპრილს დახოცილთა შესახებ: „ნუთუ ოც კაცზე მეტი არ დახოცილა? ამაზე ატყდა ამდენი ვაი-უშველებელი?“ ეგ ხომ წმინდა წყლის, უფრო სწორად, თქვენი საყვარელი ლომის შარდისა და ჩონჩორიკის ფანტაზიაა? პირიქით, ქართველ ხალხს დღესაც ახსოვს ეროვნული მოძრაობის თავკაცის მიერ ატეხილი განგაში იმის თაობაზე, რომ სინამდვილეში მეტი მსხვერპლია, ვიდრე 20 კაციო... ჭეშმარიტება ასეა, მაგრამ ფაქტის თქვენებური ინტერპრეტაცია და ამით მანიპულირება გამიზნული მცდელობაა საზოგადოების თვალის ასახვევად. თუმცაღა, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ეს არ გამოგივიდათ. ცნობილია, რომ ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავა საერთაშორისო საინფორმაციო სამსახურთა მეშვეობით განგაშით აუწყებდნენ მსოფლიოს პიროვნების უფლების ხელყოფის ცალკეულ ფაქტებსაც კი... თქვენ კი, შურისა და ბოლმისგან დაბრმავებულ „პოეტო“, ქართველი საზოგადოების მოტყუებასაც ბედავთ თქვენი ვერაგულ-ბინძური ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ეს ყველაფერი თქვენი მოჩმახულია, მაგრამ ჭორი ხომ ზუსტად ამგვარად ვრცელდება, ვილაცამ ხომ უნდა ააგოროს?... „ჯანსუღ ჩარკვიანმა დაწერა გაზეთში, ა, ბატონო, ნაიკითხეო“ – და ათასობით მკითხველი ერთ დღეში ქვეყანას მოსდებს ამგვარ ჭორს... სწორედ თქვენისთანა სულდგმულზე იტყვიან ხოლმე – დემაგოგიური კანაპაო... თუმცაღა, თქვენ დიდი ხანია მარტოოდენ გარკვეული ნაწილის თვალში რჩებით პოეტად... თამადა – დეპუტატო! ჩემს წერილში მე ვწერდი კონკრეტულ ფაქტზე: ზ. გამსახურდიას მიერ ლექციის ქართულ-გერმანულ ენებზე წარმართვასთან დაკავშირებით. თქვენ კი ზაფრათილილი, აი, რას წერთ ჩემდამი თქვენს პასუხში: - „ინგლისურ-გერმა ნულ-იტალიურ-ფრანგულ-აფხაზურ-ჩეჩნურ-ადიღურ-ინდურ-ჩი ნურ-იაპონურ-რუსი-

ულ-რუსულ -რასიულ-სირიულ-კუკლუსკლანუ რი ერთ-ნაირად იცისო, რამ გათქმევინა შე ყურუმსალო შენა?“ ვინაიდან მსოფლიოს კომპეტენტურ სპეციალისტებს „რუსიული“ და „რასიული“ ენების რაობაზე ჯერჯერობით წარმოდგენაც არ აქვთ, ამიტომ სავსებით მართებულად იმსახურებთ „აღმოჩენის“ პრიორიტეტს ლინგვისტიკის დარგში... ანდა კუკლუსკლანური (სწორია „კუკლუსკლანური“-რ.შ.). როგორღა მიატმასნეთ ენათა ოჯახს? გეტყობათ, რომ პუტჩისტების დეპუტატი და იდეოლოგი ბრძანდებით... ყრუჩუნა ჯორ-სულ! ბარემ დაიმახსოვრეთ: „კუ-კლუსკლანი“ (მისგანა წარმოებული „კუკლუსკლანური“) არის ფაშისტურ-ტერორისტული ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში და არავითარი საერთო თქვენ მიერ ჩამოთვლილ ენებთან არ გააჩნია. თუმცაღა, როგორც უკვე აღვნიშნე, თქვენ ხომ პუტჩისტების დეპუტატი და იდეოლოგი ბრძანდებით, ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, პუტჩისტურ-ტერორისტული ჰალუცინაციით, რომელიმე ფაშისტური ორგანიზაცია წარმოადგინოთ თქვენთვის ხელსაყრელი ფორმით... თქვენს პომპეზურ ინტერვიუებში ლამის არის გალაკტიონად წარმოუდგინოთ თავი მკითხველს, სინამდვილეში კი, ენათა კლასიფიკაცია და ფაშისტური ორგანიზაცია ერთი და იგივე გგონიათ... „განათლებულო“ ჯორ-სულ! თქვენ ფაქტებით პაექრობაში უბადრუკი ჩანხართ, ამიტომ ტყუილ-მონაგონით ლამობთ ფონს გასვლას... ეს კი, არავაჟაკური საქციელია და ზნეობრივი ასპექტით, ფრიად საჩოთირო... ამ თქვენს ქირქილსა და ონავრობაში თქვენული „კუკლუსკლანურის“ ასოციაციით, უნებურად მომაგონდა ტერმინები: კიქსი და კნიქსენი. კიქსი ნიშნავს მოცარულ დარტყმას ბილიარდის თამაშში, ხოლო კნიქსენი იგივე რევერანსია... დიახ, ყრუჩუნა პოეტო! Dდარტყმა მოცარული გამოგივიდათ, ხოლო კოკობზიკური რევერანსი კი, თქვენვე შეგრჩათ. თქვენ წერთ: „მეორედ არ გაბედო და არ მითხრა რომ შენ ჩემი მონა ხარ“... კვლავ გიმეორებთ, რომ ტვინნაღრძობი უნდა იყოს კაცი, რომელიც ამ უწყინარ ტერმინში „თქვენი მონა-მორჩილი“ დღეს გულისხმობდეს სოციალურ შინაარსს და ამ ცნებას ტვირთავდეს ძველებური, წარმართული ჟამის ფუნქციით და მოაზრებით... ამასთან, პრინციპულად გირჩევთ დაიმახსოვროთ: სხვა დროს მაინც ნუ იკადრებთ ეგეთი ტონით საუბარს, თუმცაღა, ჩემდათავად, არ ვაპირებ თქვენთან პაექრობის გაგრძელებას, რადგან მე მნამს კამათი, პაექრობა მხოლოდ ფაქტებით და ზნეობრივად დასაშვები ლოგიკური ხერხებით და არა თქვენსავით ტყუილ-მონაგონით... ბარემღა აქვე შევეხები თქვენს ერთ არამზადულ განზრახვასაც: - მხედველობაში მაქვს უდიდესი ქართველი პროზაიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ სასკოლო პროგრამიდან ამოღების თაობაზე თქვენ მიერ ტელევიზიით გაკეთებული განცხადება, იმ მოტივით, თითქოს ჭიბერ ერისთვის მონამვლა კათალიკოსის მიერ მოზარდ თაობაში ინვედეს სულიერ გადაგვარებას. ჯერ ერთი, რაღა

ბ-ნი ზვიადის მიმართ გარკვეული კლანების მიერ წამოწყებული „ჯვაროსნული ლაშქრობის“ ჟამს აცუნდრუკდით? მწერლუკა კიტა ბუაჩიძე მომაგონდა ანაზად... გახსოვთ ალბათ, პატივცემული კიტას ნათქვამი: „ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების“ შეძენას და წაკითხვას არც ვაპირებდი, დალაქს რომ არ დავეინტერესებინო“... თქვენც ეგრე ხომ არ მოგდით? განა, აქამდე არ გქონდათ წაკითხული „დიდოსტატის მარჯვენა“? თქვენც პარიკმახერისგან ხომ არ გაიგეთ ამ რომანის არსებობის შესახებ? გარდა ამისა, ამ დიდებულ რომანში აღნიშნული მონამვლის მომენტი თითქმის „უნყინრად“, სიტუაციის განსაკუთრებული დრამატიზებისა და მკვლელობის დეტალების გამძაფრებული აღწერის გარეშეა გადაწყვეტილი. რასაკვირველია, საერთო ფონი მეტად შემზარავია, მეტადრე, ჭიბერის გულმოკლული დედ-მამის განცდათა აღწერა, მათი უზომო გულისწუხილი შვილის სიკვდილის გამო, მაგრამ თქვენ მიერ ნახსენები მოტივით სასწავლო პროცესიდან „დიდოსტატის მარჯვენის“ განრიდება უგუნურებად მიმჩნია. თუ თქვენს „მოსაზრებას“ განვაზოგადებთ, მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ ამოღებაც მოგიწევს სასკოლო პროგრამიდან, ვინაიდან რუსთველი უფრო მძაფრად აღწერს ზვარაზმშას შვილის მოკვლას ტარიელის მიერ... და თუ თქვენი დაჟინების გამო მაინც ამოიღებენ პროგრამიდან „დიდოსტატის მარჯვენას“, მაშინ სავსებით „უპრიანი“ იქნება სასკოლო პროგრამაში სანაცვლოდ შეიტანონ 1974 წელს „მერანის“ მიერ „ხუთწლედის მათიანის“ სერიით გამოცემული თქვენი პატარა წიგნის ერთ-ერთი პოემა „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“. სწორედ ეს უკანასკნელი „მაღალმხატვრული“ ნაწარმოები თულა შეცვლის ისეთ შედეგს, როგორიცაა „დიდოსტატის მარჯვენა“. გარდა ამისა, აწინდელ საქართველოში სწორედ კოლხეთი წარმოადგენს ვაიქართველთა სათარეშო, საგზეკუციო რეგიონს... ზემოაღნიშნული პოემის წინასიტყვაში წერთ: „დღეს ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის ბრძოლის ველი კოლხეთია. ამ ბრძოლის ველზე გამარჯვებულთ ეძღვნება ჩემი ახალი პუბლიცისტური პოემა „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“. საოცარია, რაღა ბრძოლის ველობა დაანათლეთ კოლხეთს? აკი, შარშან აგისდათ კიდევ დიდი ხნის ნაოცნებარი... ალბათ, გასულ წელსაც ასე მგზნებარედ მოუწოდებდით მხედრიონელებს - „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“ ჩემო ჯორ-სულ, ერთი ამისხენით, რას ნიშნავს თქვენი მუქართი ნათქვამი: „გარწმუნებთ, სულ მალე წერტილი დაესმება თქვენი მონური სულის აღზევებას“... ჯერ ერთი, ამასწინდელ ტელეგადაცემაში სრულიად საქართველო უყურებდა თქვენს ქლესურ, არავაჟაკურ, მლიქვნელურ, თითქმის ცრემლნარევე მუდარას ხუნტის მეთაურის შევარდნაძისადმი: „არ გადადგეთ, თორემ დავიღუპებითო“. აი, ეს გახლავთ ლაქიობის, მლიქვნელობის, ჭეშმარიტი მონური სულის გამოვლინების ტიპური, კლასიკური ნიმუში... გარდა ამისა, თუ თქვენი მუქარა მთლიანად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაო-

ბისადმი არის მიმართული, ამ შემთხვევაში, თავს უფლებას ვაძლევ, ეჭვქვეშ დავაყენო თქვენი ფსიქიკური მდგომარეობა, რამეთუ მნამს, კაცი, რომელიც ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობას უპირისპირდება, არა მგონია იყოს ჯანსაღი ფსიქიკური წყობისა და ნორმალური ცნობიერებისა. ჭეშმარიტებაა, რომ 30 ვერცხლად სულგაყიდული ქართველები ვერ ჩათვლებიან ფსიქიკურად ნორმალურ ადამიანებად... ნათქვამის დასტურსაყოფად გთავაზობთ კიდევ ერთ ფრაგმენტს თქვენივე ინტერვიუდან: - „მე დღესაც არ ვიცი, მუხრანია ზვიადისტი, თუ ზვიადია მუხრანისტი. თითოეული დარწმუნებულია თავის უპირატესობაში და ერთმანეთი რომ არ უყვართ, ეს ყველაზე კარგად თვითონ იცინა“. ბრავო, ბრავო „პოეტო!“ როგორ სრულყოფილად წარმოაჩინეთ თქვენი შინაგანი მრწამსი, თქვენი ზნეობრივი კრედი! თქვენი ლოგიკური „აზროვნების“ მიხედვით, გამოდის, რომ ბერი თევდორეს, დიმიტრი თავდადებულის და მამლისთვის თავგანწირულ მრავალ წინაპართა ქმედებანი სამშობლოს სიძულვილით ყოფილა ნაკარნახევი. თუკი ზვიად გამსახურდიას და მუხრან მაჭავარიანს ერთმანეთი სძულთ, მაშ როგორ გავიგოთ მათი ურთიერთპატივისცემა და ურთიერთშეთანხმებული მოღვაწეობა მამულის უმძიმესი ხვედრის შესამსუბუქებლად! პირიქით, სიყვარულის კეთილშობილური გრძნობა აერთიანებთ ბ-ნ მუხრანს, ბ-ნ ზვიადს და ათასობით ჭეშმარიტ მამულიშვილთ, რაც მშვენივრად უწყის სრულიად საქართველომ. ჩემო მართლაც „ძვირფასო“ ჯორსულ! დროა, მოუშვით ზვიადისტების და მუხრანისტების შესახებ კბილქვე მოტანით ბურტყუნს. ნეტავ, რომელ მათგანს გაუტოლდებით ვაჟკაცობაში, ერისკაცობასა თუ განსწავლულობაში: ბ-ნ მუხრანს, თუ ბ-ნ ზვიადს? უბადრუკო კაცო! ახლოს რომ არ გაგიკარეს თქვენი მონურ-ლაქიური წარსულის გამო, ამიტომ გახრჩობთ ბოლმა და ვერ გამძღარხართ ბ-ნი მუხრანის და ბ-ნი პრეზიდენტის გაკილვით, მათი აუგად ხსენებით. „ძვირფასო პოეტო!“ ზემოხსენებულ ინტერვიუში ერთგან ამბობთ: „ვისაც სურვილი აქვს, დამხედვს და მესროლოს“... ეჰ, ჯორ-სულ, ჯორ-სულ! ეს, რანაირი აზრი მოგვლიათ თავში „ჭაბუკო?“ ეგ ხომ ისეთივე მკრეხელობა და აბსურდული ოცნებაა, მეფე-პოეტი გალაკტიონი რომ ბრძანებდა: „მოხარშულ დედალსაც გააცინებსო“. სისულელეა იმდენად, რამდენადაც თქვენ-ნაირთათვის ხელებს არ ისვრიან, „ჩიტი ხომ ბღვენად უნდა ღირდეს?“ საერთოდ, კლავენ დიდი იდეის მქონებელთ, ტიტანებს. თქვენ კი, ძალიანაც რომ მოისურვოთ, ვერ ეღირსება თქვენს შუბლს ტყვია. თუმცადა, რომც მოხდეს სასწაული და ვინმემ დაგიმიზნოთ იარაღი შუბლში, დარწმუნებული ვარ, წარბსაც არ შეიხრით, განა იმიტომ რომ უშიშარი ხართ, არამედ შუბლის იმედი გაქვთ, კამეჩის სქელტყავადაკრული ცხიმიანი შუბლისა, რომელიც ტყვიას უეჭველად აისხლეს... დასასრულ, გირჩევთ, გულდასმით წაიკითხოთ ჩვენი სათაყვანო წინაპრის, ბრძენი იაკობ გოგებაშვილის საგულისხმო

სტრიქონები: „ბატონო გიორგი! (იგულისხმება მწერალი გ. წერეთელი -რ.შ.) ხელი აღღეთ ინსინუაცებზე, თორემ სხვისი დამდაბლების მაგიერ, რომელიც ისე გწყურიათ, საკუთარ თავს იმდაბლებთ, ირცხვენთ და ყირნაყურნით მისწრაფებით ქვევითქვევით; შეიბრალებთ თქვენი თავი“. ძვირფასო ჯორ-სულ, იქნებ მოხერხდეს თქვენი ფსიქოლოგიის მეტამორფოზა და ინსინუაციების და დიატრიბების წერის ნაცვლად კარგი საქმით შეენიოთ ჩვენს გატანჯულ მამულს. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, გაძლევთ ვაჟკაცურ სიტყვას, თქვენი კაცობის სადღეგრძელოს ჯიხვის რქით გაიხლებით... ამჟამად კი მსურს დაგემშვიდობოთ ცნობილი ფუნაგორიის ბოლო ფრაზებით, რომელიც, ვფიქრობ, ზუსტად გამოხატავს თქვენს რაობასაც და მეობასაც: „შენმა კბენამ მე ვერ მავნო, შენ კი გავნო, გავნო, გავნო!“

სამურზაყანო, 27 მაისი, 1993 წ. გაზეთი „აღდგომა“.

ვასტანგ ვასტაქა⁴

„საეციალურად „ისინდისათვის“,

პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს

4 ივლისს „იზვესტიაში“ გამოაქვეყნა პატრიარქ ტიხონის მიმართვა სამღვდელოებისადმი, სადაც ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა 1923 წლის განმანახლებლური საეკლესიო კრების ლეგიტიმურობას და განმარტავდა:

„მისი დადგენილებებიდან შეიძლება მოვიწონოთ და ვაკურთხოთ ახალი კალენდარული სტილის დანერგვა საეკლესიო პრაქტიკაში. რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მე ეს უკვე ჩამოვაცალიბე უზენაესი სასამართლოსადმი ჩემს განცხადებაში, რომელშიც მე ვითხოვე აღკვეთის ზომების შეცვლა, ანუ პატიმრობიდან განთავისუფლება. იმ დანაშაულობებში, რომელიც მე ვაღიარე, არსებითად დამნაშავეა ის საზოგადოება, რომელიც მე, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, გამუდმებით მაქეზებდა ამა თუ იმ გზით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიერიდან მე ვაცხადებ, რომ მათი მცდელობა იქნება სრულიად ფუჭი და უნაყოფო, რამეთუ მე გადაჭრით ვგმობ ყოველგვარ შეტევას საბჭოთა ხელისუფლებაზე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. დაე, შეიგნონ ყველა საზღვარგარეთელმა თუ შინაურმა მონარქისტებმა და თეთრგვარდიელებმა, რომ მე საბჭოთა ხელისუფლების მტერი არა ვარ. მე ვავაცნობიერე ყველა ის სიცრუე და ცილისწამება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების შესახებ შინაური თუ გარე მტრები ზეპირად თუ წერილობით ავრცელებენ მთელ მსოფლიოში. ამან ვერც მე ამიარა გვერდი. გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ 5 მაისის N606 ნომერში გამოჩნდა ცნობა, რომ თითქოს ჩეკი-

4 დასასრული. დასაწყისი იხ. „ისინდი“ № 10,11,12,13

სტები დაკითხვების დროს მანამებდნენ ელექტროდენით. მე ვაცხადებ, რომ ეს არის სრული სიცრუე და მორიგი ცილისწამება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“.

მიუხედავად ამისა, მის მიმართ გამოძიება არ შეწყვეტილა და არც საპატრიარქოს, როგორც მმართველობის ორგანოს, დაპირებული რეგისტრაცია არ მომხდარა. გადანყვეტილება მის მიმართ გამოძიების შეწყვეტისა და საქმის დახურვის თაობაზე პოლიტიურად მიიღო 1924 წლის 13 მარტს, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 21 მარტს.

1925 წლის დასაწყისში დაიწყო პატრიარქ ტიხონის დაკითხვები „სამღვდელოების საჯაშუშო ორგანიზაციის“ შესახებ, რომელსაც ვითომდაც იგი ხელმძღვანელობდა. 21 მარტს პატრიარქი დაკითხეს ლუბიანკაზე. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ განზრახული იყო პატრიარქის მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოტანა და ქონების კონფისკაცია, რაც აღარ განხორციელდა 1925 წლის 7 აპრილს პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების გამო.

არაულოვა ეკლესიაში

1921 წლის დასაწყისში სინოდის სხდომებს ესწრებოდა მცირე რაოდენობის მღვდელმთავრები, რადგან ბევრი ემიგრაციაში იყო, ზოგი ვერ ახერხებდა ჩამოსვლას მოსკოვში. საეკლესიო მმართველობის მეორე უმაღლესი ორგანო - უმაღლესი საეკლესიო საბჭო წევრთა ნაკლებობის გამო დაიშალა. ამ ვითარების გამო უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება პრაქტიკულად ხორციელდებოდა ერთპიროვნულად პატრიარქის მიერ. თეთრების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე შეიქმნა დროებითი საეკლესიო სამმართველო.

1921 წლის ნოემბერში სერბეთში შედგა პირველი სრულიად საზღვარგარეთის საეკლესიო კრება, რომელმაც გააფორმა დე-ფაქტო დამოუკიდებელი რუსული საეკლესიო წარმონაქმნი, რომელიც ნომინალურად აღიარებდა პატრიარქ ტიხონს. ამ წარმონაქმნს შემდგომში ეწოდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესია საზღვარგარეთ.

საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მღვდელმთავრების სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება გაიმართა 1923 წლის 29 აპრილს მოსკოვში, რომლის მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ:

„1. ...მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა საეკლესიო კრება გამოხსნა კონტრევოლუციურ ბრძოლას და მის კაცთმოდულე მეთოდებს. 1923 წლის საეკლესიო კრება, კერძოდ, წუხილს გამოთქვამს საბჭოთა ხელისუფლების ანათემაზე და ყველაზე, ვინც მას აღიარებს. საეკლესიო კრება აცხადებს, რომ ამ ანათემას არა აქვს არავითარი ძალა. 2. 1923 წლის კრება გამოხსნა ყველას, ვინც ამ გზით წავიდა და სხვებიც წაიყვანა. პირველ რიგში ეს ეხება მთელი საეკლესიო ცხოვრებაზე პასუხისმგებელ პირს - პატრიარქ ტიხონს, ვინაიდან ქვეყნის მთელი მსახურების ნაცვლად იგი ემსახურებოდა კონტრევოლუციას, და რადგან, როგორც პიროვნებას, რომელსაც სწორად უნდა წაეყვანა საეკლესიო ცხოვრება, შეცდომაში შეჰყავდა ფართო საეკლესიო მასები, საეკლესიო კრება ტიხონს



მიიჩნევს ქრისტეს ქვეყნარტი მცნებებისაგან განდგომილად და ეკლესიის მოლაღატედ. საეკლესიო კანონების საფუძველზე მას ერთმევა საეკლესიო ხარისხი და ბერობა და უბრუნდება უწინდელ საერო მდგომარეობას. ამიერიდან პატრიარქი ტიხონი არის საერო პირი ვასილი ბელლაგინი.“

1923 წლის 4 მაისს „იზვესტიის“ ცნობით, ეს დადგენილება პირადად გადაეცა ტიხონს.

1923 წლის 1 ივლისს ტიხონმა გაავრცელა სპეციალური ეპისტოლე, ხოლო 15 ივლისს დონის მონასტრის აშხინიდან გააკეთა საჯარო განცხადება სრულიად რუსეთის საეკლესიო მმართველად დაბრუნების შესახებ და განახლებული საეკლესიო კრების ყოველგვარი საქმიანობა უარყო.

მოსკოვის ეპარქიალური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ემიგრაციაში მყოფი ვასილი ვინოგრადოვი იგონებს:

პატრიარქის „მონანიებას“, რომელიც საბჭოთა გაზეთებში გამოქვეყნდა, მორწმუნე ხალხზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია. ყოველგვარი პროპაგანდის გარეშე მთელი მორწმუნე ხალხი, როგორც ერთი კაცი, რაღაც ღვთაებრივი სასწაულით, ასეთ შეფასებას აძლევს პატრიარქის „მონანიებას“. „ეს პატრიარქმა დაწერა არა ჩვენთვის, არამედ ბოლშევიკებისათვის...“ ხოლო 1923 წლის განახლებულ საეკლესიო კრებას მორწმუნეთათვის ოდნავი ავტორიტეტიც კი არ ჰქონია: ყველა კარგად ხვდებოდა, რომ ეს საეკლესიო კრება, უბრალოდ, საბჭოთა ხელისუფლების ხრიკს წარმოადგენდა, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი საეკლესიო მნიშვნელობა. საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა მისთვის სრულიად მოულოდნელი ფაქტის წინაშე: მორწმუნეთა უდიდესმა მასამ ღიად დაუჭირა მხარი გათავისუფლებულ პატრიარქს, როგორც ერთადერთ კანონიერ მეთაურს და ხელმძღვანელს, და პატრიარქი წარმოსდგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე არა როგორც მორწმუნეთა მცირე ჯგუფის მეთაური, არამედ მორწმუნეთა სახალხო მასის ფაქტობრივი სულიერი მოძღვრის სრული შარავანდედით.“

ტიხონის პატიმრობიდან გათავისუფლება და განსაკუთრებით ის ვითარება, რომ მან მღვდელმსახურება დაიწყო, რომელსაც უამრავი ხალხი მოაწყდა, გამოიწვია შემფოთება განახლებულ საეკლესიო მმართველობაში. უმაღლესი საეკლესიო საბჭოს ახალმა ხელმძღვანელმა, ოდესის მიტროპოლიტმა ევდოკიმმა (მემჩერსკი) ასეთი კომენტარი გააკეთა:

„ტიხონი, მას შემდეგ, რაც მისი კარტები გაიხსნა, მნიშვნელოვანწილად განიარაღდა. მაგრამ ჩვენ არ გვეგონა, რომ უზენაესი სასამართლო ასეთ ჰუმანურობას გამოიჩინდა საბჭოთა ხელისუფლების გააფთრებული მტრის მიმართ. გათავისუფლებული ტიხონიც ასევე არაა საშიში, რადგან სამღვდლოების კონტრრევოლუციური ნაწილი მას გაემიჯნება მის მიერ კონტრრევოლუციური იდეების უარყოფის გამო. „ტიხონელთა“ ნარჩენებისათვის ტიხონის გათავისუფლებას, ეკლესიის რეაქციულ ნაწილის გაძლიერების თვალსაზრისით, არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.“

მიუხედავად ტიხონის მცდელობისა, ისევ აელო ხელში საეკლესიო მმართველობა, 1924 წლის 10-18 ივნისს მოსკოვში განახლებულმა დიდმა საეკლესიო კრებამ, აღმოსავლეთის ეკლესიათა პატრიარქების მიერ ახალი სინოდის აღიარების საფუძველზე, გამოიტანა დადგენილება: „ამიერიდან პატრიარქი ტიხონი - სექტის მეთაურია.“

1924 წლის 9 დეკემბერს პატრიარქ ტიხონზე თავდასხმის მცდელობისას დონის მონასტერში მოკლეს იაკობ ანისიმოვიჩ პოლოხოვი.

ამან პატრიარქზე უკიდურესად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. მისი დაჟინებული მოთხოვნით, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, პოლოხოვი დაასაფლავეს დონის ახალი სასაფლაოს ტერიტორიაზე.

1925 წლის 13 იანვარს ტიხონი გადაიყვანეს მოსკოვის ბაკუნინის კლინიკაში, მაგრამ იგი აგრძელებდა რეგულარულ მღვდელმსახურებას მოსკოვის ტაძრებში. ბოლო მღვდელმსახურება - ეპისკოპოს სერგის ხელდასხმა - მან აღასრულა 1925 წლის 23 მარტს (5 აპრილს) გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე.

1925 წლის 28 თებერვალს პატრიარქმა ტიხონმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ახალი შუამდგომლობით მიმართა წმინდა სინოდის რეგისტრაციის შესახებ შემდეგი შემადგენლობით: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ტიხონი, ნიჟეგოროდის მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი), ურალისა და ნიკოლაევსკის მიტროპოლიტი ტიხონი (ობოლენსკი), ტვერის და კაშინის მიტროპოლიტი სერაფიმი (ალექსანდროვი), ხერსონის და ოდესის ეპისკოპოსი პროკოფი (ტიტოვი), სამარის ეპარქიის დროებითი მმართველი, მელიტოპოლის ეპისკოპოსი და ტავრიის ეპარქიის ვიკარი სერგი (ზვერევი). შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს.

1925 წლის 25 მარტს (7 აპრილს) ხარების დღეს პატრიარქი გარდაიცვალა 61 წლის ასაკში - ოფიციალური ცნობით თითქოს გულის უკმარისობისაგან, თუმცა არსებობს უფრო დამაჯერებელი ვერსია მისი მოწამვლის შესახებ. გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე მან წარმოთქვა: „ახლა მე დავიძინებ... ღრმად და ხანგრძლივად. ღამე იქნება გრძელი და ბნელი... ბნელი...“

საგულისხმოა, რომ პატრიარქობის შვიდი წლის განმავლობაში მან შეასრულა 777 ლიტურგია და დაახლოებით 400 საღამოს ღვთისმსახურება ლოცვა. გამოდის, რომ იგი მღვდელმსახურებას ატარებდა ყოველ 2-3 დღეში.

პატრიარქი ტიხონი დაკრძალეს 1925 წლის 30 მარტს (12 აპრილს), ბზობას, დონის მონასტერში. მონაწილეობდა 56 მღვდელმთავარი და 500-მდე მღვდელი. გალობდნენ ცესნოკოვის და ასტაფიევის გუნდები.

15 აპრილს გაზეთებმა „პრავდამ“ და „იზვესტიამ“ გამოაქვეყნეს „სიკვდილის წინ დაწერილი ანდერძი“, განსვენებული პატრიარქის სახელით, თითქოსდა ხელმოწერილი სიკვდილის დღეს (არსებობს სხვადასხვა რედაქციით, რომელიც მზადდებოდა ევგენი ტუჩკოვის უწყებაში). მისი ნამდვილობის საკითხი, რომელიც მაშინვე იქნა დაყენებული ეჭვქვეშ.

დღეს უკვე ამ ფალსიფიკაციას არც ერთი მეტ-ნაკლებად სერიოზული ისტორიკოსი არ იზიარებს.

P.S. 1925 წელს მოსკოვში გრანდიოზული სკანდალი აგორდა. ვლადიმერ ლენინის მავზოლეუმის ქვეშ კანალიზაციის მილი გასკდა და მთელი მავზოლეუმი ფეკალური მასით დაიფარა. ამ დროს მავზოლეუმი ხისგან იყო აშენებული, მაგრამ შიგნით ნამდვილი ლენინის გვამი ესვენა. მთელი მოსკოვი ფეხზე დგას, ბოლშევიკური პოლიტიკური ელიტა შეშფოთებულია, გონზე არ არის... არ იციან, როგორ მოქცეულიყვნენ. ამის შესახებ პატრიარქ ტიხონს ჰკითხეს რჩევა. პატრიარქმა გაიღიმა და ენამოსწრებულად წარმოთქვა: „შვილნო ჩემნო, როგორი სინმინდეცაა, ისეთი მირონი სდის!“

მარსიანი

გალაკტიონ!

შემოგალამდა გალაქტიკათა გაღმა,
ჰე, გალაკტიონ, მარადისობის მსხემო!
ყოველ ვარსკვლავში კოლაპსი ბუდობს ნაღმად-
ალარ არსებობს სადაც „უკუღმა“, „ნაღმა“-
ალარ არსებობს სადაც „ზემოთ“ და „ქვემოთ“.

სიცარიელით იგრძენ ქაოსის გემო,
მიმცხრალ იერით სამყაროს ბალი გახმა,
ზღვას მიეც თავი, აფრაგაშლილი გემო,
უსხეულო ხმა გმოდღვრავდა: „შვილო ჩემო,
არ დაგკრას ბედად წითელ ჟამთასვლის ალხმა“.

შენ დემონების ჯარი გეხვია კოსმიურ ცოფის შემონამქრებით,

რას ბუტბუტებდნენ ცის მინანქრები - ვინ გბატონობს და ვინ გემონების?

პირს დაგიყოფდნენ ელვა - მეხიანს ურწყულ ღამე-

თა ჯავრის ამკრები
და ყეფდა ზარი - ხარკის ამკრები - უბადრუკ სულ-
თა მშიერ გონების.

ჰე, გალაკტიონ, უღმერთო ჟამის ღმერთო,
დაცემულთ შორის დაცემულს ჰგავდი თავად,
განსხეულება შენი ამ წკვარამს ენდო:
გარნა მზის ლომი დაიქუხებდი ერთ დროს,
გადაანგრევედი უწყალო ზეცის თავანს!

მოგვურ სხივ-ბანგით თუმც ესათნოე მავანთ,
მინც დაგესლეს - შური მძიმეა ერთობ,
ყელზე დაადექ ქვესკნელის ავან-ჩავანს,
იმუქრებოდი: „მეცხრე გარსამდე ჩავალ!“-
სად ლუციფერის მსახვრალი მზერა ენთო.

სად ლუციფერი და აპრიმანი და ასურები
მრავალთ-მრავალი
ფიანდაზობენ მაცდურ სავალით - ნისლი რომ ჰბუ-
რავს სმარაგდისფერი;
აჰა, გიბოძეს სახე-ფირმანი - ეფემერისა და წარმა-
ვალის,
ამქვეყნიური სესხი და ვალი - მძლე შარავანდი
დიდების მფენი.

გარნა დიდებამ ვერ გისალბუნა შვებით,
ვერ ასცდი რისხვას - სანუთროს მშიერ ავდარს,
ულვთო საყდარში სული ამაოდ შვრების
(ბნელ ქარში სისხლო, რა უმოწყალოდ შრები),
ზეობა შენი დასტურ ეშაფოტს ჰგავდა!

ასტრალის ბინდი სისხლიან ყვავილთ რგავდა
(უსასოობით ფრთებს დაიკეცავ, ჰქრები)
და სათნოების ნაშთი - უმცირეს გრამთა
ალარ შემორჩა ნგრეულ სამყაროს ზამთარს -
გოლგოთის თხემზე ავად შემართულ ჯვრებით.

მაშინ დაფარე სახე ნილაბით, ავად შემოგწყრა
როცა სოფელი,
იგი - ნითელი მეფისტოფელი - უნდოდ იახელ შინა
და გარეთ;
გარნა ეთერის წილი იყავი და მოსწყდი სხეულს
ჟამის მგმობელი
და სული, გლოვის სახლად მყოფელი, სივრცეთა
სარკმელს გადააბარე.

იკაროსული გაფრენით მოსწყდი მიწას
და მიწამ დაგცა მიზიდულობის ძალით;
გარნა როს გვამი მორჩილ იერით იწვა -



მხატვარი მარსიანი

გათხრილ საფლავთან თავზარდამცემად იმ წამს
ამოიმართა სული - ეთერის ალით!

ცისკენ ამალდა შეუპოვარი მალი,
აზატად ქმნილმან თავი ანგელოზთ მისცა;
ეშმას კოჰორტის მაშინ გაცუდდა ძალი,
ვერ დაგიუფლეს და კბილთა ღრჭენით მწყრალით
წყევლას უთვლიდნენ, შენ რომ მიგირქვა, იმ ცას...

ავად მზირალი ხროვა ავსულთა - სფეროთ სი-
მალღეს ვერშენვდომილი
დასტოვე ლახვრით გულგანონილი, ცას მიეახლე
მსხვერპლის მწირველი;
ის შემოქცევა, აჰა, აღსრულდა, იჩოქებ მამის კარს
მიხდომილი:
მამამ მიგილო ქე შეცთომილი და სამოსელიც მოგცა
პირველი!


ჰე, გალაკტიონ, გალაქტიკათა მეფევე!
იმ ბნელ კოლაპსებს თავად განაგებ ახლა:
კვარ-პულსარებს, ანტარესსა თუ ცეფევეს,
სირიუსსა თუ ბეტელჰეიზეს შეჰფერს
წინარე შენსა მორჩილად თავის დახრა!

დიდებას ციურს ჟამი ვერცა როს დახრავს
(ცის ანგელოზნი შენეულ ყვავილთ კრეფენ),
ძლევით დაამხოზ ნარმავალობას მსახვრალს,
ბნელეთის მოდგმას კვლავ შუქით ჩასცემ ლახვარს,
ჰე, გალაკტიონ, ზესკნელ - ქვესკნელის მეფევე!

ერეკლე სალლიანი ⁵

მედაა

ბნელს, რომელიც ჩვენს ჩაყლაპვას ცდილობს
 დღის ნათელად გარდაექმნი და ვაქცევ!
 გავეუმხილე პაპირუსის ფურცელს,
 აყირავდა ჩვენი ბედი ისე,
 აიეტიც ცხოვრებაში უცებ
 საიდანღაც შემოიჭრა ფრიქსე.
 იყო იგი ათამანტის ვაჟი
 და ნეფელე იყო მისი დედა,
 ოლიმპოზე დამდგარ ღრუბელს აზის
 და იქიდან სუყველაფერს ხედავს
 ღმერთქალსა და ორქომენის მმართველს
 შეეძინათ და - ძმა: ფრიქსე, ჰელე,
 რისხვა იმ ქალს, ვინც ცოლს მის ქმარს ართმევს,
 შეიძულეებს ამის შემდეგ გერებს.
 აურია თავი და გზა იწომ,
 დაუბნელა მან ათამანტს ჭკუა,
 ასვა ბლომად მათრობელა ღვინო,
 ველარ ამბობს კაცი უკვე უარს.
 ქე დაისვა იმან იწო ცოლად
 ნეფელეს კი შეაქცია ზურგი,
 აღარ ძალუძს ქალღმერთს უკვე ბრძოლა
 და ანგარიშს აღარ უწევს სურვილს.
 იწო გერთა სიძულვილს არ მალავს,
 მის სულს ახლა მხოლოდ ბოლმა ავსებს,
 დაატანა მან ათამანტს ძალა
 დაარწმუნა ცოლმა ქმარი ასე:
 გვალვამ ახმო პური მიწის მკერდზე,
 სად ვიშოვით დიკას მთელ წლის სამყოფს?
 ფრიქსე, ჰელე შემოვწიროთ ღმერთებს,
 მიწა მხოლოდ მაშინ მოგვცემს ნაყოფს.
 ათამანტი ცოლს ენდო და შეცდა,
 მან შვილები იწოს ზრახვას სწირა,
 მეხთატეხას დამალვის ვერსად
 ვერცერთი და დაუფდებათ ძვირად.
 კაცნი აღარ ვალიარებთ ნაკლსა,
 რაც მამამ ქნა, კოლხებს გვედო ვალად,
 კაცის მსხვერპლად შეწირვას და დაკვლას,
 აიეტი საგანგებოდ კრძალავს.
 ნეფელე კი აიტაცა ქარმა,
 შვილთა ბედი გაჰყვა ღმერთქალს დარდად,
 ავიდა და თეთრ ღრუბლებზე მჯდარმა,
 დედამინას გადმოხედა დაბლა.
 შემოახვევს შვილებს ღრუბლის ბურუსს,
 უნაპირო ბოროტებას ებრძვის,
 სისხლთ ვერ ტოვებს, მათთვის სისხლი უდღულს,
 გამოგზავნა ციდან ოქროს ვერძი.
 კი მოჰგავდა ვერძის მატყლისფერი,



კი მოჰგავდა შემკრთალ ჰელეს თმის ფერს,
 ვერძის ბეწვზე ცის ნაჟური მღერის,
 ჰელეს თმაზე დედის ცრემლი იმღერს.
 შემოისვა ზურგზე ვერძმა ორნი,
 გააფრთხილა: ძირს არ გადიხედოთ!
 ჩვენ მოგველის ქუთაია შორით,
 სადაც მძლავრი აიეტი მეფობს.
 მიჰქრის ვერძი, უკვე ღრუბლებს აცდა,
 გადიბურა ყველაფერი ლურჯად,
 მოეძალა და - ძმას შიშის განცდა,
 გადიხედა ჰელემ დაბლა ურჩად.
 გადიხედა, დაეხვია თავბრუ,
 გადურბინა გონებაში ალმა,
 შეუერთდა ზღვის ტალღების თაბუნს,
 როგორც დედამ, ჩაიხუტა წყალმა.
 სადაც ერთურთს ზღვის ტალღები სცემენ,
 ბორიასის ქარნი სადაც ქრიან,
 ადგილს, სადაც ზღვამ შეირწყა ჰელე
 ახლა უკვე ჰელესპონტი ჰქვია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჯემალ მახრიშვილი

მტკივნეულად თანამედროვე
ოვილიუსი

ჩემი ცოდვა ისაა, რომ ამონდა თვალები.

ოვილიუსი

ოვილიუსი ოქტავიუსი

რომის იმპერატორი ოქტავიანე ავგუსტუსი (ძვ. წ. 63 - ახ. წ. 14) იულიუს კეისრის (ძვ. წ. 100 - ძვ. წ. 44) შვილობილი და მემკვიდრე, მისი დის შვილიშვილი იყო. უაღრესად ფრთხილი და მოქნილი პოლიტიკოსი, ავგუსტუსი ყოველთვის ახერხებდა ბევრი მომხრე ჰყოლოდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის. ავგუსტუსი იყო რომში ახალი ტიპის სახელმწიფოს მმართველი და სულისჩამდგმელი. მისი პრინციპატი მონარქიის სრულიად ახალ სახეს განასახიერებდა. იგი არ ჰგავდა ძველ რომაელ მეფეთა ძალაუფლებას ან აღმოსავლური ტიპის დესპოტური წყობილების სახელ-

5 გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისინდის“ №13

მნიფოს. ოქტავიანე ოფიციალურად როდი იყო გამოცხადებული ერთმმართველად. მან თვითონვე განაცხადა უარი და საკუთარი ძალაუფლება შემოიფარგლა კონსულისეული, პროკონსულისეული და ტრიბუნის უფლებამოსილებით. ავგუსტუსი თვლიდა, რომ მან აღადგინა ძველი რესპუბლიკა და მასთან ერთად უნდა აღედგინა წინაპართა ადათ-წესები, ძველი რომის სიქველენი: ღვთისმოსაობა, სამართლიანობა, კეთილმოწყალება, ვაჟკაცობა, სიქველე, რწმენა და ერთგულება!..

2

იგი ცდილობდა, გაემყარებინა რომაული ოჯახი, რისთვისაც გამოსცა რამდენიმე ახალი კანონი: კერძოდ, კანონი ქორწინების შესახებ, რომლის ძალითაც რომაელ წარჩინებულებს ევალებოდათ აუცილებლად მოჰკიდებოდნენ ოჯახს. მეორე კანონი მიმართული იყო ფუფუნების წინააღმდეგ და კრძალავდა ძალზე მდიდრული სახლების აგებას ანდა მეტისმეტად ძვირფასი სამკაულების ტარებას. ეს კანონი განსაკუთრებით ეხებოდა ახალგაზრდებს, რომლებმაც დაივიწყეს სახელოვან წინაპართა ადათ-წესები და ურცხვად ხელმძღვანელობდნენ იმგვარი „სიქველეებით“, როგორცა: პატივმოყვარეობა, ანგარება, ფუფუნება, დროსტარება და სხვ. კითხულობ ამ სტრიქონებს და გული სევდანარევი ნატვრით გევისება: ამგვარი ღონისძიებები ნეტავი ვინმეს ჩვენშიაც გაეტარებინაო!.. ავგუსტუსის მმართველობის პერიოდი, ე.წ. ოქროს ხანა რომაული ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების ხანა იყო. ამ დროს მოღვაწეობდნენ ვერგილიუსი (ძვ. წ. 70 - ახ. წ. 19), ჰორაციუსი (ძვ. წ. 65 - ახ. წ. 8), ოვიდიუსი (ძვ. წ. 43 - ახ. წ. 17). სწორედ მათ შექმნეს რომაული პოეზიის კორიფეთა კოლეგიუმი, რომელმაც შემდეგ დიდი როლი ითამაშა ევროპული ლიტერატურის ისტორიაში.

იმხანადვე მოღვაწეობდა გაიუს ცილნიუს მეცენატი (ძვ. წ. 74 და 64 წლებს შორის - ძვ. წ. 8), იმპერატორ ავგუსტუსის მეგობარი და დაახლოებული პირი. მეცენატი ისტორიაში შევიდა, როგორც მეცნიერებასა და ხელოვნების მფარველი და ქომაგი. იგი მეგობრობდა ჰორაციუსთან და ვერგილიუსთან, რომელმაც მეცენატის შეგონებით დაწერა პოემა „ენეიდა“. ვერგილიუსის მეორე, დიდაქტიკურ პოემაში „გეორგიკები“, მთავარი ადგილი უჭირავს ავგუსტუსისა და რომის სახელმწიფოს ხოტბას... მეცენატმა ჰორაციუსიც დაიახლოვა და ოქტავიანეს კარის მგოსნად აქცია. ოვიდიუსი ეკუთვნოდა მხედართა ფენას. განათლება მიუღია რომსა და ათენში, სახელმწიფო სამსახურისთვის ადრევე დაუნებებია თავი და მხოლოდ ლიტერატურულ სფეროში უმოღვანია. მისი შემოქმედების პირველ პერიოდში ეროტიკული თემატიკა სჭარბობდა. ამ დროს შეუთხზავს ვინმე კორინასადმი მიძღვნილი სამნიგნიანი „სატრფიალო ელეგიები“, „სიყვარულის ხელოვნება“, „სიყვარულის წამალი“, და სხვ... ოვიდიუსის შემოქმედების მეორე პერიოდს განეკუთვნება ანტიკური მწერლობის შესანიშნავი ძეგლი, 15-ნიგნიანი პოემა „მეტამორფოზები“, და მეორე,



ოლონდ დაუმთავრებელი პოემა „ფასტები...“

ძვ. წ. 8 იმპერატორმა ავგუსტუსმა ოცდათხუთმეტი წლის ოვიდიუსი რომიდან გააძევა და მიყრუებულ ტომისში (რუმინეთის დღევანდელი ქალაქ კონსტანცის მახლობლად) გადაასახლა. შორეულ მარტოობაშია დაწერილი პოეტის „სევდიანი ელეგიები“... „წერილები პონტოდან...“

3

ოვიდიუსის მეგობრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ავგუსტუსისთვის შერისხული პოეტი როგორმე შეებრალეებინათ და ისევ რომში დაებრუნებინათ, მაგრამ ვერ შეძლეს გაკერპებული იმპერატორის გულის მოღობა!.. ახალი სტილით 14 წელს ოქტავიანე 77 წლისა გარდაიცვალა. ისევ დატრიალდნენ გაძევებული პოეტის გულშემატიკვრები, თვით მზეგადახრილი ოვიდიუსის სულშიც გაკრთა იმედის ნაპერწკალი - იქნებ ახლა მაინც ეხილა თავისი საახლობლო და ჯადოსნური რომი! მაგრამ ამოდ - სენატს და მთელ ზედაფენასაც პოეტის ხსენებაც კი არ უნდოდა!

ასე და ამრიგად, ყოველმხრივ იმედჩაკლულმა პოეტმა გაძევებაში სრული 25 წელი გაატარა და იმპერატორის სიკვდილიდან 3 წლის შემდეგ, 17 წელს, მარტოობაში 60 წლისამ დაღია ტანჯული სული.

* * *

გულმოდგინე მკითხველი აქ კი იმედგაცრუებით შეჩერდება - ავტორი, აბა, ახალს რას გვეუბნება და საერთოდ, რისთვის დაუნყია ამის ჯღაბნაო! ამგვარ საყვედურებს უსიტყვოდ დაუწყებულდები და ბილიკმოჭრილის პირდაპირობით განვაცხადებ: ამ წერილის დაწერა აზრადაც არ მომივიდოდა, რომ არა ქართული ენციკლოპედიის სტატიის „ოვიდიუსი“, ოთხსიტყვიანი სტრიქონი, რომელმაც ჩემს მწერლოვარ წარმოდგენაში ვულკანისებური ამოფრქვევა გამოიწვია: იქ, სადაც ლაპარაკია იმპერატორის მიერ პოეტის შერისხვასა და რომიდან მის გაძევებაზე, აი, ზედმიყოლებითვე რა მოსდევს.

„ოვიდიუსის დასჯის მიზეზი უცნობია“.
 მკითხველებს ვაფრთხილებ: აქედან მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებზე დაყრდნობით მექნება მსჯელობა და ქვეყნის დასაცინიც რომ გავხდე, ამასაც წინდანინვე ვარ შეგუებული!

მამ, დავინყოთ!
 დღეს როგორღა შეიძლება ითქვას - ოვიდიუსის დასჯის მიზეზი უცნობიაო, როცა პოეტმა თავის გახმაურებულ პოემაში „ტროფობანი“, აგერ, რისი თქმა გაბედა. ნამდვილი ხეპრე ხარ, თუ შეიმჩნევ მეუღლის ლალატს, ვერ გასცნობიხარ კარგად ჩვენი ქალაქის წესებს! საბედისწეროდ თავგადადებულმა პოეტმა ძლევამოსილი რომის იმპერიის მარადიულ დედაქალაქს თანამედროვეთა და მომავალი თაობების თვალში ჩამოურეცხავი ჩირქი მოსცხო - ხელის ერთი მოსმით საღალატო რქების გაუვალი ტვერი დაადგა და ეჭვქვეშ დააყენა ყველა ფენისა და თითოეული ოჯახის ცოლქმრული სინმინდე, ნდობა, ერთგულება!!!

ამას კი ვინ აპატიებდა?
 4

ანდა, როდის იყო, შემოქმედს დესპოტისა თუ რეჟიმის წინააღმდეგ თუგინდ გადაბრუნებულ სიტყვას პატიობდნენ! ისტორიის ანალებში აქა-იქ ელვისებური თვალჩაკვრაც კმარა, გუნება რომ დაგვენისლოს: კარის მეზობტე და სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის მამამთავარი რუდაქი (დაახლ. 860-941) რალაც უმნიშვნელო გადაცდომისთვის ემილის ბრძანებით დაუბრმავებიათ და ისევ თავის მშობლიურ სოფელში გაუძევებიათ... მე-17 საუკუნის ქართველი პოეტის, სამეფო კარის მდივანმნიგნობარ ფეშანგი ფაშვიბერტყაძისთვის (ხითარიშვილი) ქართლის მეფე ვახტანგ V-ის კარზე ცხვირი მოუჭრიათ!... გაიხსენეთ პუშკინი... ლერმონტოვი... პაოლო იაშვილი... მიხეილ ჯავახიშვილი... ტიცინი... ევგენი მიქელაძე... სანდრო ახმეტელი... გარსია ლორკა... ან რა ჩამოთვლის ფაშისტური, კომუნისტური და სამხრეთამერიკული რეჟიმების მიერ დევნილ, გატანჯულ თუ გამუსრულ მწერლებს, ხელოვანებს, მეცნიერებს!.. ნათქვამია, ერთი ცხვირისკენ და ერთიც მგლისკენო! ავგუსტუსი, რომელსაც, ალბათ, ოვიდიუსზე არანაკლებ ეცოდინებოდა რომაელი მანდილოსნების ზნე-ნირი, მეტადრე კი მატრონების საყოველთაოდ ცნობილი თავაშვებულობა (ლეგენდის მიხედვით, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის (121-180) 13 შვილიდან რამდენიმე მათგანს ძარღვებში თურმე სხვადასხვა გლადიატორის სისხლი უჩქეფდა, იმპერატორმა კი ეს იცოდაო!), მამაკაცურად პოეტს იქნებ თანაუგრძნობდა კიდევ, მაგრამ როგორც იმპერატორს, ოვიდიუსმა არჩევანი აღარ დაუტოვა!

არ ვიცი, ამას მკითხველები როგორ მიიღებენ, მაგრამ აქ ასეთი ფრთხილი ვარაუდიც კი მებადება: რომიდან შორეულ შავი ზღვისპირეთში პოეტის გადაკარგვა იქნებ მისი სიცოცხლის შენიღბული გადარჩენა იყო, ამგვარი შეურაცხმყოფელი სტრიქონებით აღელვებულ ნებისმიერი ფენის მამაკაცს „ცილისმნამებელი“ ოვიდიუსი პირდაპირ ქუჩაში რომ არ აეჩეხა!.. არ ვაზვიადებ! მსურველმა ბევრი რომ არ ინვალოს, თუგინდ 2010

წელს „ლოგოსის“ გამოცემული, ქ-ნ იამზე გაგუას მიერ გამართული ერთ ნათარგმნი ციცერონის (ძვ. წ. 106 - ახ. წ. 43), „სიტყვები და დიალოგებიდან“, მარტო კატილინას (ძვ. წ. 108 - ახ. წ. 62) წინააღმდეგ მიმართული ოთხი სიტყვა ნაიკითხოს და ნათელი გახდება - ძველ რომში რანაირი თავანყვეტილობა და ქუჩური ხოცვა-ჟლეტა ითვლებოდა ჩვეულებრივ მოვლენად!..

ერთი სიტყვით, ოვიდიუსის რომიდან გადაქაჯვა მარტო იმპერატორის პირადი გადაწყვეტილება კი არა, პატრიციების ნება-სურვილის დაკმაყოფილებაც რომ იყო, აი, ეს საიდან იკვეთება: შერისხული პოეტი სენატმა ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგაც კი არ შეინყალა და შორეულ უცხო მხარეში ჩაკლა!!!

ვამთავრებ ამ პატარა წერილს და ვგრძნობ, სტრიქონებშორის გველგესლასავით როგორ მოიკლაკუნება მაცდური აზრი, რომელსაც ველარ გავმკლავებოვარ: დღევანდელ მსოფლიოში ნეტავ სადმე თუ მოიძებნება ისეთი ქალაქი, რომლის მაცხოვრებლებიც ღმერთის წინაშე გულზე ხელდადებით დაიფიცებდნენ - დიდი რომაელი პოეტის ეს სტრიქონები ჩვენს ქალაქს არ ეხებაო!.. ჩემი მხრიდან სამარისებური პაუზა!..

O, tempora, o, mores!

მარია ტოხიშვილი

უთქაელი სათქაელი

- გამარჯობა, ბუმბერაზო კავკასიონო!
- ჩემი სალაში შენ, „ადგილის დედაც“!
- როგორ ხარ, საქართველოს მშვენებავ? დიდო, მაღალო და მარადი თოვლით დაფარულო მთაგრეხილო?
- ეჰ...!
- რა მოხდა? რა განუხებს? რატომ ოხრავ?
- რალა რა მანუხებს? ამდენი საუკუნეა აქ ვდგავარ ტანაყრილი... ყველაფრის მომსწრე ვარ, ყველაფრის მნახველი და გამგონი და ადგილიდან დაძვრაც კი არ შემიძლია...!
- ხომ იცი, „ერთ ქვაბში ვიხარშებით“... რაც ეს სოფელი დაარსდა, რაც ამ ქედზე ხალხის ხმა ისმის, მე იმ დღიდან ვარ აქ, იმ დღიდან ვბორგავ და ვსუნთქავ ამ გორზე. ამაშენეს უფლის სადიდებლად და სალოცავად, მას შემდეგ ვდგავარ... ზაფხულში მზე მათობს, ზამთარში კი სუეტაკი თოვლი მფარავს.
- შენ რა გაქვს სანუნუნო?! ასეული წელიც არ იქნება, რაც მანდ აგაშენეს მფარველ სალოცავად... მე კი... მე სულ აქ ვარ! რაც თავი მახსოვს, გული ზეცისკენ მიმინევს, ჩიტვით მინდა ფრენა, მაგრამ... შენ გაზაფხულის მზე გითბობს ზამთრის სიცივით გაყინულ სხეულს... მე კი... მე გაზაფხულზე ვტირი... ვტირი მთელი გულით;

ჩემი ცრემლები ნაკადულებად და მდინარეებად მოედინება ჩემივე მწვერვალებიდან და ეს იმიტომ, რომ წლიდან წლამდე უამრავი ცოდვის შემსწრე ვხდები. თოვლად ვიგროვებ ხალხის დარდს, ნუხილს, ბოროტებას და ამ სეზონზე ცრემლებს ვატან ყველაფერს...

-შენ მხოლოდ ის ცოდვები იცი, რომლის მომსწრეც გამხდარხარ. აბა მე რა მეთქმის? ხალხი ჩემთან სანთლებითა და ქადებით ხელში მოდის, შენდობასა და თავისივე გაფუჭებული საქმის გამოსწორებას მთხოვს. მეც დავილაღე ჩემო მეგობარო, საშინლად დავილაღე... შენ გამდნარ თოვლს ატან სატკივარს. მე რა ვქნა? რა გავაკეთო? როგორ ვუშველო ამდენ დახმარების მთხოვნელ ცოდვილს? მე ხომ მხოლოდ შუამავალი ვარ უფალსა და ხალხს შორის, მე სამლოცველო ვარ და არა თვით ღმერთი.

-შეიძლება, თუმცა მაინც, შენი სჯერათ, შენი სწამთ! მე კი, მე ქვა ვარ, კლდე ვარ, მთა ვარ, მყინვარი ვარ...

-ამბობენ, ნისლი ფიქრია მთებისაო, ეს მართალია?

-მართალია ჩემო კარგო, მართალი.ათასი ჭირ-ვარამის შემყურეს, ნისლი მომეველინება ხოლმე მსხნელად, მეც გავეხვევი მასში და ფიქრს მივეცემი...

-რაზე ფიქრობ მიუწვდომელო, შეუვალო მყინვარო? ნუთუ შენც გაქვს საფიქრალი?

-ვფიქრობ, როდის მოვა გაზაფხული, რომ შევბიო ამოვისუნთქო. როდის მიბოძებს უფალი ენას, რომ ჩემი ნუხილი მეც გავაგებინო ხალხს... ვდგავარ და ველი... ძნელია ამდენი საიდუმლოს შენახვა, ძალიან მიჭირს...

-შენ რომ იცოდე მეც რამდენ საიდუმლოს ვინახავ...

- შენ „ადგილის დედავ“, მხოლოდ ერთი სოფლის სატკივარი გტკივა და მას დაჰყურებ ასე დაჟინებით. მე კი მთელი ქვეყნის გასაჭირი მანუხებს, მთელს საქართველოს ვეფინები მთელი ჩემი ბრწყინვალეობით. დასავლეთშიც ვარ და აღმოსავლეთშიც. ჭირსაც ვხედავ და სანატრელ ლხინსაც. რთულია, ძალიან რთულია!

-მეც და ჩემი სოფლებიც ამაყები უნდა ვიყოთ, ყოველ გარიჟრაჟზე ცის კაბადონზე ისევ ამაყად მდგარს რომ გხედავთ.ვინ იცის, რამდენ ადამიანს აკლია ასეთი ბედნიერება,თუმცა ჩვენ ვერ ვაფასებთ, თუნდაც იმ სუფთა ჰაერს, კავკასიონო, რომელსაც შენი წყალობით ვსუნთქავთ. რაც მე ვარსებობ, შენ და ჩემს მშობლიურ სოფელს გიცქერთ, მაგრამ ორივე შორს ხართ ჩემგან.

-მე მახსოვს, ფშაველებმა როგორ აგაშენეს მაგ გორზე ერთ დროს, როგორ სწამდათ და სჯეროდათ, უხაროდათ შენი არსებობა. რამდენი სასონარკვეთილი ადამიანი დამინახავს შენს ბილიკებზე პირჯვრისწერით ამომავალი... რამდენი ქეიფი და ღრეობა აუტანია შენს წმინდა კალთას... რამდენი... მაგრამ არასდროს ყოფილა, შენს გზაზე მავალს, რამე ცუდი დამართვოდა, რაც ყოველთვის მაკვირვებდა...

-აღბათ, უფლის ნებას უნდა მივაწეროთ ეს ყოველივე.



-რატომაა რომ ადრე, ახლო წარსულში, მლოცველები არ გაკლდა, არც დღესასწაულებზე და არც ჩვეულებრივ დღეებში? ახლა კი ნელ-ნელა შეგიცოტავდა ხალხი, იშვიათად, კანტი-კუნტადლა თუ დავინახავ ვინმეს. მაშინ ამიხსენი, რატომ ხდება ასე?

-რალა რატომ? სოფელი ხალხისგან იცლება თანდათან. რწმენა კი, რწმენა ქრება.

-მაგას ვერ ვინამებ, ვერ დავიჯერებ!

-ჩვენი სურვილის მიუხედავად, დრო მიდის, შეხედულებები კი იცვლება.

-მართალი ხარ, ჩემს კალთებზე შეფენილ სახლებში ანთებული სინათლე აღარ უნათებთ მგზავრებს სავალს. მტკივა, ესეც ძალიან მტკივა. მოხუცებიღა არიან დედულ-მამულის საპატრონოდ დარჩენილი, თვეში ან წელიწადში ერთხელ თუ გამოუჩნდებათ მივინყებულებს კეთილი მომკითხავი.ხალხი„დროის დინებას უწყობს ხელს“, ამას მე და შენ ვერაფრით შევაჩერებთ.

-და მომავალი?

-რა მომავალი, ჯერ წარსული ვერ მომინელებია!

-მე უფლის რწმენა მაქვს გულში, ირწმუნე შენც და დავძლევეთ!

-ჩემს გაყინულ გულს ახლა მხოლოდ ადამიანების სითბო, სიყვარული, თანადგომა და გაგება თუ გაათბობს, სხვა აღარაფერი მიშველის. თორემ ისიც ისევე გათეთრდება და და გაუფერულდება, როგორც გაცვეთილი სიმები ჩემი სულისა. ადამიანის იმედითლა ვცოცხლობ მხოლოდ! მჯერა და მწამს!

-იმედი ნუ მოგიშალის ღმერთმა!

ლელა შურუპოვა გუსნარი (ჩემი ბაბუკო)

— კიდევ ერთ ზღაპარს ხომ მოგიყვები, ბაბუკა? — შესციცინეს პატარებმა სანოლის კუთხეში ჩამომჯდარ ბერიკაცს.

— ახლა დავილაღე, ბაბუკებო, თანაც გვიანია უკვე, ხვალისთვის გადავდოთ!

— არა, ბაბუ, რას ამბობ! ხვალ მამა ჩამოვა და წაგვიყვანს! კიდევ ერთ წელს როგორ გავძლებთ?! ზღაპრებს სულ დავავიწყდებით და აღარ დავგვესზრებინან.

— კარგი, ჩემო სიხარულებო, ერთსაც მოგიყვებით. სწორედ იმას, რომელსაც თქვენთვის ვინახავდი საგანგებოდ და რადგან არ იშლით, მოგხსნი ჩემსავით გადაბერებულ გუდას თავს. ეს ზღაპარი ყოველ საღამოს დაგესიზმრებათ მინამ, სანამ არ გაიზრდებით და თქვენს ფეხებს არ დაუბრუნდებით. თუ არადა, ბაბუკებო, თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს მოუყევით, იცოდეთ!

დიდი რუდუნებით შეუქცა საბნის კალთები პატარებს და დააცქერდა სევდიანი თვალებით. მთვარის შუქმა თავი დაუკრა დასტურის ნიშნად და ჭალარა წვერზე დაკიდული სინანულის ცრემლი გაუნათა.

— აბა, ბაბუებო, ზღაპრის დასაწყისი ხომ იცით?! უფალზე უკეთესი რომ არაფერია ამქვეყნად. ისიც იცით, სიკეთით, სიყვარულით, სათნოებითა და გულისხმიერებით რომ მოვედით დღემდე და ბოროტმა ვერასოდეს გვაჯობა და გვაჯობებს!

— ვიცით, ბაბუკა, ვიცით! — დაეთანხმნენ პატარები.

— ჰოდა, ბაბუებო, მოჰფინა თუ არა მზემ თავისი მაღლიანი სხივები დედამიწას, დაიწყო დღე. ეს დღეც არაფრით განსხვავდებოდა თავისი წინამორბედებისაგან. ისეთივე ხალისიანი, ჭირვარამიანი, შეუპოვარი, გამარჯვებული და ხვალინდელი დღის მოლოდინით ჩაფიქრებულიყო. იმავე მშვენიერებით ბრწყინავდა მთა, ბარი, ტყე, ველი...

მხოლოდ ბილიკი იყო ახალი. პატარა ბილიკი გასჩენოდა მინას. თოთო... ის-ის იყო, სიარულს სწავლობდა.

— შეხედეთ, შეხედეთ! გუშინ არ იყო, გაურკვეველად რომ მოჩანდა სოფლის დასაწყისთან?! — გაიკვირვა მამამ.

— რაზე ბრძანებ, ბუმბერაზო? — დაეკითხნენ მეზობლები.

— რაზე და ჩვენს პატარა ბილიკზე, შარშან რომ გაუჩნდა მინას.

— ჰო, ჰო, გვახსოვს. ის მაღლიანი კაცი რომ ჩამოვიდა, მაშინ არ დაიბადა?! როგორ გაზრდილა და გამოცვლილა! ლამისაა, ზემოთ მიყრუებულ და მიტოვებულ სოფლებსაც შემოურბინოს.

— ის ხომ საცალფეხოა! — ჩაიხიბითთა კლდე. მესმის, გზა იყოს. თქვენც დიდი ვინმე ნახეთ რა!

— დააცადე, შე დალოცვილო, ჩვენთან შედარებით ნამებს ითვლის! რა იცი, რა გახდება. ეგების შენც გაჯობოს და მეც!

— ნეტავი მე რითი უნდა მაჯობოს?! სიძლიერით თუ შეუვალობით. სულ მაგის ბრალი არ არის, ათასი



სჯულის ხალხი რომ მოგვანყდება ხოლმე? მერე მე უნდა ვიმტვირო თავი, უჭკუობით ფეხს თუ წამოკრავს ვინმე კუნძზე.

— შენ, ძმობილო, კენჭს — ლოდს ეძახი, ფეხის გამოკვრას — კლდიდან გადაჩეხვას. გჯობნის, აბა, რა! საცალფეხოა თუ ცხენით სავალი, შენამდე ყველას უსაფრთხოდ მოჰყავს სტუმარი. შენ ხარ ამპარტავანი, ქედმაღალი, დაუნდობელი, ერთ შეცდომასაც არავის ჰპატიობ!

— ხო, ხო, შემაქციეთ ახლა ზურგი! არც თქვენ ბრძანდებით ჩემზე უკეთესი. ერთი წამის წინ ნანახი, საუკუნეების მანძილზე თქვენს გვერდით მდგომს მამჯობინეთ.

— დაწყნარდი, მეზობელო! — გააჩერა მთამ განიწმამებული კლდე. — შენს დაბადებასაც ასე ვზეიმობდით, ჩვენი ნაწილი რომ გახდი. გიხაროდეს, კიდევ ერთ დაბადებას რომ მოესწარი.

კლდე სირცხვილისგან გაქვავდა და სალი გახდა.

მთები კი გაბრწყინებული თვალებით დასცქეროდნენ მიწის შვილს.

— ალბათ, ბაბუებო, ეს ჩვეულებრივი ამბავი გგონიათ. მთავარი არც თქვენ და არც იმ მთებმა იცოდნენ. ეს პატარა, თითქოსდა უჩინარი ბილიკი ოდესღაც ძალიან დიდი, ვეებერთელა გზა იყო. მერე ერთმა ძალიან ბოროტმა და ავმა დაწყევლა და ბილიკად აქცია. წყევლა კი, ადამიანის გარდა, არავის შეეძლო მოეხსნა.

— როგორ?

— როგორ და წარსულს უნდა დაბრუნებოდნენ, ჩემო პატარებო! ცივ და ნახევრად, არა — თითქმის დანგრეულ კერას!

— ჰოდა, იყო ასე ეულად მიგდებული, მიტოვებული, უდღეური და უბედური ბილიკი. საკუთარი დედა, მინაც, კი ვერ ცნობდა, რომელსაც, დიდი ხანია, შვილის დაბრუნების იმედი დაჰკარგოდა. სოფლებს კი არა, გუბიდან გუბებს ვერ სწვდებოდა. არსად ჩანდა მხსნელი, რომელიც მახრჩობელა სარეველას ქუსლით გასრესდა, დატკეპნიდა, მაგრად დატკეპნიდა და გულზე დაკირულ ხავსს ტალახად უქცევდა. ვის არ შესჩივლა, ვის! აღ-

არავის უნდოდა მისი ჭირის მოსმენა. ადრე ნაკადული ურაკრაკებდა ხოლმე ქვეყნის ამბებს. მანაც ზურგი აქცია. ჩიტები დასასვენებლად ახლომახლო ხეებზეც კი აღარ სხდებოდნენ, საკენკისთვის ეკალბარდებში ჩაძვრომას აღარ კადრულობდნენ. აი, ასე, ყველასგან მიტოვებული, გაქრობას ელოდა და სწორედ მაშინ მოხდა სასწაული.

პირველად რომ დაადგა ფეხი მაღლიანმა, ვერც კი იგრძნო, მეორედ თითქოს ზურგი გაუთბა. მერე ამობრუნდა პირაღმა და დაინახა, მხოლოდ მან დაინახა ნათელი, რომელიც მის მსხნელს ადგა გვირგვინად თავზე. სუნთქვა შეიკრა, თვალების გახელის შეუძინდა. იქნებ სიზმარია?! შემდეგ ხელახლა ისწავლა სიარული. ნელ-ნელა, ბარბაც-ბარბაცით, მორჩილად იღო გეზი სოფლისკენ. მაღლს მაღლი მოჰყვა, კაცს — კაცი, ჭირს — ლხინი.

— მერე ჩვენ გავმრავლდებით და მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით! — ესეც მაღლიანმა თქვა.

გაჩაღდა ქორწილი. მასყარს ვერასგზით დაიტევდა და ცოტა მხრებში გაიშალა. ახალმოსახლეს, მეზობლის კარამდის მიუძღვა და პირიქით.

ყველაზე დიდი განსაცდელი მაშინ დაუდგა, შვილის მოლოდინში გზაბნეული მამისთვის ექიმის სახლამდის გაძლოდა რომ ვერ შეძლო. სად წასულიყო, არ იცოდა. გაიხსენა, სიმწრით გაიხსენა წარსული და იპოვა!

— ვიყო, ბილიკი ვიყო, ოღონდ დროზე მივეუსწროთ! და იქეჟა!

— ბიჭია, ბიჭი! — შეძახილმა მთები ნამოყარა.

აი, სწორედ მაშინ შეამჩნიეს მთებმა ის და გაუკვირდათ. რა იცოდნენ, რა სასწაულის საწყისი იყო ის დღე!

— გათენდა, ბაბუებო. იგივე ცა, ზღვა, ბარი... მხოლოდ მთებს დაჰკარგოდათ მოსვენება. იხსენებდნენ ძალიან კარგს და შორეულს. იცით? პირველმა სწორედ იმ აბეზარმა კლდე გაიხსენა და ლოდი აფრინა მოსატანად.

— ის არის, ის! — ასძახა ლოდმა.

ბუნების შვილები სიხარულით ულოცავდნენ მიწას დაკარგული შვილის დაბრუნებას.

— ახლა დაიძინეთ, ჩემო დედოფლებო! ვერაფერი მხიარული და საინტერესო ზღაპარი მოგიყვებით. კარგი, სხვა დროს „ჩიტ ნაცარაზე“ და „კუდაბზიკა მელაზე“ მოგიყვებით, ხო?

პატარებს კი არაფრით უნდოდათ დაძინება. გათენდებოდა თუ არა, მამის მოსვლასთან ერთად, ზაფხულიც-დამთავრდებოდა! საშინლად მოენატრებოდათ ბაბუას ოდა, ბოსლიდან მურას შიშით ვერგამოსული ნიკორა, პანანუნა ნაკადული, რომელსაც ყოველ დილით მინდვრის ყვავილებით რთავდნენ. პატარა, ჯადოსნური სკივრი, ბებიასიაო, დედამ რომ უთხრათ, და ღამლამობით მათგან მალულად რომ ეფერებოდა ბაბუა დაკოჟრილი ხელებით. ეს ღობე, ჭიშკარი, ჭა, ყოველი ბუჩქი და გორაკი. ყოველი დილა ნამიანი და ღამე უღამაზესი სიზმრებით....

— ნახე, მარი! ვარსკვლავი მოსწყდა ცას. ჩაიფიქრე ჩქარა, ჩაიფიქრე და აგიხდება!

დიდხანს, ძალიან დიდხანს შესციცინებდნენ გოგონები ვარსკვლავებს და ერთსა და იმავე სურვილს ბუტბუტებდნენ:

— ნეტავი მალე გავიზრდებოდეთ!

ნოზალი ბართია⁶

ნარკვეული მოქრობის დღიურებიდან

01. 04. 1989.

ორ საათზე, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ზვიად გამსახურდიას პირველი ლექცია ჩატარდა. ორი საათით ადრე ირეოდა ხალხი დარბაზის შესასვლელთან. ორ საათზე კი ნემსს ვერ ჩააძვრენდი დარბაზში. სცენაზე იხსდნენ სტუდენტები. მომხსენებელმა ძლივს გაიკვალა გზა მიკროფონისკენ. შიგნით შესვლა ვერ მოვახერხე. დარბაზი რადიოფიცირებული იყო და გარეთ აღწევდა ხმა. მოხსენება შეეხებოდა „ვეფხისტყაოსნის“, ინგლისურ თარგმანებს. ლექციის მოსასმენად მოსულებს სცენის უკანა ფარდა გაეხიათ და სასაცილოდ ჰქონდათ გამოყოფილი თავები.

ლექციის დამთავრების მერე მთარგმნელობით კოლეგიაში წავიდი. გავიგე, რომ ოთხ საათზე კრება იყო დანიშნული, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. ჯანო ჯანელიძე და გურამ ოდიშარია ჩამოსულიყვნენ სოხუმიდან და ინფორმაცია უნდა მოეწოდებიათ იქ არსებული მდგომარეობის შესახებ.

კრების დაწყებამდე დრო იყო და ზეზვა მედულაშვილმა ლუღზე დამპატიჟა. იქიდან, სადაც ჩვენ ვაპირებდით შესვლას, ვახუშტი კოტეტიშვილი, ჯანო ჯანელიძე და გურამ ოდიშარია გამოვიდნენ. ვახუშტი გადამეხვია - ხომ იცნობთ ამ კაცსო - მიმართა ჯანოსა და გურამს - ჩემი პირველი სტუდენტი! - იმიტომ ბრძანდებით ასეთი კარგი, ბატონო ვახუშტი, თქვენი პირველი სტუდენტი რომ ვიყავი-მეთქი - გავიხუმრე. ჯანო და გურამი მიცნობდნენ. გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა.

ოთხი საათიც მოვიდა.

სანამ ჯანოსა და გურამს მისცემდნენ სიტყვას, კოლეგიის ხელმძღვანელმა ოთარ ნოდიაშვილმა გაგვაცნო ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, ჯუმბერ პატიაშვილთან შეხვედრის დეტალები. პატიაშვილს, რომელიც საგანგებოდ იყო ჩასული აფხაზეთში, აფხაზეთისთვის მიუმართავს, რომ მათი ქმედება კანონსაწინააღმდეგოა, რასაც თქვენ ითხოვთ ის რომ მოხდეს, მაშინ საბჭოთა კავშირში 53 რესპუბლიკა უნდა შეიქმნასო.

ჯანომ აღელვებულმა ილაპარაკა მიმდინარე ამბებზე. როცა აფხაზები ატარებენ მიტინგებს, არავინ უშლის ხელს, ჩვენ კიდევ ნებას არ გვაძლევენო.

გურამ ოდიშარიამ სინანულით თქვა, რომ ქართველები და აფხაზები ყველთვის კარგად ვიყავით ერთმანეთთან, ყოველ შემთხვევაში, ყოველთვის იმას ვცდილობდით, კარგად ვყოფილიყავით. მეტის მოთმენა არ შეიძლება. მათ გააშიშვლეს თავიანთი სახე. ლიხნის მიტინგის წინა დღეს ბიჭვინთაში ერთმანეთს ძმობას ვეფიცებოდით ქართველი და აფხაზი მწერლები, მეორე დღეს კი მათ ლიხნის მიტინგზე, ქართული ეკლესიის წინ, ჩვენს საწინააღმდეგო მიმართვას მოაწერესო ხელი.

ნაირა გელაშვილი რეზოლუციის პროექტს წერდა.

სიტყვით გამოვიდნენ:

ვახუშტი კოტეტიშვილი - მონღოლები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ თქვენი მტრები ვართო, როცა ცოტნეს საქციელი ნახეს, ყველანი გაანთავისუფლეს. აფხაზები გვეუბნებიან: ჩვენ თქვენი მტრები ვართო, ჩვენ კი ვეფერებით - არა მოყვარენი ხართ.

ვანიკო შატბერაშვილი - რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს.

ტარიელ ჭანტურია - ფაზილ ისკანდერი სპარსელია, რუსულად წერს და აფხაზებზე შესტკივა გული.

მურმან ჯგუბურია - აფხაზებს ლიტერატურა გულიამ შექმნა, მისი შვილი დიმიტრი გულია კია მოსკოვშია და რუსულად წერს. ვახუშტიმ დაუმატა - მშობლიური ენა მამიდან შვილამდე ვერ მიიტანა.

ხვალ ისევ შეიკრიბებიან, მიმართვის ტექსტს შეიმუშავებენ და „ლიტერატურულ საქართველოს„ გადაუზავნიან.

ნაირა გელაშვილს ვუთხარი - ზვიადს უნივერსიტეტში დიდი იუბილე გადაუხადეს-მეთქი.

-რა საჭირო იყო, ახლა რა მაგის დროაო?

-ვერ მოვასწარი მეთქვა, ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენისათვის მიძღვნილი მიტინგი ზვიადის იუბილეში რომ გადაიზარდა.

05. 04. 1989.

გუშინ, უნივერსიტეტში, სტუდენტებმა ეროვნული დროშა გადასცეს მუხრან მაჭავარიანს, ქართული მწერლობის თავკაცს.

-ამ დროშას ანი ხელიდან არ გაფუშვებ! -დადო პირობა მუხრანმა და, მისი წინამძღოლობით, რამდენიმე ათეულათასიანი კოლონა სტადიონისკენ დაიძრა.

ხალხმა სტადიონზე ხელისუფლების წარმომადგენლების მოსვლა მოითხოვა. არაფერ რომ არ გამოეხმაურა, მათი გადადგომა და დროებითი მთავრობის შექმნის წინადადება შემოიტანეს.

06. 04. 1989.

მთავრობის სახლის წინ მიტინგი დაიწყო, შიმშილობა გამოაცხადეს. სიტყვით გამოვიდნენ რეზო ჯაფარიძე და კობა იმედაშვილი. მოითხოვდნენ საქართველოში ყველა ავტონომიის გაუქმებას და აფხაზ ნამქვეზელთა დასჯას, რომლებმაც ქვეები დაუშინეს თბილისიდან ჩასულ ავტობუსს. ქვა პირველმა, გუდაუთის რაიონის პირველმა მდივანმა, ოზგანმა ესროლა თურმე.

წავიკითხე მიმართვა ჯორჯ ბუშისადმი. ითხოვენ დამოუკიდებლობის აღდგენაში თანადგომას.

ზვიადი ოცდამეთერთმეტე ქარხანაში იყო, საიდანაც მიტინგზე მოიყვანა გაფიცულ მუშათა წარმომადგენლები. იფიცებიან სხვადასხვა ორგანიზაციები და უერთდებიან მომიტინგეებს. იქმნება ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გია ჭანტურიას ხელმძღვანელობით.

დილით მოშიმშილეებთან ჯანსუღ ჩარკვიანი მივიდა. ხალხს ერთობისკენ მოუწოდა. ქართული მწერლობა არამცთუ არ არის თქვენთან, ტყვიას პირველი მიუშვერსო მკერდს.

ირაკლი წერეთელი: რამდენიმე წლის წინ, რომ დამაპატიმრეს, ჯანსუღ ჩარკვიანს არ მივუტოვებია, ეს იმხანებში გვირობას ნიშნავდაო. ჯანსუღი თბილად მიიღო ხალხმა.

გუშინ წინაპლანზე აფხაზეთის პრობლემა იდგა, დღეს გამოიკვეთა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვ-



ლის საკითხი. სანამ რუსეთის შემადგენლობაში ვიქნებით, ყოველთვის წამოჰყოფს ან აფხაზეთის, ან ოსეთის პრობლემაო. მთელ საქართველოს გაფიცვისკენ მოუწოდებენ. საშუალო სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები გაიფიცვენ. ვილაცამ წერილობით მიმართა მიტინგის ორგანიზატორებს - რატომ არ ჩანან პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებიო? -დირექტორები განათლების სამინისტროს მიერ არიან დანიშნულნი და მათ ზარს ელოდებიანო.

მოიყვანეს მაგალითი, როცა სომხეთსა და საქართველოში თბილისში მინისძვრა მოხდა, პროფტექნიკურის მასწავლებლებმა მოსწავლეები სასწრაფოდ გამოყარეს გარეთ. დირექტორმა ეს რომ ნახა, ყველანი უკანვე შეყარა - პასუხისმგებლობას მე ვიღებო ჩემ თავზე.

შემდეგ უნივერსიტეტში წამოვედი, რომელიც სასევა ხალხით. სააქტო დარბაზში ზვიადს, გია ჭანტურიასა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს უწყობენ შეხვედრას.

მიტინგები იყო ტელევიზიის, პუშკინის და პოლიტექნიკური ინსტიტუტების წინ.

ლამე, მე და მეზობელი დავით ჯოხაძე, ერთად წავედით მთავრობის სახლისკენ. მხატვრის სახლში ამერიკის მხატვართა გამოფენა იყო და საქართველოს, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის დროშები ფრიალებდა მის აივანზე.

მიკროფონში გაისმა, რომ ჩვენ წინ ნითელი ეშმაკუნები ეპოტინებიან საქართველოს და ამერიკის ეროვნულ დროშებსო. მზერა ყველამ იქითკენ მიაპყრო. დაიწყო სტვენა და შეძახილები. საქართველოს დროშის მოხსნა მოასწრეს, ამერიკისას ვერ მოერივნენ - ერთი გოგონა ეჯაჯგურებდა.

რაზო ჩხეიძე: ლენინი შეცდომაში შეიყვანეს სტალინმა და ორჯონიკიძემ, რადგან თავისუფალ საქართველოში ისინი ემიგრანტებად რჩებოდნენ. ამიტომ უნდა აღინიშნოს 26 მაისი არა ჩუმად, არამედ სახალხოლო.

გაფიცულებს შემოუერთდა რადიო-ტელევიზიისა და ჟურნალისტების ერთი ჯგუფი.

შემდეგ მე და დავითი ჯერ პუშკინის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტისკენ გავემართეთ, იქიდან რადიო-ტელევიზიისკენ, სადაც შვიდი ბეტეერი იდგა. ტელევიზიაში ჯარი შეიყვანათ. ავტობუსებით სამხედრო ტექნიკისთვის ზღუდე შეექმნათ. მოითხოვენ ტელევიზიამ რეალურად

გადასცეს არსებული ვითარება და საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას. გაფიცულებს შეუერთდნენ რუსთაველისა და ოპერისა და ბალეტის თეატრთა მსახიობები.

აფხაზები აბრეშუმით არიან თურმე. სოხუმში ჩატარდა პლენუმი. ადღეობა მოსნეს, მის ნაცვლად დაინიშნა ხიშბა, ხოლო რომლებმაც ქართულ ავტობუსს ქვები დაუშინეს, ისე ცემეს, რომ საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი.

სამედიცინო ინსტიტუტის წინ მეტი ორგანიზებულია გამოუჩინათ, ცელოფნებით გადაუხურავთ ტერიტორია, ტელევიზორიც ჰქონდათ, მუსიკაც.

ნაწილი კინოსტუდიისა გაიფიცა.

მთავრობის სახლის წინ გამართული მიტინგიდან ნატოს მიულოცეს დაარსებიდან ორმოცი წლის იუბილე.

07. 04. 1989.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ნინი ქუთელია

Lucius Annaeus Seneca

ლუკიუს ანნეუს სენეკა

De Vita Beata

ბედნიერი ცხოვრების შესახებ

ნინასიტყვაობა

ლუკიუს ანნეუს სენეკა (ძვ.წ. 4 — ახ.წ. 65) რომელიც სტოიკოსი ფილოსოფოსი, მოაზროვნე, მწერალი და დრამატურგი. სენეკას ცხოვრებაში მუდმივად ერთმანეთს ენაცვლებოდა აღმასვლა და დაცემა — ის რომის იმპერატორის, ნერონის აღმზრდელი იყო და 54 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში. მოგვიანებით, სენეკამ დაკარგა გავლენა იმპერატორზე, იგრძნო რა, რომ მისი, როგორც მრჩევლის სიტყვას აღარავითარი ძალა აღარ ჰქონდა. ის პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდა და თავი ფილოსოფიას მიუძღვნა. მოგვიანებით, ნერონმა სენეკა შეთქმულებაში დაადანაშაულა, იგი სასტიკ რეპრესიებში მოხვდა და 65 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სენეკას მრავალრიცხოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე ძირითადად ფილოსოფიურმა და დრამატურგიულმა ნაწარმოებებმა მოაღწია. წინამდებარე ტექსტი „De Vita Beata“ — „ბედნიერი ცხოვრების შესახებ“, სავარაუდოდ დაწერილი უნდა იყოს 58 წელს. ტრაქტატში დასმული ძირითადი პრობლემა — რა არის ბედნიერი ცხოვრება? როგორ შეიძლება მივაღწიოთ მას? რა როლს ასრულებს ღირსება, სიქველე, სიამოვნება და სიმდიდრე ბედნიერი ცხოვრებისათვის? აქტუალობას დღემდე არ კარგავს. სენეკა მისთვის დამახასიათებელი ძალიან თანამედროვე, დინამიური სტილით გადმოგვცემს თავის ნააზრევს. ჩვენი ძირითადი მიზანი სწორედ თარგმნისას ამ სტილის შენარჩუნება იყო. სენეკა იმ ავტორთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც თარგმნისას ესაუბრებიან მთარგმნელს, სწორედ ამიტომ ვეცადეთ ტექსტის თარგმანი მაქსიმალურად ზუს-



ტი ყოფილიყო, თითქმის ბნკარედული და თავი ავარიდეთ მხატვრულობას, რათა არ დაკარგულიყო ავტორისეული აზრი და წინანდადებების მისეული წყობა.

ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება არა მხოლოდ დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ ზოგადად ფილოსოფიით და კულტუროლოგიით დაინტერესებული მკითხველისათვის, რომელიც შეძლებს ამ ძალიან თანამედროვე ანტიკურ ტექსტში მრავალი ჩვენი რეალობისთვის დამახასიათებელი და ნაცნობი რამ დაინახოს.

ლათინური ტექსტისთვის ვისარგებლეთ აკადემიური გამოცემით L. Annaeus Seneca. Moral Essays: volume 2. John W. Basore. London and New York. Heinemann.1932. (wyaro: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus:text:2007.01.0022>). aseve Targmanebis akademiuri gamocemebiT: Lucius Annaeus Seneca, Minor Dialogs Together with the Dialog `On Clemency~; translated by Aubrey Stewart, pp. 204–239. Bohn's Classical Library Edition; London, George Bell and Sons, 1900; Луций Анней Сенека, Философские Трактаты, изд. Алетейя, 2017

თავი I

[1] ბედნიერად ცხოვრება ყველას სურს, ძმაო გალიუს⁵, მაგრამ იმის დადგენაზე რომ მიდგება საქმე, თუ რა არის ეს ბედნიერი ცხოვრება, [ადამიანები] გაურკვეველობის ბურუსში ეხვევიან. ასევე უნდა ითქვას, რომ ბედნიერი ცხოვრების მიღწევა ადვილი არ არის, რადგან თუ კაცი გზას ასცდება, იმდენად უფრო მეტად დამორდება მას, რამდენადაც სწრაფად მიიწევს მისკენ. თუ ამ გზას კაცი საპირისპირო მიმართულებით მიჰყავს, მეტად დამორების მიზეზად მოჩქარეობა იქცევა. ამგვარად, უპირველესად უნდა გამოვიკვლიოთ ის, რასაც ვესწრაფვით. ასევე მოსახილველია, თუ როგორაა შესაძლებელი უსწრაფესად მივაღწიოთ [ბედნიერ ცხოვრებას] და გზაზე (თუკი ის სწორი და მართებულია) უკვე გასაგები იქნება, რამდენს მივწვდებით ყოველდღიურად და რამდენად ახლოს ვიქნებით იმასთან, რისკენაც ბუნებრივი ლტოლვა გვიბიძგებს.

[2] სანამ ჩვენ დიდი ხნის მანძილზე აქეთ-იქით დავეხეტებით და წინამძღოლს კი არ მივყვებით, არამედ მავანთა არეულ ძახილსა და ზუზუნს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით გვიხმობს, ისედაც ხანმოკლე ცხოვრება ფუჭად ილევა და იკარგება, თუნდაც დღედაღამ პატიოსნად და ბეჯითად ვილწვიდეთ. ამრიგად, უნდა გადავწყვიტოთ რას და როგორ ვესწრაფვით და ეს არ უნდა გავაკეთოთ გამოცდილი კაცის გარეშე, რომელმაც მანამდე შეისწავლა და გამოიკვლია ის, რისკენაც ვისწრაფვით. ამ გზის გავლა სხვა მოგზაურობებს არ ჰგავს. ამგვარი მოგზაურობების დროს ნაცნობი გზა და [ადგილობრივი] მაცხოვრებელთა გამოკითხვა არც დაგაბნევს და არც შეცდომაში შეგიყვანს, იმ გზის გავლისას კი, რომელიც ვახსენე, სწორედ ყველაზე გათელილი და გადაჭედილი გზა შეგაცდენს.

[3] ამგვარად, იმაზე საშური არაფერია, რომ ცხოველთა წესისამებრ არ მივყევოდეთ წინამავალ ფარას, რადგან ამ შემთხვევაში იქ კი არ წავალთ, სადაც უნდა წავიდეთ, არამედ იქ, სადაც ფარა მიდის. არც ერთი საქმე არ გვითრევს უფრო მეტ გასაჭირში, ვიდრე ქედის მოხრა საზოგადოდ [გავრცელებული] ხმებისა და აზრის წინაშე, საუკეთესოდ იმის მიჩნევა, რაც საყოველთაო შეთანხმებითაა მიღებული. ამის მაგალითები მრავლად გვაქვს, რადგან არა გონებით, არამედ მიბაძვით ვცხოვრობთ. ამიტომაც ჩნდება [ხალხის] სიმრავლე მანამ, სანამ ერთი მეორეს არ დასცემს.

[4] ადამიანთა დიდ ბრბოში ხალხი თავის თავს უბიძგებს და სრებს, და ისე არავინ დაეცემა, თუ სხვაც არ წაიყოლა. პირველნი მომდევნოთ დასცემენ და ეს რომ ხდება, შენ ცხოვრებაშიც შეიძლება შენიშნო. საკუთარ თავს შეცდომაში არავინ შეიყვანს, მაგრამ, სამაგიეროდ, მავანი სხვისი შეცდომის მიზეზი და წამომწყებიც კი ხდება. ამგვარად, წინამავალთა დევნა საზიანოა და სანამ კაცს ურჩევნია ირწმუნოს, ვიდრე განსაჯოს, ცხოვრების შესახებ მსჯელობას ვერასოდეს შეეძლებო, ყოველთვის ეს „ხელიდან ხელში გადასული“ შეცდომა დაგვაბრკოლებს და მცდარი მიმართულებით მოგვაბრუნებს. ჩვენ სხვათა მაგალითები და შეცდომები გვლუბავს. თუ ბრბოს გამოვეყოფით და მოვშორდებით — გადავრჩებით.

[5] ამჟამად ხალხი გონების წინააღმდეგაა და იმას იცავს, რასაც მისთვის ცუდი მოაქვს. ასე ხდება სახალხო კრებებზეც, რომლებზეც როდესაც საერთო კეთილგანწყობა „დატრიალდება“, მათ, ვინც პრეტორები⁶ გახდნენ, გაცემით შესცქერიან ისინი, ვინც ეს ადამიანები პრეტორებად გახადა. ჩვენ ერთი და იგივე მოგვწონს და ერთსა და იმავეს ვენიწაღმდეგებით — ესაა ბოლო ყველა გადანყვეტილებისა, რომელთაც უმრავლესობა იღებს.

თავი II

[1] როდესაც ბედნიერი ცხოვრების შესახებ ვსაუბრობთ, ნუ მიპასუხებ ისე, როგორც ხმის მიცემისას და ნუ მეტყვი: „როგორც ჩანს, ამ შეხედულებას უმრავლესობა უჭერს მხარს“. ზუსტად ამიტომაც სულ უფრო და უფრო უარესი რომ ხდება. ადამიანთა საქმე ისე კარგად არ არის, რომ უმრავლესობას მოსწონდეს ის, ვინც უკეთესია. ყოველი ცუდის დასტურის და დამადასტურებელი ბრბოა.

[2] მამასადამე, შევეცადოთ გავიგოთ, თუ რა არის საუკეთესო, რისი გაკეთებაც შეიძლება; რა არის ის, რასაც საზოგადოდ ყველაზე ხშირად ვიყენებთ და რაც მარადიულ ბედნიერებად მიგვიყვანს? რა არის ის, რაც არ მოსწონს ბრბოს — ჭეშმარიტების ყველაზე ცუდ გამგებს? ბრბოში კი ქლამიებით⁷ შემოსილთაც ვგულისხმობ და გვირგვინოსანთაც. ამიტომაც არ ვუყურებ მათი შესამოსელის ფერს. ადამიანის შესახებ თვალებს ვერ ვენდობი — უკეთესი და უფრო სანდო სინათლე მაქვს, რათა სიმართლე ტყუილისგან გამოვარჩიო. სული მოძებნის სულისთვის კარგს. სულს რომ ამოსუნთქვის და [სხეულისგან] გამიჯვნის საშუალება მისცემოდა, ოჰ, რა სიმართლეში გამოუტყდებოდა თავის თავს და იტყოდა:

[3] „რაც აქამდე გავაკეთე, მერჩინა არ გამეკეთებინა, რაც მითქვამს, როცა ხელახლა ვუფიქრდები, მუნჯისა და უტყვის მშურს, რაც მომისურვებია, მტერთა დაწყევლილია, რისიც მეშინოდა, ღმერთო ძლიერო, რამდენად მსუბუქი იყო იმაზე, რაც მოვისურვე! მრავალი მტერი მყავდა და სიძულვილიდან მეგობრობისკენ შემოვარბუნე, თუკი საერთოდ შეიძლება ცუდ ადამიანთა შორის მეგობრობა არსებობდეს. მაგრამ ჩემი საკუთარი თავისთვის არ ვარ მეგობარი. მთელი შრომა და გარჯა იმას შევალე, რომ საკუთარი თავი უმრავლესობაზე აღმატებული გამეხადა და ამ ძღვენით შესამჩნევი ვყოფილიყავი. სხვას რას დაუფდექი წინ, თუ არა მტრების შუბებს და ავისმზრახველათა კბენას?“

[4] ხედავ მათ, ვინც მჭევრმეტყველებას მისცემიან, სიმდიდრეს ესწრაფვიან, ვინც [სხვათა] კეთილგანწყობას ეპირფერებიან და ძალაუფლების გაზრდას ცდილობენ? ყველანი ან მტრები არიან ან შეუძლიათ მტრად მოგეკიდონ (რაც იმავს ნიშნავს). რამდენადაც ბევრია [შენით] აღტაცებული, იმდენად ბევრია მოძულე. განა უკეთესი არაა ვეძებო ის, რაც გამოსაყენებლად კარგია — რასაც ვგრძნობ და არა ის, რასაც ვაჩვენებ. ზოგჯერ ის, რაც სახილველია, რაზეც ბევრს ფიქრობენ, რასაც ერთი კაცი მეორეს გაცემული უჩვენებს, გარეგნულად ბრწყინავს, ხოლო შიგნიდან უბადრუკი და საძულველია.

თავი III

[1] ვეძიოთ ის, რაც შესახედაობით კი არ არის კარგი, არამედ მყარი, უცვლელი, თანაბარი და მშვენიერი თავისი დაფარული ნაწილით. ეს მოვძებნოთ და მიწის სიღრმიდან დღის სინათლეზე ამოვიტანოთ. [მინაში] ღრმად დამარხული არ არის, მოიძებნება, მხოლოდ იმის ცოდნაა საჭირო, ხელი საით გაინვიდინო. ამ დროს, როგორც წყვიდადში, იმასთან მივდივართ, რაც ახლოსაა და შეიძლება იმას დავეჯახოთ, რაც ყველაზე მეტად გვწინაა.

[2] მაგრამ შენ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზე არ გატარებ, გვერდს ავუვლი სხვათა მოსაზრებებს, რადგან მათი ჩამოთვლა და გამოაშკარაება ხანგრძლივი იქნება. ჩვენსას მივხედოთ. თუმცა კი ვამბობ „ჩვენ“, მე თავს არ ვუკავშირებ რომელიმე გამორჩეულ სტოიკოსს⁸. მეც მაქვს უფლება, ჩემი აზრი გამაჩნდეს. ამრიგად, თუ მოვინონებ აზრს ან წინადადებას, რომელიც მავანმა გამოარჩია, შეიძლება შემდეგ არ უარყო არც ერთი იმ შეხედულებათაგან, რომლებიც წინამორბედმა [სტოიკოსებმა] ჩამოაყალიბეს და ვთქვა: „ამაზე მეტსაც ვფიქრობ...“

[3] ამიტომ ბუნებას მივყვები, როგორც ეს სტოიკოსთაგან არის მიღებული. თუ ამას არ ავცდებით, [ბუნების] კანონსა და მაგალითს მივყვებით, ბრძნულად მოვიქცევით. მაშასადამე, ბედნიერი არის ცხოვრება, რომელიც ეთანხმება თავის ბუნებას და რომლის მისაღწევად, უპირველესად, გონების სიჯანსაღის მიღწევასკენ განუწყვეტელი სწრაფვაა საჭირო. შემდეგ კაცი უნდა იყოს ძლიერი და შეუდრეკელი, ამავე დროს [სირთულეების] ღირსეულად ამტანი, დროის შესაფერისი, თავის სხეულსა და მის საჭიროებებზე ზიანის მიუყენებლად მზრუნველი, იმ საკითხებზე დამკვირვებელი, რაც ცხოვრებას ავსებს ვინმეთი მოხიბვისა და ალტაცების გარეშე, ფორტუნას ძღვენით მოსარგებლე და არა მას დამონებული.

[4] შენც გესმის, თუნდაც მე არ დავამატო, რომ განუწყვეტელი და დაურღვეველი სიმშვიდისა და თავისუფლებისკენ სწრაფვა თავიდან გვაცილებს იმას, რაც რისხვას ან ძრწოლას იწვევს. რადგან ამ უბადრუკი შიშებისა და მყიფე და მსხვერვადი სიამოვნებების ნაცვლად ჩვენ წინ გაჩნდება დიდი სიხარული, უცვლელი და ზომიერი სიმშვიდე, სულის თანხმიერება. ყოველივე უხეში და ველური სისუსტისგან მოდის.

თავი IV

[1] იმ კარგის გამოხატვა, რაც ჩვენშია, სხვადასხვაგვარად შეიძლება. როგორც მაშინ, როცა აზრი ერთია, მაგრამ სხვადასხვა სიტყვით გამოცემული. ზუსტად ასევე ლამქარი შეიძლება ფართოდ გაიშალოს, ან ვიწრობებში რქასავით მოიხაროს, ან წინა ხაზზე განლაგდეს, და ამ სხვადასხვა ნუსრიგის დროს მისი ძალა, ნება და სურვილი უცვლელი რჩება. ამგვარად, უმაღლესი სიკეთის განსაზღვრება შეიძლება სხვადასხვანაირად გამოითქვას და განივრცოს, ზოგჯერ კი შემჭიდროვდეს და შემოკლდეს.

[2] იგივე გამოვა, თუ ვიტყვი: „უმაღლესი სიკეთე არის სული, რომელიც არად აგდებს შემთხვევითობას, რომელსაც სიქველე ახარებს“ ან კი ასე: „ესაა სულის დაუმარცხებელი ძალა, საქმეში გამოცდილება, მოქმედებისას მშვიდობიანობა, კაცთმოყვარეობა და ადამიანებთან ურთიერთობებზე ზრუნვა“. შეიძლება ასეც ვთქვათ: „ბედნიერს ვუნოდებთ იმ ადამიანს, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი კარგი და ცუდი, გარდა კარგი და ცუდი სულისა, ის აფასებს და თავყვანს სცემს პატიოსნებას, კმაყოფილებას განიცდის სიქველეთ, მას შემთხვევითობა ან იღბალი ვერც აამაღლებს და ვერ დაამხოვს; მან არ იცის უფრო მეტი სიკეთე, ვიდრე ის, რისი მიცემაც საკუთარი თავისთვის შეუძლია. მისთვის ნამდვილი სიამოვნება სიამოვნებათა დათრგუნვა და არად ჩაგდებაა.“

[3] თუ გსურს, ამ აზრის განვრცობაც შეიძლება, ცხადია ისე, რომ ერთი აზრი სხვადასხვა სახესა და ფორმაში გადავიტანოთ, მისი ძალა და მნიშვნელობა კი ხელშეუხებელი დავტოვოთ. მართლაც, ვინ გვიძლის თქმას, რომ ბედნიერი ცხოვრება არის თავისუფალი, გამბედავი, მამაცი და მტკიცე სული შიშის გარეშე, ლტოლვისადმი მორჩილების გარეშე, რომლისთვისაც ერთადერთი სიკეთე პატიოსნებაა, ერთადერთი ბოროტება კი — სირცხვილი. დანარჩენი იაფფასიანი საგნების გროვა არც რაიმე ზიან-

ის მომტანია ბედნიერი ცხოვრებისათვის, არც ის შეუძლია, მას რაიმე შემატოს. ანუ, ეს [გროვა] ჩნდება და ქრება, მოდის და მიდის ისე, რომ არც რითიმე ზრდის უმაღლეს სიკეთეს, არ ამცირებს.

[4] ამას თავისი არსი და საფუძველიც აქვს. ნებისთუ უნებლიეთ, მას მოჰყვება განუწყვეტელი სიხალისე და სიხარული, თითქოსდა მაღალი [ზეციდან] მომავალი, მისთვის თავის ახლობლებსა და სახელეულზე დიდი სიხარულის მომტანი არავინ და არაფერია. ნუთუ ეს არ ფასობს მეტად, ვიდრე უმნიშვარი სხეულის უბადრუკი, უმნიშვნელო და მოკლენიანი მოძრაობა? — სიამოვნებაში მყოფი იმავე დღეს შეიძლება ტკივილის ტყვედ იქცეს. ხომ ხედავ, რამდენად საშინელი და ცოდვიანია იმ კაცის მონობის ხვედრი, ვისზეც ბატონობს სიამოვნება და ტკივილი — ყველაზე საეჭვო, არასანდო და ძალაუფლების მოყვარე მრძანებელი. ისინი ადამიანს რიგრიგობით იპყრობენ, ამიტომაც თავიუფლებისკენ მთელი ძალით უნდა გავიქცეთ.

[5] ერთადერთი, რაც საჭიროა, ისაა, რომ ფორტუნას არ დავმორჩილდეთ. როცა შეცდომები და შიშები განიდევნება, მაშინ დაიძვრება და აღმოცენდება ფასდაუდებელი სიკეთე, უსაფრთხოდ დაუნჯებული სულის სიმშვიდე და სიღიადე. ჭეშმარიტების შეცნობას მოჰყვება დიდი სიხარული, სიხალისე, და სულისთვის საამო გახდება არა მხოლოდ გარემომცველი, არამედ საკუთარი სიკეთეც.

შენიშვნები

⁵ ლუკიუს ანნეუს ნოვატუსი შემდგომში ლუკიუს გალიუს ანნეუს უმცროსი (ძვ.წ. 4 — ჩვ.წ. 65 წ.წ.) — სენეკას უფროსი ძმა. მათი მამა, ლუკიუს ანნეუს სენეკა უფროსი, სახელგანთმული ორატორი, კორდოვას (ესპანეთი) მხედართა ნარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა. უფროსი ვაჟი ნოვატუსი, მისმა მეგობარმა, იუნიუს გალიუსმა იშვილა. გალიუსს სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეკავა — იყო კონსული-სუფექტუსი, პროკონსული აქაიაში, სადაც სახელი გაითქვა, როგორც პავლე მოციქულის მოსამართლემ („12. როცა გალიონი აქაიას მთავარი იყო, იუდეველები ერთსულოვნად დაესხნენ თავს პავლეს და მიიყვანეს სამსჯავროში, 13. და თქვეს: „ეს კაცი არწმუნებს ხალხს, რომ რჯულის სანინალმდეგოდ სცენ თავყვანი ღმერთს.“ 14. როცა პავლემ ხმის ამოღება დააპირა, გალიონმა უთხრა იუდეველებს: „იუდეველებო, რომ ყოფილიყო რაიმე დანაშაული ან ბოროტმოქმედება, მართლაც უნდა მომესმინა თქვენთვის, 15. ხოლო, როდესაც სარჩელი ეხება თქვენს მოძღვრებას, სახლებსა და რჯულს, თქვენ თვითონ მიხედეთ, მე არ მსურს ვიყო ამის მსაჯული.“ 16. და გამოყარა ისინი სამსჯავროდან. 17 მაშინ ბერძენებმა შეიპყრეს სინაგოგის მთავარი სოსთენესი და სცემეს სამსჯავროს წინ. მაგრამ გალიონს ესენი არ ადარდებდა“, მოციქულთა საქმენი, 18, 12—17). ცნობილია, რომ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა;

⁶ პრეტორი (ლათ. ჯრაეტორ) — ძალაუფლებითა და გავლენით რიგით მეორე სახელმწიფო თანამდებობა ძველ რომში. პრეტორებს ერთი წლით ირჩევდნენ სახალხო კრებაზე და ფორმალურად მათ ისეთივე ძალაუფლება ჰქონდათ, როგორც კონსულებს — საჭიროებისამებრ, შეეძლოთ შეეთვისებინათ როგორც სამხედრო, ისე უმაღლესი სასამართლოს უფლება-მოვალეობები. კონსულების მსგავსად პრეტორებიც ტოვა პრეტექსტას ატარებდნენ;

⁷ თავისუფალი რომაელი მოქალაქეები ტუნიკას ზემოდან ტოგას ატარებდნენ. ქლამიდა — ბერძნული მსუბუქი ქსო-

ვილის ზემოდან ჩასაცემელი. რომში ის ეცვათ არამოქალაქეებს და არათავისუფალ ადამიანებს;

⁸ სტოიციზმი — მიმდინარეობა ფილოსოფიაში. სტოიკოსთა უმთავრესი პრინციპის მიხედვით, სამყაროში ყოველივე რაციონალურად და აუცილებლობის კარნახით ხდება გარდაუვალი აუცილებელი განგების, ანუ ბედის ძალით. უშფოთველობის შესანარჩუნებლად ადამიანმა საკუთარი ბუნების კარნახით უნდა იცხოვროს, ცხოვრება და მოვლენები ისე უნდა მიიღოს, როგორც არის. სტოიკოსები ამბობენ: „გაუძელი ყველაფერს, რაც თავს გადაგხდება: ყველაზე მტკივნეული და სამწუხარო მოვლენებიც კი ფატალური ხასიათისაა (ანუ ბედისწერასთანაა დაკავშირებული).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



მარსიანი

საქართველო ნეოლიბერალიზმის პირისპირ

ჯერ კიდევ საუკუნის წინათ ჩამოკრა განგამის ზარს ნიკო ლორთქიფანიძემ, როცა „იყიდება საქართველო“ დაწერა (1911წ). საქართველოს არც ამ მამხილებელი წერილის შემდეგ მოჰკლებია გამყიდველები და ისინი დღესაც გულმოდგინედ იღვნიან საქართველოს გასაყიდად. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ მოსული ყველა ხელისუფლება მარიონეტულია, გარედან მართული და ისინი ცდას არ აკლებენ, რომ თავიანთ უცხოელ ბოსებს აამონ, მათი მითითებები (ბრძანებები!) შეასრულონ, რათა, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ ძალაუფლება, თანამდებობები, მატერიალური მოგება (რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის გაყვლეფის ხარჯზე).

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოდან საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ხუდონჰესის და ნამოხვანჰესის ამენების პროექტები. ფაქტიურად ეროვნული მოძრაობის გააქტიურება და ახალ, საერთო-სახალხო ფაზაში შესვლა სწორედ ამ პროექტების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებით დაიწყო. მე აქ მიიწია მოვიყვანო ეროვნული მოძრაობის თავკაცის, ზვიად გამსახურდიას ლექსი „საუკუნე უახლესი“, რომელიც საქართველოს მდინარეებზე აგებული თუ ასაგები დიდი ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამოწვეულ თუ მოსალოდნელ საფრთხეებს ამხელს:

**„ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი
ჩვენს ბრვე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს
ეს საუკუნე სპობს უახლესი**

**მალე გვექნება მინაძე - ჰესი
დაშლის ვარძიას, ზარზმას და ხერთვისს
გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის
აბობოქრებულ ტალღებს შეერთვის...
ამ ხუდონჰესით, ნამოხვანჰესით
სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მესხი
რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში
ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი
ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი
თან გვარნმუნებენ: იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი!“**

ალბათ ისიც გვახსოვს, ტრანსკავკასიური რკინიგზის გაყვანის იდეას რომ გვახვევდნენ თავს, კავკასიონის ქედი რომ უნდა გაეხვრიტათ, რათა ამ რკინიგზით საქართველო უფრო უშუალოდ დაკავშირებოდა თავის „უფროს ძმას“, რუსეთს. ვითომ როკის გვირაბი არ კმაროდა, რომლის გავლითაც, მოგეხსენებათ, 2008 წელს რუსეთმა „სამშვიდობო მისიის“ აღსასრულებლად ტანკები შემოგვისია და ქართული მოსახლეობის ნაწილი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად აქცია, რომ არაფერი ვთქვათ ამ ელვისებურ (რამდენიმე დღიან) ომში დახოცილ ქართველ ჯარისკაცებზე, მშვიდობიან მაცხოვრებლებზე და განადგურებულ ინფრასტრუქტურებზე.

ტრანსკავკასიური რკინიგზის იდეას ბევრი უჭერდა მხარს საქართველოში, მათ შორის ჩვენი სახელოვანი მწერალი-კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბიც. მან, როგორც ვიცით, ეროვნული ხელისუფლების დამხობამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და შემდეგ ტელეეკრანებიდან ჩაგვაგონებდა, რომ დიდი პოლიტიკოსი და დემოკრატი ედუარდ შევარდნაძე გადაარჩინდა საქართველოს: როგორ გადაგვარჩინა, დავინახეთ დროთა განმავლობაში - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთს ჩააბარა და რუსი ე.წ. „სამშვიდობო მისიის“ აღმასრულებლად დაგვიკანონა, თანაც ამ ერთ ბატონს (რუსს) არ დაგვაჯერა და ვინ აღარ გვიქცია ბატონად -

ამერიკელი, ევროპელი, თურქი... ასე რომ ამ დიდი პოლიტიკოს- დემოკრატის ღვაწლის შედეგად საქართველოში მზე მართო ჩრდილოეთიდან კი არა, დასავლეთიდან და სამხრეთიდანაც ამოდის... შემდეგ შევარდნაძის ესტაფეტა მისგანვე გამონვრთნილმა სააკაშვილმა და ე.წ. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაიბარა და წარმატებით გააგრძელა მისი გეზი - საქართველოს მიზანმიმართული გაყიდვა; ვითომ ანტირუსულ პოზიციაზე მდგარმა სააკაშვილმა სწორედ რუსეთიდან მოგვეგვარა ყოველგვარი გაყიდვა-გასხვისების დიდი პროფესიონალი ბენდუქიძე, რომელმაც, სანამ პირში სული ედგა, ყველაფერი მიჰყიდ-მოჰყიდა ჩვენს ქვეყანაში და ამგვარ საქმიანობას „ნაციონალური მოძრაობის“ (რომელთა შორის ჩვენს ინტელექტუალთა საგრძნობი ნაწილიც მოიაზრება) სწორ ეკონომიკურ პოლიტიკად მიიჩნევდნენ...

როგორც ჩანს, აზერბაიჯანისათვის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადაცემაც სააკაშვილის მმართველობის ჟამს შევიდა ახალ ფაზაში, თუმცა ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ქართველი ბოლშევიკების (ორჯონიკიძის და ძმათა მისთა) ღვაწლის დავიწყებაც არ ეგების: ისინი ხომ, ჭეშმარიტი ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღსავსენი, გულუხვად ასაჩუქრებდნენ ქართული მიწებით მოძმე აზერბაიჯანს და სომხეთს.

ხუდონჰესისა და ნამოხვანჰესის პროექტების განხორციელება შევარდნაძემ რატომღაც ვერ გაბედა, ისევე, როგორც ვერ გაბედა ე.წ. „თურქი მესხების“ ჩამოსახლება საქართველოში. შემდეგ მიხილ სააკაშვილმა „თურქი მესხები“ არა და, ნალდი თურქები შემოგვასია „ცივილიზებულად“, სხვადასხვა კულტურული თუ ეკონომიკური პროექტების მეშვეობით. ნამოხვანჰესის პროექტის განხორციელებასაც აპირებდა და ამაყად ლაპარაკობდა ამ თემაზე (არსებობს ვიდეოჩანაწერი), მაგრამ როცა ამას საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა, „პლასტინკა გადააბრუნა“ სასწრაფოდ და ამ ჰესის აშენების საქმე მომავალს მიანდო... და აი, ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის ხანაში, 2019 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ქურდულად მოაწერა ხელი ნამოხვანჰესის აშენების ხელშეკრულებას. წელიწად-ნახევრის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ქართველ ხალხს ამ ფაქტს, სანამ თურქი ინვესტორები ტრაქტორებით არ შევიდნენ ნამოხვანში. ამ კაბალურ ხელშეკრულებაზე ყოფილ პრემიერ-მინისტრს, გიორგი გახარიასაც ჰქონია ხელი მოწერილი. სოციალურ ქსელში ამ პიროვნებას რატომღაც დიდი მონონება აქვს. ნამოხვანჰესის აშენების მონინალმდევნი პირდაპირ ერის ღალატში სდებენ ბრალს გ.გახარიას, ის კი რალაც ახალ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში და ვითომ ოპოზიციონერი გახდა...

ე.წ. „ნაცები“ და „ქოცები“ (სწორედ რომ ამგვარ დასახელებას იმსახურებენ ისინი) ერთ რამეში

ჭეშმარიტად ერთსულოვნებას იჩენენ - საქართველოს სტრატეგიული ობიექტები უნდა გაიყიდოს!

„ქართულმა ოცნებამ“ დავით გარეჯის თემა არჩევნების დროს ხალხის გულისმოსაგებად წამოსწია, შემდეგ კი, როცა თავის მიზანს მიაღწია და მესამედ გაინალდა ხელისუფლებაში დარჩენა, ნამოხვანჰესის პროექტით დაინყო სათავისო მოგებისათვის „მოღვაწეობა“. ამასობაში კი კარტოგრაფი ივერი მელაშვილი გარეჯის კუთვნილ ტერიტორიის ნაწილზე აზერბაიჯანის პრეტენზიის სამართლიანობას აღიარებს, ცალსახად არ აცხადებს ამ ტერიტორიას საქართველოს განუყოფელ ნაწილად. მისმა ამგვარმა პოზიციამ სახალხო პროტესტი გამოიწვია.

ნამოხვანჰესის პროექტი რომ ეკოლოგიურ საფრთხეს შეიცავს, ეს თვით თურქეთის „მწვანეთა მოძრაობის“ წარმომადგენლებმაც აღიარეს და ოფიციალურად დაუჭირეს მხარი ამ პროექტის გაუქმების მოთხოვნას. ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტმაც (ეროვნებით ფინელმა) დაგმო ეს პროექტი. თურქული კომპანია „ენ კა“ მაინც აგრძელებს სამშენებლო საქმიანობას, თანაც მთელი რიგი კანონდარღვევებით, რის გამოც წყალტუბოს სასამართლომ მას გამამტყუნებელი მსჯავრი დასდო და გარკვეული ფულადი ჯარიმაც (5000 ლარი) დააკისრა. ინვესტორთა მხრიდან ირღვევა აგრეთვე მორატორიუმის პრინციპი, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაანება. ეს ფაქტი იმდენად აღმაშფოთებელია, რომ ხელისუფლებისა და თურქული კომპანიის მიერ ორმაგი სტანდარტით მანიპულირება ხალხში გაღიზიანებასა და უნდობლობას იწვევს. ისიც უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების მიერ მშვიდობიან მიმიტინგეთა დათრგუნვის მცდელობა უხეში პოლიციური ჩარევით იმდენად არაადეკვატურია, რომ შესაძლოა ნამოხვანჰესის მონინალმდევთა საპროტესტო გამოსვლები უფრო მასშტაბურ სახალხო მოძრაობად იქცეს და ხალხის უფლებების აბუჩადამგდები ხელისუფლება საერთოდ გადაჰყვეს ამ პროცესს: ხელისუფლება, რომელიც აშკარად უპირისპირდება ერის ინტერესებს, აღარ არის ღირსი და არც უფლებამოსილი, ქვეყანას მართავდეს.

ლიბერალურმა დემოკრატამ ჩვენს თვალწინ თავისებურ ნეობოლშევიზმად თუ ნეოფაშიზმად ტრანსფორმაცია განიცადა. ბოლშევიზმი და ფაშიზმი უკვე კარგახანია დისკრედიტირებული არიან, როგორც ძალადობრივი სისტემები, ამ დემოკრატის კი არაფრით არ უხერხდება მხილება, იმდენად მრავალსახოვანია მითიური პროტევისის მსგავსად. გინდა - არ გინდა, დემოკრატიული ღირებულებანი უნდა ცალსახად აღიარო, თანამედროვე მსოფლიოში სხვაგვარად (ანუ არადემოკრატიულად) აზროვნება აკრძალულია. მერედა განა ეს არ არის

პარადოქსი? სხვაგვარად აზროვნება აკრძალულია! აკი დემოკრატია იმას ნიშნავდა, რომ განსხვავებულ აზრსაც პატივი უნდა ვცეთ? კი ბატონო, შენ, თუ ასე გულით გინდა, იყავი ჰომოსექსუალი თუ ტრანსგენდერი, მაგრამ მეც დამიტოვე უფლება, რომ არც ვეკუთვნოდე ამგვარ არატრადიციულ ორიენტაციებს და არც მომწონდეს ისინი!

სხვათაშორის ვიცი, რომ ლიბერალური დემოკრატიის კრიტიკაც, მოდური ტერმინი რომ ვიხმაროთ, „რუსულ ნარატივად“ მიიჩნევა. ამიტომ ცოტა უფრო მკვეთრად უნდა გამოვხატო ჩემი პირადი პოზიცია, რომ ვინმეს რამე არ მოეჩვენოს და ცრუბრალდებისაკენ არ წაუცდეს ფიქრი თუ სიტყვა: დიახ, ჩვენი მთავარი მტერი, ნომერ პირველი ოკუპანტი რუსეთია. ამ სტატუსს ვერავითარ შემთხვევაში ვერ წავართმევთ მას, მაგრამ პატარა ოკუპანტი აზერბაიჯანიც ხომ არის, ქრისტიანული კულტურის უძველესი ცენტრის - დავით გარეჯის წარმთევას რომ გვიპირებს? რად უნდათ მუსულმან აზერბაიჯანელებს დავით გარეჯი? როგორც ჩანს, სამხედრო თვალსაზრისით აინტერესებთ, კარგი სადაზვერო პუნქტია ალბათ, მაგრამ ვინ უნდა „დაზვერონ“ აქედან, ჩვენს გარდა? ჰოდა, „მეგობარ ქვეყანას“ რატომ უნდა ჰქონდეს ამგვარი ინტერესი ჩვენს მიმართ? მაგრამ მათ, ეტყობა, სხვაგვარი ინტერესიც ამოძრავებთ: ისინი დავით გარეჯს ალბანური კულტურის ძეგლად აცხადებენ (საიდან მოიტანეს, რომელ ისტორიულ ანალებში ამოიკითხეს ეს ცნობა?) და თვითონ თურმე ალბანური კულტურის მემკვიდრენი არიან! ეს იმას ჰგავს, ესპანური წარმოშობის ლათინოამერიკელებმა რომ თავიანთ მიერვე განადგურებული აცტეკების, მაიას და ინკების კულტურათა მემკვიდრედ მიიჩნიონ თავი!

თურქეთს რაც შეეხება, ის სულაც არ არის „პატარა ოკუპანტი“, ჩვენი მიწაწყლის თითქმის ნახევარი (40%) ხომ მითვისებული აქვს, აჭარა - გურიაზეც და მესხეთ - ჯავახეთზეც პრეტენზიას ამჟღავნებს და აგერ ახლა იმერეთშიც უნდა ჩამოგვისახლდეს და რომელი ტერიტორიაც მოენონება ნამოხვანჭისის ახლო - მახლო, ლანგარით უნდა მართვან ჩვენმა გამყიდველებმა!

ასეთი რეალური საფრთხეებია და ჩვენ კი ამ ბოლო დროს ორი ე.წ. პოლიტპატიმრის თემით გვართობენ: ყოფილი მხედრიონელი რურუა ჯერ არ შეიწყალა ქ-ნმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბაშვილმა, შემდეგ „ზემოდან“ მიუთითეს და შეიწყალა. რაც შეეხება ნაცმოძრაობის ლიდერს ნიკა მელიას, მის გასათავისუფლებლად ევროკავშირმა გადაიხადა გირაო. დიდი რია-რია იყო იმასთან დაკავშირებითაც, შევიდოდა თუ არა მელია და მისი გუნდი პარლამენტში. ჯერ არ შედიოდნენ, შემდეგ შევიდნენ. ოღონდ მთელი ამ აჟიოტაჟის შემყურე

ქართველი მოსახლეობისათვის რაიმე შეიცვალა ან შეიცვლება სასიკეთოდ? ხალხი შიმშილობს, თავის გადასარჩენად საზღვარგარეთ გარბის, ერი აღარ მრავლდება და ამ ჩვენი გამყიდველი პოლიტიკოსების წყალობით მალე საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობად ვიქცევით: საქართველო უქართველებოდ - აი, საით მივყავართ ამ დაუსრულებელ ლალატს, გაყიდვას, გადაჯიშება - გადაგვარებას!

ზემოთ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულის პროექტი-ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანა ვახსენეთ. სწორედ იმ ხანებში ჩემმა მეგობარმა პოეტმა რამაზ ბერეკაშვილმა დაწერა ერთი პატარა ლექსი, ჩვენს ეროვნულ სატკივართა თავისებურ სატირულ - იუმორისტულ ჭრილში გამოუქებას რომ ეძღვნება:

**„ვემსახურეთ გარენრებს,
შრომამ დაგვაზიანა,
ვინროვდება გარე-ნრე
არც თუ თავაზიანად.
ყველა რამეს აშავეს,
ცას და მიწას ფიტავენ,
როგორც დიდ დამნაშავეს -
კავკასიონს ხერიტავენ.
მოძალადის მოძღვრება
ტაშისკვრით და ხარხარით
მოდის, ყველგან მოძვრება
ხვრელით ახალ - ახალით“.**

ალბათ თქმაც არაა საჭირო, რომ ეს ლექსი დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, ვიდრე მისი დაწერის ჟამს, ანუ ოცდაათი წლის წინ იყო. მაშინ ალბათ ვერც კი წარმოვიდგენდით სადღეისო პრობლემებიდან ზოგიერთს, მაშინ ასე ტოტალური შეტევა ზოგადადამიანურ ღირებულებებზე ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა.

რომელ ერთზე ვილაპარაკოთ?

თუნდაც ქართულ ეკლესიაზე გახშირებული თავდასხმების თემას შევეხოთ, რომელიც იმ მიზანს ემსახურება, რომ ქართველმა კაცმა ღმერთი და ქრისტიანული სარწმუნოებაც დაივიწყოს, საკუთარ ეროვნულ იდენტობაზეც ხელი აიღოს და უცხოთა საპარპაშოდ აქციოს ქვეყანა. თვით ეკლესიის წიაღშიც აამოქმედეს საკუთარი კადრები ჩვენებურმა ახალმა გლობალისტებმა (ვითომ რუსული სპეცსამსახურების „მზრუნველობა“ არ გვეყოფოდა) და გამუდმებულ ექსცესებს აწყობენ ეკლესიის მთლიანობის დასაშლელად. განკვეთილი მეუფე პეტრე ცაავა თავისი ნაცზონდერებით ჭყონდიდში ჯვაროსნულ ლაშქრობებს აწყობს მეუფე სტეფანეს წინააღმდეგ. ამბიონზეც კი შეცვივდნენ და მღვდელმსახურების ჩაშლა სცადეს მისმა აქტივისტებმა. ალბათ ამის მიზეზი პარტიული ინტერესების გარდა დადიანების სასახლის ცნობილი

მარნების დაბრუნების მცდელობაც იყო: ჩანს დიონისური (ბაკხური) იმპულსი ამ ე.წ. მამაობისათვის ანტიეკლესიური ენთუზიაზმის მძლავრი წყარო გამოდგა.

ეს რაც შეეხება ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის განდგომილებს, რომლებიც ნაცების რუპორებად მოგვევლინენ და საბოლოოდ დაივიწყეს სიმდაბლისა და მორჩილების აუცილებლობა, დაივიწყეს ისეთი მცნებები, როგორიცაა „არა ცილი სწამო“ და „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (იესო მაცხოვარი მტრის შეყვარებასაც გვიქადაგებს, მაგრამ ესენი მტერს კი არა, მოყვარესაც არ ინდობენ)... ამათგან განსხვავებით ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა მ.სონლულაშვილმა ჭეშმარიტად ისათნოვა მოყვასი და ტრანსგენდერს დაბანა ფეხები: ამ ფაქტს ჩვენი მედია - საშუალებები დიდის ამბით აშუქებენ, როგორც ლიბერალური დემოკრატიის დიდ მონაპოვარს. ფეხთბანვის საკრალური აქტის ეს პაროდია რაღაცით ჯ.ჯოისის „ულისეს“ ზოგიერთ ეპიზოდს გვაგონებს...

ყველაფერმა ამან კარგახნის წინანდელი ერთი ეპიზოდი მომაგონა. 2000-იანი წლების დასაწყისში „კავკასიურ სახლში“ ეკლესიიდან განდგომილი მღვდელი ბასილ კობახიძე ყოველკვირეულ სემინარებს ატარებდა რელიგიისა და თანამედროვე საზოგადოების ურთიერთმიმართების თემაზე. თვით მამა ბასილის და იქ მოხსენებით გამოსული თეოლოგების, ფილოსოფოსების, ინტელექტუალების მთავარი კრიტიკული სამიზნე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია იყო. მახსოვს, ერთხელ ინგლისიდან ჩამოსულმა ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსმა წაიკითხა მოხსენება. მისი საუბრიდან განსაკუთრებით ერთი განაცხადი დამამახსოვრდა: ეპისკოპოსმა ბრძანა, რომ სამღვდლო პირი შეიძლება ჰომოსექსუალი იყოს, მაგრამ ამავე დროს კარგი ქრისტიანი და წარმატებული მღვდელმსახურით. ის ინგლისურად ლაპარაკობდა და ეფექტური ვერ იქნებოდა, ქართულად მეკითხა - მაგვარი მღვდელმსახური თავის მრევლს სოდომ - გომორის ამბებზე რას ეტყვის - მეთქი. ეს შეკითხვა სხვა დროს ერთ-ერთ ქართველ მომხსენებელს დაუუსვი. უნდა გენახათ ზოგი იქ დამსწრის, განსაკუთრებით კი თვით სემინარის ხელმძღვანელის, მამა ბასილის რეაქცია ჩემს მართლაცდა გამომწვევ შეკითხვაზე. ძალიან გამინანწყენდა ეს დიდად ერუდირებული, ევროპაში განსწავლული და „სეკულარიზებული“ ლიბერალი.

ერთმა ასევე ლიბერალმა ფილოსოფოსმა რომელიღაც ჰომოსექსუალის „ვაჟკაცურ“ საქციელზე მიმითითა (ალარ მახსოვს, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა იმ მავანი ჰომოსექსუალის „ვაჟკაცობა“). ერთმა თეოლოგ-ინტელექტუალმა კი რაღაც

დემაგოგიური აბრუნდი გამიკეთა - იმ სოდომელებს რაიმე სექსუალური პრობლემა კი არ ჰქონდათო, მითხრა, უბრალოდ ჰიპერსექსუალები იყვნენო. მეც ვუპასუხე - კი ბატონო, ისინი არა პასიური ჰომოსექსუალები (გეები) იყვნენ, არამედ აქტიური მამათმავლები, მაგრამ ვინც ჰომოსექსუალურ აქტში მონაწილეობს, უნდა - არ უნდა, მაინც ჰომოსექსუალი გამოდის, ოღონდ მე მაგ თემა არ მიგულისხმია ჩემს შეკითხვაში, მე იმის თქმა მინდოდა, მღვდლობა და სოდომური ცოდვა ერთმანეთთან შეუთავსებელია - მეთქი.

რამდენადაც ვიცი, მამა ბასილმა თავისივე ნებით გაიხადა ანაფორა, სამოქალაქო პირი გახდა და საზღვარგარეთ (მგონი საფრანგეთში) გადასახლდა. ამასწინათ ტელევიზიით ვნახე მისი გამოსვლა, რომელშიც პეტრე ცაავას მომხრედ მოგვევლინა, თუმცა უარყოფს ცაავასეულ ცილისწამებას პატრიარქის მიმართ; ის კი გასაკვირია, რას ერჩის ყოფილი მამა ბასილი (ამჯერად უკვე ბატონი ვასილი) ნამოხვანჭესის აშენების მოწინააღმდეგე ლიდერს ვარლამ გოლეთიანს, ამ შესანიშნავ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც საუბარში ეტყობა მაღალი სულიერება, ინტელექტი და მშვიდობისმოყვარეობა. რატომ იყენებს მის მიმართ შეურაცხყოფელ გამოთქმებს; ნაცვლად იმისა, რომ უხაროდეს, რიონის მცველები როგორ შეუპოვრად დგანან ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, ის განრისხებულია. როგორც ჩანს, ამ ყოფილ სასულიერო პირს ამჯერად უფრო პრაგმატული ხედვები აქვს და თურქული კომპანიის მიერ უკანონო მშენებლობა რიონის ხეობის საზიანოდ რატომღაც მომგებიან საქმედ უჩანს. როგორც ეტყობა, სულიერი პრობლემებისაგან განდგომამ მერკანტილური იმპულსი იმდენად გააძლიერა, რომ ამ პიროვნების ცნობიერებაში რაღაც საბედისწერო ძვრა მოხდა და მისი უმისამართო აგრესიულობა უკვე ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებს.

ნეოლიბერალების დემაგოგიას დღემდე საზღვარი არ უჩანს და სულ უფრო პარადოქსულად ეწინააღმდეგება მათი იდეოლოგია საკუთარ თავს - თავისუფლების მოთხოვნით სწორედ ძალადობის დამკვიდრება ხდება. დოსტოევსკის „ემმაკნიდან“ შიგალიოვი თუ გახსოვთ, მომავალი საზოგადოების მოწყობის დოქტრინა რომ შეიმუშავა და ასეთი დასკვნა გააკეთა -“ მე ვინცებ უსაზღვრო თავისუფლებით და ვამთავრებ უსაზღვრო დესპოტიზმით!“ მართლაც რომ წინასწარმეტყველი ყოფილა დოსტოევსკი, ისე ზუსტად ემთხვევა მისეული „შიგალიოვიშინა“ დღევანდელ ნეოლიბერალურ იდეოლოგიას!

ჩვენში უკვე საკმაოდ აგრესიული მეთოდებით ცდილობენ მოზარდ თაობაში ადრეული ასაკიდანვე შეიტანონ ნეოლიბერალური იდეოლოგიის საფუძ-

ვლები, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია ლგბტ პროპაგანდის სულ უფრო და უფრო გაფართოების მცდელობა. ამ მიზნის მისაღწევად არასამთავრობო ორგანიზაციებს გულუხვად აფინანსებენ გარედან. სახალხო დამცველის აპარატი უშუალოდ ახორციელებს მონიტორინგად წოდებულ რეპრესიულ ჩარევას აღზრდის სისტემაში. ამის მაგალითია ის საჩივარი, რომელიც სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ შეიტანა ევროკავშირის სათანადო ინსტანციაში საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ ნინონმინდის ბავშვთა სახლის წინააღმდეგ; ამ საჩივრის მიხედვით, ხსენებულ დაწესებულებაში ბავშვთა უფლებები ირღვევა. სახალხო დამცველს რამდენიმე მცდელობა ჰქონდა შეეღწია ბავშვთა სახლში, მაგრამ რაკი ეს არ მოხერხდა ამ სახლის გამგებლის, მეუფე სპირიდონის წინააღმდეგობის გამო, მან გადაწყვიტა, ევროპული კანონმდებლობის მეშვეობით დაეძლია ეს პრობლემა (თუმცა 2018 წელს ხომ იყო პანსიონატში შესული, რატომ მაშინ ვერ აღმოაჩინა რაიმე, ახლა რომ ბრალდებათა მთელი ნიაღვარი დაატეხა თავს პანსიონატს). საჩივარში კონკრეტულად დადასტურებული ფაქტების ნაცვლად რაღაც ვარაუდებია დასახელებული სხვადასხვა მიმე დანაშაულთა (მათ შორის გაუპატიურების) შესახებ. ამ აჟიოტაჟის ატეხვის პერიოდში ნინონმინდის ბავშვთა სახლი მოინახულა ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გურამ ფალავანდიშვილმა, აგრეთვე მედია-ჯგუფ ალტ-ინფოს ერთ-ერთმა წევრმა ზურაბ მახარაძემ, რომელმაც ბავშვებთან შეხვედრისა და მათთან დიალოგის კადრები გადაიღო და გაავრცელა. ამ კადრების მიხედვით ჩანს, რომ ბავშვები იქ შინაარსიანად ცხოვრობენ და აღმზრდელთა მხრიდან შევიწროებას არ განიცდიან. ამას ადასტურებენ თვით პანსიონატის აღსაზრდელები, მაგრამ სახალხო დამცველს, ეტყობა, დავალებული აქვს სახელი გაუტეხოს ამ დაწესებულებას და ამ საქმეში მას მხარს აძლევს არაერთი სატელევიზიო არხი, რომელთაც საერთოდ მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტირება ევალებათ თავიანთი ბოსების მიერ.

თუ იმ საბავშვო სახლში მართლა რაიმე დარღვევა ხდება, თუ ბავშვებს ვინმე ავიწროებს და ჩაგრავს, ეს, რასაკვირველია, გამოძიებამ უნდა დაადგინოს და დამნაშავენი დასჯილი უნდა იქნენ. მაგრამ საამისოდ საჭიროა დაკონკრეტება: ვინ არის კონკრეტული მსხვერპლი, ვინ არის კონკრეტული დამნაშავე და რა კონკრეტული დანაშაულია ჩადენილი. უამისოდ მთელი ეს აჟიოტაჟი ცილისწამებას უფრო ემსგავსება, ვიდრე სამართლიან მხილებას.

მაგრამ სამწუხაროდ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პანსიონატში ძალად შეჭრილმა ყურნალისტებმა იმდენი მოახერხეს, რომ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე პანსიონატიდან ატირებული ბავშვების გამოყვანა დაიწყეს.

ეს რომ საერთოდ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული ქმედებებია, იქიდანაც ჩანს, რომ საპატრიარქოს კედელზე კინტოები მიახატეს და გვერდით „ნინონმინდა“ მიანერეს. ასეთი თავხედობა აქამდე არავის გაუბედავს. როგორც ჩანს გვიმემორანდუმზე თხუთმეტი ოპოზიციური პარტიის ხელმოწერამ წაათამაშა ლგბტ-კინტოური ძალები, რომლებმაც მტკიცე მიზნად დაისახეს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა საბავშვო სახლი დახურონ, მაშინ როცა სხვა აღმსარებლობათა ბაზაზე გახსნილ სხვა პანსიონატებს არანაირ პრეტენზიას არ უყენებენ.

ორად-ორი ტელევიზია, რომელიც ამ საერთო აგრესიის ფონზე ეკლესიისა და ეროვნულ ფასეულობების დასაცავად იბრძვის, გახლავთ ტელეკომპანია „ობიექტივი“, რომლის ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი ამავდროულად „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი გახლავთ და დამოუკიდებელი არხი ალტ-ინფო (დამაარსებელი კონსტანტინე მორგოშია). ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ „ნინონმინდის“ პანსიონატში მათი ჯგუფიც იმყოფებოდა და უშუალოდ გაესაუბრენ ბავშვებს (გვიჩვენა იქ გადაღებული კადრებიც) და დარწმუნდა, რომ იქ ბავშვები თავს კარგად გრძნობენ და მათ არავინ ავიწროებს. მან „ობიექტივის“ ტელესტუდიაშიც მოიწვია „ნინონმინდის“ პანსიონატის აღზრდილები, რომლებიც თავიანთ აღმზრდელებს ემადლიერებიან. ქალბატონმა ირმამ სტუდიაში მოიწვია ბავშვები და მშობლები, რომლებიც აპირებენ „ნინონმინდის“ პანსიონატს სოლიდარობის ნიშნად ეწვიონ და გარკვეული დროის განმავლობაში იქ დარჩნენ, რათა პანსიონატი დაცარიელებული არ იყოს.

ხშირ შემთხვევაში ნეოლიბერალთა აქტივობა ადამიანებზე უშუალო ძალადობის ფორმას იღებს. მაგალითად, შვიდშვილიან დედას, რომელსაც ერთი ოთახის მეტი საცხოვრებელი ფართი არ გააჩნია, ნაცვლად იმისა, რომ დაეხმარონ, ბინა გაუფართოვონ და ნორმალური საცხოვრებელი პირობები შეუქმნან, შვილების ჩამორთმევას უპირებენ! აი ესაა მათი მიზანი: ამგვარი ჩამორთმეული ბავშვები თავიანთი იდეოლოგიის შესაბამისი მეთოდებით აღზარდონ და მათგან მორჩილი ზომბების კონტიგენტი შექმნან! აი ასე „დემოკრატიულად იცავენ“ ლიბერალები ბავშვთა უფლებებს.

გულახდილად რომ ვთქვა, ერთ დროს 21-ე საუკუნე სულ სხვაგვარად წარმომედგინა: მეგონა, ტექნიკური პროგრესი ადამიანთა კეთილდღეობაზე დადებითად აისახებოდა და 21-ე საუკუნის ადამიანი ინტელექტუალური დონით, სულიერებით, ქცევის ნებსებით აღმატებული იქნებოდა წინა საუკუნეების ადამიანებზე და საყოფაცხოვრებო პირობებიც უფრო მოხერხებული და კომფორტული იქნებოდა; არადა, ყველაფერი პირუტყუ მოხდა: დღეს მთელ მსოფლიოში აშკარა კრიზისია ადამიანური ყოფის ნებისმიერ (მატერიალურ თუ მენტალურ) სფეროში. ნეოლიბერალიზმი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, სატანურ ძალებთან არის წილნაყარი. დღეს (ამას ვინ წარმოიდგენდა) ადამიანებმა ადრეული ასაკიდანვე უნდა „აირჩიონ“, თურმე არათუ ეთნიკური და რელიგიური, არამედ სქესობრივი იდენტობაც კი! ეს ყველაფერი ძირეულად ანგრევს იმ ღირებულებებს, კაცობრიობისათვის ათასწლეულების განმავლობაში ადამიანად ყოფნის გარანტი რომ იყო. სად მიგვაქანებს ეს პროცესი, რომელიც ყოველგვარი ჰუმანიზმისაგან და ჯანსაღი აზროვნებისაგან დაცლილია? ამ ჩვენს ისედაც შაგრენის ტყავივით დაღეულ ქვეყანას რომ ხელიდან გვაცლიან და ყიდვან, ეს ერთი სადარდებელია, მაგრამ სამწუხაროდ, პრობლემა უფრო მასშტაბურია და მთელ მსოფლიოს სულიერი და ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრება, თუ ასე გაგრძელდა.

მაგრამ იმედის სხივი მაინც მთლიანად არ ჩამქრალა, რადგან ხსენებულ პროცესზე მოფიქრალი სალი აზროვნების ადამიანებიც საკმაო რაოდენობით არიან. ყველა ქმედებას გარკვეული უკუქმედებაც ახლავს და ნეოლიბერალიზმის ამ უკიდევანო პარპაშის საპირწონედ კონსერვატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული ძალებიც აქტიურდებიან. ეს პროცესი მთელ მსოფლიოშია დაწყებული და იმედისმომცემია ის გარემოება, რომ საქართველოც ასე თუ ისე პასუხობს ამ გამოწვევას.

7 ივნისს „ალტ-ინფოს“ ჯგუფის ინიციატივით სახალხო დამცველის ოფისის წინ გაიმართა საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებმა სახალხო დამცველის წინა ლომჯარიას გადადგომა მოითხოვეს. სიტყვით გამოვიდნენ „ალტ ინფოს“ ახალგაზრდა ლიდერები ზურა მახარაძე, გიორგი ქარდავა და შოთა მარტინენკო. ამ აქციაზე მოვიდა აგრეთვე და სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ, რომელმაც ახლახან დაარსა საზოგადოება „ერი“. მან გამოთქვა აზრი, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტია უნდა გაუქმდეს და ის იქცეს საპრეზიდენტო აპარატის ერთ-ერთ რგოლად.

მე ვესწრებოდი ამ აქციას ჟურნალ „ისინდის“ რედაქტორთან იკა ქადაგიძესთან ერთად, რომელმაც ორი წლის წინ მკვეთრად გააკრიტიკა სახალხო დამცველი საგანმანათლებლო სისტემიდან ერის ბიბლიად წოდებული ვეფხისტყაოსნის ამოღების მოთხოვნის გამო. ეს მწვავე სტატია ჯერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა და შემდეგ კი ჟურნალ „ისინდის“ მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა. ჟურნალის ამ ნომრის ყდაზე გამოსახულია ვეფხისტყაოსნის ჩემეული ილუსტრაცია, რაც ჩვენი პოზიციის კიდევ ერთი დადასტურებაა.

7-10 ივნისი 2021

თეიმურაზ ნადარეიშვილი

ჰამლეტი⁷

ყოფნა-არყოფნის მონოლოგი

მსოფლიო დრამატურგიაში ჰამლეტის ეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მონოლოგი განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს. ამიტომ ჯერ მომყავს ამ მონოლოგის მთლიანი ჩემეული თარგმანი, ბოლოს კი საკუთარი კომენტარები

ჰამლეტი:

ყოფნა?...არ ყოფნა?... საკითხავი მხოლოდ ეს არის!
 რა ურჩევნია სულდიდ არსებას?
 ის რომ იტანჯოს მუხთალი ბედის
 განუწყვეტელი დამცირებებით
 თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას
 და მოსპოს იგი ამ შეებრძოლებით?
 მოსპოს სიცოცხლე... მიიძინოს... სხვა არაფერი...
 ამ მიძინებით ბოლოს მოვუღებთ სულიერ
 ტკივილს
 და ათასგვარ სხვა შეჭირვებას
 რაც კი ხვედრია ყველა მოკვდავის.
 განა ამგვარი დასასრული სანატრელი არ უნდა იყოს?!

მოვსპოთ სიცოცხლე, მივიძინოთ, რომ მივიძინებთ,

არ ვიცით მაშინ რა სიზმრებს ვნახავთ
 და ეს გვაფერხებს და ამიტომაც ჩვენ ვეგუებით
 ხანგრძლივ ცხოვრების ულმოებელ დარტყმებს.
 ვინ მოითმენდა ამის გარეშე
 ამდენ დაცინვას და უტიფრობას,
 ტირანის ჩაგვრას, თავგასულობას,

ტანჯვა - წამებას უარყოფილ სიყვარულისა,
 მართლმსაჯულების უსამართლობას,

შეურაცხყოფას გადაკრულ სიტყვით,
 აგდებულ პასუხს უღირსისაგან,
 სიმშვიდის ჩუქნა რომ შეეძლოს
 დანის ერთ დარტყმას?
 ვინ ატარებდა ოფლის დაღვრით
 და ოხვრა - კვნესით ცხოვრების უღელს,
 რომ არა შიში, სიკვდილის შემდგომ
 უცხო მხარეში აღმოჩენისა,
 სადაც უკლებლივ ყველა მივდივართ,
 მაგრამ უკან კი ვერვინ ბრუნდება!
 სწორედ ეს შიში, გაურკვეველობა
 თავსატეხს უჩენს გაბედულობას
 და გვირჩევენია ვიმეგობროთ შეჩვეულ ჭირთან
 ვიდრე ჩვენ შევხვდეთ იდუმალ ხიფათს.
 ასე მხდალსა გვხდის ჩვენ ბევრი განსჯა,
 გაბედულების ბუნებრივ ელფერს
 ფერმკრთალად აქცევს ფიქრის სარტყელი
 და დიდ საქმეებს, დიდ ნამოწყებებს
 ხელს უშლის დიდად,
 სახელს უტეხავს თავად ქმედებას
 და აზრი საქმედ ველარ იქცევა!

მონოლოგის დასაწყისში მე დაეუმატე სიტყვა „მხოლოდ“, რომელიც ორიგინალში (only) არ არის, მაგრამ არის that- ეს, ამ, ის. მე მგონი ამგვარი დამატება აზრობრივად სწორია, რადგანაც ყველაზე მთავარი, ფუნდამენტალური კითხვა არის - ვართ (ვარსებობთ) თუ არა? თუ ვართ, მაშინ შეგვიძლია დავსვათ სხვა დანარჩენი კითხვებიც. ამიტომ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ჯერ გავარკვეოთ ვართ თუ არა ჩვენ და ამისი გასარკვევი კითხვა უნდა გამოიყოს სხვა მისგან გამომდინარე კითხვებიდან. სწორედ ეს მიიღწევა სიტყვა „მხოლოდ“-ის დამატებით (სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მართო ეს არ არის შეკითხვა, მაგრამ მისი ფუნდამენტალური, განსაკუთრებული როლის გამოკვეთა შეიძლება ამგვარი დამატებით!) ასე რომ, მე მოვახდინე მაჩაბლისეული „აი“-ის გაძლიერება „მხოლოდ“-თი.

როგორც ჰამლეტი ამ მონოლოგში აღნიშნავს, იმის გამო, რომ ჩვენ არ ვიცით, რა მოგველის შემდგომ („რა სიზმრებს ვნახავთ“), სწორედ ამიტომ ეს გვაიძულებს ავიტანოთ უამრავი დამცირება და განვავარძოთ ცხოვრება. მაგრამ თუ ცხოვრება აუტანელი ხდება, თუ ყოველგვარ ზღვარს გადადის ადამიანის დამცირება, მაშინ მან შეიძლება დასძლიოს სიკვდილის შიში (იმ უცნობი სამყაროსადმი შიში, რაც სიკვდილის შემდგომ მოგველის) და სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინოს; ან ასეც შეიძლება ითქვას: შეიძლება იარსებო (და არა იცხოვრო!), შეიძლება შენი მთავარი პრინციპები დათმო (უპრინციპო ადამიანი ხომ პატრონის გარეშე დარჩენილ ძალს გვაგონებს, რომელიც ქუჩაში ახალი პატრონის ძიებაში ხან ერთ გამვლელს აედევნება, ხან კი მეორეს!), მაგრამ აქვს კი აზრი ასეთ ცხოვრებას?! სწორედ ამ ფაქტის გამოხატულებაა რუსთველის



უკვდავი აფორიზმი: „სჯობს სიცოცხლესა ნადრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ იგივე აზრს შექსპირიც გამოხატავს „ჰენრი VI“-ის მესამე ნაწილში, როდესაც მეფე ჰენრი VI-ს ასე მიმართავს მისი ერთ-ერთი მომხრე ლორდი კლიფორდი (მას შემდეგ, რაც ჰენრი VI სამეფო გვირგვინს იორკის მთავარს გადასცემს): „ჯობდა, რომ ომში დალუპულიყავ, ვიდრე მშვიდობით არსებობდე, მიგდებული და თავლაფდასხმული!“ (თარგმანი თეიმურაზ ნადარეიშვილის)

ერთობ საყურადღებო და საინტერესოა პოლონისის ბრძნული რჩევები პარიზში სასწავლებლად მიმავალი შვილისადმი, საიდანაც კარგად ჩანს ის დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და დაკვირვებანი, რაც წლების განმავლობაში დააგროვა სამეფო კარის ინტრიგებში გამობრძმედილმა მალალი დონის კარისკაცმა (წლების „სიმძიმე“, მათემატიკოსის ენით თუ ვიტყვით, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ამგვარი სიბრძნის შესაძენად, რადგანაც ბევრი ადამიანი დიდხანს ცოცხლობს, მაგრამ ბევრს ვერაფერს სწავლობს ცხოვრებისაგან!)

პოლონისი

კურთხეულ იყავ ჩემო ლაერტ,
 მუდამ გახსოვდეს მამის რჩევები:
 ენით ნუ გათქვამ საკუთარ აზრებს,
 უმწიფარ აზრს კი ნუ აღასრულებ,
 იყავი მუდამ თავაზიანი
 მაგრამ ნურასდროს დაუხვეწავი.
 ვინც გამოსცადე მეგობრობისას,
 შენ სულს შეაბი ფოლადის ჯაჭვით,
 მაგრამ იცოდე ყველას არ ენდო ნაცნობობისას!
 ჩხუბს მოერიდე, მაგრამ თუკი მაინც
 მოგიხდა შენ ჩხუბში ჩაბმა,
 ის მოახერხე, რომ შენ მეტოქე გერიდებოდეს.
 ბევრს მოუსმინე, მაგრამ ცოტა თქვი,
 ყური დაუგდე სხვების აზრებს, შენი დამალე-
 ისე ჩაიცვი, რასაც გასწვდება შენი საფულე,
 მდიდრულად, მაგრამ სადად და კობტად -
 ადამიანი ჩაცმულობითაც ფასდება ნშირად
 და საფრანგეთში, უმაღლეს ნრეში

დახვეწილად და გემოვნებით ირჩევენ სამოსს.
 ფულს ნუ ისესხებ, ნურც გაასესხებ
 რადგან სესხებით ფულსაც დაკარგავ და მეგობარსაც,
 თავად სესხი კი ძლიერ ასუსტებს მომჭირნეობას.
 ყველაზე მეტად კი ეს განსოვდეს:
 არ უღალატო შენ საკუთარ თავს
 და მაშინ, როგორც დღე ღამეს მოსდევს,
 სხვასაც ვერავის ვერ უღალატებ!
 მშვიდობით ლაერტ! ჩემმა დალოცვამ გულს
 ჩაგინერგოს ეს დარიგება!

მოგვიანებით კი პოლონიუსი ცდილობს დაადგინოს, თუ როგორ იქცევა ლაერტი პარიზში, რის გასაგებად საკუთარ მსახურს რეინალდოს შემდეგ „ემმაკურ“ დაევალებას აძლევს:

პოლონიუსი

ჩემო ერთგულო რეინალდო, სანამ ნახავდე
 სხვებს გამოკითხე როგორ იქცევა იქ ჩემი ვაჟი
რეინალდო

ჩემო მეუფევე, სწორედ ეგა მაქვს მეც განზრახუ-

ლი.

პოლონიუსი

ძალიან კარგი! კარგად სთქვი, კარგად! ყური და-
 მიგდე:

ჯერ ის გაიგე, თუ არის ვინმე იქ დანიელი,
 რას აკეთებენ, რითი ცხოვრობენ,
 ვის მეგობრობენ, რამდენს ხარჯავენ
 და თუკი შეძლებ ამ გადაკრული შეკითხვებით
 იმის დადგენას, რომ ისინი ჩემს ვაჟს იცნობენ,
 მაშინ მათ უფრო დაუახლოვდი
 და სხვათაშორის, ვითომ შემთხვევით
 ასე დაიწყე: „დიახ, მე ვიცნობ ლაერტის მამას
 და მის მეგობრებს, ცოტაოდენით მასაც კი ვიც-
 ნობ“

მიხვდი რას ვამბობ რეინალდო?

რეინალდო

ძალიან კარგად ჩემო მეუფევე!

პოლონიუსი

„ცოტაოდენით მასაც კი ვიცნობ“,
 მაგრამ ნუ იტყვი, რომ „კარგად ვიცნობ“
 და დაამატე: „მოუხეშავი და ველურია
 და გააჩნია უამრავი კიდევ სხვა ნაკლი“,
 თან მოუგონე, რაც კი გენებოს
 მსგავსი სხვა ტყუილი,

ოღონდ იცოდე, ამ ტყუილებით
 არ შელახო მისი ღირსება;

ისიც აღნიშნე, რომ თავნებაა, დაუდეგარი და
 ავზნიანი,

გაკვრით ასხენე მხიარული ეშმაკობანი,
 რაც კი თან ახლავს ყმანვილკაცობას, თავისუ-

ფალ სულს

რეინალდო

ბანქოს თამაშიც, მაგალითად?

პოლონიუსი

დიახ თამაშიც, თითქოს ლოთობდეს, ილანძღე-
 ბოდეს,

ჩხუბობდეს მუდამ, მრუშობდეს კიდევ,
 მეტს კი ნუ იტყვი, ზღვარი იცოდე
რეინალდო

ეს ყველაფერი ხომ შელახავს იმის ღირსებას?
პოლონიუსი

არა უშავს რა, თუ შეარბილებ ცილისნამებას.
 არ დააბრალო მას სხვა ცოდვანი,
 აღვირახსნილი ცხოვრების წესი.
 სინამდვილეში მე სულ სხვა რამ მსურს:
 მე მინდა მისი ნაკლი ისე წარმოჩნდეს,
 რომ ის დაბრალდეს თავისუფალებას,
 მგზნებარე სულის გაელვებას და ამბოხებას
 და ველურობას გაუხედნავ, ურჩი სისხლისას-
 ეს ხომ ხვედრია ყველა ჩვენგანის.

რეინალდო

კი, მაგრამ მილორდ...

პოლონიუსი

გინდა გაიგო რატომ ვაკეთებ ამას ყველაფერს?
რეინალდო

დიახ მეუფევე, მინდა ვიცოდე.

პოლონიუსი

ოდნავ დაფიქრდი; ჩემი მიზანი
 კარგ საბურველში შევმოსე ვგონებ:
 როგორც კი ჩემს შვილს
 მცირე ცოდვებით შენ გასვრი ოდნავ,
 ისევე როგორც მუშაობისას,
 სახელოები გვესვრება მუდამ,
 მაშინ შენივე მოსაუბრე, თუკი ოდესმე
 შეუნიშნავს ეს ახალგაზრდა მსგავს საქციელში,
 თანამოაზრე გახდება უმაღ და შენ მოგმართავს:
 „ჩემო ბატონო“ ან „მეგობარო“ ან „ჩემო კარგო“,
 ეს გააჩნია რა წესი არის საუბრისას მათ ქვეყანაში
 ან კი ის თავად რას წარმოადგენს.

რეინალდო

ძალიან კარგი, ჩემო მეუფევე.

პოლონიუსი

და მაშინ ის იტყვის...ის იტყვის...
 ჰო, რას ვამბობდი? ღმერთმანი რალაც
 მინდოდა მეთქვა... რაზე შევჩერდი?

რეინალდო

„თანამოაზრე გახდება უმაღ“,
 „მეგობარო“ ან „ჩემო კარგო“,
პოლონიუსი

მართლაც მანდ ვიყავ, დიახ, დიახ...
 შეგანყვეტინებს და შემდეგს გეტყვის:
 „დიახ, მე ვიცნობ ამ ახალგაზრდას,
 გუშინაც ვნახე და სხვა დღეებშიც,
 ამა და ამ უცნობთან ერთად
 და როგორც თქვენ ბრძანებთ
 იქ თამაშობდა, აქ კი ლოთობდა,
 ჩხუბობდა კიდევ ჩოგნის ქნევისას,
 ისიც კი ვნახე საროსკიპოს როგორ ესტუმრა...“,
 და ამიტომაც, როგორც შენ ხედავ,
 შენ ამ ანკესზე წამოგებული სიცრუის მატლით
 სწრაფად დაიჭერ სიმართლის თევზსა;

ჩვენც ხომ ყველანი, ბრძენნიც, შორსმჭვრეტნიც
მიკიბ - მოკიბულ, ირიბი გზებით
ხშირად ვპოულობთ ჭეშმარიტებას!
ხომ ხვდები ახლა,
ლაერტის ამბავს სრულად გაიგებ
ჩემი რჩევები თუ მოგაგონდა.

მართლაც ჭეშმარიტების დადგენა (განსაკუთრებით მეცნიერებაში!) ხშირად მხოლოდ არაპირდაპირი, ირიბი გზითაა შესაძლებელი. პოლონიუსის ამ დარიგების ანალიზისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ხშირად ადამიანს უხარია (გარკვეულ შევასაც კი აძლევს!) სხვა ადამიანის ამა თუ იმ მანკიერი მხარის გაგება. ქვეცნობიერად ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მასაც აქვს ანალოგიური ნაკლი და ამიტომ იგი მარტო არ არის თავის მანკიერებასთან, რის გამოც უფრო ადვილია საკუთარი არასრულფასოვნების ატანა! ეს კარგად იცის პოლონიუსმა და სწორედ ამაზე ოსტატურად „თამაშობს“ იგი! კერძოდ, ამ ეშმაკური ხერხით რეინალდომ უნდა დაადგინოს, მართლა აქვს თუ არა ლაერტს ესა თუ ის უარყოფითი თვისება, ოღონდ ისე, რომ არ შებღალოს მისი ღირსება „ზედმეტი“ მოგონილი ცილისწამებით და რაც მთავარია, „აღმორჩენილი“ მანკიერებანი მის ახალგაზრდობას და თავისუფალ სულს „დაბრალდეს“!

ამ დარიგებას ორგვარი დატვირთვა გააჩნია - ჯერ ერთი პოლონიუსი აშკარად ამბობს თავის სათქმელს, გადმოსცემს საკუთარ ცხოვრებისეულ დაკვირვებებს, მიგნებებს და მეორეც იგი იმიტომ არის ასეთი უჩვეულოდ გულდია საკუთარი ხელქვეითის მიმართ (ჩვეულებრივ პირობებში, ხომ ყოველთვის არსებობს გარკვეული „დისტანცია“ უფროსსა და ხელქვეითს შორის!), რომ რეინალდომ კარგად გაიგოს დაკისრებული ამოცანა და შესაბამისად კარგად, „გულიანად“ შეასრულოს ის!

ასევე ფრიად საყურადღებოა პოლონიუსის დარიგება ოფელიასადმი. კერძოდ, მას შემდეგ, რაც პოლონიუსი გაიგებს, რომ მის ქალიშვილს გარკვეული რომანი აქვს გაბმული ჰამლეტთან, იგი დეტალურად განუმარტავს ოფელიას, თუ რატომ არ აქვს მომავალი მათ ურთიერთობას:

პოლონიუსი

მე მომახსენეს, რომ ამ ბოლო დროს
ჰამლეტი ხშირად გითმობს შენ ბევრ დროს
და შენც არ აკლებ მას ყურადღებას.
თუ სიმართლეა, რაც მომახსენეს
არ ეკადრება ეს საქციელი
ჩემს ქალიშვილსა და შენს ღირსებას!
რაა თქვენს შორის? სიმართლე მითხარ!

ოფელია

ჩემო ბატონო, ბოლო ხანებში
მან ბევრჯერ მითხრა ალერსის სიტყვა.

პოლონიუსი

ალერსის სიტყვა?! თავს ნუ იმასხრებ!
რა უმნიშვარი ბავშვივით მსჯელობ

ამ სახიფათო ვითარებაში.
შენ მართლა გჯერა მისი ალერსის?
ოფელია

ის სიყვარულში მე გამომიტიყდა
კეთილშობილად და პატიოსნად!
პოლონიუსი

კეთილშობილად! მე კარგად ვიცი ეგ რასაც ნიშნავს!

ოფელია

ყველა წმინდანი მან დაიფიცა,
თავის სიტყვების განსამტკიცებლად!

პოლონიუსი

ეგ ხაფანგია ფრინველთ საჭერი,
სისხლის დუღილი ენას გულუხვს ხდის!
ფიცის მიცემა გაელვებას გავს,
მძლავრად ანათებს, მაგრამ არ ათბობს
და უცბად ქრება

და ამიტომაც ეს დაპირება

შენ არ გეგონოს ნამდვილი ცეცხლი!

ამის შემდგომ კი მორიდებული იყავი მეტად
და უფრო ძვირად დააფასე შენ შენი სიტყვა.

რაც შეეხება უფლისწულ ჰამლეტს,
გახსოვდეს ის, რომ ახალგაზრდაა,

ამასთანავე, თავის ქცევებში

შენზე ნაკლებად შეზღუდულია.

ნუ დაუჯერებ შენ იმის ფიცსა

რადგან ეს ფიცი მოციქულია

არა იმ ფერის, რა ფერისაც ჩანს,

მაგრამ უზომო ხვეწნა-მუდარით,

ფარისევლური ამოხვნეშებით,

მოჩვენებითი ღვთისმოსაობით,

ციდილობს მოგხიბლოს შენ უფრო მეტად!

მოგვიანებით ხელმწიფესთან საუბრისას, კი პოლონიუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუხედავად მისი საკმაოდ მაღალი თანამდებობისა სამეფო კარზე, ჰამლეტი მაინც უმაღლეს წრეს ეკუთვნის, რის გამოც შეუძლებელია მომავალში უფლისწულმა ოფელია დედოფალი გახადოს (ამ ერთგვარი „თავის დამცირებით“ კი, პოლონიუსი კიდევ ერთხელ უმტკიცებს ხელმწიფეს ერთგულებას - მას კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი ცხოვრებაში და ამიტომ „ზედმეტს“, შეუძლებელს არ მოითხოვს და ამაში საკუთარ ქალიშვილსაც არწმუნებს!)

მე ჩემს ქალიშვილს უმალ ვუთხარი,

ლორდი ჰამლეტი უფლისწულია

სხვა ვარსკვლავზეა დაბადებული

და არ მოხდება ის, რაც შენ გინდა!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)